

ეუკლეინი წივი შვილის – მისილი (მიშა) ათელაქას ნათელ სსოქას

ესტატე (თენზიზი) ათელაქას

# ქავქასნია და რუსეთი

ტოზი I

ნაწილი I

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის –  
დისკრიმინაციის, ეთნიკური წყენდისა და  
გენოციდის ისტორიის საკითხები  
ჩრდილოეთ ქავქასნიაში XVIII-XX ს. დასაწყისში

გამომცემლობა: შ.პ.ს. „შარაქანდი“

თბილისი 2007

UDC(უკ)94(470:479)+325.3(470)  
ა-657

ნაშრომში ახალ საარქივო მასალებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში, კერძოდ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის – დისკრიმინაციის, ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ისტორიის საკითხები ჩრდილოეთ კავკასიაში XVIII საუკუნიდან, ვიდრე XX საუკუნის დასაწყისამდე. წიგნი განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს უკეთ გაეიაზროთ თანამედროვე რუსული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ვახტანგ გურული

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
ლია ახალაძე

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
ბეჟან ხორაგა

© ესტატე (თენგიზი) ანთელაეა 2007

ISBN 978-99928-0-217-5 (ტომეულის)

ISBN 978-9941-0-0169-7 (ტომი I, ნაწილი I)



## შესავალი

წინამდებარე შრომის ავტორი გრძნობს, რომ კვლევის საგნად აღებული პერიოდი დიდი წინააღმდეგობებითა და ტრაგიკული მოვლენებით სავსე ხანაა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერებისათვის, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის.

რუსეთის იმპერიის უახლოესი ისტორიის კვლევის საგნად აღებული მონაკვეთის შესწავლა და გაშუქება, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის ოფიციალური შესაძლებლობები არსებობს, მაინც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან რუსული საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ჯერ კიდევ დიდმპყრობელური იდეების ტყვეობაშია და ტრაგიკულად აღიქვამს თავისი ქვეყნის კოლონიური პოლიტიკის ყოველგვარ კრიტიკას, წარსულისა და თანამედროვეობის ისტორიის ახლებურად, ობიექტურად წარმოჩენას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიამ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მცხოვრები ხალხები გამოთიშა დამოუკიდებელი, დემოკრატიული განვითარების გზას.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ობიექტური შესწავლა-განზოგადება დიდად შეუწყობს ხელს და დაეხმარება არა მარტო რუსეთს, არამედ ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც განთავისუფლდნენ ან, ჯერ კიდევ იმყოფებიან კოლონიური რეჟიმის ქვეშ, მომავალი გზების განჭვრეტა-განსაზღვრაში, დემოკრატიული ცივილიზებული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაში.

აღნიშნული პერიოდის ღრმა და ობიექტური ანალიზი საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ წარსულის შეცდომები და ტრაგიკული მოვლენები.

შრომის ავტორი შეეცადა, პოლიტიკური მიზანდასახულობის გარეშე, ქართულ ისტორიოგრაფიაში შეექანა თავისი მოკრძალებული წვლილი რუსეთის ისტორიის პრობლემურ საკითხებზე. გაშუქებულია აღნიშნული თემის საკვანძო საკითხები, რომლებიც

თავის დროზე თავსმოხვეული ისტორიული კონცეფციებიდან გამომდინარე, მიჩქმალული ან გაყალბებული იყო.

გამოქვეყნებული და ახალი საარქივო დოკუმენტების, მეცნიერული, პოლიტიკური, პუბლიცისტური, მემუარული, პრესისა და სხვა წყაროების კომპლექსურად შესწავლის საფუძველზე შევეცადეთ სრულიად ახლებურად გაგვეშუქებინა რუსეთის კოლონიური ექსპანსიის თავისებურებები ჩრდილოეთ კავკასიაში, კაზაკების როლი მშვიდობიანი და სამხედრო კოლონიზაციის საქმეში; მთიელებისა და კაზაკების სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი; მთიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საღვთო ომის ძირითადი არსი და ამოცანები; მთიელი ხალხის ბრძოლის მეთოდები და თავისებურებები და კოლონიური პოლიტიკის სხვა საკითხები.

შევეცადეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მთლიანობაში გვეჩვენებინა და გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი მიზანი იყო ჩრდილოეთ კავკასიის „გაწმენდა“ მთიელებისაგან დისკრიმინაციული, აპარტიდული, მასობრივი ეთნოწმენდის, ტერორისა და გენოციდის პოლიტიკის განუხრელი განხორციელების გზით.

ავტორს, აღნიშნულის დასამტკიცებლად მოჰყავს შემზარავი უტყუარი ისტორიული დოკუმენტები და მასალები.

ახლებურადაა გაშუქებული რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსი, რომელიც ითვალისწინებდა ერთი მხრივ მთიელთა და მეორე მხრივ კაზაკებსა და მთიელთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივებასა და შეიარაღებული კონფლიქტების პროვოცირებას, რათა არ დაეშვა ანტიკოლონიური, ანტირუსული ძალების გაერთიანება.

სათანადო დოკუმენტური მასალების ანალიზის საფუძველზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა გაკეთებული, მთიელებისა და კოლონიზატორთა სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი, სადაც დასაბუთებულია, რომ მთიელთა ცხოვრების ეკონომიკური საფუძვლის მოშლა, მასობრივი

დევნა და საყოველთაო დისკრიმინაცია ხორციელდებოდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უშუალო მითითებებითა და ხელმძღვანელობით.

კოლონიური ადმინისტრაცია, სამხედრო ექსპედიციების მეშვეობით, ანადგურებდა მთიელთა აულებს, მოსავალს, საქონელს, ჩეხავდა ბალ-ვენახებს; ცოცხლად დარჩენილ მთიელებს ძალისმიერი მეთოდებით მთიდან ბარში ერთობლივად ასახლებდა, საიდანაც მათ უნებართვოდ გამოსვლის უფლება აკრძალული ჰქონდათ და იმყოფებოდნენ მკაცრი სამხედრო-პოლიციური მეთვალყურეობის ქვეშ. ფაქტობრივად, მთიელები რეზერვაციებში იმყოფებოდნენ. კასპიის ზღვის კუნძული ჩეჩენ მთიელთა საკონცენტრაციო ბანაკად იქცა; ჩეჩნებს თავის ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილების უფლება არ ჰქონდათ.

ჩვენს მიერ პირველად გაკეთდა დასკვნა, რომ რუსეთის სახელმწიფო მთიელებს წინასწარგანზრახვით უქმნიდა ცხოვრების ისეთ პირობებს, რომელიც გამიზნული იყო მათი მთლიანი ან ნაწილობრივი ფიზიკური მოსპობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მიერ მთიელი ხალხის მიმართ უმძიმესი დანაშაულის ჩადენიდან გასულია საკმაოდ დიდი დრო, მას ხანდაზმულობის არავითარი ვადა არ მიეყენება. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ შევახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჯერ კიდევ 1946 წ. 11 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც გენოციდი მიჩნეულია საერთაშორისო ნორმების დარღვევად და გამოცხადებულია დანაშაულად. 1948 წ. 9 დეკემბერს გაერომ მიიღო კონვენცია გენოციდის დანაშაულის აცდენისა და გენოციდის დასჯის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1951 წ. 12 იანვარს. ამ კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით „...გენოციდი მიუხედავად იმისა, მშვიდობის დროს ხდება თუ ომის დროს, არის დანაშაული, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს“.

მე-2 მუხლი გენოციდს თვლის ისეთ ქმედებად, რომელიც ჩადენილია რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივი მოსპობის განზრახვით: ა) ასეთი ჯგუფის წევრთა დახოცვა; ბ) ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის სერიოზული დაზიანება და გონებრივი მოშლილობის მიყენება; გ) რომელიმე ჯგუფისთვის წინასწარგანზრახული ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გამიზნულია მისი მთლიანი თუ ნაწილობრივი ფიზიკური მოსპობისათვის და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ადილთა საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩერქეზთა კონგრესი“ იბრძვის, რათა რუსეთმა აღიაროს XVIII-IX საუკუნეებში ჩერქეზთა გენოციდი. ამ მიზნით, „ჩერქეზთა კონგრესმა“ 2005 და 2006 წლებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს გაუგზავნა მიმართვა რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ. პირველ მიმართვას პასუხი არ მოჰყოლია, ხოლო მეორე – შესასწავლად გადაეგზავნა სამხრეთის ფედერალური ოლქის (სფო) პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის საშინაო პოლიტიკის დეპარტამენტს. «Департамент не уполномочен решать данный вопрос, – განუცხადა NARFGNUM კორესპონდენტს დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ვასილი ტატაშოვმა – но по сложившейся практике вопрос регионального уровня направляется для рассмотрения в аппарат полпреда президента. Это очень сложная проблема, и для начала мы хотели бы узнать мнение историков. С этой целью департамент обратился в южный научный центр Российской академии наук».<sup>1</sup> როგორც აღნიშნავს „ჩერქეზთა კონგრესის“ თავმჯდომარის მოადგილე ზაურ ძეუკოჟევი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტთა დასკვნა გასაიდუმლოებულია როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ასევე

<sup>1</sup> <http://www.experl.ru> (genocid - Kak - simptom)

კონგრესის ხელმძღვანელობისთვის. ესოდენ სერიოზულ ბიმართვის გადაგზავნა სუო-ს ერთ-ერთ დეპარტამენტისთვის, რომელსაც არ გააჩნდა აღნიშნული საკითხის განხილვის უფლებამოსილება, მიუთითებს, რომ რუსეთის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მიმართვას სერიოზულად არ აღიქვამს და სურს მისი მიფუჩქება.

„ჩერქეზთა კონგრესის“ ხელმძღვანელობამ განაცხადი გაუგზავნა ევროპარლამენტს, რათა მან, რუსეთის იმპერიის ქმედება XVIII-XX საუკუნეებში ცნოს, როგორც ადილი ხალხის გენოციდი. როგორც აღნიშნავს ზაურ ძეუკოყევი, ევროპარლამენტმა მიიღო განაცხადი განსახილველად<sup>1</sup> „ჩერქეზთა კონგრესის განაცხადმა ევროპარლამენტში მოსკოვი გააღიზიანა: «Мотивы действия адыгов весьма корыстны. Адигейские национальные организации просят Европарламент признать геноцидом действия Российской империи в ходе Кавказской войны. Реальных оснований для признания геноцида нет».<sup>2</sup> – ასე შეაფასა მოსკოვმა ევროპარლამენტში ჩერქეზთა განაცხადი.

კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის კვლევის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ტერმინი „კავკასიის ომი“, რომელიც ისტორიოგრაფიაში დაამკვიდრეს ოქტომბრამდელმა რუსეთის იმპერიის და საბჭოთა ისტორიკოსებმა. ჩვენი აზრით, რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების 100-წლიანი ომის დასახელების საკითხი საღვეოა.

მიგვაჩნია, რომ ტერმინი „კავკასიის ომი“ განყენებული ზასიათისაა, გაუგებარია, ვინ ვისი მოწინააღმდეგეა და ახდენს შთაბეჭდილებას, თითქოს კავკასიის ხალხები ერთმანეთის წინააღმდეგ ომობდა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი

---

<sup>1</sup> <http://www.expert.ru> (genocid - Kak - simptom)

<sup>2</sup> <http://www.expert.ru> (genocid - Kak - simptom)

ყაბარდოელი ისტორიკოსის<sup>1</sup> შემოთავაზებულ წინადადებას – ტერმინი „კავკასიის ომი“ შეიცვალოს „რუსეთ-ჩერქეზეთის 1763-1864 წწ. ომი“-თ. აი, რას წერს ამის შესახებ იღარ მაკოევი: «Во-первых, из народов Кавказа против Российской империи воевали только Черкесия, Чечня и Горный Дагестан. Во-вторых, «Русско-Черкеская...» отражает национальность. «Кавказская» - отражает Географию. Если использовать термин «Русско-Кавказская» война, то это означает, что русские воевали с Кавказским хребтом. это, конечно, неприемлемо. Поэтому, войну России с Черкесией правильно называть Русско-Черкеской, не игнорирует ли такое название войны Чечню и Дагестан?

Во-первых, Черкесия и Чечено-Дагестанский имамат не выступали единым фронтом против экспансии Российской империи.

Во-вторых, если Чечено-Дагестанский имамат вел борьбу под религиозным лозунгом, то Черкесия никогда не отличалась религиозным фанатизмом, воевала за национальную независимость.

В-третьих, никакой конкретной поддержки от Чечено-Дагестанского имамата Черкесия не получала.

Таким образом, с Чечено-Дагестанским имаматом в той войне Черкесов (Адыгов) объединяло только географическое соседство».<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> И. Макоев. 21 Мая - день памяти черкесов, жертв Русско-Черкеской войны 1763-1864 г. <http://www.newcirca.com/stat/Idar.ntm>.

<sup>2</sup> И. Макоев. 21 Мая..

უდავოა, რომ ჩერქეზმა ხალხმა რუსეთის იმპერიას 101 წლიან ომში არნახული გმირული წინააღმდეგობა გაუწია და უდიდესი ტრაგედია განიცადა – დაკარგა მოსახლეობის 90% და ტერიტორიის 9/10, მაგრამ მაინც, იდარ მაკოევის არგუმენტებს ვერ გავიზიარებთ, რადგან იგი ჩიჩენი, ინგუში, დაღესტნის მთის ზოლის ხალხების მიმართ ტენდენციურია და არ შეესაბამება ფაქტობრივ მონაცემებს.

რუსეთის ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ომის ქრონოლოგიური ჩარჩო – 1818-1864 წწ. სრულებით არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. 1763 წელს რუსეთმა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ყაბარდოს (აღმოსავლეთ ჩერქეზეთი) შუაგულში, მზღვუს (გაუვალი ტყე) მახლობლად ააგო ციხე-სიმაგრე მოზდოკი, რამაც გამოიწვია ყაბარდოელების აღშფოთება და მათ მოითხოვეს მისი დანგრევა. რუსეთმა არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და დამატებით შემოიყვანა სამხედრო ნაწილები. მაშინ ყაბარდო თავისი ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობებით გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონები. მისი ტერიტორია მოიცავდა დღევანდელ ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, სტავროპოლის მხარის სამხრეთ ნაწილს, ინგუშეთის, ჩიჩნეთის და ოსეთის დაბლობებს, ხოლო დასავლეთ ყაბარდო-დღევანდელი კრასნოდარის მხარის ტერიტორიას.

გარდა ამისა, ჩერქეზეთში (ყაბარდოში, ბესლენეეში, კეპირგოეში, ბჟელუხეთში, ნათუხაეთში) მოსახლეობის ერთ მესამედს უორკები (მეომრები) შეადგენდნენ. მათი მომზადება დახელოვნებისთვის ხდებოდა სპეციალურ ინსტიტუტში – «Зектыз» (ცხენოსანი). უორკებმა თანდათანობით შეიმუშავეს ომის წარმოების ხელოვნება და მიაღწიეს სრულყოფილებას. «Война, даже, с очень сильным противником, не считалась в Черкесии чем-то особенным».<sup>1</sup> – აღნიშნავს ი. მაკოევი. შესაბამისად, 1763 წლის

<sup>1</sup> Идар Макоев. 21 Мая...

რუსეთის აგრესიას ბალკარელები მომზადებული შეხვდნენ და დიდი ძალებით შეუტყეს იმპერიის რეგულარული ჯარის ნაწილებს.

ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ სურს რუს ისტორიკოსებს 1763 წ. აღიარონ ჩრდილოეთ კავკასიაში ომის დაწყების თარიღად. ჩვენი აზრით, ტერმინის „კავკასიის ომი“ შეცვლა „რუსეთ-ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ომი 1763-1864 წლებში“, შესაფერი იქნებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლების დისკრიმინაციული, აპარტიდული, მასობრივი ეთნოწმენდისა და ტერორის პოლიტიკა არა მარტო ხორციელდებოდა რომელიმე ეროვნული ეთნიკური ჯგუფის მიმართ, არამედ იგი ითვალისწინებდა მთიელთა (განსაკუთრებით, ჩერქეზების) სრულ განადგურებას და ატარებდა საყოველთაო, გლობალურ ხასიათს.

რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, რომელიც მიიჩნევს მიურიდიზმსა და შამილის მოძრაობას ანტიხალხურ, რეაქციულ ძალად, დასაბუთებულაა, რომ იგი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. სათანადო დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ მიურიდიზმი მთიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამაერთიანებელი მოძღვრება იყო, ხოლო შამილი – ამ მოძღვრების უბადლო პროპაგანდისტი და მთიელთა აღიარებული და თავდადებული ბელადი.

ცალკე არ ვიხილავთ თებერვლის დიდი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მიზეზ-შედეგებს. მაგრამ ახლებურად, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, გაშუქებული გვაქვს მმართველი კონსტიტუციურ-დემოკრატიული და სხვა ლიბერალური, აგრეთვე ექსტრემისტული მემარცხენე ესერთა და ბოლშევიკური პარტიების ეროვნული პოლიტიკის საკითხები.

ჩვენს მონოგრაფიაში პირველად გაშუქებულია, ჩრდილოეთ კავკასიაში ანტიბოლშევიკური ფრონტის დასუსტების მიზნით, მთიელებსა და კაზაკებს შორის ბოლშევიკების მიერ



პროვოცირებული ეროვნული დაპირისპირების, შუღლისა და შეიარაღებული კონფლიქტების ფაქტები.

ამავდროულად, აღნიშნული გვაქვს დროებითი მთავრობის „ზედმეტი“ დემოკრატიულობა, რომელმაც მისცა საშუალება ექსტრემისტული მიმართულების პარტიებს – ბოლშევიკებს, მემარცხენე ესერებსა და ანარქისტებს ეწარმოებინათ ანტიდემოკრატიული, ძირგამომთხრელი საქმიანობა, განეხორციელებინათ სახელმწიფო გადატრიალება და შეეჩერებინათ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესი.

ასევე, მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, წარმოჩენილია ბოლშევიკური ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და საბჭოური ავტონომიზაციის ანტიდემოკრატიული, ანტიეროვნული არსი, მთიელთა ნაციონალური საბჭოებისა და კახაკთა ჯარის მთავრობების მტრული დამოკიდებულება როგორც მენშევიკური, ასევე ბოლშევიკური საბჭოების მიმართ; ნაჩვენებია მთიელთა მთავრობის პოლიტიკური კურსი, რომელიც იბრძოდა მთიელთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ცდილობდა არ დაეშვა ანტიეროვნული, პრობოლშევიკური, შემდგომში პროდენიკინური ძალების გაერთიანება და ზრუნავდა მთიელთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

ახალი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე გამოკვლეულია და მთლიანობაში ნაჩვენებია შიდა საბჭოური ბრძოლის არსი, კრიტიკულად არის გააზრებული ბოლშევიკური მთავრობის ეროვნული პოლიტიკა.

ჩვენს მიერ გაკეთდა დასკვნა, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კავკასიის მიმართ განახორციელა პირდაპირი აგრესია. ბოლშევიკების ბელადი ლენინი – იყო არა მარტო რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების თავისუფლების ჩამხშობი, არამედ ბოლშევიკური ყაიღის გაუმძღარი „პროლეტარული“ ნეოკოლონიზატორი.

ნაშრომში გაშუქებულია თეთრი მოძრაობის ეროვნული პოლიტიკის საკითხები ჩრდილოეთ კავკასიაში, დასაბუთებულია, რომ თეთრი მოძრაობის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო სამოქალაქო ომის პირობებში მოქნილი ეროვნული პოლიტიკის განხორციელება; ღენიკინი ჩრდილოეთ კავკასიაში მეფის ხელისუფლების კოლონიური რეჟიმის რენანიმაციისთვის იბრძოდა. მოხალისეთა არმიის გენერალი ერდელი ღენიკინის შესახებ სამართლიანად წერდა: «Занимается покорением Кавказа вновью».<sup>1</sup> ამავდროულად ნაჩვენებია, რომ საბჭოთა ხელისუფლების თვალთმაქცურმა, პირმოთნე დეკლარაციამ და ლოზუნგებმა ხალხების თვითგამორკვევისა და გამოყოფის თაობაზე, დიდი როლი შეასრულა თეთრი მოძრაობის დამარცხების საქმეში. ბოლშევიკები სამოქალაქო ომის წლებში დიდი ხალხით ანიჭებდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს ფორმალურ ავტონომიასა და დამოუკიდებლობას, ხოლო მოხალისეთა არმიის დამარცხების კვალობაზე, ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმს.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, იგი წარმოადგენს პირველ ცდას ბოლშევიკურ გადატრიალებამდე არსებული და საბჭოური იმპერიული ისტორიოგრაფიის მიერ დადგენილი დოგმების უარყოფისა და ახალი მეთოდოლოგიის, არსებული ლიტერატურისა და დოკუმენტების კომპლექსურად შესწავლის საფუძველზე, გააშუქოს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ის საკითხები, რომლებიც ტახუდადებული იყო და მკვლევარებს მასზე ყურადღების გამახვილება კატეგორიულად ჰქონდათ აკრძალული.

წარმოდგენილი ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზაა როგორც გამოქვეყნებული, ასევე ჩვენს მიერ მოკვლეული და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი დოკუმენტები და მასალები.

---

<sup>1</sup> Деникин, Юденич, Врангель и др. (Революция и гражданская война в описаниях белогвардейцев), состав: С.А. Алексев, М., 1931. გვ. 108.

გამოყენებული მასალები შეიძლება რამდენიმე წესჯერად დაი-  
ყოს. პირველი ჯგუფის მასალებს შორისაა რევოლუციამდელი პერი-  
ოდის გამოქვეყნებული დოკუმენტები, შრომები და პერიოდული  
გამოცემების და სხვა ხასიათის მასალები, რომელთა დიდი ნაწილის,  
გარკვეული მიზეზების გამო, მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა  
აკრძალული იყო.

ნაშრომის ერთ-ერთი წყაროა რუსეთის იმპერატორების,  
ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო პირების, კავკასიის არმიის  
მთავარსარდლების, მთავარმართებლებისა და მეფის ნაცვლების  
ბრძანებები, ცირკულარები, პატაკები, მოხსენებები, მითითებები და  
სხვ., რომლებიც მთიელი ხალხის დისკრიმინაციის, ეთნოწმენდისა და  
გენოციდის დამადასტურებელი უტყუარი საბუთებია.

ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული რუსეთის, განსაკუთრებით  
ვლადიკავკაზის, გროზნოს, როსტოვის, სტავროპოლისა და  
ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქალაქების არქივებში მოპოვებული  
მნიშვნელოვანი მასალები.

წყაროთა ამ ჯგუფის მასალებიდან განსაკუთრებული ადგილი  
უკავია «Акты, собранные Кавказскою археографическою  
комиссиею» - АКАК, т. I-XII, 1866-1904, სადაც თავმოყრილია  
კავკასიის მეფის ნაცვლის არქივიდან ამოკრეფილი ოფიციალური  
დოკუმენტები, რომელთა ანალიზი, მიუხედავად მათი  
ტენდენციურობისა, გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ რუსეთის  
კოლონიური პოლიტიკის, მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი  
ბრძოლის ეტაპები და რაც მეტად მნიშვნელოვანია, მოვიპოვოთ  
კავკასიის ხალხთა დისკრიმინაციის, ეთნოწმენდისა და გენოციდის  
დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკვლევი პრობლემების საკითხთა შესწავლაში დიდი დახმა-  
რება გაგვიწია მემუარულმა ლიტერატურამ.<sup>1</sup> კერძოდ ამ საკითხს

---

<sup>1</sup> Осман-бей, Воспиманания 1855 г. События в Грузии. Закавказские  
воспоминания. СПб, 1885; А. Фопшль, Последний год войны

თავიანთ მეტეარებში ეხებოდნენ: ოსმან-ბეი, ა. ფონვილი, ი. აბრამოვი, ფ.ფ. ტორნაუ, ჰაჯი-ალი, მუჰამედ ტაპირი ალ-ქარაბი; კა. ბოროზდინი, კანიტცი, პ.ნ. მილიუკოვი, ნა. ვოლკონსკი, პა. სტოლოპინი, ა.ი. დენიკინი, ფონ ლამპე, ა.ს. ლუკომსკი, დ. სკობცევი,

---

Черкесии за независимость. 1863-1964 гг. Краснодар, 1927; Я. Абрамов, Кавказские горцы. Краснодар, 1927; Ф.Ф. Торнау, Воспоминания Кавказского офицера. М., 1864; Гаджи-Али, Сказание очевидца о Шамиле. Перевод с арабского. Сборник сведений о кавказских горцах, вып. VII, Тифлис, 1873, гв. 1-76; Мухамед Тахир ал-Карахи, Хроники Мухаммеда Тахира ал-Кахира о Дагестанских войнах в период Шамиля. Предисловие акад. И.Ю. Крачковского, Труды института Востоковедения. вып. XXXV, М.-Л., 1941; И.И. Драздов, Записки Кавказца, жур. «Русский архив», 1896; Канитц, Дунайская Болгария и Балканский полуостров, СПб., 1876; П.Н. Милуков, Воспоминание (1859-1917). М., 1991; Н.А. Волконский, Окончание покорения Восточного Кавказа, Тифлис, 1879; П.А. Столыпин, Нам нужна Великая Россия., М., 1991; А.И. Деникин, Очерки русской смуты. М., 1991; А.И. Деникин, Фон Лампе. Трагедия русской Армии. М., 1991; А.С. Лукомский, Воспоминание, Берлин, 1922; Д. Скобцев, Драма Кубани, жур. «голос минувшего на чужой стороне», Прага, 1925; И.В. Гудович. Записка о службе генерал-фельдмарш. графа И.В. Гудовича, им самим составлена. «Русский вестник» (РВ), 1941; Воспоминания об Алексее Петровиче Ермолове. Нива, №31, 1870; В. Андреев. Воспоминания из Кавказской старины, 1826-1834. Кавказский сборник (КСБ), т. 1, 1876; А.П. Берже, Н.П. Колюбакин. РС, т. 17, 1876; П.С. Исарлов. Из воспоминаний бывшего грузинского губернатора Н.О. Палаевандова Кавказский вестник (КВ), №4, 1900; А.С. Розси, Записки декабриста. СПб., 1907; М.С. Воронцов. выписка из дневника светлейшего кн. М.С. Воронцова с 1845-1854 г. СПб., 1902; А.Л. Зиссерман. Двадцать пять лет на Кавказе (1842-1876). СПб., 1879; П.С. Николаев. Воспоминания об А.И. Барятинском. Исторический вестник (ИВ). т. 22, №12, 1885; А.М. Фадеев. Воспоминания 1790-1867. В 2-х ч. Одесса, 1897; С.А. Гунаропуло. Встреча с абреками. ИВ, т. 89, №8, 1902; Г. Прокофьев. Из воспоминаний. Разорение аула Танола, по дороге в Джумской, в 1860 г. газ. Кавказ, №№80, 81, 1862.

ი.ვ. გულოვიჩი, ვ. ანდრეევი, ა.პ. ბერუე, პ.ს. ისარლოვი, ა.ს. როზენი, მ.ს. ვორონცოვი, ა.ლ. ზისერმანი, პ.ს. ნიკოლაევი, ა.მ. ფადეევი, ს.ა. გუნაროპულო, გ. პროკოფიევი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ წყაროთა ამ ჯგუფის მასალები შეიცავენ ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს, ხშირ შემთხვევაში ტენდენციურად, დიდმპყრობელური პოზიციებიდან განიხილავენ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, გვაწვდიან ფასდაუდებელ ცნობებს მთიელთა სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს არა მარტო დადგინდეს ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის დეტალები, არამედ ზოგადად განისაზღვროს კაკასიის მოსახლეობის დისკრიმინაციის, ტერორის, ეთნოწმენდისა და გენოციდის მასშტაბები.

კაკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საკითხებზე მნიშვნელოვან მასალებს ვხვდებით რუსეთის ცენტრალური გაზეთების, ჟურნალებისა და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე: «Русские ведомости», «Русский Мир», «Голос», «Тифлисский вестник», «Кавказ», «Морской сборник», «Кавказский сборник», «Военный сборнику», «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», „დროება“, „ივერია“, «Русские вedomости», და სხვ.

რუსეთის უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზაში დიდი ადგილი უჭირავს მეორე ჯგუფის ფალსიფიცირებულ მასალებს, რომლებიც ბოლშევიკური დიქტატურის ეპოქაში შეიქმნა.

„პერესტროიკის“ და პოსტსაბჭოურ ეპოქასთან დაკავშირებული 80-90-იანი წლების გამოცემები, ჟურნალები, კრებულები და ა.შ. აქვეყნებდნენ სამეცნიერო სტატიებს, მოგონებებს, რომლებიც შედარებით ობიექტურად ასახავდნენ რა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის საკითხებს, არაფერს ამბობდნენ ბოლშევიკურ ნეოკოლონიალიზმის შესახებ.

მოცემული საკითხები ნაშრომში გაშუქებულია არსებული ისტორიოგრაფიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის, დისკრიმინაციის, ეთნოწმენდისა და გენოციდის ისტორიის ობიექტური მეცნიერული შესწავლა ახლა მიმდინარეობს, ვინაიდან რევოლუციამდელი და მისი შემდგომი პოლიტიკური სისტემები ქმნიდნენ საკუთარ ისტორიო-გრაფიას, რომელიც არსებული წყობილების ისტორიულ ჩარჩოებში მოიაზრებოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ბოლშევიკების მიერ ოქტომბრამდელი ისტორიოგრაფია უარყოფილი იყო, როგორც თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება.

ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა XIX ს. პირველი მეოთხედის აბსოლუტური მონარქიული წყობილების პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოსაზრებები.

დეკაბრისტების ერთ-ერთმა ბელადმა პ. პესტელმა, რომლის შესახებ ვ.ო. კლუჩევსკი წერს: «Благодаря этому вождю в Южном обществе получили преобладание республиканские стремления»,<sup>1</sup> — პირველად აშკარად და არაორაზროვნად გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიმართ კავკასიაში.

რუსეთის თებერვლის რევოლუციამდელი და მისი შემდგომი ისტორიოგრაფია პესტელს წარმოგვიჩენს, როგორც რესპუბლიკური იდეების მატარებელ დეკაბრისტების ბელადს, რომელშიც მიჩქმალულია დიდმპყრობელური, შოვინისტური მოსაზრებები. იგი თავისი კონსტიტუციის პირველ და მეორე თავში თეორიულად ასაბუთებს რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის, მთიელი ხალხის მიმართ ეთნოწმენდისა და გენოციდის განხორციელების გარდაუვალობას. აღნიშნულის დასადასტურებლად მოვიყვან რამდენიმე ციტატას პესტელის კონსტიტუციიდან: «Финляндия, Эстляндия, Лифляндия, Курляндия, Белоруссы, Малороссия, Новороссия, Бессарабия,

<sup>1</sup> В.О. Ключевский. Русская история. Полный курс лекции, т. 3, Ростов-на-Дону, 1998, გვ. 500.

Крым, Грузия, весь Кавказ, земли Киргизов, все народы Сибирские и разные другие племена внутри, Государства обитающие, никогда не пользовались и никогда пользоваться не могут самостоятельную независимостью и всегда принадлежали или самой России или же временами, если не России, то Швеции, Дании, Пруссии, Польше, Турции, Персии и вообще какому-нибудь сильному Государству».<sup>1</sup> პესტელის მოსაზრებით, აღნიშნული ქვეყნები მომავალშიც ვერ შესძლებენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ამიტომ, მიუთითებს: «А по сему и подлежат все они Праву благоудобства, долженствуя при том на веки отречься от права отдельной народности. В следствие сего подводятся все вышеназванные страны со всеми племенами в них обитающими, под право благоудобства для России и объявляются в удовлетворении оному и на основание оного на вечные времена оставаться имеющими в Составе Российского Государства».<sup>2</sup>

პესტელი ხალხებს ორ კატეგორიად ჰყოფდა: 1. ხალხები, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობა; 2. ხალხები, რომლებსაც არ შეუძლიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობა.<sup>3</sup> «Установление границ надлежит непременно руководствоваться тем соображением – ггарწმუნებს პესტელი – что Право народности должно брать верх для тех народов, которые могут самостоятельно политическою независимостью пользоваться, а что право благоудобства должно

---

<sup>1</sup> Павел Пестель. «Русская правда», М., 1993, გვ. 115; [www.decemb.hobby.ru](http://www.decemb.hobby.ru).

<sup>2</sup> Павел Пестель. «Русская...», გვ. 113.

<sup>3</sup> Павел Пестель. «Русская...», გვ. 114.

братъ верх над теми народами, которые сею самостоятельную политическою независимостью пользоваться не могут и переменію должны состоять под властью какого-либо сильнейшего государства».<sup>1</sup>

რაც შეეხება კავკასიელ მთიელებს, — მიუთითებს პესტელი — ჩვენი ყველა ცდა, გარდაგვექმნა ისინი მშვიდობიან და კეთილ მეზობლებად, უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომ, სანამ მთიელებს მთლიანად არ დავიპყრობთ, არ დამყარდება მშვიდობა. «Надлежит в особенности заметить, — წერს პესტელი — что никакой нет возможности усмирить хищные горские народы Кавказские, пока будут они иметь средство через Анапу и всю вообще приморскую часть, Порте принадлежащую».<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, პესტელი სახელმწიფოს, ერებს ჰყოფს ორ კატეგორიად — პირველი, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობა და მეორე, რომელსაც არ შეუძლია ამით სარგებლობა. იგი ამტკიცებს, რომ რუსეთმა, რომელიც სარგებლობს პოლიტიკური დამოუკიდებლობით, აღნიშნული ქვეყნები სამუდამოდ მის შემადგენელ ნაწილად უნდა გახადოს.

პ. პესტელი კონსტიტუციის მეორე თავში ავითარებს და აკონკრეტებს თავის ისტორიულ-მოვინისტურ მოსაზრებებს რუსეთის მიერ დამორჩილებული ხალხების მიმართ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა მეორე თავის მეოთხე პარაგრაფი — „რუსეთთან შეერთებული სხვადასხვა ტომების შესახებ“, სადაც იგი მათ ათ თანრიგად ახარისხებს და ყველას მიჩნეული აქვს თავისი ადგილი. რაც შეეხება კავკასიას, პესტელი წერს, რომ კავკასიელები სხვადასხვა აღმსარებლობის არიან, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ჩვევებითა და მმართველობის წესითაც მრავალსახოვანია, ხოლო

<sup>1</sup> Павел Пестель. «Русская...», გვ. 114.

<sup>2</sup> Павел Пестель. «Русская...», გვ. 115.



თავიანთი ველური, მძინვარე ხასიათით ერთმანეთს ჰგვანან. მიწები, სადაც ისინი სახლობენ, უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც კურთხეული მხარე, ამჟამად კი იმყოფება გავერანებულ მდგომარეობაში და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ამ შესანიშნავ მხარეს ნახევრად ველური ხალხები ფლობენ.<sup>1</sup>

«Положение сего края, сопредельного Персии и Малой Азии, могло бы доставить России, — аконкретებს ჰესტელი, — самые замечательные способы к установлению деятельнейших и выгоднейших торговых сношений с южной Азией и следовательно к обогащению государства. Все же сие теряется совершенно от того, что кавказские народы суть столь же опасные и беспокойные соседы, сколь ненадежные и бесполезные союзники. Принимая к тому в соображение, что все опыты доказали неоспоримым образом невозможность склонить сии народы к спокойствию средствами кроткими и дружелюбными, разрешается Временное Верховное Правление:

1. Решительно покорить все народы, живущие и все земли лежащие к северу от границы, имеющей быть протянутой между Россией и Персией, а равно Турцией; в том числе и приморскую часть, ныне Турции принадлежащую.

2. Разделить все сии Кавказские народы на два разряда: мирные и буйные. Первых оставить в их жилищах и дать им российское правление и устройство, а вторых силой переселить во внутренность России, раздробив их малыми количествами по всем русским волостям, и

---

<sup>1</sup> Павел Пестель. «Русская...», გვ. 167.

3. Завести в Кавказской земле русские селения и сим русским передать все земли, отнятые у прежних буйных жителей, дабы сим способом изгладить на Кавказе даже все признаки прежних (то есть теперешних) его обитателей и обратить сей край в спокойную и благоустроенную область русскую».<sup>1</sup>

ამგვარად, პ. პესტელმა აშკარად გამოხატა რა რუსეთის საზოგადოების იმპერიულ-შოვინისტური მისწრაფებები, მკაფიოდ ჩამოაყალიბა კავკასიის დაპყრობისა და მთიელების ლიკვიდაციის უფლებამოსილებისა და გარდაუვალობის კონცეფცია. ამავდროულად მან ჩამოაყალიბა მთიელთა მოსპობის „გამამართლებელი დოქტრინა“:

1. შემოსევებისაგან თავდაცვის აუცილებლობა;
2. სამხრეთის საზღვარზე გამუდმებული არასტაბილური კერის ნეიტრალიზაციის აუცილებლობა;
3. რუსეთის აზიური ვაჭრობის უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობა;
4. ბუნებრივი პირობების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობა, რომლის სარგებლობა არ იციან კავკასიის „ნახევრადველურმა ხალხებმა“.<sup>2</sup>

კონსტიტუციის მეორე თავის მე-16 პარაგრაფში პ. პესტელის იმპერიულ-შოვინისტური მოსაზრებები ყოველგვარ ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს სცილდება. მოვიყვანთ მის მოსაზრებებს რუსეთის მიერ დაპყრობილი და დამორჩილებული ერების ასიმილაციისა და გაქრობის საკითხებზე: «Из всего содержания главы сей явствует, что при всех мероприятиях Временного Верховного Правления в отношении к различным народам и племенам, Россию населяющим, безпрестанно должно неперемennую цель иметь в виду чтобы составить из них всех только один Народ и все различные оттенки в одну общую массу

<sup>1</sup> Павел Пестель. «Русская...», გვ. 167.

<sup>2</sup> Я. Гордин. Кавказ: Земля и Кровь. Санкт-Петербург, 2000, გვ. 8-9.

слить так, чтобы обитатели целого пространства Российского Государства все были Русские. К сей цели ведут многообразные способы, могущие на два рода быть разделены - на средства общие и средства частные, Средства общия состоят главнейше в том чтобы, во первых, на целом пространстве Российского государства господствовал один только язык Российский... Во-вторых: так как ныне существующее различие в названиях Народов и Племен, Россию населяющих, всегда составлять будут из жителей Российского Государства отдельные друг от друга массы и никогда не допустит столь для блага отечества необходимого совершенного в России единств, то чтобы все сии различные имена были уничтожены и везде в общее название Русских воедино слиты. В третьих: чтобы одни и те же законы, одно и тот же Управление по всем частям России существовало».<sup>1</sup>

იმპერიის მიერ დამორჩილებულმა ერებმა და მათ, ვინც განთავისუფლდა კოლონიური უღლისაგან, აუცილებლად უნდა შეისწავლონ ევროეზოდებული რუსი რესპუბლიკური, დემოკრატიული იდეების მატარებელი მოწინავე ინტელიგენციის დიდი ნაწილის მოსაზრებები ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე, რათა ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის მეშვეობით თავიდან აიცილონ წარსულის შეცდომები და ტრაგიკული მოვლენები.

ფაქტობრივად, თვითმპყრობელობის დაუძინებელმა მტერმა, პესტელმა შეიძუშავა კავკასიის დაპყრობისა და მთიელთა მოსაპობის ისეთი პროგრამა, რომელიც შეესაბამებოდა ოფიციალური რუსეთის პოლიტიკას, მაგრამ იმპერატორი ოფიციალურად პესტელისებური იდეების დეკლარირების უფლებას თავის თავს არ აძლევდა, რადგან

<sup>1</sup> Павел Пестель. «Русская...», გვ. 167.

იგი გამოიწვევდა ევროპის ქვეყნების პროტესტს, საზოგადოების აღშფოთებასა და ანტირუსული განწყობილების ზრდას. ნიკოლოზ პირველმა პესტელი სიკვდილით დასაჯა რესპუბლიკური იდეების გავრცელებისა და იმპერატორის ხელისუფლების ხელყოფის მცდელობის გამო, ხოლო რუსეთის იმპერატორების – ნიკოლოზ I და ალექსანდრე II პოლიტიკა კავკასიაში პესტელის იდეების რელიზაციას ემსახურებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პესტელის „რუსკაია პრავდაშ“ და სხვა დეკაბრისტების შრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს XIX ს. რუსეთის შოვინისტურ-იმპერიული ისტორიოგრაფიული აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს დეკაბრიზმის ყველაზე ძლიერი მოაზროვნის მ.ლ. ლუნინის მოსაზრებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კატორღიდან გამოგზავნილ წერილებში. იგი თვლის, რომ რუსეთის სწრაფვა სამხრეთ-აღმოსავლეთით არის გარდაუვალი და გამართული ნაბიჯი: «!Ожная граница наша – წერს იგი – составляет самый интересный вопрос настоящей политики».<sup>1</sup> მ. ლუნინი აღშფოთებულია იმით, რომ კავკასიის ომს ჯერ არავითარი სარგებლობა არ მოუტანია და რუსეთისთვის არ მოჰყოლია დადებითი შედეგი; იმპერიის ფარგლებში შემოჭრილი ვრცელი ტერიტორია, კვლავინდებურად იმყოფება ნახევრადეფელური ხალხის ხელში, რომელთა დამარცხება რუსეთმა იარაღის ძალით ვერ შეეძლო და ვერც დავიმორჩილო მოქმედი ცივილიზირებული საშუალებებით.<sup>2</sup> «Медленность военных операций в этих краях приписывают обычно трудностям местности, изрезанной горными цепями и сетью бурных потоков, нездоровому климату и воинственному нраву туземцев. Однако современная военная

<sup>1</sup> М.С. Лушин. Сочинения, письма, документы, Иркутск, 1888, გვ. 168.

<sup>2</sup> М.С. Лушин. Сочинения..., გვ. 170.

наука не считает более препятствиями неровности почвы; климат, в котором произрастает виноград, хлесток, шелковица, марена, кошениль, шафран и сахарный тростник, не может быть вредна для человека; и, наконец, бедные туземцы, которых стараются изобразить в столь мрачных красках, это всего лишь слабые разрозненные орды, лишенные союзников, невежественные военном искусстве, не обладающие ни крепостями, ни армией, ни пушками».<sup>1</sup>

მ. ლუნინი დარწმუნებულია, რომ მთიელების დამარცხება და დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება შესაძლებელია ეფექტური სამხედრო მოქმედებებითა და დამორჩილებული ტერიტორიების გონივრული მმართველობის გზით. მას მიაჩნია, რომ „კავკასიის დაპყრობა არის მამულის მომავალი ბედის, ღირსების მნიშვნელოვანი საკითხი“;<sup>2</sup> რომელსაც ვერ განახორციელებს ნიკოლოზის სამხედრო იმპერია, რადგან მას კავკასიის დაპყრობისა და მისი შენარჩუნების იდეოლოგიის შემუშავების უნარი არ გააჩნია. «Еффе́ктивно воевать и удерживать завоеванное — мюштитებს მ. ლუნინი — способна отнюдь не военная империя Николая, а либеральное конституционное государство Тайного общества».<sup>3</sup>

დიდ ინტერესს იწვევს დეკაბრისტების ჩრდილოეთის კავშირის წევრის ბარონ ა.ე. როზენის მოსაზრებები კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია მის

---

<sup>1</sup> М.С. Лунин. Сочинения..., გვ. 170.

<sup>2</sup> Я. Гордин. Кавказ..., გვ. 20.

<sup>3</sup> Яков Гордин. Кавказ..., გვ. 21.

მოგონებებში.<sup>1</sup> მისი აზრით, კავკასიის დაპყრობა რუსეთის უპირველეს ამოცანას შეადგენს, რადგან დაუშვებელია იმპერიის ფარგლებში არაკონტროლირებადი ანკლავის მოთმენა; ის დიდი მსხვერპლი, რომელიც რუსეთმა შეწირა ამ ომს, არ იძლევა დაწყებულ საქმეში ჩამორჩენის უფლებას; «Кроме того — წერს ა. როზენი — Кавказ нам нужен в будущем для сообщении торговых. Много уже сделано, остается довершить, но только не исключительно одним оружием».<sup>2</sup>

ა. როზენი კავკასიის სრული დაპყრობის გაჭიანურების მიზეზად მიიჩნევს დამორჩილებული მთიელების მიმართ მკაცრი და დაუნდობელი პოლიტიკის განხორციელებას. იგი მოითხოვს მთიელების მიმართ ეროლოვის პოლიტიკის შეცვლას, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის არმიისა და ამერიკაში ესპანელი კონკისტადორების მოქმედებებს შორის განსხვავებას ვერ ხედავს. «Как Пизаро и Кортес, принесли мы на Кавказ только оружие и страх, — აღნიშნავს ა. როზენი — сделали врагов еще более дикими и воинственными, вместо того, чтобы приманить их в завоеванные равнины и берегам рек различными выгодами, цветущими поселениями»<sup>3</sup> (გამოყოფილია — ე.ა.). როგორც ვხედავთ, როზენის აზრით მთიელების დამშვიდება, შემორიგება შესაძლებელია მათი

---

<sup>1</sup> ა.ე. როზენი იყო დეკაბრისტთა ჩრდილოეთის კავშირის წევრი. 12 წელი იყო ციხიბრში გადასახლებული; 1837 წ. ჩარიცხეს კავკასიის სამეგრელოს ეგერთა პოლკში; 1839 წ. ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურიდან გადადგა; 1856 წ. ალექსანდრე II ამნისტიით დაუბრუნდა ძველი უფლებები. ა. როზენი აგრეთვე ცნობილია, როგორც მემუარისტი. აღსანიშნავია მისი მოგონებათა წიგნი — «Записки декабриста», რომელიც გამოიცა სანქტ-პეტერბურგში, 1907 წ.

<sup>2</sup> А.Е. Розен. Записки..., გვ. 390.

<sup>3</sup> А.Е. Розен. Записки..., გვ. 389.

შეტყუებით დაპყრობილ ვაკეებზე და მდინარეები, პირზე, მრავალსარგებლობის მომტან და აყვავებულ დასახლებებში. რასაკვირველია, მთიელისთვის მშვილობას, მატერიალურ კეთილდღეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და არა გადამწყვეტი. მთიელისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ტრადიციული ყოფა-ცხოვრების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რომლებიც მისი ღირსებისა და ცხოვრების მიზანი იყო.

ამგვარად, კავკასიის პრობლემების გადაჭრის როზენისეული პროექტი, მართალია, არ იზიარებს პესტელის „რუსკაია პრავდას“ მოწოდებებს მთიელების გენოციდის თაობაზე, მაგრამ იგი მაინც თავისი შინაარსით იმპერიული სულისკვეთებისაა. როზენი ხელისუფლებას სთავაზობს ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის ახალ გეგმას. იგი ხელისუფლებას უწუნებს, მხოლოდ ომის წარმოების, მთიელების დამორჩილებისა და დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნების მეთოდებს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლისას გვერდნ ვერ ავუვლით რუსეთის XIX ს. პირველი ნახევრის გამოჩენილი მოაზროვნეებისა და ცნობილი მოღვაწეების მოსაზრებებს, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს კავკასიის ომის გამართლებისა და მის მიმართ საზოგადოების დადებითი მორალური ატმოსფეროს ჩამოყალიბების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის მოვლენებზე რუსეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების შეხედულებებს საფუძვლად ედო აზრი იმპერიის ფარგლებში კავკასიის გაერთიანების გარდუვალობის შესახებ. ისინი რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოებას მეზობელი ქვეყნების ხარჯზე კანონზომიერ, ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდნენ და ქვეყნის ტერიტორიული ზრდის მტაცებლურ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ. მაგალითად, რუსეთის ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენელი ა.ს. გრიბოედოვი ხელისუფლების მტაცებლურ-იმპერიულ პოლიტიკას ერთგულად ემსახურებოდა. იგი კარგად იყო ინფორმირებული ერმილოვის

სადისტური ქცევის, გადამწვარი აულების, ამოხოცილი ბავშვისა და ქალების თაობაზე, მაგრამ არასდროს გამოუთქვამს თავისი გულისწყრომა ამ უსამართლობის წინააღმდეგ. პირიქით, მთავრობას ატყობინებდა, რომ ერმოლოვი არის საქმიანი, კეთილი მოხუცი. თუმცა, იგი იშვიათად, არაოფიციალურად კერძო წერილებში გამოხატავდა უკმაყოფილებას კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციის მკაცრი მოქმედებებით, რაც იწვევდა მთიელთა შეიარაღებული წინააღმდეგობის ზრდასა და კავკასიის სრული დაპყრობის პროცესის გაჭიანურებას. „არ მოახვიოთ აქაურ ხალხს ისეთი კანონები, რომლებიც არ შეესაბამება მათ ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებს, — ნათქვამია გრიბოედოვის ერთ-ერთ კერძო წერილში — რომლებიც არავის ესმის და მიუღებელია. მიეცით ხალხს მათ მიერ არჩეული მოსამართლეები, რომლებსაც ისინი ენდობიან. თუ შეიძლება, არ ჩაერიოთ მათ საშინაო მმართველობაში. მმართველობით ორგანოებში და სასამართლოებში იყოს ხელისუფლების მიერ დანიშნული დეპუტატი, ხოლო დანარჩენში არ მიმართოთ არავითარ ძალადობას“!

XIX ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ.ო. კლუჩევსკი, რომლის ნაშრომი — „რუსეთის ისტორია“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს ფუნდამენტალურ ისტორიულ წყაროდ აღიარებდა. დავეთანხმოთ გამოჩენილ რუს ისტორიკოსს.

მხატვრულ ლიტერატურაში, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ მსხვერპლს, რომელიც ხანგრძლივმა ომმა მოუტანა ორივე მხარეს, კავკასიური სიუჟეტები შედარებით მცირერიცხოვანია. კავკასიის დრამით დაინტერესებული მკვლევარებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა. ჰუშინის, ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, დობროლუბოვის, დოსტოევსკისა და სხვ. მხედულებები რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შესახებ. ისინი

<sup>1</sup> А.С. Гривбосдов. Сочинения, II., 1945, გვ. 510.



კავკასიის ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ წერილებში ტოლწონად სიმპატიებს გამოხატავენ ორივე მხარის მეომრების მიმართ, რომლებიც ერთმანეთს უღმობლად ებრძოდნენ. მათ კავკასიის ომის მიზეზად მიაჩნდათ მთიელების თავისებური ველური ცნობიერება.

პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის და სხვ. აზრით, იმპერიის ტერიტორიალური ზრდა მეზობელი ქვეყნების ხარჯზე, რუსი ხალხის ბუნებრივი, უცილობელი და წმინდათა წმინდა მოვალეობაა. ამავედროულად, დამორჩილებული მთიელების შესარიგებლად გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებებს. მაგალითად, პუშკინმა, რომელიც კავკასიაში იყო 1820-იანი წლების ბოლოს, თავისი მოსაზრებები გამოთქვა მოთხრობაში „მოგზაურობა არზრუმში“. იგი წერს: „ჩერქეზებს ჩვენ ვბულვართ, ჩვენ გამოვაძვევთ ისინი გაშლილი საძოვრებიდან; მათი აულები გაპარტახებულია; მთელი ტომები მოსპობილია; ისინი თანდათან მთების სიღრმეში შედიან და იქედან ახორციელებენ თავდასხმებს“<sup>1</sup>. მათი მოთვინიერების არავითარი ხერხი არ არსებობს, სანამ არ მოხდება მათი განიარაღება ისევე, როგორც ყირიმის თათრების, რაც ძალზე ძნელია...“<sup>2</sup>

პუშკინი ხელისუფლებას სთავაზობს დაუმორჩილებული მთიელების მოთვინიერების ღონისძიებებს: 1. მთიელების მოთვინიერების არავითარი ხერხი არ არსებობს, სანამ არ მოხდება მათი განიარაღება ისევე, როგორც ყირიმის თათრების, რაც ძალზე ძნელია;

1. Влияние роскоши может благоприятствовать их укрощения: самовар был бы важным нововведением (ხაზგასმა – ე.ა.);

<sup>1</sup> А.С. Пушкин. Полное собрание сочинений & 10-ти том., VI, М.-Л., 1949, გვ. 647.

<sup>2</sup> А.С. Пушкин. Полное..., გვ. 649.

2. არის უფრო ძლიერი, უფრო ზნეობრივი, ჩვენი ეპოქის განათლების უფრო შესაფერისი საშუალება: სახარების ქადაგება... კავკასია ელოდება ქრისტიან მისიონერებს“<sup>1</sup>.

პუშკინმა თავისი მოსაზრებებით მთიელი ხალხი დაამცირა, აბუნად აიგდო. გენიალური პოეტი, რომელიც ნიკოლოზ I-ის ხელისუფლებას კრამოლნიკად მიაჩნდა, ფაქტობრივად, იმპერიული პოლიტიკის თავგამოდებული დამცველი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ, მთიელი ხალხი რუსეთის იმპერიას კიდევ 30 წელი ებრძოდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა ვერ მოახერხა მათი განიარაღება; ვერც სამოვარით მოისყიდა და ვერც ქრისტიანობა გაავრცელა.

პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დობროლუბოვის და სხვა გამოჩენილი რუსი მოაზროვნეების მოსაზრებებს, კავკასიის ომის თაობაზე, საფუძვლად ედო მთელი კავკასიის რუსულ სამყაროში გაერთიანების აუცილებლობის ურყევი რწმენა, რადგან ამ პრობლემის მოგვარება ომის გარეშე შეუძლებელი გახდა, ისინი კავკასიის დაპყრობის სახელმწიფო პოლიტიკას, ძირითადად მხარს უჭერდნენ და ცდილობდნენ გამოეძებნათ რუსებისა და მთიელების — ორი უცხო სამყაროს, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების, ცნობიერების შეთავსების გზები. ამ იდეას ეძღვნება პუშკინის „ტაზიტი“, ლერმონტოვის — „იზმაილ-ბეი“. ტოლსტოის — „პაჯი-მურატი“, „კაზაკები“ და სხვ.

პუშკინის დაუმთავრებელ პოემაში „ტაზიტი“, კარგად ჩანს ორი სხვადასხვა მორალის მქონე ადამიანის — მამის — გასუბის და შვილის — ტაზიტის ფსიქოლოგიურად შეთავსების მცდელობა. ამავე პრობლემას ეძღვნება ლერმონტოვის პოემა „იზმაილ-ბეი“. პოემის გმირი ჩერქეზი თავადი იზმაილი რუსეთის არმიის წარჩინებული გვარდიელი იყო, რომელმაც უარყო ისლამი და მიიღო ქრისტიანობა, მაგრამ იგი ვერ შეეგუა იმ ქვეყანას, რომელიც უღმობლად ანადგურებდა მის ზალხს. იგი გაიქცა მთებში და თავგამოდებით

<sup>1</sup> А.С. Пушкин. Полное. т. 3. 649

ებრძოდა დამპყრობლებს. იზმაილ-ბეი გმირულად დაიღუპა. მას აღმოაჩნდა ვეკარი და ამით აღშოთებულმა თანამებრძოლებმა თავიანთი ყოფილი ბელადი „წყვეულ გიაურად“ შერაცხეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლერმონტოვი მეთაურობდა კავკასიის კორპუსის მოხალისეთა „მფრინავ ასეულს“, რომელიც ასრულებდა სარდლობის ყველაზე სახიფათო დავალებებს. იგი ამ თანამდებობაზე დააწინაურეს, როგორც საზრიანი და უშიშარი მებრძოლი.

მ.ი. ლერმონტოვი თავის მეგობარ აა. ლოპუნინისადმი გაგზავნილ წერილში მდინარე ვალერიკზე ბრძოლის შესახებ წერდა: «У нас были каждый день дела, и одно довольно жаркое, которое продолжалось 6 часов сряду. Нас было всего около 2000 пехоты, а их до 6 тысяч, и все время дрались штыками. У нас убыло 30 офицеров и до 300 рядовых, а их 600 тел осталось на месте, - Кажется хорошо! - Вообрази себе, что в овраге, где была потеха, час после дела еще пахло кровью».<sup>1</sup> გენერალი გალაფეევი კავკასიის ხაზის სარდლის გენერალ გრაბესადმი რაპორტში ლერმონტოვის შესახებ წერდა: „ეს ოფიცერი, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, მასზე დაკისრებულ მოვალეობას დიდი სიმშვიდით და ვაჟკაცურად ასრულებდა. იგი, მამაცთა შორის, პირველი შევარდა მტრის ხერგილებში“.<sup>2</sup>

ახლგაზრდა ტოლსტოის დამოკიდებულება და მოსაზრებები კავკასიის დრამის მიმართ, რუსეთის იმპერიული მისწრაფებების იდეოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. ამ მოსაზრებას ადასტურებენ ტოლსტოის ადრინდელი მოთხრობები — „კაზაკები“, „ტყის ჩეხვა“. მაგ., მოთხრობაში „კაზაკები“ ავტორი ტოლწონად დამოკიდებულებას

---

<sup>1</sup> М.Ю. Лермонтов. Собр. соч. в четырех томах. т. 4. Л., 1981, გვ. 422; ოფიციალური მონაცემებით მდ. ვალერიკზე ბრძოლის დროს სულ დაიღუპა 183 რუსი და 150 მთიელი.

<sup>2</sup> П.А. Висковатов. Михаил Юрьевич Лермонтов. М., 1887, გვ. 309.

იქნეს ორივე მეომარი მხარის მიმართ. პირქუში ჩეჩენი, რომელმაც შური იძია თავის ძმის მკვლელებზე, ტოლსტოის მეტ თანაგრძნობას იწვევს, ვიდრე მოკლული ახალგაზრდა კაზაკი. იქვე, ტოლსტოი კაზაკების მიერ დევნილი ჩეჩნების შემოჭრას სტანიცაში ისეთივე განწყობით აღწერს, როგორც კაზაკების არაადამიანურ ქმედებებს მათ მიმართ.

ახალგაზრდა ტოლსტოიმ ღირსეულად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე. მას „მთიელების წინააღმდეგ ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის“ ოფიცრის წოდება მიანიჭეს.

ასაკოვანი ტოლსტოის ფილოსოფიურ-რელიგიურ სწავლებაში სიყვარულის, სიკეთის, ბოროტებასთან ბრძოლის საფუძველია „ჭეშმარიტი რელიგია“, რომლისთვის პრინციპულად მიუღებელია სახელმწიფოებრიობა, რადგან ყოველი სახელმწიფო თავისი მთავრობებით კოლექტიური ყაჩაღია. «Все государства, обманывая людей – წერს ტოლსტოი თავის სტატიაში „ორი ომი“ – говорят: вы все, управляемые мною, находитесь в опасности быть завоеванными другими народами, я буюду ваше благополучие и безопасность...».<sup>1</sup> ამიტომ, სრულებით არ არის გასაკვირი, რომ იგი თავის მოთხრობაში „ჰაჯი-მურატი“, შამილს, რომელმაც შექმნა მთიელთა დამოუკიდებელი სახელმწიფო და სამი ათეული წელი ებრძოდა რუსეთის სამხედრო-კოლონიურ მანქანას, ისეთივე ზიზლით აღწერს, როგორც ნიკოლოზ I-ს.

ტოლსტოისთვის პრინციპული განსხვავება არ ჰქონდა რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების საღისტურ დამოკიდებულებას მთიელების მიმართ, ისევე, როგორც მათ ზიზლსა და დაუნდობელ დამოკიდებულებას რუსებისადმი. ამ მოსაზრების დამადასტურებელია „ჰაჯი-მურატი“. ავტორი, ერთ-ერთი აულის განადგურების საშინელი სურათის აღწერისას საუბრობს მთიელთა შურისძიების გრძნობის

---

<sup>1</sup> <http://az lid.ru/tolstoi lew>.

თაობაზე: «Чувство, которое испытывали все чеченцы, от мала до велика, было сильнее ненависти. Это была не ненависть, а непризнание этих русских собак людьми и такое отвращение, гадливость и недоумение перед нелепой жестокостью этих существ, что желание истребления их, как желание истребления крыс, ядовитых пауков и волков, было таким же естественным чувством, как чувство самосохранения».<sup>1</sup> ტოლსტოიმ, თითქოს გააშთვლა რუსებისადმი მთიელების ზიზღის გამომწვევი მიზეზები, მაგრამ იქვე იგი ოფიცერ ბუტლერს, რომელიც აულის განადგურებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა, სხვა სიტუაციაში წარმოაჩენს როგორც კეთილ და მაღალი ზნეობის მქონე რუს ოფიცერს.

1859 წელს ნა. დობროლუბოვმა კავკასიის ომის პრობლემებს მიუძღვნა ვრცელი სტატია – „კავკასიაში ჩვენი ბოლო საგმირო საქმეების შესახებ“. აღნიშნული სტატია ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ თვითმპყრობელობის შეურიგებელ ოპოზიციონერს, სამოქალაქო უფლებებისთვის უკომპრომისო მებრძოლს კავკასიის დაპყრობა მიაჩნია კანონიერ და უცილობელ საქმედ. იგი შამილის დამარცხებას მიესალმება და აღფრთოვანებულია რუსი ოფიცერებისა და ჯარისკაცების გმირობით. დობროლუბოვი კავკასიის ომის გაჭინურების, მთიელთა გააფრთხილებული წინააღმდეგობის მიზეზად მიიჩნია რუსული ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა, უხეშობა, უვიცობა, რომელმაც სრულებით არ გაითვალისწინა მოწინააღმდეგის მსოფლმხედველობა, ზნე-ჩვეულებები და რწმენა.<sup>2</sup> «Из истории Кавказа, – წერს დობროლუბოვი – очевидно, что не случайное объявление личностей, подобных Шамилю, и даже не строгое

<sup>1</sup> Л.Н. Толстой. <http://www.lib.ru/tolstoi/lew>

<sup>2</sup> Н.А. Добролюбов. Собрание сочинений, т. 5, М.-Л., 1968, гл. 449.

учение мюридизма было причиною восстаний горцев против русских. Коренною причиною была ненависть к русскому господству».<sup>1</sup> დობროლუბოვი დარწმუნებულია, რომ კავკასიის შენარჩუნება და მისი მტკიცედ მიბმა რუსეთის იმპერიასთან, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ რუსული ადმინისტრაციის მმართველობის ქვეშ მთიელები უკეთ იგრძნობენ თავს, ვიდრე შამილის დროს.<sup>2</sup>

ამგვარად, დობროლუბოვს კავკასიის დაპყრობა და მისი გაერთიანება რუსეთის იმპერიის ფარგლებში კანონიერ და უცილობელ ქმედებად მიაჩნია და ამავედროულად, დარწმუნებულია, რომ მთიელთა ტოტალური მორჩილების მიღწევა შესაძლებელია შესაბამისი პრინციპული ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით.

რევოლუციონერი დემოკრატები ა.ი. გერცენი და ნ.გ. ჩერნიშევსკი, ისევე, როგორც დობროლუბოვი, ბელინსკი, გამოხატენ რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში. «Мрачная эпоха царствования Николая I, — წერდა ა.ი. გერცენი — открылась виселицами, шествуя вперед, утопая в крови и слезах Польши и Кавказа».<sup>3</sup> იგი აღნიშნავდა, რომ პოლონეთის და კავკასიის ომებმა ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა რუს ხალხს. გერცენს ომის დამთავრების შემდგომ სიტყვა არ წამოსცდენია ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნოწმენდისა და გენოციდის შეწყვეტის, ან კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

ნ.გ. ჩერნიშევსკი დალესტანში და ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე წერდა: „მაღლობა ღმერთს, ამიერიდან კავკასია არ შთანთქავს ყოველწლიურად 250 000 რუს ჯარისკაცს. ომთან იყო დაკავშირებული უზარმაზარი ხარჯებიც, რომელთა

---

<sup>1</sup> Н.А. Добролюбов. Собрание сочинений, т. 5, М.-Л., 1968, გვ. 449. იქვე გვ. 449.

<sup>3</sup> А.И. Герцен. Полн. сбор. соч., т. XIII, გვ. 14.

გადახდაც უწევს რუს ხალხს. ომის დამთავრებით იხურება ერთ-ერთი ის წყლული, რომელიც აუძღურებდა რუსეთს“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ნ.გ. ჩერნიშევსკის არ აღარდებს მთიელი ხალხის სავალალო მდგომარეობა. მისი მთავარი საზრუნავია რუსეთი და რუსი ხალხი.

ჩვენი ღრმა რწმენით, რევოლუციონერ დემოკრატებს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის საკითხებზე თითქმის ერთნაირი შეხედულებები გააჩნდათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა ისტორიკოსების მოსაზრებები მიმოხილული იქნება წინამდებარე შრომის მეორე ტომში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რუსეთის XIX ს. პირველი ნახევრის კულტურისა და საზოგადო მოღვაწეების დიდ ნაწილს საერთოდ არ გამოუთქვამთ თავიანთი მოსაზრებები კავკასიის ომის თაობაზე. მაგ. ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე და პუბლიცისტი პ.ი. ჩადაევი, რომლის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა 1812 წ. სამამულო ომში რუსეთის გამარჯვებისა და დეკაბრიზმის ზეგავლენით, მკაცრად აკრიტიკებდა რა ქვეყნის ერთპიროვნულ-მონარქიული მმართველობით სისტემას, როგორც დეკაბრისტების თანამოაზრე მხარს უჭერდა კავკასიის დაპყრობის იმპერიულ პოლიტიკას. თუმცა, იგი ერთხელ დაინტერესდა კავკასიაში მიმდინარე მოვლენებით, რომელიც დაკავშირებული იყო ჰაჯი-მურატის ტყვეობიდან გაქცევის გახმაურებულ ფაქტთან. «Не можете ли вы прислать мне письмо главного наместника – წერს ჩადაევი მოსკოვის ფოსტმაისტერს ა.ი. ბულგაკოვს – в котором он вам сообщает о бегстве Хаджи-Мурата и его смерти».<sup>2</sup>

<sup>1</sup> Н.Г. Чернышевский. Полн. сбор. соч., т. XIV, გვ. 381.

<sup>2</sup> П.Я. Чадаев. Полное собрание сочинений и избранных писем, т. 11, М., 1991, გვ. 264.

XIX ს. 30-40-იან წლების მიჯნაზე რუსული ლიბერალური მოძრაობა ორ თეორიულ მიმდინარეობად გაიყო – მედასავლეთენი და სლავოფილები, რომლებიც ერთმანეთს ედავებოდნენ რუსეთის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და განვითარების გზების თაობაზე. აღნიშნული ლიბერალური თეორიული მიმდინარეობები ჩამოყალიბდა მთიელთა გაერთიანებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის პერიოდში, როდესაც რუსეთის არმია ზედიზედ კარგავდა მრავალწლიანი ბრძოლის, დიდი მსხვერპლისა და ფინანსური ხარჯების ფასად მოპოვებულ სტრატეგიულ პოზიციებს. ლიბერალებს ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთ გზად მიაჩნდათ არსებული სოციალ-პოლიტიკური წესწყობილების შეცვლა კონსტიტუციურ-მონარქიულით, რომელიც რუსეთს ევროპის ქვეყნებს შორის კიდევ უფრო ძლევამოსილი, აყვავებული, ერთიანი და განუყოფელი იმპერიის სახელს მოუხვეჭდა. ამ თეზისიდან გამომდინარე, ლიბერალები რუსეთის დამპყრობლურ, იმპერიულ სახელმწიფო პოლიტიკას მხარს უჭერდნენ, მის კანონზომიერებაში და აუცილებლობაში ეჭვიც კი არ ეპარებოდნენ.

დიდ ინტერესს იწვევს XIX ს. პირველი ნახევრის რუსული ისტორიოგრაფია. ისტორიული აზროვნების განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცნობილმა ისტორიკოსმა, პოეტმა და პუბლიცისტმა ნ.მ. კარამზინმა, იგი ალექსანდრე I დავალებით შეუდგა რუსეთის ისტორიის წერას; 1-3 ტომი იმპერატორს წაუკითხა, დანარჩენ 9 ტომს, კარამზინი სიკვდილამდე (1826) წერდა; ისინი მთავრდება XVII ს. შუოთიანი პერიოდით. ნ.მ. კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ კონსერვატიულ-მონარქიულმა კონცეფციამ საზოგადოების არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია: კონსერვატორები ავტორს განადიდებდნენ, ლიბერალები – კიცხავდნენ.

1809 წ. მ.მ. სპერანსკიმ ალექსანდრე I-ს წარუდგინა კარდინალური პოლიტიკური რეფორმების პროექტი, რომლის თანახმად



თვითმპყრობელური მონარქია უნდა გარდაქმნილიყო კონსტიტუციურით. იმპერატორმა მოიწონა სპერანსკის პროექტი, მაგრამ ვერ გაბედა მისი დამტკიცება, რადგან მან გამოიწვია საზოგადოების უმაღლესი წრეების – კონსერვატორების მძაფრი უკმაყოფილება, რომელთა იდეური ხელმძღვანელი იყო ნ.მ. კარამზინი. მან 1811 წ. იმპერატორს გაუგზავნა წერილი («Записка о древней и новой России в ее политическом и гражданском отношениях»), რომელშიცწმწავედ გააკრიტიკა მონარქი სპერანსკის ლიბერალური პროექტის მხარდაჭერისათვის. იგი არწმუნებდა იმპერატორს: «Для твердости бытия государственного безопаснее поработить людей, нежели дать им не вовремя свободу... Судьба и величие России заключены в развитии самодержавия. При сильной монархической власти Россия процветала, при слабой - приходила в упадок»<sup>1</sup>

უდავოა, რომ სპერანსკის მოსაზრებები პოლიტიკური რეფორმების თაობაზე რევოლუციური ხასიათის იყო. იგი წერდა, რომ არც ერთ სახელმწიფოში პოლიტიკური სიტყვა არ ეწინააღმდეგება იმდენ საქმეს, როგორც რუსეთში. მე ვხედავ რუსეთში ორ მდგომარეობას: სახელმწიფოს ყმები და მემამულეთა ყმები. პირველს, მეორესთან დამოკიდებულების გამო, თავისუფლებს უწოდებენ, სინამდვილეში კი რუსეთში, ყველაზე დაბალი ფენისა და ფილოსოფოსების გარდა, თავისუფალი ადამიანები არ არიან.<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, სპერანსკის პროექტი იმპერიული სულისკვეთების იყო. მისი კონსტიტუციური იმპერიის კონსტიტუციის პროექტი არ ითვალისწინებდა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების მდგომარეობის ოდნავადაც გაუმჯობესებას.

სპერანსკის იდეები რუსეთის კონსტიტუციურ-მონარქიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ ერთი საუკუნის შემდგომ (1905-

---

<sup>1</sup> <http://www.hronos.km.ru>.

<sup>2</sup> <http://www.hronos.km.ru>.

1906) განხორციელდა, მაგრამ ქვეყანას არ შეუცვლია ტრადიციული იმპერიული სახელმწიფო პოლიტიკა.

შემდეგი თაობის ისტორიკოსებისთვის (მ.პ. პოგოდინი, ნ.ა. პოლევოი, ტ.ნ. გრანოვსკი და სხვ.) დამახასიათებელია რუსეთის ისტორიის განვითარებისა და თავისებურებების ახლებურად გააზრება.

XIX ს. რუსული ისტორიული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი მ.პ. პოგოდინი წერდა: «Вечное начало, русский дух лежит в основе русской истории».<sup>1</sup> მისი მოსაზრებით, დასავლეთის ქვეყნები შექმნილია ძალადობის გზით და ამიტომ არსებული წინააღმდეგობები გამოწვეულია ამ უკანასკნელით, ხოლო რუსეთის სახელმწიფო შექმნილია ძალადობის გარეშე.

მ.პ. პოგოდინის კონცეფცია – «Русское государство основано без насилия».<sup>2</sup> უსაფუძვლო და ყალბია, ემსახურება მხოლოდ რუსეთის იმპერიული სახელმწიფო პოლიტიკის შენიღვას. საყურადღებოა ისიც, რომ იგი თავის შრომებში – «О происхождении Руси» (1825), «Исследования, замечания и лекции о русской истории» (1846-1857)» და სხვ. ამ ყალბ კონცეფციას იცავდა იმ დროს, როდესაც რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს უმოწყალოდ სპობდა.

აღნიშნული პერიოდის რუსული ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენელია ნ.ა. პოლევოი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რუსული იმპერიული აზროვნების განვითარების საქმეში. იგი 1825-1834 წწ. რედაქტორობდა პოპულარულ ჟურნალს «Московский телеграф», სადაც თანამშრომლობდნენ პუშკინი, ბელინსკი, თავ. ვიაზემსკი და სხვა ცნობილი მწერლები, ისტორიკოსები, პუბლიცისტები.

---

<sup>1</sup> <http://www.hronos.km.ru>; <http://www.lib.ru>

<sup>2</sup> <http://www.hronos.km.ru>. <http://www.lib.ru>

ნ.ა. პოლევოიმ გამოაქვეყნა ვრცელი კრიტიკული სტატია კარამზინის მრავალტომეულის – „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ – კონსერვატიულ-მონარქიული კონცეფციის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ცნობილი მოღვაწეების გარკვეული ნაწილის აღშფოთება, მათ შორის იყო პუშკინიც. ნ.ა. პოლევოი, როგორც ლიბერალი-მედასავლეთე, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სისტემასა და ბატონყმობას რუსეთის იმპერიის წინსვლის შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევდა და მოითხოვდა მის შეცვლას კონსტიტუციური-მონარქიული წესწყობილებით.

აღსანიშნავია, რომ ნ.ა. პოლევოის ისტორიული შრომების («История русского народа», 1829; «История Петра Великого», в 4-х томах, 1843; «Повесть о великой битве Бородинской», 1844; «Обозрение русской истории до единодержавия Петра Великого», 1846; «История Наполеона», 1844-1846 гг.) გარდა, 47 პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებული აქვს ათეულობით კრიტიკული, პუბლიცისტური, ისტორიული ხასიათის სტატია, რომელშიც ხელისუფლებას მხოლოდ იმპერიული პოლიტიკის განხორციელების მეთოდებს უწუნებს. მას ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ომის, ისევე როგორც რუსი ინტელიგენციის აბსოლუტურ უმრავლესობას, კანონზომიერებაში ეჭვი არ ეპარებოდა.

1846 წ. ბელინსკიმ გამოაქვეყნა წერილი ნ.ა. პოლევოის ლიტერატურული მოღვაწეობის თაობაზე, სადაც წერდა: «Три историка, нисколько не бывшие поэтами, имели сильное влияние на русскую поэзию и вообще русскую изящную литературу в три различные эпохи ее исторического существования. Это Ломоносов, Карамзин и Полевой... Каждый из них оказал свое

влияние на литературу своим особенным образом, сообразно с обстоятельствами и требованиями своего времени».<sup>1</sup>

აღნიშნულ წერილში ბელინსკიმ თავი შეიკავა პოლევოს ისტორიული შრომების კონსტიტუციურ-მონარქიული კონცეფციის კრიტიკისაგან, მაგრამ მაინც გამოთქვა მისდამი უკმაყოფილება კარამზინის „რუსეთის სახელმწიფო ისტორიის“ უარყოფითი შეფასებისათვის. «Заслуги Полевого так велики, — წერს ბელინსკი — что нет ни охоты, ни силы распространяться о его ошибках».<sup>2</sup> იგი ამავდროულად კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა, პოლევოს ბოლო ტომებს და კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“-ს ერთიმეორესთან დიდი მსგავსება აქვთ. «В сущности история Полевого — მიუთიებს ბელინსკი — только возвысила историю Карамзина».<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, უდიდესმა კრიტიკოსმა პოლევოს ლიტერატურული შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილში კონკრეტულად არ გამოხატა პირადი მოსაზრებები რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობისა და იმპერიული მისწრაფებების თაობაზე.

ბელინსკი მოვლენათა არსის განჭვრეტაში ისტორიულ მეცნიერებას დიდ როლს აკისრებდა. «Историческое созерцание могущественно и необратимо — აღნიშნავდა იგი ფ. ლორენცის მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოსადმი მიძღვნილ სტატიაში — проникло собою все сферы современного сознания».<sup>4</sup> მან თავისი შეხედულებები რუსეთის იმპერიის შექმნისა და სახელმწიფოებრივი

---

<sup>1</sup> <http://www.philolog.ru>.

<sup>2</sup> <http://www.lib.ru/b/belinskij>

<sup>3</sup> <http://www.lib.ru...>

<sup>4</sup> <http://www.lib.ru/классика;>

მოწყობის საკითხებზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ვრცელ სტატიაში – «Очерки Бородинского сражения (воспоминания о 1812 году)», სადაც იგი წარმოჩნდა რუსეთის სახელმწიფოს თვითმპყრობელური და იმპერიული განვითარების რწმენით აღსავსე პიროვნებად. იგი არწმუნებს საზოგადოებას: «Царь есть наместник божий, а царская власть, замыкающая в себе все частные воли, есть преобразование единодержавия вечного и современного разума. Достоинства монарха есть священство, и в таинстве помазания совершается непосредственная передача власти царю от бога и сердце царства в руке божей...

Президент США есть призрак, условный символ, без сущности и личности, тогда как в монархиях образ государя есть личность государства, и подданный, служа монарху, служит своему государству».<sup>1</sup>

თვითმპყრობელური მონარქიული წესწყობილების გარეშე, ბელინსკის ვერ წარმოუდგენია ერთიანი განუყოფელი რუსეთის იმპერიის არსებობა. «Россия не имела минуты свободной, чтобы вздремнуть, чтобы забытья от ратных и гражданских подвигов, от торжеств победы и славы, от триумфов завоеваний и приобретений»<sup>2</sup> (ხაზგასმა ჩვენია – ეა).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბელინსკის, ისევე როგორც დოსტოევსკის, კავკასიის ომის საკითხებისათვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევია. საინტერესოა ბელინსკის მოსაზრება რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების შესახებ, რომელიც გამოთქვა ფ. ლორენცის ისტორიის სახელმძღვანელოსადმი მიძღვნილ წერილში:

---

<sup>1</sup> <http://www.lib.ru/классика;>

<sup>2</sup> <http://www.lib.ru/классика;>

«У нас есть своя национальная жизнь глубокая, могучая, оригинальная... и самая многослоенность племен, вошедших в ее состав и теперь перекаляющихся в горниле великорусской жизни» (ხაზგასმა ჩვენია – ეა).

XIX ს. პირველი ნახევრის აღმოსავლეთმცოდნეებს შორის, ინტერესს იწვევს მ.ა. კაზბეკის,<sup>1</sup> ნ. ხანიკოვის,<sup>2</sup> მ.ბ. ლობანოვ-როსტოვსკის<sup>3</sup> და სხვ. ნაშრომები, რომლებშიც დიდძალი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი, კავკასიის ომის, მ იურიდიზმის საკვანძო საკითხების ახლებური შესწავლისათვის და ფართო ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

მ.ა. კაზბეკს ჰქონდა შეხვედრები და მიმოწერა დატყვევებულ შამილთან. მისი აზრით, მიურიდიზმი იყო ბუნებრივი მოვლენა, რუსების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უფრო შესაფერისი იდეოლოგიური იარაღი, მიურიდიზმის გავრცელებაში შამილს ხელი შეუწყო რუსეთის პოლიტიკამ. შამილმა კარგად გამოიყენა მთიელების სიბუღვილი რუსებისადმი და გააერთიანა თანამოძმეები მიურიდიზმის დროშის ქვეშ.

აღსანიშნავია, რომ მ.ა. კაზბეკს, ნ. ხანიკოვს, მ.ბ. ლობანოვ-როსტოვსკის მთელი ყურადღება გადააქვთ მიურიდიზმის წარმოშობის, გავრცელებისა და დანიშნულების საკითხებზე, მაგრამ ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას – თუ რა მიზეზებმა გამოიწვია მთიელების პათოლოგიური სიბუღვილი რუსებისადმი, შეგნებულად გვერდს უვლიან.

ამგვარად, პესტელს ჩრდილოეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობისათვის აუცილებლად მიაჩნდა – მთიელთა ეთნოწმენდა და

---

<sup>1</sup> М. А. Казбек. Мюридизм и Шамиль. - «Русское слово», кн. XII, СПб, 1859.

<sup>2</sup> Н. Ханьков. О мюридизме и мюридах. - сб. газ. «Кавказ», 1847, Тифлис.

<sup>3</sup> М.Б. Лобанов-Ростовский. Начало мюридизма на Кавказе. «Русский архив», 1865.

გენოციდი; ლუნიხს – სამხედრო გამარჯვებების შედეგად დამორჩილებულ ტერიტორიებზე ლიბერალური სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება; როზენს – გამარჯვების მისაღწევად ქმედითი ეკონომიკური-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება; პუშკინს – დამორჩილებულ მთიელებში რუსული ფუფუნებითი ცხოვრების წესის დანერგვა სამოვარის მეშვეობით; დობროლუბოვს – განათლებული კოლონიური ადმინისტრაცია; ბელინსკის – დაპყრობილი ტომების ველიკორუსული ცხოვრების ბრძმელში წრთობა და ა.შ.

გამორჩენილი რუსი კონსერვატორი, თუ ლიბერალი ისტორიკოსი მხარს უჭერდა რუსეთის სახელმწიფოს ტრადიციულ იმპერიულ პოლიტიკას. ისინი ერთმანეთს ედავებოდნენ რუსეთის იმპერიის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და განვითარების გზების თაობაზე. კონსერვატორ-მონარქისტებს მიაჩნდათ, რომ იმპერიის ძლევამოსილების უზრუნველყოფა შეუძლია, მხოლოდ თვითმპყრობელურ მონარქიას, ლიბერალებს – კონსტიტუციურ მონარქიას.

XIX ს. პირველი ნახევრის რუსული ისტორიოგრაფია ქვეყანაში გაბატონებული იმპერიის თანამოაზრე და სულისჩამდგმელი იყო.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბრამდელ კავკასიის ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსეთის არმიის გენერლებმა და ოფიცრებმა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ კავკასიის ომში. ამ ჯგუფის სამხედრო ისტორიკოსთა თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან აკადემიკოსები ბუტკოვი და ა.პ. ბერჟე, პროფ. პ.ი. კოვალევსკი, გენერალი ნ.ფ. დუბროვინი, გა. პოტო, ნ.ა. ვოლკონსკი და სხვები, რომლებიც დიდმპყრობელური პოზიციებიდან განიხილავენ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ მათ შრომებს, ნარკვევებს, სტატიებს, მოგონებებს დღემდე არ დაუქარგავთ ისტორიოგრაფიული ღირებულება. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და ფასდაუღებელია

მათ მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი მრავალი დოკუმენტური მასალა, რომელთა შესწავლა და კრიტიკული ანალიზი გვეხმარება რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ღრმა და საფუძვლიან შესწავლაში და ობიექტური დასკვნების გამოტანაში.

აღსანიშნავია, რომ XIX ს. მეორე ნახევარში ოფიციალური შეხედულება კავკასიის ომზე ჩამოყალიბდა კავკასიის არმიისა და სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის გამონათქვამებისა და მოხსენებითი ბარათების ზეგავლენით.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს კავკასიის მეფისნაცვლის ა.ი. ბარიატინსკის შეხედულებები, რომლებიც მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მისი ოფიციალური ბიოგრაფიის – ალ. ზისერმანის შრომაში.<sup>1</sup> აი ბარიატინსკის მოსაზრებით, მიურიდიზმის აღმოცენებასა და გავრცელებას კავკასიაში ხელი შეუწყო ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა არასწორმა პოლიტიკამ, რომელიც გამოიხატა ბეგებისა და ხანების ინტერესების უგულვებელყოფაში, რამაც შექმნა სასულიერო პირების გავლენის გაძლიერების პირობები; ჩვენს მიერ ბეგებისა და ხანების წინააღმდეგ ბრძოლამ მთიელთა თავისუფალ საზოგადოებებს დამოუკიდებელი მოქმედებების საშუალება მისცა და მათი წრიდან გამოსულმა სასულიერო პირებმა წარმატებულად დაიწყეს ურწმუნოების (რუსების) წინააღმდეგ საღვთო ომისა და ერთი პიროვნების ხელში მთელი მხარის სამოქალაქო და სასულიერო ძალაუფლების გადაცემის ქადაგება. ავტორს მიაჩნია, რომ რელიგიური მიმდინარეობის (მიურიდიზმის) წინააღმდეგ ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიწყოს მთიელთა უმაღლესი წოდების პირთა კანონიერი უფლებების დაბრუნებით, რასაც მთიელები მხარს დაუჭერენ, რადგან ბეგები და ხანები უპირატესობას არა შარიათით, არამედ ადამით ცხოვრებას ანიჭებენ. ა.ი. ბარიატინსკი დარწმუნებულია, რომ იგი ამ გზით ბოლოს მოუღებს მიურიდიზმს

<sup>1</sup> Фельдмаршал кн. Барятинский. Его биография. - «Русский архив», кн. 4 и 6, 1889.



და გზას გაუკაფავს ქრისტიანობის დანერგვის საქმეს კავკასიაში, რომელიც უკვე დაიწყო „კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ შექმნით.

ა.ი. ბარიატინსკის შეხედულებები კავკასიის ომის, კერძოდ მიურიდიზმის შესახებ, რომლის მთავარი მიმართულებებია მიურიდიზმის ლიკვიდაცია, კოლონიზაცია და ქრისტიანიზაცია, იყო რუსეთის სახელმწიფოს მოქმედების პროგრამა XIX ს. მეორე ნახევარში. სამწუხაროდ, რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაც ამ გზით მიდიოდა.

კავკასიის ომის ოფიციალური ისტორიკოსის გენერალ-ლეიტენანტ ფ. დუბროვინის ფართოდ ცნობილ ორტომეულში, რომელიც გამოიცა 1888 წელს,<sup>1</sup> თავმოყრილია კავკასიის ომისა და მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ამსახველი უამრავი დოკუმენტური მასალა. სამწუხაროდ, გენერალი ამ მასალებს იყენებს მთიელი ხალხის შეურაცხყოფის, დამცირებისა და დისკრიმინაციული პოლიტიკის გასამართლებლად. იგი თავის შრომის პირველ ტომში ჩერქეზების ისტორიას იწყებს რუბრიკით: „ჩერქეზის ტანისამოსი, მისი ცხორება და მტაცებლობა“. უნდა ითქვას, რომ XIX ს. მეორე ნახევრის რუსული ისტორიოგრაფია მთიელებს ახასიათებს, როგორც „მტაცებლებს“, „ყჩაღებს“, „გამოუსწორებელ ბოროტმოქმედებს“, „ვერაგ მძარცველებს“, „გონებაშეზღუდულებს“ და სხვა მრავალი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ეპითეტებით. ასე მაგალითად, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი აპოლოგეტი ნ. სმირნოვი თავის ნაშრომში «Туземцы Северо-Восточного Кавказа», რომელიც 1895 წ. ხელისუფლების დაკვეთით გამოიცა, წერს: «При внимательном изучении, чеченец поражает ограниченностью и извращенностью своего духовного мира во всем, что касается

---

<sup>1</sup> Н.Ф. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, СПб., 1888.

სფერო ნრავსთნნოი ჩუვსთ, ნე გოვორე ო თომ, ჩო ონ ნე იმეოთ პონეტიე ო ვოზვუშენნოი ნრავსთნნოი იდეალე, ჩო თეიე პონეტიე, კაკ დობროდეთე ი პოროკ, დობრო ი ზლო, ვ იე აბსთრეკტიე, ემუ ნეზნეკომე... უმ ჩეჩენცე სპიტ ეშე. ჩეჩენეც, ნეპრ., დო სიე პორ ნე სოსთევილ სებე სოკოლკო-ნიბუდუ ენოი პონეტიე ო თეჩენიე ვრემენი... ზენიე მესე ზემლედიემ, ჩეჩენეც ნი ო ვრემენე გოდე, ნი ო სოიე თნნოი ეთიმ ვრემენე ათმოსფეროიკესიე ეენიე, ნე იმეოთ ი სოთიე დოლი პოზნეტიე კრესთენიე ნრეოტრენნიე გუბერნიე. პეე მეოთ ჩეჩენცე კოროჩე პეე მეოთ ეენიე».<sup>1</sup>

კეკეასიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის, სამხედრო ისტორიკოსის ვ.ა. პოტოვს ხუთტომეული მოიცავს კავკასიის დაპყრობის ისტორიას XVI საუკუნიდან 1831 წლამდე და შესრულებულია დიდმკვრობელური-შოვინისტური სულისკვეთებით. იგი მთიელებს „ავაზაკებად“ და „მხეცებად“ მიიჩნევს და ამიტომ, მათი განადგურება შეუპოვარი, უღმობელი ბრძოლების მეშვეობით უნდა მოხდეს. ვ.ა. პოტოვ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობით ომს წარმოაჩენს, როგორც რელიგიურ ბრძოლას ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის.<sup>2</sup>

კავკასიის ომის პრობლემებს ეძღვნება გამოჩენილი სამხედრო ისტორიკოსის, პუბლიცისტის, გენერალ რ.ა. ფადეევის შრომები.<sup>3</sup> მიუხედავად იმისა, რომ იგი რუსეთში ცნობილია, როგორც ლიბერალურ-კონსერვატორული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორც ისტორიკოსი დაპყრობითი პოლიტიკის თავამოღებული დამცველია. «Кавказ потребовал больших жертв;

<sup>1</sup> Н. Смирнов. Туземцы Северо-Восточного Кавказа, СПб., 1895, გვ. 80, 98-99.

<sup>2</sup> В.А. Пото. Кавказская война в пятих томах, М., 2006 г.

<sup>3</sup> Р.А. Фадсев. Собрание сочинений, т. 1, ч. 1-2, СПб., 1889 г.

– წერს რა. ფადეევი – но чего бы он ни стоил, ни один русский не имеет права на это жаловаться, потому что занятие закавказских областей не было ни случайным, ни произвольным событием в русской истории. Оно подготовлялось веками, было вызвано великими государственными потребностями и исполнилось само собою. Еще в шестнадцатом столетии, когда русский народ успешно вырастал на берегах Оки и Волхова, отделенный от Кавказа дикою пустыней, священные обязанности и великая надежды приковывали к этому краю внимание первых царей».<sup>1</sup>

რა. ფადეევი, ისევე როგორც ვა. პოტო, რუსეთის დაპყრობით ომებს ოსტატურად წარმოაჩენს, როგორც «домашняя борьба с мусульманством, давившим Россию со всех сторон...».<sup>2</sup> იგი ამ თეზისს აკონკრეტებს და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ რუსეთის წმინდათაწმინდა მოვალეობა იყო ერთმორწმუნე ქართველების დაცვა მუსლიმანთა ხშირი შემოსევებისგან. ამ მოვლენამ განსაზღვრა რუსეთის სახელმწიფოს ახალი დამოკიდებულება კავკასიის ნახევრადკუნძულურ ტომებთან. რუსეთისთვის, მათი დამორჩილება აუცილებელი გახდა. აქედან წარმოიშვა მრავალწლიანი და სისხლიანი ომი.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ეკატერინე დიდმა რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას კავკასიაში იდეოლოგიურ მოტივაციად დაუდო ერთმორწმუნე ქართველების დაცვა მუსლიმანთა შემოსევებისაგან. როგორც ვხედავთ, რა. ფადეევი ცდილობს, კავკასიის ომის იდეოლოგიურ მოტივაციად გამოიყენოს ეკატერინისეული პროპაგანდისტული ფანდი. მიუხედავად ამისა, იგი,

---

<sup>1</sup> Р.А. Фадеев. Собрание..., გვ. 3.

<sup>2</sup> იქვე. Собрание..., გვ. 3.

<sup>3</sup> იქვე. Собрание..., გვ. 3.

როგორც ამ ომის იდეოლოგი, ვერ მალავს თავის დიდმპყრობელურ მისწრაფებებს: «Действительная связь России с Азией, узел их на Кавказе... – წერს რ.ა. ფადეევი – С Кавказского перешейка Россия может достать всюду, куда ей будет нужно; и здесь же именно полувекковая борьба с мусульманским фанатизмом создала единственную армию, которая может выносить, без расстройства, бесконечные лишения азиатских походов.

Для России Кавказский перешеек вместе и мост, переброшенный с русского берега в сердце азиатского материка, и стена, которою заставлена Средняя Азия от враждебного влияния, и передовое укрепление, защищающее оба моря: Черное и Каспийское. Занятие этого края было первою государственною необходимостью...».<sup>1</sup>

რ.ა. ფადეევი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა რელიგიური მოძღვრების – მიურიდიზმის წარმოშობა და გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში. გამოთქვა რა მთელი რიგი საინტერესო მოსაზრებები, ვერ გაიგო მიურიდიზმის მოძღვრების დედაარსი, შეგნებულად გვერდი აუარა მისი წარმოშობისა და გავრცელების მიზეზებს. თუმცა იგი თავის სტატიაში „მიურიდიზმი“ აღნიშნავს, რომ მიურიდიზმის სწრაფ გავრცელებას ხელი შეუწყო მთიელების სიძულვილმა ურწმუნოებისადმი, რომლებმაც დაიკავეს მათი ქვეყანა.<sup>2</sup>

«Поборники мюридизма шли к своей цели кратчайшею дорогою и не дожидаясь, чтобы чувство религиозного равенства утвердилось привычкою, предпочли утвердить его топором».<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Р.А. Фадеев. Собрание..., გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე. Собрание..., გვ. 20.

<sup>3</sup> იქვე. Собрание..., გვ. 20.

აღსანიშნავია, რომ რა. ფადეევმა დაწერილებით აღწერა ჩრდილო-დასავლეთის მთიელთა გადასახლების პროცესი თურქეთში. «Переезд — წერს რა. ფადეევი — сопровождался бесчисленными бесчеловечиями и страданиями».<sup>1</sup> ამავროულად, იგი გვარწმუნებს, რომ მთიელთა გადასახლება თურქეთში ხელისუფლების მითითების გარეშე ხდებოდა, რომელსაც გააჩნდა მხოლოდ ერთი მიზანი — „მთიელების გადაადგილება აღმოსავლეთ შაიხზღვისპირეთიდან და იქ კაზაკების ჩასახლება“. ამართლებდა რა რუსეთის ხელისუფლების გადასახლების პოლიტიკას, იგი გვარწმუნებდა, რომ მთიელთა თურქეთში გადასახლების შეჩერება გამოიწვევდა კავკასიის ომის კიდევ ერთი წლით გაგრძელებას. ფაქტიურად, რა. ფადეევი ამართლებდა რუსეთის ხელისუფლების მთიელთა ეთნოწმენდისა და გენოციდის პოლიტიკას. იგი წერს: «Земли закубанцев нужны были государству, в них самих (მხედველობაში ჰყავს მთიელები — ე.ა.) не было никакой надобности».<sup>2</sup>

კავკასიის დამორჩილების გეგმის მთავარი მიზანი იყო დაპყრობილი ტერიტორიების ადგილობრივი მოსახლეობისაგან გაწმენდა. 1862 წ. აგვისტოში გენერალი გ.ზ. ორბელიანი აღნიშნავდა, რომ ნათუხაელების მიწების დიდი ნაწილი კაზაკების მიერ არის დაკავებული, მთიელები იმდენად შევიწროვებულნი არიან, რომ ძალიან გაუჭირდებათ მათ მფლობელობაში მყოფ მიწებზე ცხოვრება».<sup>3</sup> 1861 წ. სექტემბერში ალექსანდრე II-მ აბაძეებს გამოუცხადა: «Я даю месячный срок - абадзехи должны решить:

<sup>1</sup> Р.А. Фадеев. Собрание..., გვ. 203.

<sup>2</sup> იქვე. Собрание..., გვ. 202.

<sup>3</sup> იქვე. Собрание..., გვ. 202.

желают ли они переселиться на Кубань... или же пусть переселяются в Турцию».<sup>1</sup>

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ედ. ფელიცინი სავსებით ობიექტურად აღნიშნავს, რომ «Черкесские аулы выжигались сотнями, посевы их истреблялись, а жители... же отправлялись на берег моря для переселения в Турцию».<sup>2</sup>

აკადემიკოსი ა.პ. ბერჟე 1864-1886 წწ. იყო კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს კავკასიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე. მან მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა კავკასიის ისტორიის საკითხებს.<sup>3</sup> ა.პ. ბერჟეს შრომებში თავმოყრილია უამრავი ფაქტობრივი მასალა დიდმპყრობელური პოზიციებიდან და მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოჩენილი და განხილულია კავკასიაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი პრობლემები. ჯერ კიდევ 1884 წელს. ცნობილი რუსი ხალხოსანი და პუბლიცისტი ი. აბრამოვი წერდა: «Официальный историк г. Берже объясняет дело так, что изгнание горцев было вызвано их постоянными разбоями, что усмирить их не было

---

<sup>1</sup> АКАК, док. №884, გვ. 871.

<sup>2</sup> С. Эсадзе. Покорение Западного Кавказа, Тифлис, 1914, გვ. 114-115; Е.Д. Фелицин, О переселении горцев в Турцию, «Кавказ», №147, 1877.

<sup>3</sup> А.П. Берже. Чечня и чеченцы, Тифлис, 1859; Материалы для описания Нагорного Дагестана. «Кавказский календарь», отд. III, 1859, გვ. 249-288; «Кавказ в археологическом отношении». Тифлис, 1874; Н.Н. Муравьев. Во время его наместничества на Кавказе, 1854-56 г. Исторический очерк, «Русская старина», кн. 10, 1873; Этнографическое обозрение Кавказа, СПб, 1879; Присоединение Грузии к России, 1799-1831. «Русская старина», т. 28, 1880 г. და აზვ.

никакой возможности иначе как, или истребить совершенно, или выселить из гор на плоскость или в Турцию».<sup>1</sup>

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის, კავკასიის ომის ისტორიის მთელი რიგი საკითხები გაშუქებულია პროფ. პ.ი. კოვალევსკის ისტორიულ ნარკვევებში.<sup>2</sup> იგი კავკასიის ომის ისტორიას განიხილავს კავკასიის არმიის მთავარსარდლებისა და მეფისნაცვლების – გუდოვიჩიდან დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მოღვაწეობის ჩარჩოებში. პ.ი. კოვალევსკი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ მთავარსარდლებისა და მეფისნაცვლების ძირითადი მოვალეობა იყო არა მარტო რუსეთის, არამედ კავკასიელი ხალხის ინტერესების დაცვა, მაგრამ ხანგრძლივი კავკასიის ომი გამოიწვია მთიელთა ველურმა, მტაცებელურმა, დაუმორჩილებელმა ბუნებამ. იგი, როგორც დიდმპყრობელური იდეების მქადაგებელი, რუსეთის არმიის გამარჯვებით აღფრთოვანებული, წერს: «...Кавказ был вполне завоеван и стал достоянием России. Но сколько крови, сколько жизней, скольких затрат он стоил России. И кто смеет сказать, что он не ея собственность...».<sup>3</sup>

XIX ს. მეორე ნახევრის რუსული ისტორიულ-ფილოსოფიური აზრის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ს.მ. სოლოვიოვის, ვ.ო. კლუჩევსკის, მ.ნ. კოვალევსკის, პ.გ. ვინოგრადოვის, ნ.ი. დანილიევსკის ისტორიულ, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ნაშრომებს.

ს.მ. სოლოვიოვი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში სლავოფილი იყო. იგი წერს, რომ იყო მხურვალე სლავოფილი, მხოლოდ რუსეთის ისტორიის დაჟინებული ინტერესით შესწავლამ გადაარჩინა

---

<sup>1</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы. Изд. «Возрождение», 1990.

<sup>2</sup> П.И. Ковалевский. Завоевание Кавказа Россией, Исторические очерки «Русский архив», С.-П., 1896.

<sup>3</sup> П.И. Ковалевский. Завоевание..., გვ. 334.

სლავოფილობას და მისი პატრიოტიზმი მიიყვანა სათანადო ზღვრამდე.<sup>1</sup> ფეიქრობთ, რომ ა.მ. სოლოვიოვი ბოლომდე არ არის გულწრფელი, რადგან მას არ გაუწყვეტია სლავოფილებთან კავშირი, რომლებთანაც აახლოვებდა რწმენა რუსი ხალხის ისტორიული მოწოდებისა, რომელსაც ადასტურებს განვლილი ისტორიული პერიოდი და მისი ბუნებრივი და ეთნიკური თავისებურებები.

ს.მ. სოლოვიოვის ფუნდამენტალური ნაშრომი „რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან“ და „პოლონეთის დაცემის ისტორია“ (1863), „იმპერატორი ალექსანდრე პირველი, პოლიტიკა, დიპლომატია“ (სანკტ-პეტერბურგი, 1877) დიდმპყრობელური სულისკვეთებითაა დაწერილი, მისი იდეალი არის ისეთი სახელმწიფო, სადაც არსებობს მტკიცე ერთმპყრობელური ხელისუფლება ხალხის საუკეთესო შვილებთან კავშირში. რუსეთის ისტორიული მეცნიერების სიამაყე სოლოვიოვი პეტრე დიდისა და ეკატერინე II-ის იმპერიის შესახებ წერს: «...То и другое дало силы пробиться к морю, воссоединить западную половину русской земли с востоком и встать в ряду европейских держав на положении равноправного и равносильного сочлена».<sup>2</sup>

ს.მ. სოლოვიოვის აზრით, რუსეთის იმპერიის ძლევამოსილება, მისი ისტორია რუსი ხალხის ბუნებრივ და ეთნიკურ ინტერესებს შეესაბამება; რუსეთის „გარღვევა ზღვისკენ“ სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებოდა.

რუსულ ისტორიოგრაფიაში ს.მ. სოლოვიოვი ცნობილია, როგორც დასავლურ-ჰუმანისტური აზროვნების მიმდევარი მეცნიერი. ამავდროულად, ისიც უნდა ითქვას, რომ მას ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა დისკრიმინაციის, ეთნოწმენდისა და გენოციდის პრობლემებზე კრინტი არ დაუძრავს: «Бессмертная заслуга А.М. Соловьева

---

<sup>1</sup> <http://www.Gulex.ru>

<sup>2</sup> <http://www.Gulex.ru>



заключается в том, — წერენ ამჟამად რუსი ისტორიკოსები — что он внес гуманное начало, культурное начало в русскую историю».<sup>1</sup>

ვო. კლუჩევსკი, ცნობილი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ორატორი, რუსეთის იმპერიული საგარეო-პოლიტიკური კურსის საკითხებში ს.მ. სოლოვიოვის თანამოაზრე იყო. ვო. კლუჩევსკის ისტორიულ შრომებიდან დიდი პოპულარობა მოიპოვა რუსეთის ისტორიის ლექციების კურსის სამტომეულმა, რომელიც ითარგმნა მრავალ ენაზე და იკითხებოდა ევროპის თითქმის ყველა უნივერსიტეტში. მისი აზრით, რუსეთმა თავისი ბუნებრივი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული საზღვრებისთვის ბრძოლა დაამთავრა XIX ს. დასაწყისში ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მოპოვებით, პოლონეთის სამეფოს, ბესარაბიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ტერიტორიების — ყუბანამდე შემოერთებით; რუსეთი აღმოჩნდა კავკასიის ქედის წინ. ხელისუფლება სრულიად არ ფიქრობდა ამ ქედზე გადასვლას, არ გააჩნდა ამის საშუალება და სურვილი.<sup>2</sup> «Но за Кавказом, среди магометанского населения, — წერს ვო. კლუჩევსკი — прозябало несколько христианских княжеств, которые почуяв близость русских, начали обращаться к нам за покровительством».<sup>3</sup>

ვო. კლუჩევსკი გვარწმუნებს, რომ რუსეთი ან იყო დაინტერესებული სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების შემდგომი ზრდით, მაგრამ თურქეთისა და სპარსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ კავკასიის ქრისტიანული სამეფოებისა და სამთავროების მიმართ აიძულა იგი გადაეღობა კავკასიის ქედი და დახმარებოდა მათ. «В 1783 г. грузинский Царь Ираклий, теснимый Персией, отдался под

<sup>1</sup> <http://www.Gulex.ru>

<sup>2</sup> В.О. Ключевский. Русская история. Полный курс лекций т. 3, Ростов-на-Дону, 1998, გვ. 438.

<sup>3</sup> В.О. Ключевский. Русская..., გვ. 438.

პოკროვიტელსტვო როსსიი; ეკატერინა პრინუჟდენა ბყლა პოსლათ ჳა კავკაზსკიი ხრებე ვ თიფლის, რუსსკიი პოლკ. – წერს კლუჩევსკი – ...so სმერტყუო ეე... პაველ პრინუჟდენ ბყლ პოდდერჟათ გრუზინ... პრინაზლ ცარემ... გეორგია XII. ეტოტ გეორგიი, უმირაყ, ჳავეშჩალ გრუზიო რუსსკოყუ იმპერატორყ, ვ 1801 გ. ვოლეი-ნეველეი პრინსლყ პრინყათ ჳავეშჩანიე».<sup>1</sup>

ვ.ო. კლუჩევსკი გვარწყუნებს, რომ კავკასიის ქელზე მცხოვრები ველური ტომები, რუსეთს არ აძლევდნენ საშუალებას დახმარებოდა საქართველოს და ამიტომ იგი იძულებული გახდა ჩაბმულიყო მათ წინააღმდეგ ომში. «С момента присвоения Грузии и начинается – აღნიშნავს იგი – это продолжительное завоевание Кавказа, кончившееся на нашей памяти... Такой сложный ряд явлений вызвало завещание Георгия XII грузинского. Ведя эту борьбу, русское правительство совершенно искренне и неоднократно признавалось, что не чувствует никакой пользы от дальнейшего расширения своих юго-восточных границ».<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ვ.ო. კოვალევსკი იმისათვის, რომ მიჩქმალოს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის არსი კავკასიაში, არ ერიდება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბებას. იგი დაბეჯითებით გვარწყუნებს, რომ რუსეთს კავკასიაში არავითარი ტერიტორიული ინტერესები არ გააჩნდა. მისი ძირითადი მიზანი იყო ქრისტიანული საქართველოს დაცვა, რომელიც მეფე გიორგიმ უანდერბა რუსეთის იმპერატორს და ამან ჩაითრია იგი ხანგრძლივ კავკასიის ომში.

ისეთ დიდ ისტორიკოსს, როგორც იყო ვ.ო. კლუჩევსკი, დაუშვებელია არ ცოდნოდა, რომ რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიის

<sup>1</sup> В.О. Ключевский. Русская..., გვ. 438.

<sup>2</sup> В.О. Ключевский. Русская..., გვ. 39.

მთიელების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ, XVI ს. ბოლოს. პირველად 1594 წელს. რუსეთის რეგულარული ჯარის ლაშქრობები ვოევოდა ხვოროსტინინის მეთაურობით განხორციელდა დაღესტანში. დასაწყისში, ხვოროსტინინმა წარმატებებს მიაღწია, მაგრამ დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება ვერ შეძლო და დიდი ზარალით უკან დაბრუნდა. საყურადღებოა, რომ რუსეთის მეფემ თევდორე ივანის ძემ, ხვოროსტინინის ლაშქრობის მიზეზად კახეთის მეფის ალექსანდრე ლევანის ძისადმი გაგზავნილ ერთგულების ფიცში და „წყალობის წიგნში“ აღებული ვალდებულებები დაასახელა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს მეფე თევდორე ივანეს ძეს ტიტულატურა: «Государь земли Иверской, грузинских царей и Кабардинской земли, черкеских и горских князей». რა თქმა უნდა, ეს იყო სუფთა სიმბოლური ფორმულა, მოკლებული ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს, მაგრამ იგი იყო რუსეთის სახელმწიფოს ტენდენციის, იმპერიული ცნობიერების უტყუარი ბარომეტრი.

კლუჩევსკისებური რუსული ისტორიოგრაფიის მომხრეებს უნდა შეეახსენოთ, რომ რუსეთის რეგულარული ჯარის შემდგომი ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელდა 1604 წ., ბორის გოდუნოვის მეფობის დროს, ვოევოდების ბუტურლინისა და პლერევის მეთაურობით, რომელიც მთელი ლაშქრისა და ვოევოდების დაღუპვით დამთავრდა.

კავკასიის დაპყრობის შემდგომი ეტაპი დაიწყო პეტრე I-ის, საყოველთაოდ ცნობილი სპარსეთ-კასპიის ლაშქრობის დროს.

ამგვარად, კავკასიის ომის კლუჩევსკისული ინტერპრეტაცია არ შეეფერება სინამდვილეს, იგი იმპერიული აზროვნების სამაგალითო ნიმუშია.

გარკვეულ ინტერესს იწვევს კ.დ. კაველინისა და ბ.ი. კარევის შრომები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის XIX ს. მეორე ნახევრის რუსული იმპერიული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბების საქმეში.

კდ. კაველინი ეხება რა დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციის საკითხს, გამოთქვამს იმპერიულ-შოვინისტური სულისკვეთებით გაუღნთილ მოსაზრებას: «Переселение из густо населенных местностей, даст возможность государству обратить пустыни, особливо на наших окраинах, в обитаемые страны, и тем окончательно и безповоротно сплотить их с государством узами однородного населения, которыя приращивают области крепче и прочнее всякой географической границы и международных трактатов».<sup>1</sup>

ცნობილი მწერლის, იურისტის, ფსიქოლოგის, ეთნოგრაფის, ტახტის მემკვიდრის ნიკოლოზ ალექსანდრის ძის მასწავლებლის კდ. კაველინის მოსაზრებას კოლონიზაციისა და ერთგვაროვანი რუსული მოსახლეობის როლის თაობაზე, ბევრი თავყანისმცემელი და მხარდამჭერი ჰყავდა. მაგ. კ. ბოროზდინი წერდა: «Относительно Кавказа эти слова имеют вещее значение. Он, действительно, только тогда заживет полною жизнью, когда пустыни его заполнятся русским населением, которое укоренившись тут, сделается наилучшим цементом, сплавивающим всю его разноплеменность».<sup>2</sup>

რუსეთის ადგილი მსოფლიო ისტორიაში რუსეთისა და ევროპის ქვეყნების ისტორიკოსების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების, პუბლიცისტების, ლიტერატორებისა და სხვ. სადავო პრობლემური საკითხი იყო და უდავოა, რომ იგი ახდენდა ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების სტიმულირებას. ასე მაგალითად, ჩაადაევის უბრალო მოსაზრებიდან — „ჩვენ არ

<sup>1</sup> К.Д. Кавелин. Крестьянский вопрос. СПб., 1882, გვ. 55; <http://HRONOS.km.ru>

<sup>2</sup> К. Бороздин. Колонизация Кавказа. Отдельный оттиск из журнала «Наблюдатель», №5, СПб., 1885, გვ. 144.

ვეკუთნის არც დასავლეთს და არც აღმოსავლეთს, ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთის და არც მეორის ჰრადიციები“<sup>1</sup>, XIX ს. შუა წანებში ჩამოყალიბდა რუსეთ-ევროპის ურთიერთობის პრობლემების შესწავლისა და ახსნის ორი მიმართულება – მედასავლეთელნი და „თვითმყოფადები“ – სლავოფილები. XIX ს. მეორე ნახევარში სლავოფილების ახალმა თაობამ საკითხი – „რუსეთი თუ ევროპა?“ ახალი მოთხოვნების დონეზე აიყვანა. სლავოფილების ახალი თაობის ისტორიკოსებს შორის დანილევსკის იმპერიულ-შოვინისტურ მოსაზრებებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი დღესაც რუს ისტორიკოსებს შორის პატივსადები მეცნიერია და მოიხსენიებენ, როგორც «Незаурядный мыслитель».<sup>2</sup>

ნ.ი. დანილევსკიმ ცნობილ ნაშრომში – „რუსეთი და ევროპა“, სრულყოფილად ჩამოაყალიბა თავისი დიდმპყრობელური, იმპერიულ-შოვინისტური შეხედულებები, სადაც ამტკიცებს, რომ რუსეთსა და ევროპას შორის არსებობს ისტორიული შეურიგებლობა, იგი ჩვენთვის უცხო და მტრული სამყაროა; აღნიშნულის გასამართლებლად მოჰყავს, ჩვენი აზრით, რუსეთისთვის ძალზე სამარცხვინო არგუმენტები: «После раздела Польши едва ли какое другое действие России возбуждало в Европе такое всеобщее негодование и сожаление, как война с кавказскими горами и, особливо, недавно совершившееся покорение Кавказа. Сколько ни стараются наши публицисты выставить это дело как великую победу, одержанную общечеловеческой цивилизацией, - ничего не помогает. Не любит Европа, чтобы Россия бралась за это дело... что касается горцы и по своей фанатической религии, и по образу жизни, и по привычкам, и по самому свойству обитаемой ими страны, природные хищники и грабители, никогда не

<sup>1</sup> П.Я. Чаадаев. Статьи и письма. М., 1989, გვ. 41.

<sup>2</sup> Я. Гордон. Кавказ: Земля и Кровь. СПб., 2000, გვ. 38.

оставлявшие и не могущие оставлять своих соседей в покое, все это не принимается в расчет».<sup>1</sup>

ნ.ო. დანილევსკის არგუმენტები, მოწოდებული რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამართლებისთვის, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იგი უტიფრად გვიკიჟინებს, რომ რუსეთის ძლევამოსილი იმპერია შექმნილია ჰუმანური პრინციპების დაცვის საფუძველზე. რუსეთის სახელმწიფო შენობა – წერს იგი, – არ დაფუძნებულა გათელილი ხალხების ძვლებზე. მან შეიფარა და დაიცვა ისეთი ტომები და ხალხები, რომლებიც იყვნენ მტრებით გარემოცულნი, უკვე დაკარგული ჰქონდათ თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა, ან არ შეეძლოთ მისი შენარჩუნება, როგორც სომხებსა და ქართველებს. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ, როგორც იქნა დააკმაყოფილა ქართველების სურვილი.<sup>2</sup> «Делая этот шаг, Россия знала, что принимает на себя тяжелую обузу, хотя, может быть, не предугадывала, что она будет так тяжела, что она будет ей стоять непрерывной 60 лет борьбы. Как бы то ни было, ни по существу дела, ни по его форме, тут не было завоевание, а было подание помощи изнемогавшему и погибавшему».<sup>3</sup> (ხაზგასმა – ე.ა.)

რ.ო. დანილევსკის სურს დაამტკიცოს, რომ საქართველო არ არის რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა; რუსეთმა მხოლოდ შეასრულა ჰუმანური მისია – ხელი გაუწოდა ძალ-ღონე გამოცლილ, მომაკვდავ ქვეყანას და მისი დაცვის გამო ჩაება მთიელების წინააღმდეგ 60-იან ომში, მოუხდა სპარსეთთან და თურქეთთან რამდენიმე ომის გადახდა. «В течение этой борьбы ей удалось освободить некоторые христианские населения от

<sup>1</sup> Н.Я. Данилевский. Россия и Европа. СПб., 1885, გვ. 37.

<sup>2</sup> <http://www.monarhiya.narod.ru>

<sup>3</sup> <http://www.monarhiya.narod.ru>

двойного ига мелких владетельных ханов и персидского верховенства. — გვარწმუნებს ნ.ო. დანილევსკი — С этим вместе были покорены магометанские ханства: Кубанское, Бакинское, Ширванское, Шекинское, Ганджинское и Тальшенское, составляющие теперь столько уездов, и Эрევანская область. Назавем, пожалуй, это завоеваниями, хотя завоеванные через это только выиграли».<sup>1</sup> (ზაზგასმა — ე.ა.)

როგორც ვხედავთ, ნ.ო. დანილევსკი იმასაც კი გვიმტკიცებს, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე მანამდე იყვნენ. იგი რუსულ ისტორიოგრაფიაში ამკვიდრებს კონცეფციას, რომ რუსეთი იმპერიად ჩამოყალიბდა არა აგრესიული კოლონიური პოლიტიკის, არამედ საკუთარი თავდაცვის აუცილებლობის, მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების მუსლიმანური აგრესიისაგან დაცვის, ქრისტიანი ერების, ხალხების რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის სურვილის და მათ მიმართ ჰუმანური სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე.

ნ.ო. დანილევსკის დაუსაბუთებელი დებულებები და დასკვნები არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ.

ამჟამად, სადავო არ არის, რომ რუსეთის იმპერიული სახელმწიფო დოქტრინის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო XVI ს. და დამთავრდა XVIII ს. ბოლოს და ეს დოქტრინა უაღრესად აგრესიული იყო: დაუშვებლად მიაჩნდა მის მოსაზღვრე მცირე ქვეყნებთან პარტნიორული, მეგობრული ურთიერთობის დამყარება და ითვალისწინებდა მხოლოდ ძალისმიერი და სხვა იძულებითი მეთოდებით მათ ჩართვას რუსეთის სახელმწიფოს ერთიან სისტემაში.

---

<sup>1</sup> <http://www.monarhiya.narod.ru>

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ, რა თქმა უნდა, გაზარდა კავკასიელი ხალხის უნდობლობა რუსეთის იმპერიის მიმართ, მაგრამ კავკასიის ომი იმპერიული პოლიტიკის ნაყოფი იყო.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ტენდენციური გაშუქების, გაყალბების ნათელ მაგალითს წარმოადგენენ კ. ბოროზდინის, ა. იუროვის, ა.მ. ზაიონჩოვსკის, ნ. ბეშენოვის და სხვათა ნაშრომები.<sup>1</sup>

კ. ბოროზდინი არ მალავს აღშუოთებას იმის გამო, რომ კავკასიის კოლონიზაცია იმპერატორის 1864 წ. 10 მარტის ბრძანებულების შესაბამისად არ ხორციელდება და ჭიანჭურდება და ამიტომ, შეუძლებელი ხდება აქედან ასიათასიანი არმიის გამოყვანა, რომლის შენახვა სახელმწიფოს ყოველწლიურად 24 მილ. რუბლზე უჯდება. «Про нас недаром сложилась поговорка, что мы умеем покорять, а не умеем управлять, и относительно Кавказа она будет неопровержимо до тех пор, пока мы не выполним в нем нашей прямой миссии - заселение его... русским народом».<sup>2</sup> – წერს კ. ბოროზდინი.

კ. ბოროზდინის იმპერიულ-შოვინისტურ, სხვა ერების დამამცირებელ და შეურაცხყოფელ შეხედულებებს საზღვარი არა აქვს. იგი შეწუხებულია იმით, რომ რუსების სისხლით მოპოვებულ მიწებზე რუსი „მუჟიკის“ ნაცვლად სახლდებიან სომხები, პოლონელები და სხვ. თბილისის და ქუთაისის თავადაზნაურობა განსაკუთრებულად მცირერიცხოვანი და ღარიბია, – აღნიშნავს კ.

---

<sup>1</sup> К.А. Бороздин. Колонизация Кавказа, Отдельный оттиск из жур. «Наблюдатель», №5. СПб., 1885; К.А. Бороздин. Кавказские воспоминания. СПб., 1885; А. Юров. Три года на Кавказе. 1837-1840. КСБ., т. VI, 1882, т. VIII, 1887, т. IX, 1885; А.М. Зайончковский. Восточная война 1853-1856 гг. в связи с современной ей политической обстановкой, 2-х томах. СПб, 1908; Н. Бешенов. Пятидесятилетие покорения Западного Кавказа и окончание Кавказской войны, Тифлис, 1914.

<sup>2</sup> К.А. Бороздин. Колонизация..., გვ. 142.



ბოროზდინი – არაფრით არ არიან დაკავებული და მალე საშიში ელემენტი გახდება.<sup>1</sup> მას განსაკუთრებით აწუხებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სომხების მასობრივი ჩასახლების ფაქტი. «Это племя выделило из себя значительную группу торгашей, – წერს იმპერიულ-შოვინისტური ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული რუსი პუბლიცისტი კ. ბოროზდინი – нажившуюся исключительно из русского казенного сундука; затишье и мирная полоса на Кавказе не с руки ей, а нужна постоянная военная суматоха. ...Последняя война оставила в сундуках армянских подрядчиков десятки миллионов. Эти деньги содействуют пышному расцвету армянской якобы-интеллигенции, имеющей не последний голос и в администрации, по значительному контингенту служащих в ней армян, а при таких благоприятных условиях, якобы-интеллигенция не на шутку занимается своим идейным, национальным делом и подготавливает возрождение будущего армянского царства. Первыми кадрами этого царства, по плану патриотов, является Эриванская губерния и Карская область, в которых русского мужика не пускают селиться, а под шумок заселяют турецкими армянами из Малой Азии».<sup>2</sup>

კ. ბოროზდინი აერთხილებს ხელისუფლებას, რომ სეპარატისტული იდეების გავრცელება ხდება კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ენებზე გამოცემული პრესის მეშვეობით. როგორც ვიცით, XIX ს. მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემამ მაღალ დონეს მიაღწია.

<sup>1</sup> К.А. Бороздин. Колонизация..., გვ. 142.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 142-143.

ქართული საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული აზრის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ზდანევიჩის (მაიაშვილის), ანტონ ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა პუბლიცისტურ, ლიტერატურულ, ისტორიულ და სხვ. შრომებს.

ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა გაზ. „საქართველოს მოამბე“ (1863), შემდგომ – „დროება“ (1866), რომლის პარალელურად გამოდიოდა „სასოფლო გაზეთი“. 1877 წელს. მის მიერ დაარსებული იქნა გაზეთი „ივერია“.

კავკასიის ხალხების კულტურის ოდნავი წინსვლაც კი აღიზიანებდა იმპერიულ-შოვინისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ რუს პოლიტიკოსებს, ისტორიკოსებს, პუბლიცისტებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

კ. ბოროზდინი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელიც ხელისუფლების რუპორის როლს ასრულებდა და კავკასიელთა მიმართ უტიფარ, ღვარძლითა და გესლით სავსე სტატეებს წერდა. «Завелась на Кавказе и своя пресса, на туземных языках, – წერს იგი – и в ней, смотря по тому, что удобнее, открыто или между строк, пропагандируется сепаратизм».<sup>1</sup>

კ. ბოროზდინი აღელვებული და შეწუხებულია კავკასიაში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინაღმდეგ ბრძოლის აღმავლობით და ამის დასადასტურებლად მაგალითისთვის მოჰყავს საქართველო: «Грузия, нап. приравнивается к Швейцарии и к Соединенным Штатам, и приводится мысль, что она должна, рано или поздно, отделиться также, как и те, от своей метрополии».<sup>2</sup>

კ. ბოროზდინი კავკასიაში მცხოვრები პოლონელების მიმართაც უნდობლადაა განწყობილი. იგი მათ რუსეთის იმპერიის მტრებად

<sup>1</sup> К.А. Бороздин. Колонизация..., გვ. 143.

<sup>2</sup> იქვე გვ. 143.

მიიჩნევს და ამის დასადასტურებლად მოჰყავს ჰაგალითი – „თბილისელმა პოლონელებმა თავიანთი პატრიოული საქმისთვის“ სახსრები შეაგროვეს... 1863 წლის აჯანყების ჩახშობის გამო, პოლონელი ქალები შავი სამოსით დადიოდნენ“<sup>1</sup>.

ბოროზდინის აზრით, გარდა ზემოთმოყვანილი მიზეზებისა, კავკასიის სრული კოლონიზაციის გადავადება შეუძლებელია, რადგან საკუთრივ რუსეთში გადასახლების პოლიტიკის პრობლემები მოუგვარებელია და მწვავედ დგას, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერავითარი ტრაქტატი, ვერავითარი ინტენსიური მეურნეობის განვითარება. «Колонизацию Закавказья русским населением откладывать уже невозможно и потому, что внутри самой русской земли стоит на очереди вопрос переселенческий, – წერს კ. ბოროზდინი – которого не заговоришь никакими трактатами о развитии интенсивного хозяйства... Колонизация Кавказа также неотразима для нашего отечества как когда-то было неотразимо и его покорение».<sup>2</sup> იგი, ამავდროულად, მიუთითებს იმ ტერიტორიებს, სადაც ხელისუფლებამ უნდა ჩაასახლოს რუსი „მუყიკი“: «Мы укажем, напр., на левом берегу Алазани в Телавском уезде, на Лопатинском ущелье; князя Чавчавадзе радешеньки будут, если его заселят и заплатят им за него хорошие деньги. Далее идут пустыри Закатальского округа, по той же Алазани, степи Ширакская, Элдарская, Муганская, Лорийская, Сардарабадская, пустынные пространства Карской и Батумской областей и т.д.»<sup>3</sup> ფაქტობრივად, ავტორმა ამიერკავკასიაში კოლონიზაციისთვის გათვალისწინებული ტერიტორიების ნუსხა წარმოაჩინა, რომელიც

<sup>1</sup> К.А. Бороздин. Колонизация..., გვ. 143.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 144.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 145.

პუბლიცისტის ფანტაზიის ნაყოფი კი არა, არამედ 1866 წ. იმპერატორის მიერ დამტკიცებული კავკასიის კოლონიზაციის გასაიდუმლოებული გეგმიდან ამოღებული მონაცემებია. «Не мешало бы – აღნიშნავს ავტორი – и не держать вопроса о Колонизации Кавказа в секрете».<sup>1</sup>

და ბოლოს, კ. ბოროზდინი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება გამოასწორებს დაშვებულ შეცდომებს, განახლებს კავკასიის კოლონიზაციის გეგმასა და ენერგიულად შეუდგება მის განხორციელებას. «нет никакого сомнения, что как только правительству удалось установить, – ეჭვსგარეშე წერს იგი – не без значительных затрат и жертв, первые кадры русской колонизации, они сами собою потянули бы к себе переселенцев массами из внутренних губерний».<sup>2</sup>

უფლის წყალობითა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა დიდი ძალისხმევით, რუსეთმა საქართველოს კოლონიზაციის მზაკერული გეგმა ვერ განახორციელა იმ მასშტაბებით, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში.

კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი აპოლოგეტი, მეფის რუსეთისა და შემდგომ წითელი არმიის გენერალი ა.მ. ზაიონჩკოვსკი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში – „აღმოსავლეთის ომი“ კავკასიის დაპყრობას წარმოაჩენს, როგორც რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონზომიერ ქმედებას, ხოლო კავკასიის ომს განიხილავს, როგორც დაუმორჩილებელი მთიელების წინააღმდეგ განხორციელებულ იძულებით აქტს.

ამგვარი მოსაზრებისაა ა. იუროვი.

---

<sup>1</sup> К.А. Бороздин. Колонизация..., გვ. 146.

<sup>2</sup> იქვე გვ. -47.

ისტორიკოსი ნ. ბეშენოვი ყოველგვარი სინდისის ქვეყნის გარეშე წერს, რომ კავკასიის ომის დასკვნითი ეტაპის დიდი მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ სამხედრო მოქმედებების შედეგად, ისტორიული რუქიდან ამოღებულია ზოგიერთი ველური კავკასიელი ტომი.<sup>1</sup>

ოქტომბრამდელ ქართველ ისტორიკოსებს შორის, რომლებიც წერდნენ კავკასიის ომის ისტორიის საკითხებზე, გამოირჩევიან ს.ს. ესაძე,<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე,<sup>3</sup> კ.დ. მაჭავარიანი,<sup>4</sup> რომელთა შრომებში კავკასიის ომი გაშუქებულია, ისევე, როგორც XIX ს. რუსი ისტორიკოსების, დიდმპყრობელურ-იმპერიული პოზიციებიდან.

სამხედრო ისტორიკოსი ა.ს. ესაძე ამართლებდა რა რუსეთის არმიის მოქმედებებს დასავლეთ კავკასიაში, წერდა: «...Для обеспечения сообщений с Закавказским краем и для самого спокойствия на кордонных линиях необходимо было силою оружия держать в повиновении враждебные племена».<sup>5</sup>

ზ. ჭიჭინაძეს მიაჩნია, რომ მუდმივი კავკასიური ემიგრაცია ძირითადად გამოწვეულია თურქეთის რელიგიური პოლიტიკით,<sup>6</sup> ხოლო კ. მაჭავარიანი მხარს არ უჭერს მთიელთა გადასახლების რელიგიურ მოტივაციას და მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ თავადებსა და წარჩინებულ პირებს, რომლებიც სარგებლობდნენ მთაში არსებული გვაროვნულ-პატრიარქალური ურთიერთობით და „აიძულებდნენ“ თავიანთ მოგვარეებსა და ნათესავებს მათთან ერთად თურქეთში გადასახლებას. კ. მაჭავარიანი

<sup>1</sup> Н. Бешенов. Пятидесятилетие..., გვ. 4-5.

<sup>2</sup> С. Эсадзе. Историческая Записка об управлении Кавказом. Тифлис, 1907; Покорение Западного Кавказа, Тифлис, 1914.

<sup>3</sup> ზ. ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი - ემიგრაცია. თბ., 1912.

<sup>4</sup> К.Д. Мачавариани. Путеводитель по Сухуми и Сухумскому округу. Сухум, 1913.

<sup>5</sup> С. Эсадзе. Покорение..., გვ. 6.

<sup>6</sup> ზ. ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთ..., გვ. 162.

აღნიშნავს, რომ ფეოდალები ტყუილუბრალოდ კი არ აძლევდნენ თავიანთ შვილებს აღსაზრდელად ძიძებს. ეს ხელოვნური ნათესაობა მათ სჭირდებოდათ: «Быть как можно ближе к простому сословию или соседним племенам, чтобы снискать у них расположение и преданность к себе».<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ კ. მაჭავარიანი იზიარებს რ.ა. ფადეევის მიერ დამკვიდრებულ მოსაზრებას მთიელთა გადასახლების თაობაზე. როგორც ვიცით, რ.ა. ფადეევი კავკასიის ომის ისტორიას წერდა რუსეთის იმპერატორის დავალებითა და თვალთახედვით, იგი მთიელთა მასობრივი გადასახლების ძირითადად მიზეზად თვლიდა: «Движение это, действует как поветрие, идет один, за ним идет его родственник и так дальше».<sup>2</sup>

მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ მოყვანილ ქართველ ისტორიკოსთა შრომებს, სადაც თავმოყრილია უამრავი ფაქტობრივი მასალა, მთლიანად მაინც არ დაუკარგავთ ისტორიოგრაფიული ღირებულება.

აღნიშნული პერიოდის მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწეების შეხედულებები, მოსაზრებები რუსეთის სახელმწიფოს დისკრიმინაციული, ეთნოწმენდისა და გენოციდის პოლიტიკის საკითხებზე, რომლებიც ძირითადად იბეჭდებოდა გაზეთებში – „დროება“, „ივერია“, «Русские ведомости», «Голос», «Тифлиский вестник», შეტანილი იქნება შრომის მეორე ტომში.

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვაუწყოთ მკითხველს, რომ წინამდებარე ტომის მესამე ნაწილში გვექნება საუბარი იმ დიდ „წვლილზე“, რომელიც შეიტანეს საბჭოთა მკვლევარებმა ჩრდილოეთ კავკასიის უახლესი ისტორიის გაყალბებაში და ბოლშევიკური ნეოკოლონიზატორული აზროვნების განმტკიცების საქმეში.

<sup>1</sup> К.Д. Мачавариани. Путешествие..., გვ. 317.

Р.А. Фадеев. Эпос соч. т. 1, ч. 2, გვ. 74.

## ВСТУПЛЕНИЕ

Автор настоящего труда чувствует, что период, взятый в качестве предмета исследования, является временем, полным больших противоречий и трагических событий для народов, населявших Российскую империю, в особенности для народов Северного Кавказа.

Изучение и освещение отрезка новейшей истории Российской империи, взятого как предмет исследования, несмотря на то, что для этого имеются официальные возможности, все же сопряжено с некоторыми трудностями, поскольку определенная часть российского общества все еще находится в плену державнических идей и трагически воспринимает любую критику колониальной политики своей страны, новое, объективное освещение истории прошлого и современности.

როგორც ცნობილია, პატრიარქ ნიკონის საეკლესიო რეფორმამ გამოიწვია განხეთქილება. 1666-1667 წწ. საეკლესიო კრებამ რეფორმის მოწინააღმდეგეები დასწყევლა და მათი საქმის განხილვა გადასცა სამოქალაქო ხელისუფლებას.<sup>1</sup> რეფორმების მოწინააღმდეგეები, რომლებსაც „სტარობრიადეცებს“ (რასკოლნიკებს) უწოდებდნენ, განიცდიდნენ სასტიკ დევნას. რასკოლნიკები მასიურად გარბოდნენ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან სამხრეთის სტეპებში. 1682 წ. რასკოლნიკები ორ ჯგუფად გაიყვნენ, ერთმა კოსიუკის მეთაურობით თავი შეაფარა დონის ზედა წელს, მეორე – იგნატი ნეკრასოვის თაოსნობით ჩაბარდა ყირიმის ხანს კაპლან გირეის. შემდგომში, ნეკრასოველთა შთამომავლობის ერთი ნაწილი რუსეთში დაბრუნდა, ზოლო მეორე – ყირიმელ თათრებთან ერთად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ.

XVII ს-ის ბოლოს დონზე კაზაკთა დასახლების რაოდენობა შეადგენდა 125-ს. მოსახლეობა XVIII საუკუნემდე ძირითადად დაკავებული იყო ნადირობითა და მეთევზეობით. დონის კაზაკები ნადავლის მოპოვების მიზნით სისტემატურად თავს ესხმოდნენ თურქეთის აზოვის, კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროებს. 1637 წელს დონის კაზაკებმა თურქეთს წაართვეს აზოვი, რომელსაც ფლობდნენ 1642 წლამდე.

XVI საუკუნის ბოლოსთვის ძირითადად ჩამოყალიბდა რუსეთის საზოგადოების სპეციფიური ნიშნები. ქვეყნის

---

<sup>1</sup> История России. рук. автор. колл. А.А. Данилов, т. I, М., 1995, გვ. 108.

განვითარების თავისებურმა გზამ ჩამოაყალიბა დასავლეთევროპული ქვეყნებისაგან ხარისხობრივად განსხვავებული ფეოდალიზმის რუსული ტიპი. მისი დამახასიათებელი ნიშნები იყო სახელმწიფოს ჰიპერტროფიული როლი, თვითმპყრობელობა და ბატონყმობა.

სახელმწიფო რაც უფრო აძლიერებდა გლეხობის დაყმევების პროცესს, მასიურ ხასიათს ღებულობდა ყმაგლეხთა გაქცევები დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკთა ტერიტორიებზე. აქ გაქცეულ (беглых) გლეხებს „გოლიტბას“ (შიშვლებს) უწოდებდნენ, ხოლო კაზაკებს „დომოვიტებს“. XVII ს. მეორე ნახევრისათვის დონზე „გოლიტბას“ რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რომლებსაც სურდათ კაზაკობის უფლებების მოპოვება, რაც იწვევდა „დომოვიტების“ უკმაყოფილებას. „გოლიტბა“ იძულებული გახდა სტეფანე რაზინის მეთაურობით დაეტოვებინა ჩერკასკი და დაეკავებინა ვოლგისა და კასპიის ზღვის სავაჭრო გზები. „დომოვიტი“ კაზაკებმა შეიპყრეს სტეფანე რაზინი და გადასცეს ხელისუფლებას (1671). რაზინის დამარცხების შემდგომ, მეფე ალექსი მიხეილის ძე დაკმაყოფილდა, მხოლოდ ჩერკასელი კაზაკების ერთგულების ფიცით. კაზაკები კვლავინდებურად სარგებლობდნენ ფართო ავტონომიით; დამოუკიდებლად ირჩევდნენ თავიანთ მმართველობით ორგანოებს: სამხედრო წრეს – უმაღლესი მმართველობითი ორგანოს, სასამართლოს და აღმასრულებელ ორგანოებს – ატამანს; 2. ესაუღსა და დიაკონს; ლაშქრობის დროს სპეციალურად ირჩევდნენ მოლაშქრე ატამანს განუსაზღვრელი უფლებებით. გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი

პოკროვსკი წერდა: «...В основе западно-русского казачества, как и восточного, лежала обязательная военная служба всего пограничного населения, нельзя даже сказать «служба», потому что с этим словом связывается представления о некоторых принуждениях сверху, а здесь, на окраине степи, откуда ежедневно появлялись татары,

человеку, естественно, нужно было быть военным... Грабежи татарских стад, «слупление» чабанов соседних турецких городов входили в круг промыслов южно-русской степи точно так же, как грабежи туземцев в круг промыслов и южно-африканских колонистов».<sup>1</sup>

სტეფანე რაზინის ღამარცხების შემდგომაც, კაზაკების „სამფლობელოები“ ღია იყო რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გამოქცეული ყმაგლეხებისათვის; კაზაკები კვლავინდებურად სარგებლობდნენ თევზჭერის, ნადირობის, წიაღისეულის სიმდიდრის ექსპლუატაციისა და უბაჟო ვაჭრობის უფლებებით. ფართო გაქანება მიეცა ყჩაღურ ვაჭრობას (разбойничья торговля), ხელისუფლების ნებართვის გარეშე მიწების დატაცებასა და იქ კაზაკური ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

XVII ს. ბოლო პერიოდამდე ქვეყნის სამხრეთ საზღვრების დაცვა კაზაკების ძირითადი ფუნქცია იყო. რეგულარული არმიის გაძლიერებასთან ერთად, კაზაკობაც თანდათანობით კარგავს ამ ფუნქციას.

პირველი დარტყმა კაზაკთა თავისუფლებას მიაყენა პეტრე I-მა და დაამთავრა ეკატერინე II-მ.

ყმაგლეხების და სხვა მუშახელის მასიური გაქცევა სამხრეთში იწვევდა შიდა რუსეთის მეურნეობის მოშლას. ამ პროცესის შეჩერების მიზნით, პეტრე I-მ დაიწყო კაზაკობის თავისუფლების შეზღუდვა. 1682 წელს ღონის კაზაკებს აეკრძალათ გაქცეული „ბოიართა ხოლოპების“ შეფარება და დასაქმება; კაზაკთა მოსაზღვრე გუბერნიებში შეიქმნა სამხედრო პოსტები, რომელთა მთავარი დანიშნულება იყო „გაქცეულთა“ დაბრუნება მათ მემამულეებთან,<sup>2</sup> ხოლო ვოევოდას მიეცა უფლება:

<sup>1</sup> М. Покровский. «Русская история...», т. I, М., 1991, გვ. 164-165.

<sup>2</sup> Письма и бумаги Петра Великого, М., т. XII, 1962, გვ. 265.

– «пойманных вешать и бить кнутом, а подговорщиков ссылая навеки на каторжные работы».<sup>1</sup> ხელისუფლებამ ღონიდან გამოასახლა 1695 წლის შემდგომ „გაქცეული“ 3000 ყმა გლეხი.<sup>2</sup>

1703 წელს ხელისუფლებამ აღწერა ღონის კაზაკთა დასახლებები და აკრძალა თავისუფალი მიწების დაკავება.<sup>3</sup> პეტრე I-ის ამ ღონისძიებებმა გამოიწვია კონდრატე ბულავინის აჯანყება (1707-1708). ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს (700 კაზაკი დაიღუპა), ბულავინმა თავი მოიკლა, დანგრეული იქნა კაზაკთა ქალაქები – მედვედიცე, ზოპრა და ბუზულუკი, რომელთა მოსახლეობა გადმოასახლეს ყიზლარში, მოზდოკში და სტავეროპოლში.<sup>4</sup> 1721 წელს პეტრე I-მა – აკრძალა კაზაკთა ატამანის არჩევნები.<sup>5</sup> სამხედრო კოლეგიას დაევალა კაზაკთა მმართველობის, სამეურნეო და სამხედრო საქმიანობის ხელმძღვანელობა და ატამანების დანიშვნა, რომლებსაც განწესებულ (наказной) ატამანებს უწოდებდნენ.

კაზაკობის ავტონომიური უფლებების შეზღუდვის პროცესი გაგრძელდა ანნა ივანეს ასულის მეფობის დროს (1730-1740 წწ.). 1732 წელს მეფის ბრძანებით კაზაკებს შეუზღუდეს ღონზე და აზოვის ზღვის სანაპირო ზოლში თევზჭერის, მარილის მოპოვებისა და მისი გასაღების უფლებები.<sup>6</sup> მდინარე ღონზე

---

<sup>1</sup> Известия общество любителей изучения Кубанской области, вып. 2, Новочеркасск, 1990, გვ. 4.

<sup>2</sup> Известия общество..., გვ. 4.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>4</sup> Н.А. Япчевский. Гражданская борьба на Северном Кавказе, т. 1, Ростов н/д, 1927, გვ. 9.

<sup>5</sup> Акты, относ. к истории Войска Донского, собранные генерал-майором А.А. Лишным, т. 1, ч. 2, Новочеркасск, 1894, გვ. 175, 189.

<sup>6</sup> Акты, относ. к истории..., გვ. 175, 189.



ციხესიმაგრის წმ. ანის (როსტოვი) აშენების შემდგომ კაზაკებს აეკრძალათ თურქეთთან უბაჟოდ ვაჭრობის უფლება.<sup>1</sup>

რუსეთი, რომელიც XVII საუკუნიდან ჩაერთო საერთაშორისო პურის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში, ინტენსიურად აგრძელებდა კოლონიზაციის პროცესს. მოსკოვის რუსეთის ტერიტორია XVI ს. ბოლოდან გაიზარდა 430 ათასიდან 5,4 მილ. კვ.მ-მდე ე.ი. გაიზარდა 12,5-ჯერ. XVI საუკუნიდან XVII ს. ბოლომდე მისი ტერიტორია ყოველწლიურად იზრდებოდა 35 ათასი კვ.მ-ით, რომელიც თანამედროვე პოლანდიის ტერიტორიის ტოლია.<sup>2</sup> რუსეთის მოსახლეობა 1719 წლიდან 1796 წლამდე გაიზარდა 15,5 მილიონიდან 37,2 მილიონამდე.<sup>3</sup> აქედან, კოლონიზირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა შეადგენდა ქვეყნის – 40%-ს.<sup>4</sup>

რაც შეეხება კაზაკებს, ამ დროისთვის ისინი მთლიანად დამორჩილდნენ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ნებას. 1763 წ. ეკატერინე II-ის ბრძანებით კაზაკებს დაუწესდა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

XV ს. დასასრულს რიაზანის სამთავროდან გამოქცეული საზღვრის მოდარაჯე კაზაკები და გლეხები დასახლდნენ მდინარე თერგის სათავესთან, კავკასიის ქედის მთის თხემებს შორის, ამიტომ ისინი თავიანთ თავს გრებნელ კაზაკებს უწოდებდნენ.<sup>5</sup> XVI ს. აქ გადმოსახლდნენ მდ. კალიტვის აუზიდან ღონის კაზაკები.

ამგვარად, კაზაკებმა XVI ს. პირველი ნახევრისთვის დაიკავეს მდ. თერგის სათავესთან, არღუნისა და სუნჟის შესართავთან ყაბარღოსა და ყუმაყეთის საზღვრისპირა

---

<sup>1</sup> История России, рук. А. Данилов, გვ. 91.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 125.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 125.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 125.

<sup>5</sup> Гребень – მთის თხემი; Гребенские, гребенчатый – სავარცხლისებრი, სავარცხლური.

ტერიტორიები. ყაბარდოსა და ყუმიყეთის მფლობელები არ ეწინააღმდეგებოდნენ კაზაკების ჩასახლებას მათ საზღვრისპირა ზოლში, რადგან ვერ უმკლავდებოდნენ ყირიმელი და ნოღაელი თათრების ხშირ შემოსევებს. კაზაკები იცავდნენ რა თავიანთ თავს, ამავედროულად, ყაბარდოს საზღვრების მცველების როლშიც გამოდიოდნენ. მათ ხშირად უწევდათ გაერთიანებული ძალებით ყირიმელი და ნოღაელი თათრების შემოსევების მოგერიება.<sup>1</sup>

XV-XVI სს. ყაბარდო ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ტერიტორიას ფლობდა. ყაბარდოელებს ეკავათ თერგის ხეობის მარცხენა სანაპიროს ბარისა და მთის ზოლი, ხოლო მარჯვენა სანაპირო – მდინარე სუნჯამდე, მისი სამხრეთი საზღვარი აღწევდა მდინარეების დიდი და პატარა ყუმის შესართავამდე, ხოლო დასავლეთის საზღვარი, აღნიშნულ პერიოდში, ჯერ კიდევ, საბოლოოდ არ იყო დადგენილი.

XVI საუკუნეებში შოლოხი ტაუსულტანოვის მთავრობის დროს, ეს ტერიტორია გაიყო ორ ნაწილად – დიდ და მცირე ყაბარდოდ.<sup>2</sup> მცირე და დიდი ყაბარდოს ბარისა და მთის ზოლის ტერიტორიები, ძირითადად, მესაქონლეობის განვითარებისათვის გამოიყენებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას ბალყარელებზე, იმ განსხვავებით, რომ თუ ყაბარდოელებს მარცვლეული კულტურებიც მოჰყავდათ, მათ ამის საშუალებას ბუნებრივი პირობები არ აძლევდა.

მოსკოვის სამეფო კარს კარგად ესმოდა, რომ ყაბარდოში რუსეთის გავლენის გაძლიერება ხელს შეუწყობდა არა მარტო მისი ინტერესების დაცვას ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ გაუადვილებდა ყირიმელი და ნოღაელი თათრების წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ, მან სასწრაფო ზომები მიიღო, რათა თერგის სათავესთან ჩასახლებული კაზაკები სახელმწიფოს ინტერესების-

<sup>1</sup> СИЭ. т. 14, გვ. 201.

<sup>2</sup> Э.Э. Карданов Аграрное движение в Кабарде и Балкарии. Нальчик, 1969, გვ. 17.

თვის გამოეყენებინა. მოსკოვმა დაიწყო მღვ. მომარაგება ხორბლით, მარილით, შეიარაღებითა და ტყვიანობით.

რუსეთმა ისარგებლა ყაბარდოს ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სისუსტით, რომელიც XVI ს.<sup>1</sup> დაიწყო განუწყვეტელი ფეოდალური ომებითა და ყირიმის სახანოს შემოსევების შედეგად.

რუსეთი XVI ს. დასაწყისისთვის კიდევ უფრო გაძლიერდა. 1462-1533 წლებში ვასილი III-ის დროს რუსეთის ტერიტორია 6,5-ჯერ გაიზარდა – 430 ათასი კვ.კმ-დან 2,8 მლნ კვ.კმ-მდე, ხოლო XVI ს. დასასრულს მან მიაღწია 5,4 მილ. კვ.კმ, რაც მთელი დანარჩენი ევროპის ტოლი იყო.<sup>1</sup>

რუსეთმა ყაზანისა (1552) და ასტრახანის (1556) სახანოების დაპყრობის შემდეგ, ვოლგის აუზის სავაჭრო გზაზე გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა და კავკასიის უშუალო მეზობელი გახდა. «Московское государство, завладев Казанью и Астраханью, стало на всем протяжении хозяйном крупнейшего торгового пути из Европы в Персию и Среднюю Азию – реки Волги. Путь этот имел в те дни относительно большое значение, чем в наше время, так как тогдашним Европа не могла обойтись без некоторых азиатских товаров, главным образом, без шелку».<sup>2</sup>

ყაბარდოს მთავარი თემრიუკ იდაროვი ქვეყანაში ვერ პოულობდა ისეთ ძალას, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა სამთავროს ერთიანობის აღდგენა. ქვეყნის გაერთიანების შესახებ თავადებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობდა.

თავადთა ერთ ნაწილს, თემრიუკ იდაროვის მეთაურობით, მიაჩნდა, რომ მხოლოდ რუსეთის დახმარებით იყო შესაძლებელი

<sup>1</sup> История России, рук. автор. колл. А.А. Данилов, гл. 7:.

<sup>2</sup> М.П. Покровский. Русская история..., т. 2, гл. 47.

ქვეყნის შინაური და გარეშე მტრების დამარცხება და ერთიანი სამთავროს აღდგენა-შენარჩუნება. თემრიუკ იღაროვს, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთი უფრო რეალურ ძალად მიაჩნდა, ვიდრე ყირიმის სახანო, რომელიც გამუდმებით თავს ესხმოდა ყაბარდოს, ძარცვავდა და აჩანაგებდა მას. იღაროვის თაოსნობით ყაბარდოელი თავადების ნაწილმა 1552 წლის ნოემბერში, მოსკოვში ივანე IV-ს მიმართეს თხოვნით – ჩერქეზთა ტომების რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მიღებისა და ყირიმის ხანის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის თაობაზე. «...Приехали к государю Царю и Великому князю Черкесские государи князя Машук-Князь, да князь Иван Езболзуков, да Ташук-князь быти челом, – ნათქვამია ყაბარდოელ თავადთა სიგელში – чтобы их государь пожаловал, вступился в них, а их с землями взял к себе в холопы. а от Крымского царя оборонил».<sup>1</sup>

1555 წელს ყაბარდოელებმა კვლავ გააგზავნეს ელჩობა მოსკოვში, რომელმაც ივანე IV-ს ყაბარდოელი ხალხის სახელით სთხოვა – «Чтоб государь пожаловал, дал им помощь от турецкого города и на Азов и на иные города и на Крымского царя, а они холопы Царя и Великого князя и с женами и с детьми во веки».<sup>2</sup>

ივანე IV კარმა დიდი პატივით მიიღო ყაბარდოს ელჩობა და ხელიდან არ გაუშვა ხელსაყრელი მომენტი – რუსეთმა სუნჯისა და თურგის შესართავთან მიიღო ციხესიმაგრის მშენებლობის

---

<sup>1</sup> Кабардо-русские отношения в XVI-XVIII вв. Документы и материалы в 2-х томах, т. 1, XVI-XVII вв. М., 1957, გვ. 3.

<sup>2</sup> Кабардо-русские..., გვ. 4.

უფლება, რომელიც ცნობილი გახდა თერკას სახელით.<sup>1</sup> 1557 წ. ყაბარდომ მიიღო რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობა.<sup>2</sup>

1557 წლის ხელშეკრულებით, რუსეთმა ყაბარდოს სახით, უდანაკარგოდ მოიპოვა კავკასიის შემდგომი კოლონიზაციის სამხედრო-სტრატეგიული ბაზა. ივანე IV-მ 1567 წელს დააარსა თერგის საოლქოლო, ხოლო მდინარე თერგის გასწვრივ – მთელი რიგი კაზაკთა სტანიცები.

აღსანიშნავია, რომ ყაბარდოელი თავადის თემრიუკ იღაროვის შვილები მარიამი და სულთანი მოსკოვში, სამეფო კარზე იზრდებოდნენ. შემდგომში, მათ ქრისტიანობა მიიღეს. 1561 წ. 21 აგვისტოს ივანე IV-მ მარიამი ცოლად შეირთო, მეფის კარს რამაც კიდევ უფრო დაახლოვა ყაბარდოს თავადთა ის ნაწილი, რომლებიც ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად რუსეთის ქვეშევრდომობას მიიჩნევდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთი დასაწყისში არ ერეოდა ყაბარდოს საშინაო საქმეებში.

თემრიუკ იღაროვის საგარეო-პოლიტიკური კურსის უკმაყოფილო თავადებმა, რომლებსაც იგი ქვეყნის მოღალატედ მიაჩნდათ, მოუკლეს მას ვაჟიშვილები – მამსტრუკი და დომანიუკი. დამნაშავე მამის ნაცვლად, უდანაშაულო ახალგაზრდების მოკვლა, არაფრით არ შეიძლება იყოს გამართლებული, მაგრამ მთის დაუწერელი კანონები მკაცრია და ბევრ შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანები ხდებიან ამ კანონების მსხვერპლნი.

რუსული ისტორიოგრაფია, ივანე IV-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, სავსებით სამართლიანად ყაბარდოს რუსეთთან შეერთებას მიიჩნევს: «Кавказ

---

<sup>1</sup> Н.Ф. Грабовский. Присоединение Кабарды к России и борьба ея за независимость, «Сборник сведений о кавказских горцах», вып. 9, Тифлис, 1876, გვ. 115.

С. Эсадзе. Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны, Тифлис, 1914, გვ. 1.

попадает в сферу русской политики в половине XVI века», –  
წერს მ.პ. პოკროვსკი.<sup>1</sup>

1582 წ. ღონის კაზაკთა მეორე დიდი ჯგუფი გადმოსახლდა  
გრებნელთა მეზობლად, მდინარე აქტაშეს აუზში.<sup>2</sup>

აღნიშნულ პერიოდში რუსეთი ძირითადად დაკავებული იყო  
ლივონიის ომით (1558-1583) და ამავედროულად, უხდებოდა  
ყირიმის თათრების სზირი შემოსევების მოგერიებაც. 1571 წ.  
ყირიმის ხანმა დევლეთ-გირეიმ მოსკოვი თითქმის მთლიანად  
გადაწვა.<sup>3</sup>

მოსკოვის სახელმწიფო ოცდახუთწლიან ლივონიის ომში  
დამარცხდა. ამას დაემატა დიდი შფოთი და ეკონომიკური  
კრიზისი, რომელიც XVII ს. 50-იან წლებამდე გაგრძელდა.  
მიუხედავად იმისა, რომ XVI ს. ბოლო მეოთხედში რუსეთის  
ძლიერება შეირყა და დასუსტების გზას დაადგა, მან მოახდინა  
თავისი მეზობელი ხალხების დაპყრობის უპრეცედენტო  
დემონსტრაცია. XVI ს. მოსკოვის სახელმწიფომ დაიპყრო შუა და  
ქვემო ვოლგისპირეთის, ურალისა და დასავლეთ ციმბირის  
ხალხები. ამ პერიოდში რუსეთს არ ეყო ძალა ჩრდილოეთ  
კავკასიის ხალხების დამორჩილებისთვის. ამიტომ, იგი არ ერეოდა  
ყაბარდოს საშინაო საქმეებში და ჩრდილოეთ კავკასიის  
კოლონიზაციის საკითხი ღროებით კაზაკებს მიანდო. გრებნელებმა  
რუსეთში შფოთის პერიოდში, მძიმე სამსახური იკისრეს და  
რუსეთის კოლონიური პოლიტიკის თავგამოდებული დამცველები  
გახდნენ. გრებნელი კაზაკები იმდენად გაძლიერდნენ, რომ 1590  
წელს ტარკის საშამხლო დალაშქრეს და დიდი ნადავლით უკან  
დაბრუნდნენ.

---

<sup>1</sup> М.П. Покровский. Русская история..., გვ. 47.

<sup>2</sup> СИЭ. т. 14, გვ. 201.

<sup>3</sup> И.И. Пантюхов. Влияние малярии на колонизации Кавказа,  
Тифлиси, 1899; გვ. 9.

ყირიმის სახანო კაზაკთა დასაპლებას ყაბარდოს საზღვრებთან ვერ ურიგდებოდა. მან 1685 წ. გრებნელი კაზაკები მთის ზოლიდან აყარა, ხოლო 1707 წ. ყუბანის სულთანმა კაიბმა, ყირიმისა და თურქეთის წაქეზებით, მათი დასახლებების დიდი ნაწილი გაანადგურა.<sup>1</sup> 1712 წ. გრებნელი კაზაკები გადასახლდნენ მდ. თერგის ქვედა წელში.

რუსეთის სახელმწიფო XVIII ს. პირველ მეოთხედში, პეტრე დიდის მეფობის დროს, გაძლიერდა. მან განაახლა ივანე IV-ის მიერ დაწყებული ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილების პოლიტიკა.

1711 წ. პეტრე I-მა ყაბარდოელებს და ჩერქეზებს გამოუგზავნა სიგელი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამიერიდან რუსეთი გაუწევს მათ დახმარებას ყირიმის სახანოსა და თურქეთის შემოსევების აღსაკვეთად. ყაბარდოს მფლობელთა ნაწილმა მიიღო პეტრე I-ის წინადადება და თანხმობა განაცხადა რუსეთის ქვეშევრდომობაზე.<sup>2</sup> ყუბანსიქითა ჩერქეზებმა არ მიიღეს პეტრე I-ის წინადადება.

1711 წ. აგვისტოს ბოლოს, პეტრე დიდის ბრძანებით გენ. პ.მ. აპრაქსინის სარდლობით აზოვიდან რუსეთის ჯარი გაემართა ყუბანსიქითა ჩერქეზეთში სალაშქროდ. ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა ყალმუხთა 20 ათასიანი ლაშქარი.<sup>3</sup> ლაშქრობაში მონაწილეობას ყაბარდოელებიც ღებულობდნენ. აპრაქსინმა ორჯერ ზედიზედ სასტიკად დაამარცხა ყუბანსიქითა ჩერქეზები. მიუხედავად ამისა, ჩერქეზები რუსეთის მფარველობისა და ქვეშევრდომობის ფიცს მაინც არ ღებდნენ და განაგრძობდნენ ბრძოლას.<sup>4</sup>

1711 წ. აპრაქსინის ექსპედიციამ, რუსეთის ხელისუფლება დაარწმუნა, რომ მას ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის არ

<sup>1</sup> И.И. Пантюхов. Влияние малярии...9, გვ. 8.

<sup>2</sup> СИЭ. т. 14, გვ. 201.

<sup>3</sup> მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში. თბ., 1984, გვ. 22.

<sup>4</sup> მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 22.

აქვს მხარდაჭერა და სერიოზული დასაყრდენი, რომელთა გარეშე იგი ვერ მოახერხებდა კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროების დაუფლებას. პეტრე I-ს აღმოსავლეთში გაბატონებისათვის ჯერ კასპიის ზღვის სანაპიროს დაპყრობა სჭირდებოდა. ამისთვის, იგი კავკასიის ხალხების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა და ამავდროულად, ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების გამაგრებისთვის ზრუნავდა. ამ მიზნით, 1722 წ. პეტრე I-მა მდინარეების აგრახანისა და სულაქის მახლობლად დონის კაზაკთა 10 000 ოჯახი დაასახლა,<sup>1</sup> რომლებიც თავიანთ თავს აგრახანის კაზაკთა ჯარს უწოდებდნენ.

1722-1723 წწ. კასპიის (ირანის) ლაშქრობის წინ პეტრე I-მა მოწოდებით მიმართა ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხებს. ქართლის მეფე ვახტანგ VI სიხარულით შეხვდა პეტრე I-ის მოწოდებას. იგი 40 ათასიანი ლაშქრითა და სომეხთა ძლიერი რაზმებით განძის სახანოში შევიდა და მტკვრის პირას დაბანაკდა. ჩრდილოეთ კავკასიელებიდან პეტრე I-ის მხოლოდ დიდი ყაბარდოს ჯამბულატოვთა საგვარეულოდან ელმურზა ჩერკასკიმ და მცირე ყაბარდოდან ტაუსულტანოვის საგვარეულოდან ასლან ბეგ კაიტიუკინმა დაუჭირეს მხარი.<sup>2</sup>

1722 წ. პეტრე I დაეუფლა დასავლეთ კასპიის სანაპიროს (ბაქო, რეშტომი, ასტრახადი) და თურქეთის ომში ჩაბმასთან დაკავშირებით შეწყვიტა ლაშქრობა<sup>3</sup> და ასტრახანით პეტერბურგში დაბრუნდა. ვახტანგ VI-ემ, ასეთ პირობებში,

---

<sup>1</sup> СИЭ. т. 14, გვ. 201; Кавказский календарь на 1867 год. 1866, გვ. 375.

<sup>2</sup> Ш. Ногмов. История адыгейского народа. Сост. по преданиям Кабардинцев, Кавказский Календарь на 1961 год. Тифлис, 1860, გვ. 109.

<sup>3</sup> История России. С древнейших времен до наших дней, авт. колл. А.С. Орлов, В.А. Георгиев и др. М., 1999, გვ. 149.



საომარი მოქმედების დაწყება ვერ გაბედა და თბილისში დაბრუნდა.

აღმოსავლეთში რუსეთის ლაშქრობის ჩაშლამ, კავკასიაში რუსეთის პოზიციები დაასუსტა. ირანმა და თურქეთმა აშკარად დაიწყეს რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელება, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კავკასიაში.

ირანის შაჰმა ვახტანგ VI-ს ქართლი წაართვა და იგი იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო. ჩრდილოეთ კავკასიაში გაიზარდა ანტირუსული განწყობილება. 1728 წ. ყაბარდოს მფლობელები, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის, ყაბარდოს მომავალი 'ახელმწიფოებრივი მოწყობის თაობაზე, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების გამო, ორ ბანაკად გაიყვნენ: ჯამბულატოვების შთამომავლები კაიტუკინი ხამურზი არსლანბეკი, მისოფ ბამატოვი და ელმუზდუკ კანამატოვი, რომლებიც ფლობდნენ მდინარეების ნალჩიკის, შალუშკისა და კაშკატუს მთის რაიონების ვრცელ ტერიტორიებს, პატრიოტული მოძრაობის მეთაურები იყვნენ. ისინი თავიანთ მომხრეებს კაშკატაულებს უწოდებდნენ.<sup>1</sup> კაშკატაულები რუსეთის მორჩილების ფიცის მიღების კატეგორიული მოწინააღმდეგეები იყვნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მისი მიღება ნიშნავდა ყაბარდოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას. ყაბარდოს ერთიანობა და დამოუკიდებლობა კაშკატაულების ბრძოლის მთავარი მიზანი იყო. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ყაბარდო თურქეთის დახმარების გარეშე ვერ შესძლებდა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისაგან თავის დაღწევას, ერთიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ყაბარდოს მფლობელთა მეორე ჯგუფი ('ატაუუკინები, მისოსტოვები) მაჰომედ კურგოკინის თაოსნობით, რომელთა სამფლობელოები მდებარეობდა მდ. ბაქსანზე, მალკასა და ჩეგემზე,

<sup>1</sup> AKAK, m. 1, გვ. 85.

თავის მომხრეებს ბაქსანელებს უწოდებდნენ.<sup>1</sup> ბაქსანელებს მხოლოდ რუსეთი მიაჩნდათ ყაბარდოული ხალხს მხსნელად, მისი ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტიად.

1735-1739 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში ბაქსანელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თურქეთ-ყირიმის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. რუსეთის არმიამ აიღო ბაღჩისარაი, აზოვი და ოჩაკოვი.<sup>2</sup> ბაქსანელებმა გაილაშქრეს ყუბანელი თათრების წინააღმდეგ და დიდი დახმარება გაუწიეს რუსეთის ჯარს აზოვის აღების დროს.

1739 წ. 18 სექტემბრის ბელგრადის სამშვიდობო შეთანხმებით, რუსეთმა და თურქეთმა ყაბარდოს დამოუკიდებლობა აღიარეს. «Об обеих Кабардах, т.е. большой и малой, быть тем Кабардам вольным, и не быть под владением ни одного, ни другого империи, не токмо за бариеру между обеими империями служить имеют...»<sup>3</sup> – აღნიშნულია სამშვიდობო ხელშეკრულების VI პუნქტში. ამ ხელშეკრულებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის შემდგომი კოლონიური პოლიტიკის განხორციელების საქმეში.

თურქეთი და ყირიმის სახანო არ ცნობდა 1557 წლის რუსეთ-ყაბარდოს ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო ყაბარდოს მფლობელთა გავლენიანი ნაწილი. ფაქტობრივად, ყაბარდო 1739 წლის ხელშეკრულებამდე თურქეთისა და ყირიმხანის ხელდებულად ითვლებოდა. ამიტომ, რუსეთი ყაბარდოს მიმართ აშკარად ვერ იყენებდა მშვიდობიანი და სამხედრო კლონიზაციის ნაცად ხერხებს. ბელგრადის

---

<sup>1</sup> СИЭ. т. 14, გვ. 85.

<sup>2</sup> История России древнейших времен..., გვ. 106.

<sup>3</sup> ПСЗ – Полное собрание законов Российской империи, т. X, СПб, 1830, გვ. 899.

ხელშეკრულებამ რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა და იგი პრაქტიკულად შეუდგა ყაბარდოს თავისი გავლენის ქვეშ – იმპერიის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევას.

ყაბარდოში ბელგრადის 1739 წ. შეთანხმებამ საყოველთაო აღიარება და მხარდაჭერა მიიღო, მაგრამ ბაქსანელები და კაშკა-ტაულები, რუსეთთან და თურქეთთან მომავალი ურთიერთობის ერთმანეთისაგან გამომრიცხავი შეხედულებების გამო, ვერ შეთანხმდნენ. მათი დაპირისპირება, ზოგჯერ, შეიარაღებული შეტაკებებით მთავრდებოდა, რაც რუსეთის მიზნებს ემსახურებოდა. იგი ხან კაშკატაულებს, ხან ბაქსანელებს, ხან კი ერთდროულად და ფარულად ორივე პარტიას მხარს უჭერდა.

რუსეთის ხელისფლება ყაბარდოელთა გადმობირებისათვის საჩუქრების გარდა, ფულადი სახსრების ხარჯვასაც არ ერიდებოდა. ხოლო ვინც ქრისტიანობას მიიღებდა და რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე დასახლდებოდა, ასაჩუქრებდნენ ფულადი პრემიით. 1764 წელს მოზდოკში ცხოვრობდა 200-ზე მეტი გაქრისტიანებული ყაბარდოელი.<sup>1</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის განსაკუთრებული გააქტიურება დაიწყო ეკატერინე დიდის დროს (1702-1796 წწ.), მან უფრო ფართო და გეგმაზომიერი ხასიათი მისცა პეტრე I-ის მიერ დაწყებული, ჩრდილოეთ კავკასიის „მშვიდობიანი“ და სამხედრო კოლონიზაციის პოლიტიკის განხორციელების საკითხებს. 1764 წ. ეკატერინე დიდის ბრძანებით, ყიზლარსა და მოზდოკში ჩამოასახლეს ვოლგისა და დონის კაზაკთა 500-500 კომლი, ხოლო ყიზლარის ციხის გარნიზონი გაზარდეს 2000 კაზაკით.<sup>2</sup>

რუსეთ-თურქეთის (1768-1774 წწ.) ომის დროს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მიმართულებით რუსეთის არმიის სარდალი იყო გენერალი დე-მელემი. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა დიდი

<sup>1</sup> П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 119.

<sup>2</sup> АКАК, т. 1, გვ. 82.

ნაწილი, მათ შორის, ყაბარდოელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთ-თურქეთის ომი გაუადვილებდა მათ დამოუკიდებლობის მოპოვებას.

ეკატერინე II-ის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ თურქეთის მიერ გამოცხადებულ ომს იგი მოიგებდა და სხვა საკითხებთან ერთად, მაქსიმალურად თავის სასარგებლოდ გადაწყვეტდა ჩრდილოეთ კავკასიის შემდგომი დამორჩილების პრობლემებს.

1769 წ. 6 მაისს რუსეთის ჯარმა დე-მედემის მეთაურობით ყაბარდო დაიკავა. ქვეყნის ოკუპაციას მოსახლეობა აღშფოთებული შეხვდა, ხოლო ბაქსანელებმა, პროტესტის ნიშნად, საცხოვრებელი ადგილები დატოვეს და მთებში გაიხიზნენ.<sup>1</sup> ამ ფაქტმა კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციის შეშფოთება გამოიწვია, რადგან არსებობდა რეალური საშიშროება იმისა, რომ ბაქსანელებს მხარს დაუჭერდა მთელი ყაბარდო და მეზობელი მთიელი ტომები. ამიტომ, დე-მედემმა მთებში გახიზნული და გამაგრებული ყაბარდოელების წინააღმდეგ სასწრაფოდ გაგზავნა მრავალრიცხოვანი დამსჯელი ექსპედიცია – 1500 კაზაკი, 500 – ყალმუხი და ჰუსართა ერთი ესკადრონი.<sup>2</sup>

ყაბარდოელები 29 მაისიდან 7 ივნისამდე გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მტრის ჭარბ ძალებს. ყაბარდოელებმა ვერ გაუძლეს არტილერიის ცეცხლს. 50 ყაბარდოელი დაიღუპა და 300 ტყვედ იქნა წამოყვანილი.<sup>3</sup>

ყაბარდოში მოჩვენებითი სიჩუმე ჩამოვარდა. 1771 წ. 17 აგვისტოს დე-მედემმა მიიღო ეკატერინე II-ის მიერ შედგენილი ყაბარდოს დამორჩილების სპეციალური ინსტრუქცია, სადაც ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შემდეგი მითითება: «Нужно, необходимо, дабы в Кабарде всегда две равносильные партии

<sup>1</sup> П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 294.

<sup>2</sup> П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 294.

<sup>3</sup> მ. გონიკაშვილი. ჯაადგილამულო-საგლებო..., გვ. 40.

находились и чтоб кабардинцы привыкли иметь себя пристава Российского, к чему все способы изыскать должно, употребляя в необходимости и деньги для отвлечения от противных поступков и их обессиленные, по крайней мере на время войны с Портой, дабы при настоящем недосуге быть от них в беспечности».<sup>1</sup>

გარდა აღნიშნული ინსტრუქციისა, დე-მედემმა მიიღო ყაბარდოელ ხალხის სახელზე დაწერილი, ეკატერინე II-ის სიგელი.<sup>2</sup> უმაღლესად ბოძებულ სიგელში ჩამოთვლილი იყო ყაბარდოელების მიერ ჩადენილი ანტიირუსული ქმედებები. ამავედროულად, იმპერატორი აფრთხილებდა ყაბარდოელებს, რომ მომავალში არ ჩაბმულიყვნენ რუსეთისადმი მიმართულ მტრულ საქმიანობაში და საბოლოოდ ელიარებინათ მისდამი ერთგულება.<sup>3</sup>

ყაბარდოელთა თხოვნაზე – „რუსეთის მთავრობას დაენგრია ციხე-სიმაგრე მოზდოკი და მოზდოკის ახალშენი“, ეკატერინე II პასუხობდა, რომ მის დანგრევას არასოდეს არ დაეთანხმება, რადგან „მოზდოკი არასოდეს არ ყოფილა ყაბარდოელთა მფლობელობაში“.<sup>4</sup>

ეკატერინე დიდის სიგელმა ყაბარდოელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბაქსანელთა მხარდამჭერთა რიცხვი

<sup>1</sup> Н.А. Смирнов. Кабардинский вопрос в Русско-турецких отношениях XVI-XVIII вв. т. 2, Нальчик, 1948, გვ. 69; П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 323-324.

<sup>2</sup> Н.А. Смирнов. Кабардинский вопрос..., გვ. 69-70; П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 321; Кабардино-русские отношения в XLI-XVIII вв. документы и материалы в 2 томах, т. 213, გვ. 299-308.

<sup>3</sup> Н.А. Смирнов. Кабардинский вопрос..., გვ. 69; П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 321; Кабардино-русские отношения..., док. т. 213, გვ. 299-308.

<sup>4</sup> Н.А. Смирнов. Кабардинский вопрос..., გვ. 70; П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 321; Кабардино-русские отношения..., док. т. 213, გვ. 299-309.

დღითიდღე იზრდებოდა. კაშკაშაულებს რუსეთის ჯარის მხარდაჭერის გარეშე ყაბარდოში ცხოვრებაც კი არ შეეძლოთ. კაშკაშაულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი კურგოკო თათარხანოვი გენერალ დე-მედემს თხოვდა, რომ რუსეთის მომხრეების მხარდასაჭერად გამოაგზავნა სამხედრო ნაწილი, რომლის დანახვითაც ისინი (ბაქსანელები, ე.ა) დამშვიდდებიან და ქვეშევრდომობაში შესვლის აუცილებლობას შეიგრძნობენ“<sup>1</sup>.

1774 წლის 10 ივნისის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით თურქეთმა ყაბარდო რუსეთის შემადგენელი ნაწილად აღიარა. მართალია, ამ ზავით ყაბარდოს რუსეთთან შეერთება იურიდიულად საბოლოოდ გადაწყდა, მაგრამ ფაქტობრივად ყაბარდოელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ სურდა რუსეთის ქვეშევრდომობა. თავისუფლების მოყვარე მთიელები რუსეთისაგან მოითხოვდნენ ყაბარდოს დამოუკიდებლობის ცნობას.

ასეთ ვითარებაში, მთავრობას არ აწყობდა მდგომარეობის გამწვავება, შეიარაღებული დაპირისპირების გამოწვევა და გადაწყვეტა წასულიყო დროებით დათმობებზე. 1774 წლის სექტემბერში ყაბარდოს მფლობელთა კრებაზე წაკითხული იქნა ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ყაბარდოს რუსეთთან შეერთებას ეხებოდა. გენ. დე-მედემმა რუსეთის ხელისუფლების სახელით განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდო საერთაშორისო ტრაქტატის საფუძველზე რუსეთის შემადგენელი ნაწილია, მას დარჩება ტრაქტატამდე არსებული ძველ ადამ-ჩვეულებებზე დამყარებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების შენარჩუნების უფლება.<sup>2</sup>

ყაბარდოელთა და მოშმიწების პოლიტიკამ, მათი უკმაყოფილება რუსეთის მიმართ ვერ შეანელა, ანტირუსული

<sup>1</sup> Кабардино-русские отношения..., док. т. 214, გვ. 304.

<sup>2</sup> П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 495.

განწყობილება ყოველდღიურად იზრდებოდა; ანტიკოლონიური გამოსვლები ფართო ხასიათს ღებულობდა.

ეკატერინე დიდმა დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიის ფართო სამხედრო კოლონიზაციის პროცესი. მისი მითითებით კავკასიის ზაზის მშენებლობა დაიწყო მოზლოკ-აზოვის მიმართულებით. 1770 წ. მოზლოკი გადაკეთდა დიდ ციხე-სიმაგრედ. მტკვრის და მუზლოკის, გალკის ყუმის და სხვა მდინარეების შესართავებთან ძველ ციხე-სიმაგრეებს (სვიატოი კრესტი, ყიზლარი, მოზლოკი და სხვ.) დაემატა ახალი – პროხლადნაია (1775), გეორგიევსკაია (1777), პავლოვსკაია (1778), სოლდაევსკაია (17790, მარინსკაია (1780), ალექსანდროვსკაია (1780), ეკატერინოგრადსკაია (1787), პრიბლიჟნაია (1786), კურსკაია (1786), კონსტანტინოვსკაია (1786).<sup>1</sup> ახალი ციხე-სიმაგრეების მშენებლობას თან ახლდა, როგორც წესი, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან კაზაკების გადმოსახლება და ახალი სტანიციების დაარსება, რაც იწვევედა მთიელების მტკიცე და შეუპოვარ პროტესტს.

ეკატერინე დიდის სამხედრო კოლონიზაციის შემადგენელი ნაწილი იყო გადასახლების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა ციხე-სიმაგრეების მშენებლობის პარალელურად რუსეთის სხვადასხვა ტერიტორიიდან კაზაკების გადმოსახლებას. მაგ. 1763 წ. ციხე-სიმაგრე მოზლოკთან დასახლეს ვოლგიდან 517 და დონიდან 100 გადმოსახლებული კაზაკური ოჯახი. 1764 წ. ყიზლარში და მოზლოკში ჩამოსახლეს კაზაკთა 500-500 კომლი, ყიზლარის ციხის გარნიზონი გაიზარდა 2000 კაცით;<sup>2</sup> ციხე-სიმაგრეების ეკატერინოდარის, პავლოვსკაიას, მარინსკაიას, გეორგიევსკისა და ალექსანდროვსკაიას მახლობლად

<sup>1</sup> ПСЗ – Кабардо-русские отношения..., т. 2, гл. 336-337; С.А. Чекменов. Заселение Ставрополя в конце XVIII и начале XIX века крепостными и государственными крестьянами, «Сборник трудов Карачаево-Черкесского госпединститута», вып. 1, Нальчик, 1958.

<sup>2</sup> Е. Максимов. Терское казачье-войско, историко-этнографический очерк, Владикавказ, 1890, гл. 20-22.

გადმოსახლებული იქნა ვოლგის კაზაკთა 700 ოჯახი. ამგვარად, ახლად აშენებულ ციხე-სიმაგრეებთან – ეკატერინინსკაია, პავლოვსკაია, გეორგიევსკაია, მარინსკაია და ალექსანდროვსკაია – კაზაკთა რიცხვმა 4640 სულს მიაღწია; მხოლოდ ვოლგის კაზაკთა პოლკს სამხედრო ზაზის 200 ვერსი ეკავა.<sup>1</sup>

პუგაჩოვის აჯანყების დროს (1773-1775) სამთავრობო სამხედრო ნაწილებმა მთლიანად დაიკავე დონის კაზაკთა ჯარის ტერიტორია. 1775 წელს კაზაკების დიდი ნაწილი ძალისმიერი მეთოდებით გადასახლებული იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო მათ ნაცვლად ჩასახლებული იქნა ზაპოროჟიის სეჩისა და უკრაინის კაზაკები. ზაპოროჟიის სეჩი<sup>2</sup> ლიკვიდირებული იქნა, კაზაკობამ საბოლოოდ დაკარგა დამოუკიდებლობა.<sup>3</sup>

ამგვარად, მე-18 ს. მიწურულიდან, კაზაკობა კარგავს თავის ნახევრად დამოუკიდებლობას, მაგრამ ხელისუფლებამ არ მოსპო მათი სამხედრო ორგანიზაცია იმ პირობით, რომ იგი მთლიანად დაემორჩილებოდა ხელისუფლებას და დარჩებოდა სახელმწიფო სამსახურში. რუსეთის რეგულარული ჯარის გაძლიერების კვალობაზე, კაზაკობა, როგორც რუსეთის სამხრეთ საზღვრების დაცვის ერთადერთი სამხედრო ძალა, თანდათანობით კარგავდა თავის ფუნქციას.

კავკასიის ომის დროს კაზაკები გამოყენებული იყვნენ, როგორც რეგულარული ჯარის დამხმარე ძალა. კავკასიის ომის დამთავრების შემდგომ, როდესაც მთიელები რუსეთისთვის გარეშე მტრებიდან გადაიქცა „შინაურ“ მტრებად, კაზაკების როლი კვლავ წამოიწია. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ მას დააკისრა პოლიციური ფუნქცია. 1903 წლის სტატისტიკურ ანგარიშში კაზაკური სამხედრო ლაშქრის მდგომარეობის შესახებ ჩვენ

<sup>1</sup> АКАК, т. 1, გვ. 282.

<sup>2</sup> სეჩი (сечля) – 2 ადგილი, სადაც ტყე ნაკაფია /„რუსულ-ქართული ლექსიკონი გრამატიკული ცნობარით, თბ., 2006, გვ. 679.

<sup>3</sup> сив. т. 8, გვ. 451.



კითხულობთ: «С конца XVIII столетия начинается новейший период жизни казачества. Организация казачества, как военной силы, не было уничтожено государством, и казацкая община до настоящего времени служит надежным оплотом окраин России, но уже при условии полного подчинения государственной власти и на постоянной службе государству. Последнее пользуется вооруженным населением казачьих областей для расширения своего влияния на южных и восточных окраинах для задач русской колонизации».<sup>1</sup>

მოზღოკ-აზოვის ხაზზე რამდენიმე ციხე-სიმაგრის მშენებლობის შემდეგ 1779 წელს რუსეთმა დიდ და მცირე ყაბარდოს დაუდგინა საზღვრები, რომლის გადმოკვეთის და კავკასიის ხაზის ფარგლებში შესვლის უფლება არ ჰქონდა ყაბარდოელს სპეციალური საშვის გარეშე; რუსეთთან დიდი ყაბარდოს საზღვრად განისაზღვრა მდინარე მალკა, ხოლო მცირე ყაბარდოსთვის – მდ. თერგი. ამ ღონისძიებით, რუსეთმა თავისი ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებში მოაქცია ყაბარდობალყარელი ხალხების ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის რაიონები, როგორც არის ზოლკისა და მალკის საძოვრები.<sup>2</sup>

რუსეთმა ყაბარდო-ბალყარელი ხალხი ბლოკადაში მოაქცია, დატოვა საძოვრების გარეშე, რომლებიც მათი ძირითადი საარსებო წყარო იყო.

1782 წელს, როგორც წესი, რუსეთმა მალე დაივიწყა მოცემული პირობა ყაბარდო-ბალყარელი ხალხის საუკუნეებით ჩამოყალიბებულ წეს-ჩვეულებების, ადათ-წესების, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების და რაც მთავარია,

<sup>1</sup> Статистический обзор современного положения казачьих войск, გვ. 16.

<sup>2</sup> ПСЗ – Кабардо-русские отношения..., გვ. 69.

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შენარჩუნების თაობაზე.

1782 წელს ყაბარდოელებმა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს. განდევნეს რუსი მოხელეები, მოითხოვედნენ წართმეული მიწების დაბრუნებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჯანყების ინიციატორები და ხელმძღვანელები თავადები იყვნენ. ბრძოლა აჯანყებულებსა და რუსეთის ჯარს შორის მდინარე მალკასთან გაიმართა. აჯანყებულები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მოწინააღმდეგეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა რუსეთის ჯარის გამარჯვებით დამთავრდა.

1782 წ. ნოვოროსიისკის, აზოვის და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი გ.ა. პოტიომკინი. მან ყუბანის და კაკასიის სამთავრობო სამხედრო კორპუსის შექმნით მნიშვნელოვნად გაზარდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციები.

ყაბარდო-ბალყარეთში, ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებში, საკორღონო ხაზმა, ციხე-სიმაგრეებმა, გააფართოვა სამხედრო-კაზაკური კოლონიზაციის არეალი; მოსახლეობა რჩებოდა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწების, საძოვრებისა და მარილის საბადოების გარეშე. ყაბარდოელები ვერ ურიგდებოდნენ სამხედრო-საოკუპაციო ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

1783 წელს ყირიმის სახანოს ლიკვიდაციით, რუსეთმა კავკასიის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად ჩათვალა თავი. რუსეთ-თურქეთის საზღვარმა ჩრდილოეთ კავკასიაში მდ. ყუბანს მიაღწია: «С ликвидацией Крымско́го ханства, — სამართლიანად წერს ა.ვ. ფადეევი, რასაც იშვიათად ვხვდებით რუს ისტორიკოსებს შორის — был завершeн длительный, растянувшийся на двести с лишним лет, процесс присоединения к России степне́го Предкавказья. С учреждением в 1785 г.

особого кавказского наместничества этот край был окончательно включен в административную систему Российской империи».<sup>1</sup>

ამ უზარმაზარი ტერიტორიული შენაძენის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი კოლონიზაციის მიზნით, 1785 წელს ეკატერინე დიდის ბრძანებით დაარსდა კავკასიის გუბერნია ორი ოლქით – კავკასიისა და ასტრახანის. თუ რამდენად დიდი იყო კავკასიის გუბერნიის ტერიტორია, ნათლად ჩანს მისი ერთი ოლქის მაგალითიდან: კავკასიის ოლქი ესაზღვრებოდა კასპიის ზღვას, ირანს, საქართველოს, თურქეთს და მისი მფლობელობის ქვეშ მყოფ დასავლეთ კავკასიას, აზოვის ზღვასა და ღონის კაზაკთა ჯარის მიწებს. იგი დაყოფილი იყო 6 მაზრად – კიზლიარის, მოზდოკის, ეკატერინოგრადის, გეორგიევსკის, სტავროპოლის და ალექსანდროვსკის.

რუსეთი რაც უფრო ამკაცრებდა კოლონიურ რეჟიმს, მით უფრო მძაფრ და მასიურ ხასიათს ღებულობდა მთიელთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა. ყაბარდოელთა ხშირ აჯანყებებს კოლონიური ადმინისტრაცია დიდი ძალისხმევით უმკლავდებოდა, რაც დიდი მსხვერპლის ფასად უჯდებოდა. მაგალითად, 1789 წლის აჯანყებაში ყაბარდოელ თავადთა დიდმა ნაწილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. აჯანყებამ თითქმის მთელი ყაბარდო მოიცვა. სამხედრო ადმინისტრაციამ დიდი ძალისხმევით მოახერხა კავკასიის სხვადასხვა რეგიონებიდან სამხედრო ნაწილების ყაბარდოში თავმოყრა. გადამწყვეტი ბრძოლა მდ. მალკაზე გაიმართა. ბრძოლამ დაუნდობელი და სასტიკი ხასიათი მიიღო. რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებმა დიდი მსხვერპლის ფასად გამარჯვებას მიაღწიეს.

---

<sup>1</sup> А.Ф. Фадеев. Основные этапы в развитии русско-кавказских связей, «Ученые записки КБНИИ, т. 17, Нальчик, 1960, гв. 49.

1806-1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს მთიელები, მათ შორის ყაბარდოელები, იმდენად გააქტიურდნენ, რომ კოლონიური ადმინისტრაცია იძულებული გახდა კავკასიის ხაზის გასამაგრებლად დამატებით შემოეყვანა 2086 ცხენოსანი და 1081 ქვეითი მებრძოლი.<sup>1</sup>

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება შეეცადა მთიელთა დამორჩილებას სამხედრო კოლონიზაციის გააქტიურების მეშვეობით.

ნაპოლეონთან ომის დამთავრების შემდგომ, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების სრული დამორჩილება და მათი მიწების ჩართვა იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში.

ყაბარდოელთა საუკეთესო საძოვრების ხარჯზე საკორდონო ხაზებისა და ციხე-სიმაგრეების სისტემის გაფართოვება იწვევდა სამხედრო-კაზაკური კოლონიზაციის ზრდასა და მთიელთა ბლოკირებას მაღალმთიან ზოლში. ბლოკადაში მოქცეული ყაბარდოელები სისტემატიურად აწყობდნენ თავდასხმებს საკორდონო ხაზებზე და ციხე-სიმაგრეებზე.

1822 წელს ყაბარდოელები კვლავ აჯანყდნენ. აღსანიშნავია, რომ ყაბარდოელი თავადები და გლეხები გვერდიგვერდ იბრძოდნენ რუსეთის კოლონიური ჯარის წინააღმდეგ. ერმოლოვმა მოახერხა აჯანყებულთა შორის განხეთქილების შეტანა. იგი ყაბარდოელ თავადებს დაპირდა მათი პრივილეგიებისა და უფლებების აღდგენას, გლეხებს კი – თავისუფლებასა და მიწას. ერმოლოვმა, ამ გზით, ადვილად მოახერხა აჯანყების ჩახშობა.

რუსული კოლონიური პოლიტიკის პროტესტის ნიშნად ყაბარდოელები მასიურად ტოვებდნენ სამშობლოს. XIX ს. პირველ ნახევარში ყაბარდო დატოვა 76 თავადმა და ასობით გლეხმა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 50.

<sup>2</sup> Ч.А. Кардашов. Аграрное движение..., гв. 27.

მათი დიდი ნაწილი შამილს შეუერთდა და ბოლომდე იბრძოდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ყაბარდოელი თავადები რუსეთისადმი ერთგულების ფიცს დებდნენ, ხელისუფლება მათ მაინც მკაცრად სჯიდა. კოლონიური ადმინისტრაციის ხელშეწყობით, პრორუსული ორიენტაციის თავადები აჯანყებებში მონაწილე მფლობელთა მთელ უძრავ და მოძრავ ქონებას ითვისებდნენ. მაგალითად, 1822 წლის აჯანყებაში მონაწილე მფლობელთა მიწები (მდ. მოშეოს, ბაქსანას, ხაიუკოს ეკებცოკოსა და მალკის სანაპიროები) მიითვისა რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკმა თავადმა ატაჟუკინმა.<sup>1</sup> დიდი ყაბარდო ფაქტიურად გადაწვილდა ხუთ თავადურ საგვარეულოს — ატაჟუკინების, ბეკმურზინების, ჯამბულატოვების, კაიტუკინების და მისოსტოვების; მცირე ყაბარდო — ტაუსულთანოვებსა და გელიახსტანოვებს<sup>2</sup> შორის.

1825 წლის აჯანყებისას, ხელისუფლება იძულებული გახდა ყაბარდოში დამატებითი სამხედრო ნაწილები შეეყვანა. ერმოლოვი სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებსა და ყაბარდო მთლიანად ააოხრა.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პროტესტის ნიშნად ყაბარდოელები მასიურად ტოვებენ სამშობლოს. XIX ს. პირველ ნახევარში ყაბარდო დატოვა 76 თავადმა და ასობით გლეხის ოჯახმა.<sup>3</sup> მათი დიდი ნაწილი შამილს შეუერთდა და ბოლომდე იბრძოდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რუსეთმა XIX ს. დასაწყისიდან აშკარად და ღიად დაიწყო მთიელების, მათ შორის ყაბარდოელების მიმართ გენოციდის პოლიტიკის განხორციელება. XIX ს. დასაწყისიდან 1834 წლამდე, სამხედრო-კაზაკური

<sup>1</sup> Ч.А. Карданов. Аграрное движение..., გვ. 29.

<sup>2</sup> История Кабарды, М., 1957, გვ. 54.

<sup>3</sup> Ч.А. Карданов. Аграрное движение..., გვ. 27.

კოლონიზაციის შედეგად, ყაბარდოელი ხალხის დიდი ნაწილი განადგურებული იქნა. 1834 წლისათვის ყაბარდოში მცხოვრებთა საერთო რიცხვი 35 ათას სულს შეადგენდა.<sup>1</sup>

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩეჩენ ხალხს.

თერგის ოლქში ჩეჩენთი ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი რეგიონი იყო. ჩეჩენეთის ბარს მდინარე გოიტა ორ ნაწილად ყოფს – დიდ და მცირე ჩეჩენეთად. გოიტას მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიას დიდი ჩეჩენთი ეწოდება, ხოლო მარცხენა სანაპიროს – მცირე ჩეჩენთი, სადაც ჩეჩენურ ენაზე მოლაპარაკე ტომები ცხოვრობენ. ჩეჩენეთის ადმინისტრაციული საზღვრების შემადგენლობაში შედიოდნენ არლუნის, აუხოს, იჩქერიის, ნაზრანისა და ჩეჩენეთის ოკრუგთა საზოგადოებები.<sup>2</sup>

დიდი და მცირე ჩეჩენეთის ტერიტორიები დასერილია წყალუხვი მდინარეებით (არლუნი, ფორტანგა, გეხი, მარტანი, გოიტა, ხულხულაუ, მიჩიკისა, აჟალვა, გულგრმესი, აქსანი და სხვ.), რომლებიც ხელს უწყობენ მიწათმოქმედების, მებალეობის, მესაქონლეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას.

მთის ჩეჩენები ცხოვრობდნენ მდინარეების – არლუნის, ხულხულაუს, მიჩიკისა და მათი შენაკადების მიერ წარმოქმნილ ხეობებში.<sup>3</sup>

ბარში ჩეჩენები ჩამოსახლდნენ XVII ს. შუახანებში ბარის ტერიტორია დაახლოებით 2800 კვ. ვერსს შეადგენდა, როლის სიგანე ყველაზე ფართო ადგილას 20 ვერსს აღწევდა. ბარისა და მთის ჩეჩენებს შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო ეკონომიკური კავშირები.

<sup>1</sup> История Кабардо-Балкарской..., გვ. 228.

<sup>2</sup> მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 79.

<sup>3</sup> მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 80.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთი ფეოდალური ურთიერთობის ადრეულ საფეხურზე იმყოფებოდა. აქ სუსტად იყო ჩამოყალიბებული წოდებრივი დაყოფა, ტომებს არ ჰყავდათ თავიანთი თავადები. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უზდენი (თავისუფალი) იყო.

რუსეთის სახელმწიფო ჩეჩნეთით, ისევე როგორც ჩიდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებით, XVI ს-ში. დაინტერესდა. პირველი სამხედრო ღონისძიება ჩეჩნეთის დასამორჩილებლად პეტრე I-მა გადადგა. მან 1718-1722 წწ. სუნჯისა და არღუნის მიმართულებით კაზაკთა ლაშქრობები მოაწყო.<sup>1</sup>

ეკატერინე II აღმოსავლური პოლიტიკის განსახორციელებლად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, მათ შორის ჩეჩნების დამორჩილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

რუსეთი, განსაკუთრებით ეკატერინე დიდის დროს, მთიელების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების პარალელურად, ფართოდ იყენებდა მფარველობისა და ქვეშევრდომობის ინსტიტუტს. ხელისუფლება პირდება მთიელებს გარეშე მტრებისაგან დაცვასა და მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, სანაცვლოდ, მთიელებს უნდა ეღიარებინათ რუსეთის იმპერატორის უზენაესობა, მიეღოთ რუსეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა, დახმარება გაეწიათ კავკასიაში დისლოცირებული რეგულარული არმიის ნაწილების სურსათ-სანოვაგით მომარაგების, სამხედრო ტვირთების გადაზიდვის, გზების, ხიდების შეკეთებისა და დაცვის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ მთიელები დამარცხებისთანავე, რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციას პატიებას თხოვდნენ, რუსეთს ერთგულების ფიცსაც და მძევლებსაც ადვილად აძლევდნენ. მთიელები ამას მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრების, დროის მოგების მიზნით აკეთებდნენ, რუსეთის სამხედრო ნაწილებზე და კაზაკთა

<sup>1</sup> АКАК, т. VI, ч. 2, док. т. 896, გვ. 512.

<sup>1</sup> П.Г. Бутков. Материалы..., გვ. 23.

სტანიცებზე მომავალი თავდასხმების მოსამზადებლად. ამიტომ, მთიელები რუსეთის მიერ შემოღებული ერთგულებისა და მორჩილების ფიცს და მძევლობის ინსტიტუტს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, შეიძლება ითქვას – არაფრად აგდებდნენ.

1770 წელს, გენერალ დე-მედემმა სუნჯელი ჩეჩნების წინააღმდეგ გაილაშქრა, დაიმორჩილა ისინი და მძევლებიც აიყვანა.<sup>1</sup> ჩეჩნებმა რუსეთის მორჩილება ვერ აიტანეს და სისტემატურ თავდასხმებს აწყობდნენ კაზაკთა სტანიცებზე. მაგალითად, 1774 წელს სუნჯის ჩეჩნებმა კაზაკთა სტანიცა ნაური გაანადგურეს, კაზაკთა პოლკს 1000-ზე მეტი ცხენი წაართვეს.<sup>2</sup>

1775 წ. დე-მედემმა კვლავ დაამარცხა ჩეჩნები. ჩეჩნეთის მფლობელმა არსლანბეგ აიდემიროვმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო; 1781 წ. დიდმა ჩეჩნეთმა აიდემიროვოს თაოსნობით რუსეთისადმი ერთგულების ფიცი დადო. ატაგის მოსახლეობამ აიდემიროვის ინიციატივას მხარი არ დაუჭირა და ფიცის მიღებაზე უარი განაცხადა. მათ მხარი დაუჭირეს ალღელებმა და ინგუშებმა. ისინი თავს დაესხნენ თერგის მახლობლად მდებარე კაზაკთა სტანიცებს. დე-მედემმა აჯანყებული ჩეჩნების წინააღმდეგ პოლკოვნიკ კეკის მეთაურობით გააგზავნა 1150 სახაზო კაზაკი, კავალერიის ესკადრონი და 12 ზარბაზანი,<sup>3</sup> ხოლო ინგუშების წინააღმდეგ – დრაგუნთა ესკადრონი 100 ცხენოსანი კაზაკის თანხლებით და ქვეითი ბატალიონი.<sup>4</sup> 1783 წ. მარტის დასაწყისში გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა აჯანყებულებსა და პოლკოვნიკ კეკის სამხედრო შენაერთს შორის. კეკმა აჯანყებულებს ზარბაზნების ცეცხლი დაუშინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნები თავგამოდებით იბრძოდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს რუსების სამხედრო შენაერთს, კეკის ზარბაზნების განუწყვეტელმა

---

<sup>1</sup> П.Г. Бутков. Материалы... გვ. 23.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 23.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 109.

<sup>4</sup> იქვე. 25. 109.



ცეცხლმა მათ 400 მებრძოლი მოუკლა; დამარცხებულებმა უკან დაიხიეს და ტყეში გაუჩინარდნენ. პოლკონიკმა კეკმა ატაგიდან მოსახლეობა განდევნა და სოფელი მთლიანად გადაწვა.<sup>1</sup> გადარჩენილმა ატაგის მოსახლეობამ ხელისუფლებას პატიება სთხოვა და რუსეთისადმი ერთგულების ფიცი მიიღო. ინგუშებმაც ერთგულების ფიცი მიიღეს და რვა მძევალი ხელისუფლებას გადასცა. სულ მალე ჩეჩნები კვლავ აჯანყდნენ. 1783 წლის სექტემბერში გენ. სამოილოვის სამხედრო შენაერთმა აჯანყებულების წინააღმდეგ 12 საათიანი ბრძოლის შემდეგ მათი სოფლები, მათ შორის, ატაგიც გაანადგურა.

XVII ს. 80-იან წლებში რუსეთი უშუალოდ კავკასიის ქედის ჩრდილოეთ კალთებს მიაღება, ხოლო საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებისა და ყუბანი-კავკასიის რამდენიმე სამხედრო ხაზის გაყვანის შემდეგ, დაიმორჩილა კავკასიაში მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი.

როგორც ვხედავთ, XVIII ს. 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე, მთიელთა ბრძოლა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ლოკალურ ხასიათს ატარებდა. მან საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო XVIII ს. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც მთიელთა ანტიკოლონიური ბრძოლის გამაერთიანებელ იდეოლოგიად გახდა რელიგიური მოძღვრება — მიურიდიზმი. 1885 წ. შეიხი მანსურის ხელმძღვანელობით ჩეჩნებმა დაიწყეს მძლავრი შეიარაღებული ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ.

პირველად, XVIII ს. 80-იანი წლების ბოლოს, იმამი მანსური შეეცადა მიურიდიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებინა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ერთიან, თეოკრატიულ სახელმწიფოში, მაგრამ მან თავისი ოცნების განხორციელება ვერ მოახერხა. მანსურმა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში დიდ წარმატებებს მიაღწია. მის ქადაგებებსა და პრაქტიკულ საქმიანობას მხარს უჭერდნენ მთელი ჩეჩნეთი და დაღესტნის

<sup>1</sup> П. Г. Бутков. Материалы..., გვ. 110.

ნაწილი. 1787-1792 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში, რუსეთის გამარჯვებებმა კავკასიისა და ბალკანეთის ფრონტებზე, მანსურის პოზიცია დაასუსტა და იგი დამარცხდა. 1891 წ. გენ. გულოვიჩმა ციხე-სიმაგრე ანაპაში იმამი მანსური დაატყვევა. იგი მოათავსეს შლისელბურგის ციხეში, სადაც გარდაიცვალა.<sup>1</sup>

იმამ მანსურის დამარცხების შემდეგ, რელიგიური მოძრაობა — მიურიდიზმი დაქვეითების გზას დაადგა. ხელისუფლება მიხვდა, რომ მთიელთა გაერთიანება „ისლამის წმინდა იდეების“ დროშის ქვეშ, დიდ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განხორციელების საქმეს. ამიტომ, სამხედრო ექსპედიციები მიმდინარეობდა, მთიელთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივების, დაპირისპირებების, შეიარაღებული შეტაკებების პროვოცირების, სასულიერო პირების მოსყიდვის პარალელურად. «Сходно с высочайшом соизволения употреблять горских жителей одних против других для укрепления взаимной ненависти их, — წერდა ბარონი როზენი გრაფ ჩერნიშევს — находятся при моем отряде осетины, живущие близ Владикавказа и милиция из горцев, обьгтающих по Военно-грузинской дороге от Ларсы до Пасанаура, принадлежащих к Грузии».<sup>2</sup>

XVIII ს. 80-იანი წლების ბოლოს რუსეთის ხელისუფლება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები დამორჩილებული ჰყავდა. «Никто из русских генералов и государственных деятелей не предполагал, — აღნიშნავს ე.

---

<sup>1</sup> П. Г. Буткое. Материалы ..., გვ. 112.

АКАК, т. 8, გვ. 578.

დრობინინა — что за обладание Кавказом придётся вести болсе, чем полувековую войну».<sup>1</sup>

რუსეთის მთავრობა ჩრდილოეთ კავკასიაში (90-იანი წლებისა და XX ს. დასაწყისში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ზედაპირულად აფასებდა. თავისუფლებისმოყვარე მთიელები დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ეგუებოდნენ. ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყაბარდოში, ოსეთში, დაღესტანში და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებში არ შეწყვეტილა ანტიკოლონიური გამოსვლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, რუსეთის სამხედრო რაზმებთან სისხლიანი შეტაკებებით მთავრდებოდა. მაგ. XX ს. დასაწყისში თავაურელი ოსები საქართველოს სამხედრო გზაზე სისტემატურად თავს ესხმოდნენ რუს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს, სომეხ ვაჭრებს. ფაქტობრივად, თავაურელმა ოსებმა დარიალის ხეობა ჩაკეტეს. კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციას, განსაკუთრებით, დიდი პრობლემები შეექმნა არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმეში. რუსეთის ხელისუფლება სტრატეგიული მნიშვნელობის გზაზე შექმნილმა ვითარებამ ძალზე შეაწუხა. იგი იძულებული გახდა მისი გამაგრების და ახალი ციხე-სიმაგრეების მშენებლობისთვის დამატებითი ძალები და თანხა გამოეყო. მაგ. თავაურის ხეობის გზის მშენებლობის დასაწყებად გამოყოფილი იქნა 71 028 მან.<sup>2</sup>

1802 წ. კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენ. კნორინგი შეცვალა გენ. ციციანოვმა. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო მარიამ დედოფლისა და ბაგრატიონთა სამეფო ტახტის შთამომავალთა რუსეთში გადასახლებით, რამაც ქართველი არისტოკრატის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

---

<sup>1</sup> Е. Дробинина. Национальный и колониальный вопрос в Царской России, изд. аом. Акад. 1930, გვ. 19.

АКАК, т. 2, გვ. 230.

ციციანოვი საქართველოს სამხედრო გზაზე შექმნილი ვითარების გამო თავის შემფოთებას ვერ მაღაუდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე ხელისუფლების სრული კონტროლის აღდგენის გარეშე, კავკასიაში, განსაკუთრებით ოსეთში, რუსეთისათვის ნორმალური ვითარების შექმნა შეუძლებელი იყო. იგი ცენტრალური ხელისუფლებისაგან მოითხოვდა საქართველოს სამხედრო გზის გასამაგრებლად ახალი ციხესიმაგრეების, ავანპოსტების მშენებლობისა და მუდმივი საგუშაგოების დაარსებისათვის საჭირო თანხების გამოყოფას. ციციანოვმა იმპერატორ ალექსანდრე პირველს გზის მშენებლობის პროექტიც კი გაუგზავნა.<sup>1</sup> ხელისუფლებამ თავაურის ხეობის გზის მშენებლობის დასაწყებად 71028 მან. გამოჰყო.<sup>2</sup>

რუსეთის იმპერიის ერთგული ქართველი თავადი ციციანოვი მარიამ დედოფლისა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის შთამომავალთა – ალექსანდრეს, ფარნაოზის, იულონის და სხვ. რუსეთში გადასახლებას ვერ ახერხებდა, რადგან დარიალის ხეობა ახმედ ლუდაროვის თაოსნობით თავაურელი ოსების მიერ ჩაკეტილი იყო. ბატონიშვილებს ფარნაოზსა და იულონს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ახმედ ლუდაროვთან.

მიუხედავად იმისა, რომ ციციანოვმა მოისყიდა თავაურის მამასახლისი მაჰმად ლუდაროვი (350 მანეთი პენსია დაუნიშნა წელიწადში) და მასთან შეთანხმებით სოფელ ლარსში მცხოვრები ოსები ბარში გადაასახლა, რუსეთის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო ოსები, ახმედ ლუდაროვის მეთაურობით განაგრძობდნენ ბრძოლას. მან 1804 წლის მაისის ბოლოს ხელში ჩაიგდო ლარსის სამხედრო ავანპოსტი და საქართველოს სამხედრო გზაზე დაამყარა კონტროლი. კავკასიის სამხედრო ადმინისტრაცია იმპე-

<sup>1</sup> Н.Ф. Дубровин. История войны и владычество русских на Кавказе, т. 2, СПб, 1871, გვ. 104.

<sup>2</sup> შ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 73.

რის ხელისუფლებასთან კავშირს მხოლოდ მოლაღატე ოსების მეშვეობით ახერხებდა.

აღსანიშნავია, რომ ახმედ დუდაროვს მხარს უჭერდნენ და მატერიალურად ეხმარებოდნენ ქართველი ბატონიშვილები.

1804 წ. 26 ოქტომბერს ციციანოვის ბრძანებით თავაურში გაგზავნილი იქნა მრავალრიცხოვანი სამხედრო ექსპედიცია, რომელმაც ბევრი სოფელი და დასახლებული პუნქტი გაანადგურა და დაწვა, მოსახლეობას სასტიკად ეპყრობოდა.

ციციანოვმა კავკასიელი ხალხის საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა. მისი მოკვლის შემდეგ, კავკასიის არმიის მთავარსარდლად 70 წლის გენერალი გუდოვიჩი დაინიშნა. იგი ციციანოვთან შედარებით ლმობიერი აღმოჩნდა, მაგრამ კოლონიური პოლიტიკის კარდინალურ საკითხებში არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა და საკმაოდ მკაცრიც იყო. გუდოვიჩი ფართოდ იყენებდა მთიელთა ურთიერთდაპირისპირებისა და მოსყიდვის პოლიტიკას. იგი ეროვნული შუღლის გასაღვივებლად და მთიელთა შორის შეიარაღებული შეტაკებების პროვოცირებისთვის დიდ სახსრებს ხარჯავდა.

გუდოვიჩის მმართველობის დროს მთიელთა შორის შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მათი ზოგიერთი წარჩინებული გვარის წარმომადგენლები თავიანთი პრივილეგიების, ქონების შენარჩუნების მიზნით, დახმარებას სთხოვდნენ რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციას, სანაცვლოდ კი ხალხის სახელით მფარველობისა და ქვეშევრდომობის ხელშეკრულებებს ხელს აწერდნენ. ასე მაგალითად, 1810 წ. 23 აგვისტოს ვლადიკავკაზის კომენდანტ გენერალ დელპეცოსა და ინგუშეთის ექვს „საუკეთესო“ გვარს შორის დაიდო ხელშეკრულება „რუსეთის ქვეშევრდომობის შესახებ“.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ხელშეკრულებიდან ზოგიერთი მუხლის მოყვანა, რათა ნათლად წარმოვაჩინოთ, თუ

როგორ ესმოდა რუსეთის ხელისუფლებას „მფარველობა“ და „ქვეშევრდომობა“:

«1. Отныне впредь на вечные времена мы, ингушевский (დოკუმენტების მიხედვით) вольный и ни от кого независимый народ, считающимися в рядах 6-ти фамилии: Торгимова, Цельмембохова, Агнева, Картугова, Яулуфьева и Хамхоева и потомство наше е.и. в всероссийскому г.и. Александру Павловичу и его наследнику... вступаем добровольно в совершенное вернеподданическое состояние...;

2. Во всякое время, когда российскому начальству потребуется надобность против здешних народов с российским войском действовать неприятельскою рукою, тогда обязаны мы давать оному от себя из общества нашего 1000 чел...

3. Если чеченцы, карабулаки и прочие неприазненные России народы, где ни есть будут покрадываться воровскими партиями с намерением ученить на российские обозы и команды, проходящие по Грузинской дороге, нападение... тогда должны мы тотчас давать знать российскому начальству;

4. Если кто ни есть из нашего общества будет передерживать у себя чеченцев и прочих непризнных России народов людей, умышленных проти России, ...тогда того передержателя и соучастника в злоумышлении отдать в руки Российского начальства, а если он убежит, тогда все его семейство и имущество.

5. ...Мухаммеданского закона эфендиев, мулл и прочих особ духовных мухаммеданских отнюдь не принимать, не допускать и мечетей не строит, а ежели против сего преступим,

тогда российское начальство имеет поступить с нами яко с врагами своими.

6. С теперешнего нашего жительства, находящегося при урочище, именуемом Назран, без позволения российского начальства мы отнюдь не должны никуда переходить... а если против сего явим себя ослушниками и приступниками, то подвернаемя за то строжайшему наказанию».<sup>1</sup>

აღნიშნული ხელშეკრულებით კმაყოფილი გენერალი დელპე-  
ცო 1810 წ. 15 ივნისს გენერალ რუმიანცევისადმი გაგზავნილ  
პატაკში აღნიშნავს, რომ სანამ ინგუში ხალხი იმყოფება  
გაჭირვებულ მდგომარეობაში, ისინი იქნებიან მშვიდად და  
საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი ერთგულნი. ინგუშები შემაირდნენ,  
რომ გაანადგურებენ მეჩეთებსა და განდევნიან მოლებს,  
მქადაგებლებსა და მასწავლებლებს.<sup>2</sup>

1807 წ. დასაწყისში დიდი ჩეჩნეთი აღსდგა კოლონიური  
რეჟიმის წინააღმდეგ. მათ მეზობელმა მთიელ ტომებმაც მხარი  
დაუჭირეს. ხან-ყალეს ხეობაში 10 ათასი აჯანყებული შეიკრიბა.<sup>3</sup>  
გენერალმა გუდოვიჩმა აჯანყებულთა წინააღმდეგ რევულარული  
არმიის ნაწილები ზარბაზნების თანხლებითა და სახაზო კაზაკთა  
მრავალრიცხოვანი რაზმი გაგზავნა. ჩეჩნები დამარცხდნენ. მათ 10  
ათასი კაცი დაკარგეს, რუსებმა – 109 ჯარისკაცი და 7  
ოფიცერი.<sup>4</sup>

ატაგი, რომელიც XVIII ს. 70-იან წლებიდან ჩეჩნეთის  
ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინიციატორი იყო,  
ამჯერადაც გენ. ბულგაკოვმა სხვა აჯანყებულ აულებთან ერთად,  
გადაწვა. ატაგისა და სხვა გადამწვარი აულების მოსახლეობამ

<sup>1</sup> АКАК, т. 4, док. N438, გვ. 899-901.

<sup>2</sup> АКАК, т. 4, док. N1375, გვ. 896.

<sup>3</sup> АКАК, т. 3, док. N1139, გვ. 665.

<sup>4</sup> АКАК, т. 3, док. N1139, გვ. 66:

გენ. ბულგაკოვს სთხოვეს მათგან ერთგულების ფიცი მიეღო, გენ. გუდოვიჩმა განაცხადა, რომ იგი ჩეჩნების თხოვნას დააკმაყოფილებდა იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მიიღებდნენ შემდეგ პირობებს:

1. გზებზე, ვლადიკავკაზიდან მოზდოკამდე, კავკასიის ხაზსა და რუსეთის სხვა ადგილებზე არავითარი ზიანი არ მიაყენონ მოსახლეობას. არავითარი მტაცებლობა არ ჩაიდინონ, თუ გაიგებენ, რომ მტაცებელმა გაიარა სოფელში, დაუყოვნებლივ აცნობონ ახლო მყოფ სამხედრო ხელმძღვანელობას.

ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე მკაცრად იქნება დასჯილი რუსეთის კანონით.

2. ჩეჩნი ხალხი ვალდებულია, გზებზე, ვლადიკავკაზიდან მოზდოკამდე დაიცვას სიმშვიდე, რომ გზად გამველელებზე არავითარი თავდასხმა და ძარცვა არ მოხდეს.

3. გაქცეული მებრძოლები, კაზაკები და სხვა ხალხი არ მიიღონ და არც იყიდონ. დაუყოვნებლივ გადასცენ ისინი ახლო მყოფ უფროსს ყიზლარში ან ვლადიკავკაზში და მოზდოკში, რისთვისაც მიიღებენ 50-50 მანეთს, თუ ვინმე დააკავებს, დამალავს და შემდეგ ცნობილი გახდება, ჩაითვლება ქვეშევრდომობის დარღვევად.

4. ყოველი სოფლიდან ერთგულების ნიშნად საუკეთესო გვარებმა თან უნდა წარმოადგინონ მძევლები, რომლებიც იცხოვრებენ ყიზლარში და თითოეული მათგანისთვის გამოყოფილი იქნება 120 მან. წელიწადში. თუ ჩეჩნების მიერ სადმე რუსეთის საზიანო საქმე მოხდება, მძევლები დაისჯებიან.

5. თუ ჩეჩნების პირუტყვი აღმოჩნდება რუსებთან, მათ უფლება ეძლევათ მოძებნონ იგი და დაიბრუნონ.

6. ჩეჩნების მიერ გასაყიდ და საყიდელ საქონელზე ბაჟი არ იქნება აღებული. ბაჟს გადაიხდიან ისინი, ვინც ჩეჩნებიდან იყიდიან ან მათ ჰიყიდნიან რამეს.



7. თუ ჩენები ერთგულები იქნებიან, პათზე ისევე გაიცემა მარილი, როგორც ყაბარდოელებსა და მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ერთგულ სხვა მთიელ ხალხზე.

8. თუ ჩენები მტაცებლობას არ მოიშლიან, უნდა ელოდონ სრულ გაპარტახებასა და განადგურებას.<sup>1</sup>

დიდი და მცირე ატაგის 20 აულმა მიიღო გენ. გუდოვიჩის პირობები. მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, პირობების მიუღებლობის შემთხვევაში მათ აულებს განადგურება ელოდათ. 1807 წ. 2 ნოემბერს ჩენებმა იძულებით რუსეთისადმი ერთგულების ფიცი დადო და ქვეშდომობა მიიღო.<sup>2</sup>

ამავდროულად სამხედრო ადმინისტრაცია ცდილობდა ავტორიტეტული და გავლენიანი ჩენების მოსყიდვისა და გადმობირების მეშვეობით, თავის პოზიციების განმტკიცებას. ასე მაგალითად, გუდოვიჩმა მცირე ატაგის მამასახლისებს – ჩულიკ კინდერგეევსა და ბეიბულატ ტაიმანოვს კაპიტნის ჩინი უბოძა და სათანადო ხელფასი დაუნიშნა.<sup>3</sup>

რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის მოსყიდულებმა მამასახლისმა აბაკარ-ბუსამ და მისმა ძმამ ბეიუკ სულთანოვებმა მთელი სოფელი გადმოასახლეს ჩენეთიდან ციხე-სიმაგრე სუნჯასთან.<sup>4</sup>

1811 წ. იანვარში ქისტების 13 სოფლის მოსახლეობამ თავიანთი მამასახლისების თაოსნობით რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. აი, რას წერს ამის შესახებ გენერალი ტორმოსოვი გენერალ რუმინცევს:

«Кистинского ушеля 13 деревень почетные старшины...  
прибыв во Владикавказ, объявили... коменданту ген. М.  
Дельпесо желание свое быть верноподанными

<sup>1</sup> იხ. მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 88-89.

<sup>2</sup> АКАК, т. 3, док. N1156, გვ. 673.

<sup>3</sup> АКАК, т. 3, док. N1148, გვ. 671.

<sup>4</sup> АКАК, т. 4, док. N1374, გვ. 894.

всемилосивейшему государю императору. Вследствие сего... Дельпесо, привел их на верность поданства пед знаменами к присяге и в залог оной взял от них атаманов для содержания их во Владикавказ...»<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ პირველ ხანებში, რუსეთის ხელისუფლება მისი მფარველობისა და ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფი ხალხების საშინაო საქმეებში არ ერეოდა. კოლონიური რეჟიმის გამკაცრების კვალობაზე, მთიელებიც არ ასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

რუსეთ-საფრანგეთის ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ფართომასშტაბიანი შეტევითი სამხედრო მოქმედებების განხორციელება ურჩი მთიელების წინააღმდეგ და ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევა. ამ მიზნის შესრულება დაევალა გენერალ ა.პ. ერმოლოვს, რომელიც 1816 წელს დაინიშნა საქართველოს ჯარებისა და კავკასიის ხაზის ჯარების უფროსად. მისი აზრით, მთიელთა დამორჩილება შესაძლებელია, მხოლოდ გადამწყვეტი სამხედრო მოქმედებებით, რომელიც უნდა განხორციელდეს თანდათანობითა და მტკიცედ. იგი ამბობდა, რომ კავკასია არის უზარმაზარი ციხე-სიმაგრე, რომელიც დაცულია ნახევარმილიონიანი გარნიზონით, მისი შტურმი ძალზე ძვირად დაგვიჯდება, ჩვენ კი განვახორციელებთ მის ალყას. ერმოლოვს ამ უზარმაზარი ციხე-სიმაგრის მნიშვნელოვან ნაწილად ჩიჩნები, ინგუშები და დაღესტანი მიაჩნდა. იგი მთიელების დამორჩილების გეგმის ძირითადი მიმართულების შესახებ წერდა: «Отеснив их ближе к горам и в непрерывном содержж страхе, можно заставить их помышлять о собственной защите более, нежели. О нападениях,

<sup>1</sup> АКАК, т. 4, док. №11382, გვ. 904.

которые тем затруднительнее сделать, что надобно будут далеко проезжать позади цепи постов наших».<sup>1</sup>

ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარული იყო ხშირი, გაუვალი ტყით, რომელსაც მთიელები ოსტატურად იყენებდნენ რუსეთის არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში, როგორც ბუნებრივ ციხე-სიმაგრესა და თავშესაფარს. ერმოლოვმა ჩეჩნეთში, ინგუშეთში, დაღესტანში მთიელების მიუვალი აულებისა და საყრდენი პუნქტების მიმართულებით ტყე გაჩეხა და სამხედრო ნაწილებს გაუადვილა წინსვლა. იგი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე აშენებდა ციხე-სიმაგრეებს და კახაკთა სტანიცებს აარსებდა. ასე მაგალითად, 1817 წ. ინგუშეთში აშენდა ნაზრანის ციხე-სიმაგრე,<sup>2</sup> 1918 წ. ჩეჩნეთში ხან-ყალის ხეობაში — გროზნი,<sup>3</sup> 1819 წ. ყუბიყელთა აულ ენდერთან — ვენეზაპნაია. ამ ციხე-სიმაგრეების მთავარი დანიშნულება იყო მთიდან ბარში გამოსასვლელი გზების ჩაკეტვა, რომლის შესახებ მ. პოკროვსკი წერდა: „იგი მთიელებს ჩიხში ამწყვედევს, საიდანაც არავითარი გამოსასვლელი არ არის. რუსეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამ გზით მიაღწევდა მთიელი ხალხის უსიტყვო მორჩილებას.“<sup>4</sup>

გენერალ ერმოლოვის დროს დაიწყო მთიელთა ეთნოწმენდისა და გენოციდის პოლიტიკის მეთოდურად განხორციელება, რასაც ნათლად ადასტურებს მისივე ანგარიშები.

გენერალ ერმოლოვის ბატონობის ათწლეული (1816-1827) კავკასიის ხალხების, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ისტორიაში არის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ყველაზე საშინელი, გამანადგურებელი სისასტიკით მოქმედების

<sup>1</sup> Н.П. Гриценко. Классовая антиколониальная борьба Чечено-Ингушетии на рубеже XIX-XX веков, Грозный, 1971, гв. 95.

<sup>2</sup> Очерки истории Чечено-Ингушейской..., т. 1, гв. 95.

<sup>3</sup> СИЭ, т. 15, гв. 996.

<sup>4</sup> М. Покровский. Дипломатия и войны Царской России в XIX, ст. М., 1924, гв. 21.

პერიოდი. სწორედ ამიტომ შეარქვეს ერმოლოვს მთიელებმა „მრისხანე იარმული“ («Грозный Ярмул»).

1819 წ. სექტემბერში ა.პ. ერმოლოვი იმპერატორ ალექსანდრე I-ს დალესტანში მისი მოქმედებების თაობაზე წერდა: «Я сделал марш в горы, пользуясь общим ужасом и бегством и местами почти непроходимыми так, что с трудом мы перевели два легких орудия, истребил несколько селений, все на полях хлеб и не одного на пути не встретил человека; до такой степени россеялся неприятель».<sup>1</sup> ამავე წელს, ა.პ. ერმოლოვი შირვანის ხანს მუსტაფას აცნობებს, რომ გენერალ-მაიორმა პესტელმა ბაშლიდან გარეკა ყველა მოღალატე და სრულებით გაანადგურა ყაჩაღთა ბუდე. ერთი სიტყვით, ბაშლაში ქვა ქვაზე არ დარჩენილა, მისი საფუძვლის კვალი სავსებით წარხოცილია.<sup>2</sup>

ერმოლოვი არავის და არაფერს არ ინდობდა, ყველაფერს წვადა და ანადგურებდა. მისი დმსჯელი რაზმის გამოჩენისას, მოსახლეობა მასიურად ტოვებდა აულებსა და მთის ხეობებში აფარებდა თავს. ამის შესახებ ერმოლოვი დიდი სიამაყით წერს, რომ „მის გამოჩენაზე სოფლის მოსახლეობა ტოვებს საცხოვრებლებსა და მთებს აფარებს თავს. სოფლებში დარჩენილი იყო ბევრი ქონება. უებრძანე მათი განადგურება. სხვათა შორის, გავანადგურეთ უმშვენიერესი დასახლების ალუ-აიას 800 სახლი. აქედან მოსახლეობა ისე სწრაფად გაიქცა, რომ დატოვეს რამდენიმე ბუბუქოვარი ბავშვი“.<sup>3</sup> «Разорение нужно было, как памятник наказания гордого и никому доселе не покорствовавшего

<sup>1</sup> Приложение к «Записям А.П. Ермолова во время управления Грузией, ч. 2, М., 1866, გვ. 432.

<sup>2</sup> Движение горцев Северно-Восточного Кавказа в 20-30-х гг. XIX в. Сб. документов, Махачкала, 1959, გვ. 27.

<sup>3</sup> Записки А.П. Ермолова..., გვ. 97.

народа; — წერდა ერმოლოვი. — нужны в представлении прочим народом, на коих одни примеры ужасно удобны наложить обуздание».<sup>1</sup>

და ბოლოს, საჭიროა მოვიყვანოთ 1818 წ. 20 მაისის ერმოლოვის ანგარიში ალექსანდრე I-ის მიმართ, სადაც ნათლად ჩანს კოლონიზატორების მიერ მთიელთა მიწების მიტაცების წესები და მეთოდები. „თუ წლებანდელ 1818 წ. თავხედმა ჩეჩნებმა ხელი არ შემიშალეს, სუნჯაზე, ჩვენთვის ყველაზე საშიშ ადგილზე, ავაგებ ერთ ან ორ სიმაგრეს. — წერს ერმოლოვი — მაშინ 1919 წელს თერგსა და სუნჯას შორის მცხოვრებ ბოროტმოქმედებს (ჩეჩნებს — ე.ა.) შეეთავაზებ ცხოვრების წესებს. ისინი ჩვენი ქვეშევრდომებია და არა მოკავშირეები... იმ შემთხვევაში თუ ჩეჩნებმა სათანადო მორჩილება გამოგვიცხადეს, მაშინ გამოვუყოფ საჭირო მიწას, დარჩენილს გადავცემ შევიწროვებულ კაზაკებსა და ყარანოღაელებს, არა და ჩეჩნებს განვდეგნი, ხოლო მიწები დაგვრჩება ჩვენი განკარგულების ქვეშ...“

ერმოლოვი თხოვს იმპერატორს, მოზღოკელი და გრებნელი კაზაკების ნაწილის, თერგს გაღმა გადმოსახლების უფლებას.<sup>2</sup>

„როგორც წესი — წერს ა.ვ. ფადეევი — კოლონიზატორები მთიელებს დიდმპყრობელური სიძულვილით ეპყრობოდნენ“.<sup>3</sup>

ერმოლოვმა დიდი ზიანი მიაყენა მთიელებს, ამოწყვეტა მწარმოებელი მოსახლეობა, გაჩეხა ბალ-ვენახები, მიწასთან გაასწორა აყვავებული აულები და სოფლები, გააძლიერა მოსახლეობის ძარცვა და მასიური ტერორი. იგი ველური საშუალებებით ცდილობდა მთიელი ხალხის ეკონომიკური საფუძვლის მოსპობასა და მათ დამორჩილებას.

<sup>1</sup> Записки А.П. Ермолова..., გვ. 98.

<sup>2</sup> Движение горцев..., გვ. 25.

<sup>3</sup> А.Ф. Фадеев. Возникновение юридического движения на Кавказе и его социальные корни, გვ. 47.

1822 წელს ჩეჩნეთში ყადი აბდულ-კარადის ხელმძღვანელობით აჯანყება დაიწყო. მამ მხარი დაუჭირა ავარიელებმა აჰმედხანის მეთაურობით. ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო და აჯანყება შტაბებით იოლად ჩააქრო, მაგრამ ჩეჩნეთის მაღალმთიან აულებს წინააღმდეგობა არ შეუწყვეტიათ. ლოკალურმა აჯანყებებმა მთელი ჩრდილოეთ კავკასია მოიცვა.

მთიელთა დამორჩილების ბარიდან მთაში არეკვის ერმოლოვისებურმა ტაქტიკამ, ხელისუფლებისათვის მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ, ერმოლოვმა დაიწყო მთიდან არასაიმედო საზოგადოებების ჩამოსახლება რუსული ციხესიმაგრეების მახლობლად. მან 1822 წელს მთიდან ბარში გადმოასახლა ოსეთის თაიგურთა, ქურთათისა და ალაგორის საზოგადოებები.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საზოგადოებების წარჩინებულ საგვარეულოებს საკმაო მიწები დაურიგდათ, მკაცრ კოლონიურ რეჟიმს ვერ ეგუებოდნენ და გამუდმებით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაზე ფიქრობდნენ და სერიოზულ პრობლემებს ქმნიდნენ საქართველოს სამხედრო გზაზე.

1824 წელს დაღესტანში მოლა მუჰამედ-იარაგელის მეთაურობით ანტიკოლონიური აჯანყება დაიწყო. რომელსაც მხარი დაუჭირა ჩეჩნეთის აულ მაიიურტუპის მკვიდრმა ბეიბულატ ტაიმიევმა.

1802 წელს ბეიბულატ ტაიმიევი 20-23 წლის იყო, როდესაც მან პირველად განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა საკორდონო ხაზზე და მოკლა 11 კახაკი. მისი ავტორიტეტი და გავლენა ჩეჩნეთში სწრაფად იზრდებოდა. იგი, ჩეჩნეთის ერთ-ერთი დიდი სოფლის Salis მოსახლეობამ მამასახლისად აირჩია.

1807 წ. ხან-ყალეს ხეობაში გენერალ ბულგაკოვის ექსპედიციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩეჩნეთში პირდაპირი რუსული მმართველობის დამყარება შეუძლებელია და

<sup>1</sup> История Северо-Осетинской АССР, М., 1959, გვ. 11.

კოლონიური ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ადგილობრივი ავტორიტეტული სასულიერო და საერო წარმომადგენლების მეშვეობით მოახერხოს ჩეჩნების დამორჩილება.

რუსეთის მომავალი ერთგულებისათვის სოფელ შალის მამასახლისს ბეიბულატ ტაიმიევს მიანიჭეს კაპიტნის წოდება და დაუნიშნეს წლიური ჯამაგირი 250 მან.<sup>1</sup> 1807 წ. იგი ღებულობს რუსეთის ერთგულების ფიცს. ბეიბულატის, რუსეთის სამსახურში გადასვლა, არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც პატივმოყვარე, ფულისადმი ხარბი და მოღალატე პიროვნების საქციელად. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ გზით თავისი ქვეყნის ინტერესებს უკეთ დაიცავდა, რათა გამოენახა რაიმე კომპრომისული გადაწყვეტილება და რუსეთს შეეწყვიტა ჩეჩნეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები.

ბეიბულატ ტაიმიევი 1807 წ. ქ. თბილისში აწარმოებდა მოლაპარაკებას კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციის ჩინოვნიკებთან რუსეთ-ჩეჩნეთის მომავალი ურთიერთობების თაობაზე. ბეიბულატ ტაიმიევთან მოლაპარაკებას აწარმოებდა სამხედრო ადმინისტრაციის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი გენ. ივ. გუდოვიჩი. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება სამი თვე მიმდინარეობდა, მის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ბეიბულატის პოზიცია ცნობილია. იგი მოითხოვდა რუსეთის პროტექტორატის ფორმალურად ცნობის სანაცვლოდ, ჩეჩნეთის საშინაო საქმეებში სრულ ჩაურევლობასა და მამასახლისთა წოდებრივი უფლებების განმტკიცებას.<sup>2</sup>

რუსეთის მთავრობისათვის ტაიმიევის გეგმები მიუღებელი აღმოჩნდა, იგი თბილისიდან დაბრუნების შემდეგ, მუდმივად თავს ესხმოდა კავკასიის სამხედრო ხაზს.

მან ჩეჩნეთში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, კოლონიურმა ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა ტაიმიევის ხელში ჩაგდება ან

<sup>1</sup> АКАК, т. 3, док. N1148, გვ. 671.

<sup>2</sup> <http://www.chechnyafrec.ru>.

მოსპობა. ტაიმიევმა თავისი აული აჯანყებულთა ხელმძღვანელობის ცენტრად აქცია. მისმა ავტორიტეტმა სერიოზული როლი ითამაშა დიდ ჩეჩნეთში აჯანყების გავრცელების საქმეში. 1825 წლისათვის აჯანყებამ თითქმის მთელი ჩეჩნეთი მოიცვა. აჯანყებულებმა აული ატაგი დააკავეს და დაიწყეს გროზნოს ციხე-სიმაგრეზე შეტევისთვის მზადება.<sup>1</sup>

კაკასიის არმიის მთავარსარდლის ერმოლოვის ბრძანებით აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი იქნა დიდი სამხედრო შენაერთი გენ. გრეკოვის მეთაურობით, გრეკოვმა დაამარცხა აჯანყებულები, აული ატაგიც აიღო, მაგრამ ტაიმიევი ხელში ვერ ჩაიგდო და ვერც აჯანყებულების სრული განადგურება მოახერხა.

ბეიბულატ ტაიმიევი განაგრძობდა ბრძოლას. მან მთელი ჩეჩნეთი ააჯანყა და ერმოლოვისთვის კვლავ სერიოზულ ძალად იქცა. ამჯერად, აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი იქნა ორი სამხედრო შენაერთი გრეკოვისა და ლისანევიჩის მეთაურობით. გენერლებმა გერზელ-აულში 318 ჩეჩენი მამასახლისი გამოიძახეს თათბირზე. გენ. ლისანევიჩმა მამასახლისებს დამამცირებელი, შეურაცხყოფელი სიტყვებით მიმართა და ბრალად დადო აჯანყებულებთან კავშირი. როდესაც გენ. ლისანევიჩმა მამასახლისების სათითაოდ გამოძახება დაიწყო და ჯერი მოლა უჩარ-ჰაჯს მოუწია, მან უეცრად ხანჯალი გააშისვლა, მივარდა გენერლებთან, მოკლა გრეკოვი და სასიკვდილოდ დაჭრა ლისანევიჩი.

აღსანიშნავია, რომ გენერლები ლისანევიჩი და გრეკოვი მთიელებს მხეცებად, ველურებად თვლიდნენ. მათ სადიზმს მთიელების მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. 1818 წ. მაიორმა წიკლაურმა შეიპყრო ბეიბულატ ტაიმიევის თანამებრძოლი ჯამბულატ ძაგოევი და გააგზავნა გროზნოში, სადაც ლისანევიჩმა და გრეკოვმა იგი გაატარეს შპიცრუტენებით შეიარაღებულ ათასკაციან რიგს შორის.

<sup>1</sup> АКАК, т. 6, ч. 2, док N893, გვ. 508.



კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ უჩარ-ჰაჯის მიერ ორი გენერლის მოკვლისათვის შური იძია — გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე სამასთერამეტივე მამასახლისი დახოცეს.

კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ერმოლოვმა და მისმა გენერალიტეტმა უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს არამარტო ჩეჩენი ხალხის, არამედ კაცობრიობის წინაშეც.

გერზელ-აულში ჩეჩენი მამასახლისების ზოცვა-ჟღერამ დიდი რეზონანსი მიიღო არამარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ საზღვარგარეთაც. ამ ამბავმა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების აღშფოთება გამოიწვია. დასავლეთ კავკასიაში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილება გაიზარდა.

ბეიბულატ ტაიმიევის გვერდით მთელი ჩეჩნეთი დადგა. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები აჯანყებულთა რიგებში დგებოდნენ. ერმოლოვი მთელ აღმოსავლეთ კავკასიაში აჯანყების გავრცელების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. სამხედრო შენაერთს, რომელსაც აჯანყებულთა წინააღმდეგ უნდა ებრძოლა თვით გენ. ერმოლოვი ჩაუდგა სათავეში. 1826 წ. 30 იანვარს ერმოლოვმა აჯანყებულები სასტიკად დაამარცხა. ამ დამარცხების შემდეგ ჩეჩნები ერიდებოდნენ რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებთან ფრონტალური ხასიათის ბრძოლების გამართვას. მთიელების ბრძოლამ კოლონიური არმიის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის ხასიათი მიიღო.

გენ. ერმოლოვი და მისი მემკვიდრეები მეთოდურად ანხორციელებდნენ მთიელი ხალხის ეთნოწმენდისა და გენოციდის პოლიტიკას. ამის დამადასტურებელია რუსი გენერლებისა და ოფიცრების პატაკები, წერილები და მოგონებები. მთიელი ხალხის მოსპობის პოლიტიკა რუსეთის იმპერატორების კარზე მტკიცდებოდა, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება კაცთმოძულე გენერლების მეშვეობით ხდებოდა.

ნიკოლოზ I გენერალ პასკევიჩს ავალედა: «Усмирения навсегда горских народов или истребления непокорных».<sup>1</sup>

აფასებდა რა ერმოლოვის საქმიანობას, პასკევიჩი ნიკოლოზ I-ს (1930 წ. 6 მაისს) წერდა: «...Чем больше делаю я наблюдений и вхожу в узнение их народов, тем более удостоверяюсь, что направление политики и отношения наши к ним были ошибочны и не имели ни общего плана, ни постоянных правил. Жестокость в частности, умножила ненависть и возбуждала к мщению; недостаток твердости и нерешительность в общем плане обнаруживали слабость и недостаток силы».<sup>2</sup> პასკევიჩის მიერ ერმოლოვის პოლიტიკის კრიტიკა უფრო პირადი ინტერესებითაა ნაკარნახევი, რადგან მისი დამოკიდებულება მთიელებისადმი არსებითად არ განსხვავდებოდა წინამორბედისაგან.

ერმოლოვისა და პასკევიჩის კაცთმოძულე პოლიტიკამ დააჩქარა მიურიდიზმის გავრცელება და საყოველთაო ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ფორმირება, რომელმაც მიიღო საღმრთო ომის ხასიათი.

---

<sup>1</sup> Е. Дробинина. Национальный и колониальный..., გვ. 71.

<sup>2</sup> Движение горцев..., გვ. 69.

რელიგიურ მოძრაობას, რომელმაც XIX ს. 20-იან წლებში, ჯერ აღმოსავლეთ და შემდგომ დასავლეთ კავკასია მოიცვა, ეწოდებოდა მიურიდიზმი. «В основе его, – აღნიშნავს მ. პოკროვსკი – лежит аскетическое отречение человека от своей личной воли-ради непосредственного сближения с божеством».<sup>1</sup> მაჰმადიანური ასკეტიზმის („ტარიკატი“) პრაქტიკა იცნობს რამოდენიმე საფეხურს: დაბალ საფეხურზე მდგომ „მიურიდს“ სჭირდებოდა შუამავალი („მიუხშიდი“, „შეიხი“), რომელიც მას ღმერთთან დააკავშირებდა. მიურიდისთვის შეიხი იყო ალაჰის ნების გამომხატველი და უსიტყვოდ ემორჩილებოდა მას. ამგვარად, მისტიკა ჰქმნის იერარქიას, რომლის საფუძველია არა მატერიალური უპირატესობა, არამედ „მიურიდის“ სულიერი მოთხოვნა იყოს ალაჰის შუამავლის („შეიხის“) ნების უსიტყვო შემსრულებელი და მორჩილი. ასეთივე ასკეტურ იერარქიაზე იყო დამყარებული შუასაუკუნეების კათოლიკე ბერების ორდენებიც.

მ. პოკროვსკი აღნიშნავს, რომ მიურიდიზმის წარმოშობისა და გავრცელებისთვის საჭირო იყო: პირველი – „შესაფერისი ნიადაგის არსებობა“ და მეორე – „მასების შესაფერისი განწყობა“. პირველი მოინახა დალესტნის დემოკრატიულ თემებში, სადაც ჩაისახა და ყველაზე მეტ ხანს არსებობდა კავკასიური მიურიდიზმი, მეორე – შექმნა რუსეთის პოლიტიკამ მთიელების მიმართ<sup>2</sup> გაცილებით მეტი, ვიდრე საჭირო იყო.

ამრიგად, მთიელთა გამაერთიანებელი იდეოლოგია გახდა რელიგიური მოძღვრება – მიურიდიზმი.

<sup>1</sup> М.П. Покровский. Дипломатия и войны..., გვ. 81:

<sup>2</sup> იქვე. გვ. 96.

XIX ს. 20-იანი წლების II ნახევარში დაღესტანში „ისლამის წმინდა იდეების“ პირველი მქადაგებელი იყო შეიხი მუჰამედ იარაგინსკი. მის პროპაგანდას საფუძვლად ედო სოციალური სამართლიანობის პრინციპები.

ამ პერიოდში დაღესტანში ცნობილი ხდება ახალგაზრდა მოლა ლაზი-მუჰამედი. ისლამის გულმოდგინე მქადაგებელს ყურადღება მიაქცია დაღესტნის მიურშიდმა შეიხ ჯემალედინმა და ყურალ-მაგომმა. ჯემალედინმა მოლა ლაზი მოიწვია თავის კუმურად (მოსწავლე). ლაზი მთელი ძალისხმევით შეუდგა ტარიკატის მოძღვრების დაუფლებას. მალე იგი ჯემალედინმა დანიშნა თავის მაზუნად (თანაშემწე) ჩრდილოეთ დაღესტანში...

ჯემალედინი და ყურალ-მაგომი ქადაგებდნენ, რომ ტარიკადი მისაწვდომია სულიერი სრულყოფის მისაღწევად, მხოლოდ გამორჩეულთათვის და ცალკეული პირების გადასარჩენად.

ცნობილია, რომ ყურანი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. შარიათი — რწმენა; 2. ტარიკატი — მოძღვრება კეთილი საქმეების შესახებ; 3. ჰაკიხატი — წინასწარმეტყველის დანახვა (გამოცხადება). ლაზი-მუჰამედს ტარიკატის მოძღვრების თაობაზე თავისი მასწავლებლის საწინააღმდეგო შეხედულებები გააჩნდა. ლაზიმ კეთილ საქმეთა რიცხვს ურწმუნოების (რუსების) წინააღმდეგ ბრძოლა მიაკუთვნა. იგი ამტკიცებდა, რომ ტარიკატი მისაწვდომია არა მარტო გამორჩეულთათვის, არამედ ყველა მუსლიმანისთვის. იგი ხალხს სჭირდება საღმრთო ომის — ურწმუნოების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის დასასაბუთებლად.

ლაზი-მუჰამედმა ჰაზვატი გამოუცხადა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმთან ერთად, ადგილობრივ ხანებს, შეიხებს, მოლებს, ყაიდებს, მფლობელებსა და მთიელებს, რომლებმაც სცნეს რუსეთის ხელისუფლების უზენაესობა და ჩადგნენ მის სამსახურში. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო რუსეთის

სამსახურში მყოფ დიდგვაროვანთა განადგურებით. ლაზი-მუჰამედმა ავართა ხანი ოჯახის წევრებთან ერთად მოსკო და დაღესტანში იმამის ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადა.

1829 წელს ლაზი-მუჰამედი დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამად — მუსულმანთა უმაღლეს წინამძღოლად გამოცხადდა. მისი უახლესი თანამოღვაწეები გახდნენ უზდენი აულ გიმრადან შამილი და ხუნძახელი დიდგვაროვანი ჰამზათ-ბეგი. ამ დროიდან კავკასიის ომში მოხდა დიდი გარდატეხა — მთიელთა ეროვნულ-განმათავისფლებელი მოძარობა ღებულობდა საყოველთაო შეიარაღებულ ხასიათს.

შეიხებმა ჯემალედინმა და ყურალ-მაგომიმ, საყოველთაოდ აღიარებული რელიგიური ნორმებისა და განსაკუთრებით, ტარიკატის მოძღვრების უხეში დარღვევისათვის, ლაზი-მუჰამედი განდგომილად შერაცხეს. ამავდროულად, იგი ხუნძახის ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა დამალულიყო, მაგრამ მისი მომხრეები აქტიურად განაგრძობდნენ ტარიკატის ქადაგებას. დაღესტნისა და ჩეჩნეთის მოსახლეობამ ურწმუნოების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობა გულთან ახლოს მიიტანეს. ყოველდღიურად იზრდებოდა ლაზი-მუჰამედის მომხრეები. გარდა ამისა, მალე ჯემალედინი და ყურალ-მაგომი დარწმუნდნენ, რომ ტარიკატის მოძღვრება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საღმრთო ომის წარმატებული პროპაგანდისათვის და მიემხრნენ ლაზი მუჰამედს.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა ლაზი-მუჰამედის სასარგებლოდ. 1830 წელს ჩეჩნეთმა იგი, სახალხო გმირად გამოაცხადა, რის შემდეგ მისი რაზმი 12 ათასამდე გაიზარდა, რომელთა უმრავლესობას ჩეჩნები შეადგენდნენ. იგი გამუდმებით მოძრაობდა, ხან ჩეჩნეთში, ხან დაღესტანსა და ყაბარდოში. «Вольный как ветер и быстрый как птица, — წერდა ლაზი-მუჰამედის შესახებ XIX ს. ბოლოს პროფ. პ.ი. კოვალევსკი — «он перелетал с места на место и

всюду имел приверженцев и сообщников. Его важное пришествие состояло в том, что он явился представителем и защитником дикой свободы, хищничества и герайского рыцарского подвижничества во имя газавата. К нему присоединялись все, кому мила и дорога была свобода и вольное хищничество. А таковыми были все Кавказские хищники. Давая присягу и клятву русским, они в тоже время думали, как бы извести и ограбить всех этих русских...

Теперь они знали, что раздробленность гибель, а объединение - спасение и сила. Вот почему, при нападениях русских на лизгин, им подавали помощь и чеченцы, и дагестанцы и все другие магометанские инородцы... И куда бы ни явился Кази-мулла, он всюду моментально находил готовую армию».<sup>1</sup>

პ.ი. კოვალევსკი, რომელიც კავკასიის ომის მონაწილე იყო, ცდილობდა მკითხველი დაერწმუნებინა იმაში, რომ მთიელები რუსების წინააღმდეგ იბრძოდნენ ველური და მტაცებლური თავისუფლების შენარჩუნებისათვის. საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ რუსები მთიელებს ველურებს, მხეცებს, ყაჩაღებს, ქურდებს უწოდებდნენ. მაგრამ კოვალევსკის „დამსახურება“ იმაში გამოიხატება, რომ მან პირველად რუს ისტორიკოსებს შორის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მონათლა, როგორც ბრძოლა ველურობის, მხეცობის, ყაჩაღობის, ქურდობის თავისუფლებისთვის.

უნდა ითქვას, რომ მთიელებს დამცირება, შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება, არაადამიანური მოპყრობა რუსი სამხედრო პირე-

---

<sup>1</sup> П.И. Ковалевский. Завоевание Кавказа Россией. Исторические очерки, С-Пб. გვ. 277-278.

ბისაგან და ინტელიგენციის დიდი ნაწილისაგან, ნამდვილად არ აკლდა.

1830 წ. ლაზი მუჰამედმა თარკის საშამხლოში (სოფ. არაკენოვსკაია) დააპატიმრა თავადები, ყადიები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ შარიათის შემოღებას. იგი ერთ-ერთ თავის მიმართვაში მოუწოდებდა სასულიერო პირებს, მფლობელებს, თავადებსა და ყველა მთიელს, ვინც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, ცოდვების მონანიებასა და ალაჰისკენ სწრაფვას: „თუ თქვენ შემდგომშიც გაგიჩნდებათ რუსეთისადმი ერთგულების სურვილი, — აფრთხილებდა ლაზი — გაგდევნით თქვენი მიწებიდან და ჩამოგართმევთ ქონებას, რადგან ყურანში წერია: ვინც ალაჰისა და მისი მოციქულების წინააღმდეგ იბრძვის და ცდილობს განხეთქილების ჩამოგდებას, იგი უნდა დაისაჯოს სიკვდილით...“<sup>1</sup> „ხმალი — ჩვენი, ხოლო კისრები — კიაფირებისა და განდგომილების. ღმერთო! დაეხმარე რელიგიის ხელისშემწყობთ“.<sup>2</sup>

ამგვარად, ისლამის დახმარებით, მისი რელიგიური იდეოლოგიური დროშის ქვეშ, ერთიანდებოდა მთიელები კიაფირების (რუსების) და განდგომილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიუხედავად იმისა, რომ ლაზი-მუჰამედი დალესტინისა და ჩეჩნეთის იმამად იყო გამოცხადებული, რეალური ძალაუფლების მოპოვებისთვის საჭირო იყო, პირველ რიგში, ხუნძახის დაუფლება, რომელთა ხანები რუსეთის მფარველობით სარგებლობდნენ. ლაზის მცდელობა ამ მიმართულებით, უშედეგო აღმოჩნდა და იგი ჩეჩნეთში გადავიდა. ლაზი-მუჰამედი ჩეჩნებმა, როგორც ვიცით, დიდი პატივით მიიღეს.

1830 წ. 25 ივნისს ჯარო-ბელაქანი რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა. კაკკასიის არმიის

<sup>1</sup> Движение горцев..., გვ. 87.

<sup>2</sup> Движение горцев..., გვ. 88.

მთავარსარდლის პასკევიჩის ბრძანებით, აქ ციხე-სიმაგრე ახალი-  
ზაქათალა აშენდა.<sup>1</sup> ლაზი-მოლამ გადაწყვიტა რუსების განდევნა  
ჯარო-ბელქანიდან და ახალი — ზაქათალის დანგრევა, მისი  
თანამებრძოლი ჰამზათ-ბეგი რამდენიმე ათასი მებრძოლით  
ჯარელების დასახმარებლად ჯარში ჩავიდა. გენერლების  
სერგეევისა და სტრეკალოვის სამხედრო შენაერთებმა  
აჯანყებულები დაამარცხეს და ჯარი მთლიანად დაანგრიეს.<sup>2</sup>

1831 წ. 13 სექტემბერს კავკასიის არმიის მთავარსარდლად  
დანიშნა ბარონი როზენი. მისი დანიშვნა დაემთხვა ჩრდილოეთ  
კავკასიაში სამხედრო მოქმედებების ორი თეატრის არსებობას:  
აღმოსავლეთის, ძირითადად დაღესტანი და ჩეჩნეთი;  
დასავლეთის — ნათუხაები, შაფსულები, აბაზხები და სხვ. «В  
каждой из этих местностей шли отдельные военные действия,  
которые только изредка объединялись... — წერს პ.ი.  
კოვალევსკი — Только изредка дагестанским имам удавалось,  
по сговору, действовать совместно с закубанцами»

1831 წ. ლაზი-მუჰამედი მოულოდნელად თავს დაესხა ყიზ-  
ლარს, აიღო იგი, დაანგრია და ასობით ტყვე ჩაიგდო ხელში.  
გარდა ამისა, მან დაარბია ჩეჩნეთის აულები, რომლებიც მას  
მხარს არ უჭერდნენ.<sup>3</sup> ლაზი-მუჰამედმა დაღესტანშიც მთელი  
რიგი დამარცხება მიაყენა რუსეთის სამხედრო ნაწილებს. 1832  
წელს მან ალყაში მოაქცია ნაზრანი. ამ დროს გენ. ველიამი-  
ნოვისა და კლიუგენაუს სამხედრო ნაწილები დაღესტანში მისი  
აულის გიძრის გასანადგურებლად მიემართებოდნენ. ლაზი-  
მუჰამედმა სასწრაფოდ მოხსნა ნაზრანს ალყა და დაღესტანში  
დაბრუნდა თავისი აულის დასაცავად. რუსეთის სამხედრო  
ნაწილებმა გენ. ველიამინოვის ხელმძღვანელობით იერიშით

<sup>1</sup> П.И. Ковалевский. Завоевание Кавказа Россией..., გვ. 274-275.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 275.

<sup>3</sup> <http://www.chechnyafnec.ru>.



აიღეს გიამრი. ღაზი-მუჰამედი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა, მთელი ტანი მახვილით იყო დაჩხვლექილი. დაჭრილმა შამილმა ფიზიკური გამძლეობისა და მამაცობის წყალობით შესძლო ალყიდან თავის დაღწევა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ღაზი-მუჰამედის დაღუპვის შემდეგ სათავეში ჩაუდგა მისი მეგობარი და თანამოდგაწე ჰამზატ-ბეგი ავარიელი, ხოლო შამილი გახდა მისი უახლოესი თანამებრძოლი. ჰამზად-ბეგს კარგად ესმოდა, რომ იმამის ხელისუფლების დამკვიდრება დაღესტანში შეუძლებელი იყო ავართა დედაქალაქის ხუნძახის დაუფლების გარეშე. მან მრავალათასიანი ლაშქრით ხუნძახი ალყაში მოაქცია და აიღო იგი. ჰამზატ-ბეგმა, როგორც მისმა წინამორბედმა, ამოხოცა ხანის ოჯახი.

ჰამზად ბეგი „ჩანკა“ იყო, ე.ი. ხანის შვილი მდაბიო ქალისაგან და ამიტომ არ თვლიდნენ ოჯახის სრულუფლებიან წევრად. არსებობს აზრი, რომ მან ხანის ოჯახის წევრები ამოხოცა შელახული პატიემოყვარეობის გამო. ჰამზად-ბეგი დაეუფლა რა ხუნძახს, გახდა რეალური ძალაუფლების მქონე იმამი. მან მკვეთრად შეზღუდა ბეგების, შეიხების, ყადიებისა და მოღლების უფლებამოსილებები. მთელი მათი საქმიანობა დაუქვემდებარა ტარიკატის ქადაგებას, რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას. ჰამზატ-ბეგმა აკრძალა თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლური სასმელები; მოითხოვდა მუსლიმანური წესებისა და დოგმების განუხრელად შესრულებას. იმამის ხელისუფლება სცნო დაღესტნის დიდმა ნაწილმა და ჩეჩნეთმა. იმამი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ყუბანისპირა მთიელ ტომთა შორის. იმამის ხელისუფლების გავრცელებამ ძალზე შეაშფოთა რუსეთის ხელისუფლება. ხუნძახში, ჰაჯი-მურატის თაოსნობით, ჰამზატ-ბეგის წინააღმდეგ მოაწყვეს შეთქმულება. 1834 წ. 19 სექტემბერს იგი მეჩეთში ჰაჯი-მურატის ძმამ ოსმანმა მოკლა.

ხელისუფლება, პრესა და შემდომში რუსი ისტორიკოსები, ამტკიცებდნენ, რომ ჰამზატ-ბეგი, ხანის ოჯახის ამოზოცვის გამო გახდა ადათით გათვალისწინებული შურისძიების (სისხლის აღების) მსხვერპლი. ადათით გათვალისწინებული შურისძიების განხორციელება იმამზე — მუსულმანთა უმაღლეს წინამძღოლზე და სულიერ მამაზე და ისიც მეჩეთში, მოკლებულია სინამდვილეს. უდავოა, რომ იმამზე ტერორისტული აქტი განხორციელდა კოლონიური ხელისუფლების დაკვეთით. შეთქმულებას ხელმძღვანელობდა ჰაჯი-მურატი, რომელიც მაშინ კოლონიურ ადმინისტრაციას ეხმარებოდა მთიელთა დამორჩილების საქმეში.<sup>1</sup>

1834 წ. დაღესტანში ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის სასულიერო პირთა ყრილობა, სადაც დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამის თანამდებობაზე წარდგენილი იყო ორი კანდიდატურა — შამილი და შეიხი ტაშუ-ჰაჯი (ტაშევ-ჰაჯი). ეს უკანასკნელი ჩეჩნეთში უცილობელი ავტორიტეტით სარგებლობდა, პოლიტიკურად სრულიად დამოუკიდებელი ფიგურა იყო, ჰყავდა საკუთარი მიურილები. ტაშუ-ჰაჯი, დაბადებიდან ნიჭით დაჯიღოვებული, შესანიშნავად ერკვეოდა სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში. იგი ჩეჩნებისა და ყუმიყების არაოფიციალურ ბელადად ითვლებოდა: მიუხედავად ამისა, ყრილობამ ხმის უმრავლესობით დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამად შამილი გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ჯემალედინის მხარდაჭერამ უზრუნველყო შამილის გამარჯვება. ტაშუ-ჰაჯის პროტესტი არ გამოუთქვამს. იგი დაემორჩილა ყრილობის გადაწყვეტილებას, საქმე იმაში იყო, რომ ისლამი ჩეჩნეთში ძირითადად დაღესტნიდან ვრცელდებოდა. დაღესტნელი სასულიერო პირები ტრადიციულად იყვნენ ჩეჩენი მოღვაწის მასწავლებლები. ჩრდილოეთ კავკასიაში დაღესტნელ სასულიერო პირებს იერარქიული კიბის მაღალი საფეხურები ეკავათ.

<sup>1</sup> Движение горцев..., გვ. 137.

ამჯერად, ჩეჩენი შეიხის ტაშუ-ჰაჯის იმამად გამოცხადება კი დაარღვევდა ჩამოყალიბებულ სასულიერო იერარქიას.

ტაშუ-ჰაჯი ჩეჩნეთში ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, იგი 1835 წ. ივლისში შეეცადა ჩეჩნეთიდან ყუმიყეთში შეჭრას. სუნჟენის ხაზის სარდალმა გენ. პულომ, საპასუხოდ ჩეჩნეთში სადამსჯელო ექსპედიცია ჩაატარა. მან მთლიანად გადაწვა აული ენგელიკი, გაანადგურა მოსავალი, მოკლული იქნა 70 და ტყვედ აყვანილი 27 მთიელი, ხელში ჩაიგდო 120 რქოსანი პირუტყვი, 600 ცხვარი და თხა და მოსახლეობის სხვ. ქონება.<sup>1</sup>

ტაშუ-ჰაჯი განაგრძობდა რუსების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. თავს ესხმოდა სამხედრო ნაწილებსა და იმ აულებს, რომლებმაც არ სცნეს იმამის ხელისუფლება.

რუსეთის კოლონიური ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ შამილი და ტაშუ-ჰაჯი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ და მათი ცალ-ცალკე განადგურების იმედი ჰქონდათ.

შამილმა მოახერხა ტაშუ-ჰაჯთან საერთო ენის გამონახვა, ყველა კარდინალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას იგი ითვალისწინებდა ტაშუ-ჰაჯის წინადადებებს. მათ ერთობლივად ჩაატარეს ჩეჩნეთში და დაღესტანში წარმატებული სამხედრო ოპერაციები რუსეთის სამხედრო ნაწილებისა და იმ მამასახლისებისა და ხანების წინააღმდეგ, ვინც არ სცნობდა იმამის ხელისუფლებას.

ჰამზატ-ბეგის მოკვლის შემდეგ რუსეთმა ავართა ხანად დანიშნა ასლან-ხანი: შამილის ხუნძახის დაუფლების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. გენერალი კლუგენაუ დაღესტანში აქტიურად მოქმედებდა. მან აიღო გერგებილი, გოცალი და ფაქტობრივად, შამილი განდევნა დაღესტნიდან. შამილი თითქმის ერთი წელი არ აწუხებდა რუსებს. იგი დიდ სამხედრო

---

<sup>1</sup> Н.А. Волконский. Оканчание покорения Восточного Кавказа, Тифлис, 1879, გვ. 393.

სამზადისში იყო და მთიელთა საყოველთაო აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ საფუძველს უყრიდა. ხელისუფლებისთვის შამილის მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩა. დაღესტანში პროფილაქტიკური სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად გაგზავნილი იქნა სამხედრო შენაერთი გენ. რეუტის მეთაურობით. მან მხოლოდ უნცუკულებს დაადებინა ერთგულების ფიცი და უკან დაბრუნდა. პ.ი. კოვალევს კი დიდი სინანულით წერს: «Такой безкровный поход послужил Шамилю на пользу.

Русские боятся вступить с ним в бой. Теперь Шамиль поселился в Гочатл».<sup>1</sup> გოცატლში შამილმა ცოლად შეირთო ჰამზატ-ბეგის ქვრივი და მიიღო მთელი მისი განძეულობა. მან თავისი ადგილსამყოფელი გოცატლიდან აშილტაში გადაიტანა.

1836 წ. 20 სექტემბერს კავკასიაში ჩამოვიდა იმპერატორი ნიკოლოზ I ტახტის მემკვიდრე – ალექსანდრესთან ერთად. შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილო იმპერატორმა კავკასიის არმიის მთავარსარდალი ბარონი როზენი გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნა გოლოვინი.

აღსანიშნავია, რომ რუსებს სახარბიელოდ არც დასავლეთ კავკასიაში ჰქონდათ საქმე. შავიზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეების გარნიზონები ვერ უმკლავდებოდნენ მთიელების სისტემატიურ შეტევებს. რუსული დასახლებები მდ. ლაბის შესართავიდან კისლოვოდსკის ხაზამდე ყუბანისპირა მთიელებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული. «Русские поселенцы день и ночь стояли под ружьем. – წერს პ.ი. კოვალევსკი – Гарнизоны были не велики а наличный состав выбывался из строя больше, чем на половину. Постоянная борьба с горцами довершила утомление и истощение от болезни. Поэтому все укрепления

---

<sup>1</sup> П.И. Соколовский. Завоевание Кавказа..., გვ. 281.

обветшали, валы обвалились и засыпали рвы, все постройки, не исключая и пороховых погребов, обрушились... Горцы решали объединиться и напасть совместно на наши укрепления, чтобы задавить их массой».<sup>1</sup>

დასაველეთ კავკასიაში რუსული სიმაგრეებისა და დასახლებების შენარჩუნების საკითხი კითხვის ქვეშ იდგა. მათი შენარჩუნების თაობაზე ნიკოლოზ I-საც ეჭვი გაუჩნდა, მაგრამ იმპერატორი ღებულობს გადაწყვეტილებას კავკასიის არმიის გაძლიერების, ახალი ციხე-სიმაგრეებისა და შავიზღვისპირეთის გზის მშენებლობის დაჩქარების თაობაზე. «Колонизация Кавказа также неотразима для нашего отечества, как когда-то было неотразимо и его покорение. В хода истории его были моменты застоя, неудач, колебаний, – წერდა 1885 წ. კ. ბოროზდინი – дошло даже до того, что в 1837 г. император Николай, после поездки на Кавказ крепко задумался - ужь не бросить ли его совсем? но вечной его слава, прежде чем ругиться на то, Призвал к себе в советники... М.С. Воронцова, Тот придумал способ покорения...».<sup>2</sup> 1838 წ. საფუძველი ჩაეყარა მდ. ტუაფსეზე ნავაგინსკისა და ველიამინოვის ციხესიმაგრეებს, ასევე მდ. შაფსულზე და მდ. ცემესკზეც ციხესიმაგრეები. აშენდა. აღმოსავლეთ კავკასიაში მდ. პრეზუაჰსეზე გოლოვინსკისა და ლაზარევის მცირე, ხოლო მდ. მესკაგუზე-რაევსკის.<sup>3</sup> ციხე-სიმაგრეები სასწრაფოდ იქნა აგებული.

<sup>1</sup> П.И. Соколовский. Завоевание Кавказа..., გვ. 290-292.

<sup>2</sup> К. Бороздин. Колонизация Кавказа, Из жур. Наблюдател, №5, СПб, გვ. 144.

<sup>3</sup> П.И. Соколовский. Завоевание Кавказа..., გვ. 291-292.

შამილი იყო ნიჭიერი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე, დიდი ნებისყოფის, შეუპოვარი და მამაცი, დაუნდობელი მტრებისა და მოღალატეების მიმართ. იმისათვის, რომ მოეპოვებინა რელიგიური ავტორიტეტი იგი ღრმად ჩაწვდა ტარიკატის ყველა წვრილმანსა და საიდუმლოებებს, რის შედეგად იგი გახდა ტარიკატის ზედმიწევნით მცოდნე და ღრმა შემფასებელი. შამილისთვის ტარიკატი იყო იდეური იარაღი, რომლის მეშვეობით ზემოქმედებას ახდენდა ადამიანის ფსიქიკაზე, იწვევდა მასში ფანატიზმსა და რწმენას, რომ ყოვლისშემძლე ალაჰი საღმრთო ომში დაღუპულებს უწყალობებდა სამოთხეში ცხოვრებას.

შამილმა დაიმორჩილა ავართა მთელი რიგი აულები. 1837 წლისათვის შამილის ხელისუფლება სცნო დაღესტანისა და ჩეჩნეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა.

შამილი რუსეთისთვის ყველაზე ძლიერი და საშიში მტერი გახდა. ხელისუფლება შეეცადა მის გადმობირებას და შესთავაზეს ნიკოლოზ I-თან შეხვედრა, დაღესტანში იმამის ხელისუფლების ცნობა იმ პირობით, თუ იგი აღიარებდა რუსეთის იმპერატორის სუვერენიტეტს ჩრდილოეთ კავკასიაში. შამილმა, რომელიც სარგებლობდა მთიელთა შორის დიდი ავტორიტეტით და გააჩნდა დამოუკიდებელი სულიერი და საერო წინამძღოლის სტატუსი, უარი განაცხადა ნიკოლოზ I-თან შეხვედრაზე.

1839 წ. აგვისტოში დაღესტნის სოფელ ახულგოში გამაგრებულ შამილს გენ. გრაბეს მრავალათასიანმა სამხედრო შენაერთმა შეუტია. ახულგოს დამცველი მიურიდები თავგამოდებით იბრძოდნენ. მათ გენ. გრაბეს რამოდენიმე იერიში მოიგერიეს. შამილის მიურიდთა ლაშქარი სასმელი წყლისა და სურსათის უქონლობამ დაასუსტა, მაგრამ გრაბე მაინც ვერ ახერხებდა ახულგოს აღებას. გენ. გრაბემ მოახერხა ახალი ახულგოს მისადგომების აღება. ახულგოს დამცველთა ნახევარი

რუსების შემოტევებისა და არტილერიის ცეცხლის შედეგად გმირულად დაეცა.<sup>1</sup> ამ ბრძოლების დროს უგზოუკვლოდ გაქრნენ შამილის უახლოესი თანამებრძოლები – სურახი და ალი-ბეგი.

17 აგვისტოს დილით შამილმა თეთრი დროშა გამოიკიდა. დაიწყო გენ. გრაბესა და შამილს შორის მოლაპარაკება, რომელმაც თითქმის ოთხი დღე გასტანა. გენ. პულო შამილს სთავაზობდა დამორჩილებასა და დროებით რუსეთში საცხოვრებლად წასვლას. 22 აგვისტოს ახულგოში რუსეთის ჯარი შევიდა, შამილმა მოახერხა გაქცევა და ჩენეთში გადავიდა, სადაც მას გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

აღსანიშნავია, რომ ახულგოსთან ბრძოლა კავკასიის ომის ისტორიაში, როგორც ს.კ. ბუშუევი აღნიშნავს „ახულგოს სისხლიანი შეტევის“ სახელით შევიდა.<sup>2</sup>

ახულგოსთან გმირულად დაეცნენ შამილის ერთგული თანამებრძოლები სურახი, ალი-ბეგი, ალი-ჩულამაგომა. შამილმა მათი გლოვის ნიშნად იმამის სამოსი გაიხადა და ჩაიცვა ღარიბი მწყემსის შვილის ტანსაცმელი. აი, რას წერს ამის თაობაზე ომის მონაწილე თავადი ნ.ა. ვოლკონსკი: «После смерти которых имам явился в образе того же сына бедного гимринского пастуха, которым был в детстве».<sup>3</sup>

მიუხედავად ამისა, შამილს გააჩნდა ჩენეთისა და დაღესტანის იმამის ტიტული, რეალურად იგი დამოუკიდებელი იმამი გახდა მის შემდეგ, როდესაც მისი უზენაესობა სცნო ჩენეთის ლიდერმა ტაშუ-ჰაჯიმ. შამილი დასახლდა ჩენეთის ერთ-ერთ მიუვალ აულში.

<sup>1</sup> АКАК, т. 10, док. №456, გვ. 505.

<sup>2</sup> С.К. Бушув. Борба горцев за независимость под руководством Шамиля, М., 1939, გვ. 87.

<sup>3</sup> Н.А. Волконский. Оканчание покорения Восточного Кавказа, Тифлис, 1879, გვ. 389.

1840 წ. კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ გენ. პულოს მეთაურობით ჩეჩნების განიარაღება დაიწყო, რამაც მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია. აჯანყებულებმა შამილს სთხოვეს წინამძღოლობა.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნები ტრადიციულად უნდობლად ეკიდებოდნენ ადგილობრივ წინამძღოლებს, რადგან შიშობდნენ, რომ ისინი დროთა განმავლობაში, ნათესაური კლანების მხარდაჭერით მოიპოვებოდნენ განუსაზღვრელ უფლებებს. ამიტომ ჩეჩნები თავიანთ წინამძღოლად იწვევდნენ მეზობელი ქვეყნების დიდგვაროვან პირებს, რომლებსაც არავითარი ნათესაური კავშირი მათთან არ გააჩნდათ და საჭიროების შემთხვევაში მათი განდევნა გაცილებით ადვილი იყო. ამ გარემოებამ ითამაშა გარკვეული როლი, როდესაც ჩეჩნებმა უყურადღებოდ დატოვეს ტაშუ-ხაჯი და აჯანყების ხელმძღვანელობა შამილს სთხოვეს.

შამილმა აჯანყებულთა ბაზად ტაშუ-ხაჯის მამული აირჩია. შამილის შტაბი განლაგდა იჩქერიის სტრატეგიული მნიშვნელობის აულ + დარღოში, რომელიც ფაქტობრივად გადაიქცა ახალგაზრდა სახელმწიფოს დედაქალაქად. აქედან შამილმა დიდი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა გააჩაღა ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის დროშის ქვეშ საყოველთაო აჯანყების მოსამზადებლად. ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა რეგიონში ლარლოდან გაგზავნილი სასულიერო პირები ქადაგებდნენ შამილის იდეებს.

ამ დროს შავიზღვისპირეთის მთიელები სისტემატიურად თავს ესხმოდნენ ციხესიმაგრეებში ჩაკეტილ გარნიზონებს. «Войска все время должны были сидеть в крепости, ибо выход за дровами, сеном, пастьбою скота и проч. — აღნიშნავს

<sup>1</sup> П.И. Ковалевский. Завоевание Кавказа..., გვ. 292.



პ.ი. კოვალევსკი — сопряжен был с опасностью жизни».<sup>1</sup> 1840 წ. 21 მარტს შაფსულებისა და აბაზგების 18 ათასიანი ლაშქარი თავს დაესხა მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრეს. მთიელებმა ციხე-სიმაგრე აიღეს, მაგრამ ცოცხლად დარჩენილმა რუსმა ჯარისკაცმა ააფეთქა ტყვია-წამლის საწყობი. მალე, მთიელებმა აიღეს ნიკოლაევსკის ციხე-სიმაგრე.<sup>2</sup>

განსაკუთრებული მხარდაჭერა შამილმა ჩეჩნეთში მოიპოვა. ჩეჩნეთის საზოგადოებებმა ერთსულოვნად აღიარეს იმამის ხელისუფლება. აი, რას წერს ამის შესახებ 1840 წ. 30 მარტს გენ. გრაბე გრაფ ჩერნიშევს: «...Ровно как мичиганцы и ичкериицы и многие пуховцы, качкаликовцы удерживаются в повиновении только присутствия нашего отряда. Некоторые из карабулакских и ингушевских деревень, все гальянаевцы и кистинцы также в большом волнении и содействуют тайно или явно возмутителям...»<sup>3</sup>

დაღესტანში შამილის ხელისუფლების განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა ცნობილი ავარიელი ბეგის შვილის ჰაჯი-მურატის მხარდაჭერამ. როგორც ვიცით, თავიდან ჰაჯი-მურატი კოლონიურ ხელისუფლებას უჭერდ მხარს, ჰამზატ-ბეგის წინააღმდეგ შეთქმულებას ხელმძღვანელობდა და მიურიდების წინააღმდეგ იბრძოდა.

რუსეთის ხელისუფლებამ ჰაჯი-მურატი ავარიის მმართველად დანიშნა იმ იმედით, რომ იგი რუსეთის ჯართან ერთად იბრძოლებდა მთიელთა დასამორჩილებლად. ჰაჯი-მურატმა დაინახა, რომ შამილის მიერ „სადეთო ომის“ ხანძარი რუსეთის წინააღმდეგ უკვე გაჩაღებული იყო და მის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავდა არა დაზოცილი ბეგებისათვის

<sup>1</sup> П.И. Ковалевский. Завоевание Кавказа..., გვ. 296.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 296.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 296.

შურისძიებას, არამედ რუსეთის კოლონიური რეჟიმის მხარდაჭერას. მან შამილის მხარე დაიჭირა, რის გამოც დააპატიმრეს. ჰაჯი-მურატი ციხიდან გამოიქცა და 1851 წლის აგვისტომდე თავგამოდებით იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ.

1940 წელს გოლოვინმა მთიელების წინააღმდეგ, მათ შორის ჩეჩნეთში, რამდენიმე სამხედრო ექსპედიცია მოაწყო და მოსახლეობა ააწიოკა.<sup>1</sup> ყოველი სამხედრო ექსპედიცია მთიელების წინააღმდეგ შამილის წისკვილზე ასხამდა წყალს, მისი ხელისუფლების განმტკიცებასა და ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურებოდა. შამილის ავტორიტეტის ზრდაზე მიუთითებენ შემფოთებული რუსი გენერლებიც. მაგ. 1942 წ. მარტში გენ. პულო წერდა: «...Он беспрепятственно явился со своими мюридами на р. Сунже; а за сим вся малая и большая чечня, ичкериинцы и ауховцы, качкаликовцы, галашаевцы и карабулаки постепенно поднимая оружие, одни за другим пристали к мятежной его партии».<sup>2</sup>

1842 წ. გოლოვინის ნაცვლად კავკასიის არმიის მთავარსარდლად დანიშნა გენ. ა.ი. ნეიდგარდი. მან ცუდი მემკვიდრეობა მიიღო – თითქმის მთელი დაღესტანი და ჩეჩნეთი შამილის ხელში იყო.

1942 წელს შამილმა თავისი ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისა და სამხედრო ვითარებიდან გამომდინარე დაიწყო ჩეჩნეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმები. დასაწყისში ჩეჩნეთი სამ, შემდგომში ოთხ სანაიბოდ დაყო. სანაიბოებისა და საზოგადოებების უფროსებად თავისი ერთგული თანამებრძოლები დანიშნა.

რუსეთის ხელისუფლებას შამილის სახელმწიფოს შემდგომი გაფართოება და განმტკიცება დაუშვებლად მიაჩნდა.

<sup>1</sup> А.П. Берже. Чечня и чеченцы, СПб, 1859, გვ. 107.

<sup>2</sup> АКАК, т. 9, გვ. 248.

შამილის დამარცხებისა და მისი ხელისუფლების დამხობის მიზნით 1842 წ. არაერთი სამხედრო ექსპედიცია იქნა მოწყობილი, რომლებიც ყველა რუსეთის სამხედრო შენაერთების მარცხით დამთავრდა. მაგ. 1842 წელს გენ. გრაბეს სამხედრო ექსპედიციები შამილმა ორჯერ ზედიზედ დაამარცხა. ჩეჩნეთში, პირველი ბრძოლის დროს რუსებმა დაკარგეს ნნ ოფიცერი და 1719 რიგითი ჯარისკაცი.<sup>1</sup> შამილმა ორი ზარბაზანი იგდო ხელთ.

გენ. გრაბეს პირველი – „ღარღოს“ ექსპედიციის განადგურება მოხდა შამილის თანამებრძოლის, ნიჭიერი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის შოაპი-მულას ხელმძღვანელობით. იგი, როგორც თვითნასწავლი, პირველი მთიელი არტილერიისტი, ეფექტურად იყენებდა რუსულ ზარბაზნებს რუსეთის არმიის წინააღმდეგ.<sup>2</sup>

შამილის გვერდით ბევრი ნიჭიერი თვითნასწავლი სამხედრო საქმის მცოდნე იბრძოდა. მათ სერიოზული დამარცხებები მიაყენეს რუს გენერლებს. სამხედრო მოღვაწეთა შორის გამორჩეული იყო ახვერდი-მაგომა. მაგომა სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც ომს პირადი გამდიდრების მიზნით იყენებდა; ბრძოლის დროს იყო უშიშარი და შეუპოვარი, შამილის ნაიბებს შორის გამოირჩეოდა მაღალი მორალური და ზნეობრივი თვისებებით. ახვერდი-მაგომმა აკრძალა მოკლული რუსი ჯარისკაცების თავის მოკვეთა, ასაფლავებდა მათ ქრისტიანული წესის დაცვით, ჰუმანურად ეკიდებოდა ტყვე ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. რის გამო მთიელთა შორის სარგებლობდა დიდი პატივისცემით. რუსი გენერლები თავიანთ რაპორტებში მიუთითებენ ახვერდი-მაგომას მაღალ ავტორიტეტზე. «В настоящем положении дел на левом фланге Лании Чечня в особенности обращает на себя внимание, –

<sup>1</sup> მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., 'გვ. 95.

<sup>2</sup> <http://www.chechnyafrec.nu>

მითითებულია 1840 წ. 3 ოქტომბრის გენ. გოლოვინის რაპორტში გენ. ჩერნიშევისადმი — ибо там, кроме коренных ее жителей, гнездятся теперь все беглые карабулаки, назрановцы, галгаевцы, сунженские и надтеречные чеченцы и по призыву предводителя их Ахверды-Магомы, сподвижника Шамиля, собрать могут значительные силы, хорошо вооруженные, вблизи Военно-грузинской дороги».<sup>1</sup>

1843 წ. შამილა დაღესტნიდან რუსების განდევნა დაიწყო მათი ციხე-სიმაგრეების განადგურებით. მან პირველი დარტყმა განახორციელა უნცუნკულის ციხე-სიმაგრეზე, აიღო იგი და დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი, სურსათი და ორი ზარბაზანი ჩაიგდო ხელში.<sup>2</sup> შამილი სწრაფად და გაბედულად მოქმედებდა, რითაც რუსეთის არმიის სარდალს დაღესტანში გენერალ კლიუგი — ფონ-კლიუგენაუს თაე-გზა აუბნია. ეს უკანასკნელი ვერ ასწრებდა ალყაში მოქცეულ ციხე-სიმაგრეების გარნიზონების დახმარებას.

შამილა, უნცუნკულის ალების შემდეგ, 10000-იანი ლაშქრით ალყაში მოაქცია ციხე-სიმაგრე გერგებილი და შტურმით აიღო.<sup>3</sup> გერგებილის ციხე-სიმაგრეს, რომელიც ჩრდილოეთ დაღესტანში რუსეთის დასაყრდენი იყო, დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გზა ხსნილი იყო ხუნძახისაკენ. გარდა ამისა, აღნიშნული ციხე-სიმაგრის ალებით, შამილა ჩრდილოეთ დაღესტანში პოლიტიკური გამარჯვებაც მოიპოვა — აქ მცხოვრები მთიელები უყოყმანოდ დაემორჩილნენ იმამის ხელისუფლებას.

ხუნძახისთვის ბრძოლა შამილის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. გენერალი კლიუგენაუ ძლივს გადაურჩა ტყვეობას.

---

<sup>1</sup> АКАК, т. 9, гл. 289.

<sup>2</sup> იქვე გვ. 298.

<sup>3</sup> იქვე გვ. 299.

ხუნძახთან თავგამოდებით იბრძოდა ავართა ლაშქარი ჰაჯი-მურატის მეთაურობით, რომლებმაც მნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კლიუგენაუს დამარცხებაში. ხუნძახთან შამილს 700 ოფიცერი და ჯარისკაცი ათი ზარბაზნი. ტყვედ ჩაბარდა.<sup>1</sup>

ხუნძახთან გამარჯვების შემდეგ დაღესტნის ყველა ტომი იმამის ხელისუფლებას დაემორჩილა.

1843 წელს შამილის გამარჯვებას დაღესტანში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების საღმრთო ომის დროშის ქვეშ გაერთიანების საქმეში.

1843 წ. მთიელთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივ წრეებში და პრესაში.

ამგვარად, 1943 წელს ჩეჩნეთში და დაღესტანში არსებული რუსული სიმაგრეები დანგრეული, ან აღებული იქნა; გარნიზონები ნაწილობრივ მოსპობილი და ჯარისკაცები ტყვედ აყვანილი.<sup>2</sup> შამილმა ხელთ იგდო დიდძალი სამხედრო და სამეურნეო მნიშვნელობის მარაგი. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩეჩნეთის მთელი ბარის ტერიტორიის შამილის ხელში გადასვლას, რომლის შესახებ მ. პროკროვსკი დიდი სინანულით წერს: «...Вся чеченская плоскость перешла в руки имама - и места, где русские отряды беспрепятственно ходили еще во времена Ермолова, стал и теперь для нас, по словам одного современника, «чем-то фантастическими»...

Став под властью имама чеченцы оказались такими злыми противниками, грознее которых русские не встречали

<sup>1</sup> М.Н. Покровский. Дипломатия..., გვ. 81.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 81.

на Кавказе. Русское завоевания были отброшены чуть ли на 40 лет назад»...<sup>1</sup>

1844 წელს მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მთელი ჩრდილოეთ კავკასია მოიცვა. ტაბასარანის მოსახლეობა, ელისუს მმართველი ლანიელ-სულთანი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლებისგან გენერალ-მაიორის წოდება ჰქონდა მიღებული შამილს მიემხრო.

ყოველი სამხედრო ექსპედიცია შამილის ხელისუფლების განმტკიცებასა და მისი ავტორიტეტის ზრდას ემსახურებოდა.

1845-1846 წწ. შამილი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებისა და გამარჯვებების პარალელურად ახორციელებდა თავისი სახელმწიფოს – საიმამოს განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის აუცილებელ მთელ რიგ რეფორმებს. შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული ვითარებიდან გამომდინარე, იგი ატარებდა ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის გარდაქმნებსა და სამოხელეო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ რეფორმებს.

შამილს გვერდით ედგა ნიჭიერი და ერთგული სასულიერო და საერო მოღვაწეთა მთელი დასი: მუჰამედ-ემინი, შუაბ-მოლა, ახვერდი-მაგომი, ისსა, ჩალუბეი, მააში, ჰაჯი-ბეგი, გაიტემირი, საად-ულუ, დუბა, ლაბაზანი, შახმანდარი, მუჰამედ-მოლა, აბაკარ-დემირი, კაირ-ბეგი, აბრაკ-ჰაჯი, ალი-სულთანი, ყრუ ინკო-ჰაჯი და სხვ., რომელთა მეშვეობით მან 1840-1846 წლებში მიაღწია უდიდეს სამხედრო წარმატებებს, ახალგაზრდა სახელმწიფოს განმტკიცებისა და გაძლიერებას.

თავიდანვე, რუსეთს დაუშვებლად მიაჩნდა მთიელთა ერთიანი, თუნდაც ჩენეთის, დაღესტნის, ან რომელიმე მთიელთა ტომის სახელმწიფოს შექმნა. ერმოლოვის აზრით, ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ჩენეთში, ერთიანი, ცენტრალიზირებული

<sup>1</sup> М.Н. Покровский. Дипломатия..., გვ. 86, 88.

ხელისუფლების არ არსებობა მიუთითებდა რეგიონების სისუსტეზე და ამიტომ, მათ წინააღმდეგ სამხედრო მეთოდების გამოყენება უფრო ეფექტური აღმოჩნდება, რადგან აქ არავინ არის ისეთი ვისთანაც შეიძლება მოლაპარაკებაო.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლება სწორად ვერ აფასებდა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას.

ერმოლოვისა და მისი შემდგომი სარდლების ტოტალურმა შეტევებმა ჩერნეთსა და დაღესტანზე აულების განადგურებამ და მასიურმა ტერორმა გამოიწვია საპირისპირო პროცესი — მიურიდიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე დააჩქარა, მთიელთა სახელმწიფოს შექმნა.

მიურიდიზმმა იდეოლოგიურად და ფიზიკურად მოსპო ყველა, ვინც არ გამორიცხავდა რუსეთთან მშვიდობიან მოლაპარაკებასა და კომპრომისებს.

როგორც ვხედავთ, რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ გზა გაუკაფა ხელისუფლებისაკენ იდეოლოგიზირებულ დაღესტანელ იმამებს, რომლებიც, საეკლესიო სამართლიანად, რუსეთს მიმართმტრულად იყვნენ განწყობილნი და ებრძოდნენ მას, როგორც თავიანთი ქვეყნის დამპყრობელს.

მთიელთა სახელმწიფოს შექმნითა და შამილის პოლიტიკურ-სამხედრო წარმატებებით შეშფოთებულმა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა საჭიროდ ჩათვალა კავკასიის არმიის გაძლიერება და მისი სარდლობის განახლება. მან 1845 წ. 25 მარტს კავკასიის არმიის მთავარსარდლად დანიშნა თავადი მ. ვორონცოვი, იმპერატორმა მ. ვორონცოვს დაავალა: „განადგურეთ შამილის თავშესაფარი, შეაღწიეთ მისი ქვეყნის შუაგულში და იქ გამაგრდით“.<sup>2</sup>

1845 წ. ზაფხულში მ. ვორონცოვმა გადაწყვიტა იმპერატორის დავალების შესრულება — შამილის განადგურება

<sup>1</sup> <http://www.chechnyafrec.ru>.

<sup>2</sup> С.К. Бушуев. Борьба горцев..., გვ. 97.

დარღობი. შამილმა წინააღმდეგობა არ გაუწია ვორონცოვს და მისცა მას მღალმითიან აულ დარღობი შესვლის საშუალება. ვორონცოვს დარღო უკაცური დახედა. სამაგიეროდ, შამილმა ვორონცოვის სურსათ-სანოვაგითა და იარაღით დატვირთული ტრანსპორტი ადვილად ჩაიგდო ხელში. მოტყუებული ვორონცოვი, რომლის ჯარს შიმშილი ემუქრებოდა, იძულებული გახდა სასწრაფოდ უკან დაეხია. შამილმა მოულოდნელი თავდასხმებით ვორონცოვის სამხედრო შენაერთი თითქმის მთლიანად გაანადგურა; რუსებმა 3000 ჯარისკაცი დაკარგეს, 186 ოფიცერი და 3 გენერალი.<sup>1</sup> ვორონცოვი ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

დარღოს ექსპედიციის განადგურებამ ვორონცოვი დაარწმუნა ერმოლომი, რომ აუცილებელია მთიელების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შეცვლა. «Не горы Дагестана должны быть предметом нашей борьбы и заботы, ибо взявши горы, мы должны опять покидать их и они вновь поступали в руки горцев, - долины Чечни - вот что должно быть главным предметом завоевания. Когда долины Чечни будут нашими, Дагестан сам сдаться.

Решено было двигаться вперед к Чечне медленно и постепенно, систематически, занимая шаг за шагом, и что было занято, то было занято Безвозвратно»<sup>2</sup> – წერს პ.ი. კოვალევსკი. ამ მიზნით ვორონცოვმა დაიწყო ტყის კაფვა და განაკაფ ზოლებზე გზების გაყვანა და კაზაკთა სტანიცების მოწყობა. ასე დაიკავა მან მდინარეების არღუნისა და სუნჟის, ასისა და შავ მთას შორის მდებარე დაბლობები; შემდგომში კი

<sup>1</sup> Г.К. Матросян. История ингушетии. Орджоникидзе, 1993, გვ. 64.

<sup>2</sup> П.И. Ковалевский Завоевание..., გვ. 303.



მთელი სივრცე – საქართველოს სამხედრო გზიდან კასპიის ზღვამდე.

ჩეჩნეთში განაკაფი ზოლებისა და კაზაკთა სტანიცების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. ამავდროულად, ვორონცოვი დაღესტანში სამხედრო ექსპედიციების მეშვეობით შამილის მოქმედების სფეროს თანდათან ზღუდავდა.

მ. ვორონცოვს ყაბარდოში შამილის მომხრეების გაძლიერება განსაკუთრებით აწუხებდა. მას კარგად ესმოდა, რომ შამილის შემოსვლა ყაბარდოში გამოიწვევდა ანტირუსული ძალების გაძლიერებასა და კავკასიის ხაზზე მთიელების ხშირ თავდასხმებს. შამილს თავისუფალი გადაადგილებისა და მოქმედებისთვის სჭირდებოდა კავკასიის ხაზის განადგურება. 1845 წელს მ. ვორონცოვს არ ჰყავდა საკმარისი ძალები, რითაც შამილს შეაჩერებდა. იგი არსებული სამხედრო ძალების სრული მობილიზაციისა და ხშირი გადაადგილებებით ცდილობდა დროის მოგებას და ხელს უშლიდა ყაბარდოში შამილის შემოსვლას.

1846 წლის აპრილის ბოლოდან, ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო რუსეთის რეგულარული არმიის ახალი ნაწილების შემოსვლა. ვორონცოვმა ყაბარდოში გარნიზონი გააძლიერა, გადაკეტა ყველა გზა და ხიდეები. იგი თავის ფარისევლურ მიმართვაში ოკუპირებულ ყაბარდოს მოსახლეობას არწმუნებდა, რომ რუსთა ხელმძღვანელობა და მფარველობა მოუტანდა მათ ნოყიერი მიწების შეძენის, წყნარი ცხოვრებისა და გამდიდრების საშუალებას, ხოლო შამილთან მეგობრობა – ომებსა და ნგრევას. ამავდროულად, მეფის ნაცვალთა აფრთხილებდა ყაბარდოელებს, რომ „ჩვენი ჯარი ყოველმხრივ მოედინება. მე თვითონ მოვედი სამოქმედო ადგილას, უდანაშაულოთა

დასაცავად და მათ დასასჯელად, ვინც დაივიწყა ვალდებულების ფიცი და დაკარგა სინდისი...“<sup>1</sup>

დამატებითი სამხედრო ნაწილების შემოსვლამ, შამილს ყაბარლოში შესვლის განზრახვაზე ხელი ააღებინა, მაგრამ ყაბარლოელები არ შეშინდნენ და მასიურად გარბოდნენ იმამთან. „არ იგრძნობა ყაბარლოელთა ერთგულება ჩვენდამი. – წერდა ვორონცოვი რუსეთის სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს – ჩვენი მიმართვა მათ უპასუხოდ დატოვეს... ვფიქრობ, მკაცრად დაესაჯო ისინი, ვინც თავისი ნებით გაჰყვნენ შამილს და თანაუგრძნეს აჯანყებაში...“<sup>2</sup>

ვორონცოვმა შამილის მხარდამჭერთა ყველა აული და ოჯახი გაანადგურა, რაც მთელი ყაბარლოს განადგურების ტოლფასი იყო.

ყაბარლოში და სხვა ჩერქეზთა ტომებში ანტიკოლონიურმა აჯანყებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. თავისუფლების მოყვარე მთიელი სულიერად ვერ დაამარცხა რუსეთის უზარმაზარმა სამხედრო მანქანამ. „ჩერქეზთა ერთადერთი სურვილი... ყოველთვის იყო თავისუფლება – ნათქვამია ყაბარლოელ თავადთა ხელმძღვანელობით შედგენილ ჩერქეზთა ერთ-ერთ წერილში, რომელიც რეზა-ფაშას გაუგზავნეს 1856 წ. – ...ჩვენ თავში არ მოგვივა რუსეთთან მშვიდობიანი შეთანხმება... მანამ ჩვენი სურვილი არ შესრულდება, არ შევწყვეტთ რუსეთთან ბრძოლას და სიტყვა მშვიდობა ჩვენს მიერ არასოდეს არ იქნება წარმოთქმული“.<sup>3</sup>

კავკასიაში დამატებით სამხედრო ძალების შემოყვანამ, ვორონცოვს საშუალება მისცა შეეჩერებინა შამილის წინსვლა. მისი თავდასხმები კავკასიის ხაზზე ხშირად უშედეგოდ და ღიდი დანაკარგებით მთავრდებოდა. ასე მაგალითად, შამილმა დარლოში

<sup>1</sup> АКАК, т. 9, док. №533, გვ. 573.

<sup>2</sup> АКАК, т. 10, док. №531, გვ. 578.

<sup>3</sup> АКАК, т. 12, док. №672, გვ. 809.

ვორონცოვის სამარცხვინო დამარცხებეს. შემდეგ, ყუმიყუთში გადასვლა დააპირა. ამ გადაადგილების ღროს რუსებმა მას 600-მდე კაცი და ერთგული, ნიჭიერი სამხედრო მოღვაწეები მამი, შუაბი, ჰაჯი-ბეგი, ბატირ-მირზა და სხვ. მოუკლეს,<sup>1</sup> 1846-1847 წწ. ვორონცოვმა დალესტანშიც შამილის მოქმედების არეალი რამდენადმე შეზღუდა. ვორონცოვმა იგი დაამარცხა სოფელ კუტემთან, აიმიაკთან და ციხე-სიმაგრე ახტთან.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ გამუდმებულმა სამხედრო ექსპედიციებმა და ბრძოლებმა ქვეყნის მთელი რიგი ტერიტორიები გააპარტახა და უკაცრიელი გახდა. 1840-იანი წლების მეორე ნახევრიდან შამილი სურსათ-სანოვაგისა და ადამიანური რესურსების ნაკლებობას განიცდიდა. გახშირდა, რუსების მიერ მოსყიდული, ნაიბების ღალატი.

დიდი დარტყმა მიაყენა შამილის პოზიციებს დალესტანში 1851 წ. აგვისტოში ავირიის ნაიბის ჰაჯი-მურატის ღალატმა. აქტების მე-10 ტომში მოცემული ერთ-ერთი საბუთი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ ჰაჯი-მურატმა დაადანაშაულა შამილი, რომ მისი ბრძოლები დალესტანში დიდი მსხვერპლით და უშედეგოდ მთავრდება. განრისხებულმა იმამმა გადაწყვიტა ჰაჯი-მურატის სიკვდილით დასჯა. ჰაჯი-მურატმა, ამის შესახებ რუსებს აცნობა და შეველა სთხოვა. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ ჰაჯი-მურატის გადმობირებას მოჰყვებოდა შამილის პოზიციების სერიოზული დასუსტება ავარიში. ამიტომ, იგი სპეცრაზმის მეშვეობით სასწრაფოდ გამოიხსნეს და ჩამოიყვანეს გროზნოში.<sup>3</sup> რუსეთის ვარაუდი გამართლდა. ავარიელთა დიდმა ნაწილმა შამილს ზურგი შეაქცია. 1852 წ. აპრილში ჰაჯი-მურატი რუსებს გამოექცა და იგი გზაში მოკლეს.

<sup>1</sup> АКАК, т. 10, док. №382, გვ. 382.

<sup>2</sup> П.М. Кагалевский. Завоевание Кавказа..., გვ. 306-307.

<sup>3</sup> АКАК, т. 10, док. №476, გვ. 526.

1853-1856 წწ. ყირიმის ომის დროს ვორონცოვმა შამილის წინააღმდეგ ფართო სამხედრო ოპერაციები შეწყვიტა. იგი, ძირითადად, მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების დაცვით იყო დაკავებული. ყირიმის ომის დაწყების წინ შამილის ლაშქარში 30000 მეტი მებრძოლი ითვლებოდა.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, მან არ გააქტიურა ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ და 1840-1845 წწ. მიღწეული წარმატებების შედეგად რუსებისაგან განთავისუფლებული ტერიტორიების დიდ ნაწილზე კონტროლი დაკარგა. 1854 წელს პოლკოვნიკი დე-სანჟე წერდა: «Система войны против кавказской природы и сынов её избрана была верно. Каждый наступательный шаг отрезывал горцам безвозвратно кусок их родной земли. Так покорены малая Чечня и Галашки; так отодвинуты горцы правого фланга за Белую и Укруп. На всех этих местах поселены казаки, устроены укрепления с таб-квартирами полков...»<sup>2</sup>

1850-იან წლებში შამილი, მაინც, იმპერიისთვის საშიში და ძლიერი მტერი იყო. ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, 1857 წ. რუსეთის არმიის ძირითადი ნაწილები თავად ბარიატინსკის სარდლობით გადმოსროლილი იქნა ჩეჩნეთში და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში, რომელთა საერთო რაოდენობა 200 ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან შედგებოდა. ბარიატანსკიმ არმია აღჭურვა ახალი ნიმუშის – კუთხვლულიანი სამთო ზარბაზნებითა და შაშხანებით, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს მის სამხედრო წარმატებებზე; შეიმუშავა არმიის ერთიანი მოქმედების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მთლიანად ცვლიდა კავკასიაში ომის წარმოების სისტემას. ბარიატინსკის გეგმა ითვალისწინებდა შამილის

<sup>1</sup> АКАК, т. 11, док. №357, გვ. 450.

<sup>2</sup> М.Н. Покровский, Дипломатия..., გვ. 105.

წინააღმდეგ სამი მიმართულებით უწყვეტი და ერთდროული შეტევით ოპერაციებს. მთიელებს დასავლეთიდან – ჩეჩნეთის მხრიდან უტევდნენ გენერალი ევლოკიმოვი, აღმოსავლეთიდან – დაღესტნის კასპიისპირეთიდან – ბარონი ვრანგელი, სამხრეთ-დასავლეთიდან თავადი მელიქოვი.

მთავარსარდალ ბარიატინსკის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ევლოკიმოვის სამხედრო შენაერთი იყო, რადგან ჩეჩნეთის დამორჩილება მისი უპირველესი ამოცანა იყო. სავსებით სამართლიანად წერს მ. პოკროვსკი: «Военные действия опять были перенесены на самую неудобную теперь для тамия территория - в Чечню».

ბარიატინსკიმ შამილი ჩაკეტა ჩეჩნეთის მაღალმთიან ზოლში. შამილი დიდ იმედებს არღუნის მიუვალ ხეობაზე ამყარებდა. მთელი ომის პერიოდში არღუნის ხეობა ჩაკეტილი იყო რუსეთის სამხედრო ნაწილებისათვის. იგი ჩეჩნებისთვის ბუნებრივი ციხე-სიმაგრე და თავშესაფარი იყო. არღუნის ხეობის მოსახლეობამ დიდი წვლილი შეიტანა მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

გენერალი ევლოკიმოვი 1858 წლის 15 იანვარს არღუნის ხეობაში შეიჭრა. ორთვიანი ბრძოლების შემდეგ ხეობა აღებული იქნა რუსეთის ჯარების მიერ. სტრატეგიული ხეობის აღებით, რუსეთმა შამილს დასაყრდენი გამოგლიჯა. ა. დიდიმოვი, რომელმაც 1859 წ. გამოაქვეყნა სტატია არღუნის ექსპედიციის თაობაზე, აღნიშნავს, რომ როდესაც შამილს აცნობეს არღუნის ხეობის აღება რუსეთის ჯარის მიერ, მას თვალებზე ცრემლები მოადგა.<sup>1</sup>

1859 წლის 7 მარტს შამილი გუნბში წავიდა. მას თან გაჰყვა 400 ერთგული მთიელი. 25 მარტს შამილი ტყვედ ჩაბარდა ბარიატინსკის. მან 1859 წლის 2 აპრილს კავკასიის

<sup>1</sup> «Военный сборник», т. 8, СПб, 1859, გვ. 99.

არმიის მარცხენა ფრთის ჯარებს გამარჯვება მიულოცა: „უფალმა ღმერთმა თქვენი დიდი შრომისა და გმირობისთვის გამარჯვებით დაგაჯილდოვათ... ვედენო ალებულია და დაპყრობილი, ჩეჩნეთი დიდი ხელმწიფის მუხლების წინ დაეცა!..“<sup>1</sup> იმავე დღეს ალექსანდრე II-ს მოახსენეს აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის არმიის გამარჯვებისა და შამილის დატყვევების ამბავი. მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნებით, შამილი საპატიო ტყვედ გამოცხადდა.

ამგვარად, მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმამი შამილის ხელმძღვანელობით მოიცავს სამ პერიოდს: 1. 1834-1839 წწ – მიურიდიზმის შემდგომი გავრცელების, იმამის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი და საყოველთაო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაწყისი; 2. 1840-1846 წწ – იმამის სახელმწიფოს განმტკიცებისა და უდიდესი სამხედრო გამარჯვებები პერიოდი; 3. 1846-1858 წწ – კავკასიის არმიის გაძლიერების, საომარი მოქმედებების გაფართოებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასუსტებისა და დამარცხების, შესაბამისად, მთიელი ხალხის მასიური დისკრიმინაციის, ეთნოწმენდისა და გენოციდის დასაწყისი.

შამილის მიერ შექმნილი სახელმწიფო თავისი არსით იყო დემოკრატიული, რადგან იგი იქმნებოდა მთიელების მიერ იმამის ხელისუფლების ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე, მაგრამ თავისი სტრუქტურით იგი დიქტატორული იყო და რაც უფრო დაძაბული ხდებოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მით უფრო მკაფიოდ ჩანდა დიქტატურის ელემენტები.

შამილმა მთიელი ხალხის საუკუნეებრივი პატრიარქალური ცხოვრების წესში მოახდინა ნამდვილი რევოლუცია. დაქუცმაცებული ტომებისა და ხალხებისაგან შექმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო საერთო სამართლებრივი ნორმებით, ხელისუფ-

<sup>1</sup> АКАК, т. 12, док. №1002, з.в. 1135.

ლების ერთიანი აპარატით, ფინანსური, სასამართლო და ქვეყნის თავდაცვისუნარიანი სამხედრო სისტემით. იმამის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სისტემა იყო ის ძალა, რომელმაც გააერთიანა მთიელი ხალხი, რომლის დამარცხება დიდი ხნის მანძილზე შეუძლებელი გახდა, მაგრამ რუსეთის იმპერიის განუწყვეტელმა სამხედრო თავდასხმებმა, რომელთა მოგერიება მოსახლეობას სამეურნეო საქმიანობის შეწყვეტის, დიდი ნგრევისა და მსხვერპლის ფასად უჯდებოდა, არ მისცა შამილს ქვეყნის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ნორმალური პოლიტიკური და სამეურნეო და აღმშენებლობითი მოღვაწეობის გაგრძელების საშუალება.

\* \* \*

XIX საუკუნის 40-იან წლებში აღმოსავლეთ კავკასიაში, როგორც ზემოთ ვნახეთ სასტიკი სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა, ხოლო დასავლეთში, შედარებით სიწყნარე და სიმშვიდე იყო. ხელისუფლება აღმოსავლეთ კავკასიის მთიელებს ორ ჯგუფად ჰყოფდა: 1. მშვიდობიანი; 2. არამშვიდობიანი.<sup>1</sup> მშვიდობიან მთიელებად ითვლებოდნენ, ვინც ცნო რუსეთის ხელისუფლების უზენაესობა — ნოღაელები, ნატუხაეველები, ბაგოველები, ყაზილბეკოვები, შამოველები, ბესლენეველები და გამოქცეული ყაბარდოელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ყუბანის, ლაბის, ურუპის, ზელენჩუკის, პრეფირუს, ფირგუს, გუბაყს და სხვა მდინარეების პირას.<sup>2</sup> არამშვიდობიანი — აბაძეხები, შაფსულები, ნაწილობრივ ნათუხაელები და უბიხები.<sup>3</sup>

<sup>1</sup> П.И. Ковалевский, Завоевание..., გვ. 318.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 318.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 318-319.

«К концу сороковых годов и сюда проникли эмиссары Шамиля и один из них Магомет Амин — წერს დიდი გულისტკივილით პ.ი. კოვალევსკი — успел установить особенное воздействие и влияние между черкесами».<sup>1</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლა შამილის თანამებრძოლების მუჰამედ-ამინისა და სეფერ-ბეი-ზანის ხელმძღვანელობით.

მუჰამედ-ამინი ჭკვიანი, მჭერმეტყველი, მომზიბლავი მქადაგებელი იყო, რითაც მან შამილის ყურადღება მიიპყრო და მისი დაახლოვებული, ნდობით აღჭურვილი პირი გახდა. 1848 წელს შამილმა მუჰამედ-ამინი ამიერყუბანის მხარის ნაიბად დანიშნა. მან სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და ავტორიტეტი ჩერქეზთა ყველაზე ძლიერ და მეომარ ტომ აბაძეხებს შორის და იგი აირჩიეს თავიანთ წინამძღოლად.<sup>2</sup> 1849 წ. თებერვლიდან იგი გამოცემს კანონებს, აყალიბებს მოქნილ მმართველობით სისტემასა და ჰქმნის მუდმივ ჯარს. მუჰამედ-ამინის ხელისუფლება თანდათანობით აღიარეს ამიერყუბანის სხვა ტომებმაც და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მას.

მუჰამედ-ამინმა, უბიხებისა და შაფსული თავადების ერთგვარი წინააღმდეგობის დაძლევით, თავისი გავლენა გაავრცელა შავიზღვისპირეთის ტომებზე.<sup>3</sup> «В начале 1849 г. Магомет-Амин пользовался здес уже токою властью, что издавал законы, организовал народное правление и создал

<sup>1</sup> П.И. Ковалевский, Завоевание..., გვ. 319.

<sup>2</sup> С. Эсадзе, Покорение Западного кавказа и окончание Кавказской вайны, Тифлис, 1914, გვ. 92; П.И. Ковалевский, Завоевание..., გვ. 319.

<sup>3</sup> С. Эсадзе, Покорение..., გვ. 93; П.И. Ковалевский, Завоевание..., გვ. 319.



постоянное войско... Его нападение на русские отряды приобретали характер строгого обдуманного плана».<sup>1</sup>

1851 წ. მუჰამედ-ამინმა დაიწყო თავდასხმები რუსეთის ციხე-სიმაგრეებზე და სამხედრო რაზმებზე. შავიზღვისპირეთში სამხედრო ნაწილების გადაადგილება, ციხესიმაგრეებისა და ფორტების მომარაგების საკითხი პრობლემატური გახდა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 1851 წ. აგებული იქნა ახალი ციხე-სიმაგრე ბელორეჩინსკი.<sup>2</sup>

1852 წ. გენ. ევლოკიმოვის ექსპედიციამ ააოხრა და გაანადგურა შავიზღვისპირეთის მთის ზოლის აულები. მთიელთა ნაწილი გადაასახლეს ყუბანის მარცხენა სანაპიროზე და ლაბაზე. «Экспедиция в горы ген. Евдокимова в 1852 г. повела к тому, — дид кмаყოფილების გრძნობით წერს პ.ი. კოვალევსკი — что многие хатухаевцы и темиргоевцы смирились и переселились на левый берег Кубани. а бошилбаевцы на Лабу. Проведение дороги через Моркохт на Наберджай открывала сообщения в отдаленные горные места и удерживала непокорных черкесов от хищничества».<sup>3</sup>

ყირიმის ომის პერიოდში (1853-1856) დასავლეთ კავკასიის მთიელების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მუჰამედ-ამინმა შავი-ზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეები და ფორტები ბლოკადაში მოაქცია, სამხედრო ნაწილების თავისუფალ გადაადგილებას ბოლო მოუღო. ციხესიმაგრეების გარნიზონები ჩააყენა უმძიმეს პირობებში, ფაქტიურად შეწყდა მათი სურსათ-სანოვაგით, სასმელი წყლით, ტყვია-წამლითა და სხვა სამხედრო აღჭურვი-

<sup>1</sup> П.И. Ковалевский. Завоевание..., გვ. 319.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 319.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 321.

ლობებით მომარაგება. «Всем им грозила опасность погибнуть от прекращения подюза счастных припасов и боевых снарядов. Горцы вновь поднялись с гродили существованию укреплений. Поэтому решено было Черноморскую береговую линию упразднить и в апреле 1854 г. гарнизоны были переведены. а укрепления разрушены»<sup>1</sup> – აღნიშნავს პ.ი. კოვალევსკი.

აღსანიშნავია, რომ მაშინ, შავიზღვისპირეთში, თურქებმა დესანტი გადმოსხეს და უშუალოდ დაემუქრნენ რუსეთის ციხესიმაგრეებს, მაგრამ რუსების განდევნა შავიზღვისპირეთიდან, ძირითადად, მთიელების აქტიური მოქმედებების შედეგი იყო.

1854 წ. მ.ს. ვორონცოვი გადადგა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან. მის ნაცვლად დაინიშნა მურავიოვი, რომელმაც ამ თანამდებობაზე დაჰყო ორი წელი. 1856 წ. მეფის ნაცვალი გახდა ბარიატინსკი.

1854 წელს შაფსულებმა, უბიხებმა და ნათუხაებმა თავიანთ წინამძღოლად აღიარეს ჩერქეზი თავადი სეფერ-ბეი-ზანი. რუსეთის სამხედრო ნაწილების შავიზღვისპირეთიდან გასვლის შემდეგ, სეფერ-ბეი-ზანმა დაიკავა ანაპა. იგი ატარებდა მთიელი ხალხის მთავარსარდლისა და ანაპაში თურქეთის სამხედრო ნაწილების უფროსის ტიტულს.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბელადებს მუჰამედ-ამინსა და სეფერ-ბეი-ზანს შორის თავიდანვე ჩამოვარდა უთანხმოება. საქმე იმაში იყო, რომ მუჰამედ-ამინი მთიელების ერთიანობასა და თანასწორობას ქადაგებდა, ხოლო თავადი სეფერ-ბეი მიურიდიზმის თანასწორობის იდეას არ იზიარებდა.

<sup>1</sup> П.И. Ковалевский, Завоевание..., გვ. 322.

<sup>2</sup> С. Эсадзе, Покорение..., გვ. 94.

რუსეთის სამხედრო ადმინისტრაცია მაჲ უთანხმოებას ოსტატურად აღვივებდა და მოხერხებულად სარგებლობდა. ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს დიდი კმაყოფილებით წერდა, რომ მუჰამედ-ამინი და სეფერ-ბეის პარტიები ტუაფსეს ხეობის დასაწყისში კვლავ ერთმანეთს მტრულად შეხვდნენ. ორივე მხარემ მოკლულის სახით დაკარგა 12 კაცი, დაიჭრა – 40.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, როდესაც რუსეთმა შამილის დამარცხების შემდეგ მთელი ძალებით შეუტია დასავლეთ კავკასიას, ისინი ერთიანი ძალებით თავგამოდებით იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

დასავლეთ კავკასიის მთიელთა სავლელე მეთაურებს შორის ერთ-ერთი გამოჩენილი და უშიშარი მებრძოლი იყო სეფერ-ბეის შვილი ყარა-ბათირი.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ბარიატინსკი შეუდგა შავიზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეების აღდგენა-გამაგრებასა და ახლების მშენებლობას. 1856 წ. მდ. შედოლის ხეობაში აიგო ციხე-სიმაგრე, განაზღადა ტყის კაფვა და განაკაფ ზოლებზე გზების გაყვანა და „სტანიცების“ მოწყობა. «...Шла рубка леса для образования дорог между псебайским и наждиенским укреплениями»<sup>2</sup> – აღნიშნავს პ.ი. კოვალევსკი.

1857 წ. ზაფხულში რუსეთმა განაახლა ომი დასავლეთ კავკასიაში, რაც მთიელებისთვის მოუღლონელი აღმოჩნდა. „მათ სამწლიანი შესვენება – წერს გ.ა. ძიძარია – ვერ გამოიყენეს თავიანთი თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად“.<sup>3</sup> მიუხედავად ამისა, მრავალრიცხოვანი ადილური და აბაზური ტომები თავგანწირვით იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ.

<sup>1</sup> АКАК, т. 12, док. №1514, გვ. 719.

<sup>2</sup> П.И. Ковалевский, Завоевание..., გვ. 322.

<sup>3</sup> Г.А. Дзидзария, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, 2-е дополненное издание, Сухуми, გვ. 181.

1859 წ. შამილის დამარცხების შემდეგ, ბარიატინსკიმ გადაწყვიტა დასავლეთ კავკასიის მთიელების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების გააქტიურება. ამ მიზნით, დასავლეთ კავკასიაში მოქმედი არმია გააძლიერა ბრძოლებში გამობრძმედილი ნიჟნი ნოვგოროდის სევერსკის, პერიასლავის დრაგუნდთა, ოთხი გრენადერთა და ოცი მსროლელთა ბატალიონით.<sup>1</sup>

რუსეთს 1859 წ. ჩრდილოეთ კავკასიაში ჰყავდა 308 ათასიანი<sup>2</sup> არმია. მათ შორის 200 ათასი – ჩეჩნეთში და დაღესტანში.<sup>2</sup> ამგვარად, დასავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ მოქმედებდა 108-ათასიანი არმია.

ბარიატინსკიმ გენერალ პ.დ. ბაბიჩს დაავალა ყუბანის მარცხენა სანაპირო ზოლზე მცხოვრები ტომების ბუეღუხების, ნათუხაების, დიდი შაფსულებისა და აბაძეხების განადგურება და მათ საცხოვრებელ ადგილებზე სამხედრო ხაზის შექმნა – კაზაკების ჩასახლება. 1859 წ. შემოდგომის დასაწყისში გენერალი ბაბიჩი შეუდგა ბარიატინსკის დავალების შესრულებას. იგი მოულოდნელად თავს დაესხა ბუეღუხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ აბაძეხებსა და შაფსულებს შორის. გენერალი ბაბიჩმა ბუეღუხების წინააღმდეგობა ადვილად დასძლია.

ნათუხაების წინამძღოლმა სეფერ-ბეიმ თავის შვილთან ყარაბათირთან და აბაზეხების ნაიბმა მუჰამედ-ამინმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბაბიჩს და არ აძლევდნენ სამხედრო ხაზის შექმნის საშუალებას. შაფსულებისა და ნათუხაელების 15 ათასიანმა ლაშქარმა, რომლებსაც უბიხებიც ეხმარებოდნენ ალყაში, მოაქცია ბაბიჩის ბანაკი. რუსების კუთხვლულიანი ზარბაზნებისა და თოფების ცეცხლმა აიძულა სეფერ-ბეი მოეხსნა ალყა და უკან დაეხია. გენერალი ბაბიჩი ერთ-ერთ თავის პატაკში წერდა, რომ გაანადგურა და გადაწვა 44 გამაგრებული აული, უსახლკაროდ და უსურსათოდ დარჩენილი

<sup>1</sup> АКАК, т. 12, док. №614, გვ. 719.

<sup>2</sup> <http://www.checny.microsoft.com/word/document/59>.

მოსახლეობა დარწმუნდა, რომ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ცხოვრება შეუძლებელია.<sup>1</sup> ბეედუხები იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ რუსებს. «Первый пример подали бжедухи после нанесенного им сильного удара полковником Бабычем. — წერს ს. ესაძე — Примеру Бжедухов последовали, жившие между Лабой и Белой племена: темиргоевцы, махошевцы, бесленеевцы, шах-гирейцы и закубанские кабардинцы».<sup>2</sup>

ამრიგად, ბარიატინსკიმ დასავლეთ კავკასიის მთიელები მოაქცია ყუბანის სამხედრო ხაზსა და შავიზღვისპირეთს შორის, ზოლო ადალუმისა და ბელორეჩინსკის ხაზების მოწყობით, (1856-1859) ბლოკირებულ მთიელებს, უმძიმესი ეკონომიკური პირობები შეუქმნა.

1859 წ. 20 ნოემბერს აბაძეხებმა მათი ნაიბის მუჰამედ ამინის თაოსნობით რუსეთის მეფის სამუდამო ერთგულების ფიცი დადეს. მუჰამედ-ამინის დამორჩილებისთვის ბარიატინსკიმ იმპერატორისაგან ფელდმარშლის წოდება მიიღო. აღფრთოვანებული მეფისნაცვალი 1859 წლის 27 ნოემბრის ბრძანებაში კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთის ჯარებისადმი აღნიშნავს: «Вы покорили главное и грозное племя Западного Кавказа. 100 000 абадзехов и самого Магомеда-Амина уже привели поданство императора»<sup>3</sup>

1860 წ. დასაწყისში, სეფერ-ბეი-ზანის სიკვდილის შემდეგ, ანაპის, სუჯუკის და ალაგუმს შორის მცხოვრები შაფსულები

<sup>1</sup> АКАК, т. 12, док. №1662, გვ. 794.

<sup>2</sup> С. Эсадзе, Покорение..., გვ. 97.

<sup>3</sup> АКАК, т. 7, ч. II, док. №614, გვ. 719.

და ნათუხაები (40 ათასი) იძულებულნი გახდნენ მიეღოთ რუსეთისადმი ერთგულ-ქვეშევრდომობის ფიცა.<sup>1</sup>

მთიელები, როგორც წესი, ერთგულების ფიცს, რომელსაც იძულებით აძლევდნენ, არ იცავდნენ, რადგან იგი, მათი აზრით არ იყო ალაჰის ნების გამომხატველი. არც აბაზეხები იცავდნენ მუჰამედ-ემინის ინიციატივით დადებულ ერთგულების ფიცს, რადგან მათ მუჰამედ-ემინი განდევნეს და თავს დაესხნენ რუსეთის სამხედრო რაზმს. ბარიატინსკიმ აბაზეხებს სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა.

1860 წ. ზაფხულში აბაზა თემები – ბაშილბაები, ბალები, ჭაყაელები, ყაზალბეკები, თამები, შახვირეების ნაწილი მათთვის დანიშნულ დროს თურქეთში გადასახლდნენ. ამდენად, ვრცელი მხარე მდ. ბლაისა და მდ. ლიბას შორის მთლიანად გაიწმინდა მთიელებისაგან.<sup>2</sup>

1860 წლის შემოდგომაზე ა. ბარიტინსკიმ კავკასიის სრული დაპყრობის ახალი სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა. იგი თვლიდა, რომ სამხედრო ექსპედიციები რუსეთის არმიას დიდი მსხვერპლის ფასად უჯდებოდა და ქვეყნისთვის უშედეგო აღმოჩნდა. სამხედრო ექსპედიციის მეშვეობით ხდებოდა მხოლოდ ცალკეული მთიელი ტომების დროებითი დამორჩილება, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდგომ, კვლავ ანახლებდნენ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. მთავარსარდლის—გეგმა—კი ითვალისწინებდა უწყვეტი სამხედრო მოქმედებების პარალელურად განთავისუფლებულ ტერიტორიებზე კაზაკების დასახლებას, ხოლო ცოცხლად დარჩენილი მთიელების ყუბანის ჭაობიან ადგილებზე ჩასახლებას, ან თურქეთში გადასახლებას. უპირატესობა მთიელების თურქეთში გადასახლებას ენიჭებოდა,

<sup>1</sup> С. Эсадзе, Покорение..., გვ. 98;

<sup>2</sup> ბ. ხორავა. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთი, წელიწადული, „საისტორიო ძიებანი“, №7, თბილისი, 2004, გვ. 110.

ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება უპირველეს ამოცანად ითვლებოდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთი 1860 წლიდან მთიელების წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკის რადიკალურად ცვლის და მიზნად - ისახავს ორი ძირითადი ამოცანის განხორციელებას. მთიელების ფიზიკური განადგურებისა და ეთნოწმენდის მეშვეობით ცდილობს ჩრდილოეთ კავკასიაში შეცვალოს დემოგრაფიული სურათი - მის სასარგებლოდ. «Без потери времени и несколько возможно высыпать в Турцию горцев, - წერს ბარიატინსკი იმპერატორს - а раз страна будет от них очищена, мы утвердим свое положение навсегда».<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, მთიელები ფართომასშტაბიან საველე ომებს რუსეთის რეგულარული არმიის წინააღმდეგ ერიდებოდნენ. ისინი, ძირითადად, პარტიზანული თავდასხმების მეშვეობით აყენებდნენ მტერს დიდ ზიანს. მათთვის მალაღმთიანი აულები, მიუვალი ხეობები და ტყე ბუნებრივი თავშესაფარი იყო. მთიელების ბარის გადმოსახლება ტერიტორიებზე, რომლებიც კოლონიური ადმინისტრაციის მიერ იყო შერჩეული, ფაქტობრივად ნიშნავდა მათ რეზერვაციებში მოთავსებასა და მკაცრი სამხედრო-პოლიციური კონტროლის ქვეშ ყოფნას.

«Всякий раз, когда какое-либо горское племя Западного Кавказа покорялось русскому оружию, - წერდა 1884 წ. ცნობილი ხალხოსანი და პუბლიცისტი ი. აბრამოვი - перед категорически ставилась дилема: или переселиться к Кубани и безусловно подчиниться русскому управлению, или выселиться в Турцию. Прикубанские болота, отводимые горцам, могли всего менее прельстить их; представления о

<sup>1</sup> Г.А. Дзидзария. Махаджирство..., გვ. 196.

русском управлении... слагались у них на основании  
действии... чиновников; неудивительно поэтому, что горцы  
предпочитали бегство в Турцию...»<sup>1</sup>

ბარიატინსკის გეგმა მოითხოვდა კავკასიის არმიის  
რეორგანიზაციას და ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო-  
სამხედრო ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლას.<sup>2</sup> საომარი  
მოქმედებების გადატანამ აღმოსავლეთიდან დასავლეთ კავკასიაში  
„საკორდონო ხაზს“ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა  
დაუკარგა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა  
აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა კავკასიის „საკორდონო  
ხაზის“ შექმნას ათწლეულები მოანდომა და მისი გაუქმება დიდ  
წინააღმდეგობასთან და რისკთან იყო დაავშირებული.  
ბარიატინსკი როგორც ნიჭიერი გენერალი, მიხვდა, რომ  
ფუნქცია დაკარგულ „საკორდონო ხაზით“ და მასზე მიბმული  
სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციული სისტემით, ვერ  
შესძლებდა დასავლეთ კავკასიის სრულ და საბოლოო  
დაპყრობას. ამიტომ, მთელი ყურადღება გადატანილი იქნა  
კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის – თერგის და მარჯვენა  
ფრთის – ყუბანის აუზებზე, რომლებიც შესაბამისად, თერგისა  
და ყუბანის ოლქებად გარდაიქმნა და სტავროპოლის  
გუბერნიასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიის ახალი  
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები შეადგინა.  
ამავდროულად, თერგის ოლქის სახაზო ჯარი გარდაიქმნა  
თერგის კაზაკთა ჯარად, ხოლო ყუბანის კაზაკთა ჯარი შეიქმნა  
კავკასიის სახაზო კაზაკთა 6 ბრიგადისა და შავი ზღვის

<sup>1</sup> Я. Абрамов, Кавказские горцы, Краснодар, 1927, გვ. 7.

<sup>2</sup> 1802 წ. რუსეთის სამხრეთ საზღვარზე შეიქმნა კავკასიის გუბერნია და  
კავკასიის სამხედრო ხაზი. 1822 წ. იგი გარდაიქმნა კავკასიის ოლქად  
და დაიყო სტავროპოლის, გეორგიევსკის, მოზდოკის და ყიზლარის  
მაზრებად, ხოლო კავკასიის ხაზი – მარცხენა ფლანგად, ცენტრად,  
მარჯვენა ფლანგისა და შავიზღვისპირის ხაზად.



ჯარების შერწყმის შედეგად, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 22 ცხენოსანთა პოლკი, 3 ესკადრონი, 13 ქვეითი ბატალიონი და 5 ბატარეა.<sup>1</sup>

XIX ს. 90-იან წლებში ყუბანში გადმოსახლეს ეკატერინოლარის, აზოვის, ჩერნიგოვის, პოლტავისა და დუნაის კაზაკები, სახელმწიფო გლეხები და თადარიგის ჯარისკაცები, რომლებსაც მიანიჭეს კაზაკის წოდება.<sup>2</sup>

ბარიატინსკიმ არმიის რეორგანიზაციასთან ერთად, ბევრ მაღალჩინოსანს დაატოვებინა მნიშვნელოვანი სამხედრო პოსტები.

დასავლეთ კავკასიის მთიელთა დამორჩილების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი მიენიჭა ყუბანის კაზაკთა ჯარს. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მითითებით ყუბანის ოლქის უფროსად და ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა კავკასიის მარჯვენა ფრთის სარდალი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ნ. ევლოკიმოვი. ამასთანავე, იგი დარჩა თერგის ოლქის უფროსად და თერგის ჯარების სარდლად. ევლოკიმოვი ასევე დაინიშნა ყუბანის კაზაკთა ჯარის განწესებულ ატამანად.<sup>3</sup> ფაქტობრივად, გრაფ ევლოკიმოვს დაემორჩილა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია. იგი იმპერატორის ძლევამოსილ ნებას პირნათლად და განუხრელად ასრულებდა. ნ. ევლოკიმოვმა მოიარა რა მისდამი დაქვემდებარებული მხარე, 1860 წლის ნოემბერში მის უმაღლესობას წარუდგინა კავკასიის საბოლოო დაპყრობის სამხედრო მოქმედებების გეგმა. «...Главным средством для этого должны были — მიუთითებს ს. ესაძე — послужить заселение казачьими станицами всего

<sup>1</sup> СИЭ. т. 13, გვ. 544.

<sup>2</sup> СИЭ. т. 13, გვ. 544.

<sup>3</sup> С. Эсадзе, Покорение..., გვ. 109; В.С. Кравцов, Кавказ..., გვ. 151-152.

пространства между реками Белей и Лабой и восточным берегам Черного моря и предложение горцам выселиться на равнины или же удалиться в Турцию».<sup>1</sup>

კავკასიის ქედის ჩრდილოეთით მცხოვრები მთიელების დამორჩილების შემდგომ, გენერალმა ევლოკიმოვმა შეიმუშავა შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ზოლში მცხოვრები მოსახლეობის დაპყრობის გეგმა. „შავიზღვისპირა ადიღეები, როგორც თვით სახელწოდება მიუთითებს, – წერს კ. ოკუჯავა. – მოსახლეობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ტამანის ნახევარკუნძულს, კავკასიონის ქედსა და მდინარე შახეს შორის, აღმოსავლეთით მათ ახლო მონათესავე უბიხები და საძები ესაზღვრებოდნენ, ხოლო ჩრდილოეთით – იმავე ადიღურ ენაზე მოლაპარაკე ამიერკავკასიელი, უფრო ზუსტად, ყუბანისპირა ჩერქეზები...

სახელწოდებას „ჩერქეზები“ ჩვენ ვხმარობთ ეთნონიმის: ჩერქეზები, შაფსული, ნათუხაი, ჰაკუჩი და ა.შ. აღსანიშნავად.<sup>2</sup>

გენერალ ევლოკიმოვის გეგმით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში მცხოვრები ჩერქეზთა ტომების დამორჩილება გათვალისწინებული იყო ზამთრის პირობებში, რადგან, როგორც გ. ძიძარია აღნიშნავს – «в зимних условиях, когда уничтожение запасов на селений действует губельно, горцы остаются совершенно без крова, с меньшими средствами для защиты и крайне стеснены в пище».<sup>3</sup>

გენერალი ვ.ა. გეიმანი, აღნიშნული გეგმის განხორციელებას შეუდგა 1964 წლის იანვრის დასაწყისში. მან

<sup>1</sup> С. Эсадзе, Покорение..., გვ. 109.

<sup>2</sup> კ. ოკუჯავა, შავიზღვისპირა ადიღეების წარმართობა, თბ., 2005, გვ. 3.

<sup>3</sup> Г.А. Дзидзария, Махаджирство..., გვ. 188; А. Лилов, Последние годы борьбы русских с горцами на Западном Кавказе, «Кавказ», №9, 1867.

სამი თვე მონაღობა მდ. ტუაფსესა და ფსეზუპსეს შორის ტერიტორიის მთიელი მოსახლეობისაგან „გაწმენდას“ და 1964 წ. 19 მარტს მიაღვა მდ. შახეს – უბიხების საზღვარს. მეფისნაცვალ მისხილ რომანოვი, გენერალ გეიმანის სამხედრო მოქმედებებით აღფრთოვანებული, იმპერატორს სწერდა: «Отряд под командованием генерала В.А. Геймана, очистив все пространство между Туапсе и Псезуапе и истребив все аулы, лежавшие по течению этих рек».<sup>1</sup>

აბაზეხების და შაფსულების დამორჩილების შემდგომ რუსეთის არმიამ გააგრძელა აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის „წმენდა“ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. კავკასიის მეფის ნაცვალს ომის დამთავრების „მთავარ პირობად კვლავ მიაჩნდა აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის მთლიანად გაწმენდა და მთიელების გადასახლება თურქეთში“.<sup>2</sup>

გენერალმანის სამხედრო რაზმი, მიუხედავად უბიხების მედგარი წინააღმდეგობისა, მათ აულებს ერთი-მეორეზე მიყოლებით ანადგურებდა. 1864 წ. 26 მარტს რუსებმა აიღეს სოჭი – უბიხთა მიწის გული.<sup>3</sup> მეფისნაცვალმა უბიხებს თურქეთში გადასახლების ერთთვიანი ვადა დაუწესა. 1864 წ. 19 აპრილს უბიხებმა დაიწყეს თურქეთში გადასახლება.<sup>4</sup> «Собственный – აღნიშნავს გ.ა. ძიძარია – Кавказскую войну уже можно было считать оконченной»<sup>5</sup> მაგრამ ხელისუფლებამ კავკასიის ომის დამთავრება იზეიმა დასავლეთ აფხაზთა

<sup>1</sup> სცსს, ფ. 545, აღწ. 1, ს. 63, ფურც. 56-57.

<sup>2</sup> სცსს, ფურც. 58.

<sup>3</sup> С. Эсадзе, Покорение..., გვ. 163.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 167.

<sup>5</sup> Г.А. Дзидзария, Махаджирство..., გვ. 190.

ტომების დამორჩილების შემდგომ - 1864 წლის 21 მაისს კრასნაია პოლიანაში.<sup>1</sup>

ბარიატინსკის გეგმის თანახმად, რომლის შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი, მთიელთა აყრა მათი ტერიტორიებიდან და თურქეთში ან ყუბანში გადასახლება საომარი მოქმედების პარალელურად ხდებოდა. მაგრამ ამ ომის დამთავრების შემდგომ, თურქეთში მთიელების გადასახლებამ მიიღო მასიური ხასიათი. იგი აყვანილი იქნა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აზრი, თითქოს მთიელთა მასიური გადასახლება, ძირითადად, გამოწვეული იყო ადგილობრივი თავადების, სასულიერო პირებისა და თურქეთის ემისართა მეშვეობით, რომლებიც დღენიადაგ უჩიჩინებდნენ და არწმუნებდნენ მოსახლეობას, რომ ერთმორწმუნე თურქეთში გადასახლება არის მათი ფიზიკური გადარჩენისა და ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნის ერთადერთი გამოსავალი. რასაკვირველია, ასეთმა აგიტაციამ მთიელებზე მოახდინა ერთგვარი გავლენა, მაგრამ მათი მასიური გადასახლების ძირითადი მიზეზი იყო რუსეთის კოლონიური რეჟიმის მიერ შექმნილი ცხოვრების აუტანელი პირობები.

აი, რას წერდა ამის შესახებ 1889 წ. რ.ა. ფადეევი:

«...Как казаки вне дома ввужены, а горцы безоружены, то первым легко позволить насилие; побить без причины горца для многих составляеь забаву. Когда горец приходит в станицу для продажи своих произведений, казак дает ему что хочет, половину, четверть того, что он требует и затем гонить его вон; ...Захваты земли производятся также без зазрения совести не только казаками, но и войсками...

<sup>1</sup> Г.А. Дзидзария, Махаджирство..., გვ. 191.

Граф Евдокимов воспретил выдов на продажу леса, а в Абаздеховском округ запрещена и продажа сена... они вышли из гор в таком состоянии пищети, что половины их и теперь еще ходят почты ногие и не имеют никогого орудия ни топора ни лопамы для работы... Бродячь толпами нищие, хотя молоды и здравье».<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, მთიელთა დიდ ნაწილს არ სურდა განდევნილობაში ცხოვრება. ამაზე მეტყველებს მრავალი ფაქტი. მაგალითად, რ.ა. ფადეევი, რომელმაც იმპერატორის ბრძანებით მოიარა ყუბანის ოლქი, წერს: «Можно с достаточною вероятностью принят итог туземного населения Кубанской области около 130 мыл. душ... Заявившик официально желание ехать в Турцию до сих пор немного... Таких желающих насчитывают:

Округа Шапсугского	3000 душ
Округа бжедуховского абадзехов	3000 душ

---

<sup>1</sup> Р.П. Фадеев. собрание сочкнений, т. ч. СПб, 1889; Ах. Целиков. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Псховский участок, Путевые замейкт, ч. 2, М., 1891; Е. Вендербаум. Путешествие по Кавказу, Тифлис, 1888; Ад. Берже. Переселение горцев с Кавказа, «Русская Старина», т. 33, февраль, 1888; В.Е. Венюков. Кавказское воспоминание (1861-1869). «Русский Архив», кн. 1, СПб, 1880; П. Бобравский. Император Александр II и его первые шаги впокорении Кавказа. «Военный сборник», СПб, 1897; Е. Фелицин. О переселение в Турцию, газ. «Кавказ», 16 декабря, 1877; А. Лилов. Последние годы борьбы русских с горцами на Западном Кавказе, «Кавказ», 2 Марта, 1882; М.Я. Ольшевский. Записки о Кавказской войне с 1854 и 1866 г. «Русская Старина», Октябрь, 1885; С. Эсадзе. Покорение западного Кавказа, Тифлис, 1914; С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, т. 1-2, Тифлис, 1907 და სხვ.

Округа бжедуховского бжедухов	4000 душ
Округа Абхазского Бжедухов	12000 душ
Кубанских приставств	2000 душ
Итого	<u>24 000 душ»<sup>1</sup></u>

როგორც ვხედავთ, ყუბანიის ოლქში მცხოვრები 1300 ათასი მთიელიდან, მხოლოდ 18% სურდა თურქეთში გადასახლება.

რუსეთი 1858 წლიდან, მთიელების გადასახლების შესახებ, თურქეთთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა. ამ მიზნით, რუსეთის ხელისუფლების სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლები ხშირად ჩადიოდნენ ოსმანთა იმპერიის დედაქალაქში.

აღმოსავლეთ კავკასიაში ომის დამთავრების შემდგომ ხელისუფლებამ მოურიდებლად, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, დაიწყო ჩეჩენი და ინგუში ხალხები მიმართ მასშტაბური ხასიათის აპარტიდული პოლიტიკის განხორციელება. კოლონიურმა სამხედრო ადმინისტრაციამ შეადგინა სპეციალური გეგმა სუნჯენის ხაზის შექმნის თაობაზე.

«Для утверждения здесь русского владичества – ккитხულობთ აღნიშნულ გეგმაში – представляются два средства: 1. поселение казачьих станиц на сунже; 2. возведение укреплений при главных выходах из гор»<sup>2</sup> ამ გეგმის თანახმად, მდ. სუნჯის და ასის სანაპიროებზე გათვალისწინებული იყო 11 კაზაკთა „სტანიცის“ დაარსება, სადაც უნდა ჩასახლებულიყო დონის კაზაკთა 2200 ოჯახი.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Р.А. Фадеев. Письмо Кавказа, СПб, 1889, გვ. 61, 74.

<sup>2</sup> С. Эсадзе. Пскорение..., გვ. 163.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 167.

მთიელების მიმართ აპარტიდული პოლიტიკის განხორციელების დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტი არსებობს. მაგალითად, ოსეთის სამხედრო ოლქის უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი კუნდუხოვი, რომელიც ამავდროულად იყო მთიელების თურქეთში გადასახლების ორგანიზატორი, კავკასიის ხაზის სამხრეთის ფრთის ჯარების სარდალს გრაფ ევლოკიმოვს წერდა, რომ ფორტანგის, ასსის, სუნჯის და კამბილევის ხეობების მოსახლეობა მთლიანად გასახლებულია. ერთი სიტყვით, შესრულებულია თქვენი აღმატებულების ნების თანახმად.<sup>1</sup>

გენ. ორბელიანი თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში მიუთითებდა, რომ მთელ ჩეჩნეთში არ დარჩენილა არცერთი აული, არც ერთი ოჯახი, რომლებიც არ იყო რამოდენიმეჯერ გასახლებული ერთი აულიდან მეორეში.<sup>2</sup>

ჯერ კიდევ 1856 წ. 23 აპრილს. გენერალი მურავიოვი წერდა თავად დოლგორუკოვს: «...Вообще, нужно принять за правило, чтобы всяком передвижении наших войск вперед для занятия вновь приобретаемого от неприятеля пространства, позады их и под их прикрытием переносить с задних линий станицы, в которых водворять и женатых солдат, обращая их в казичье сословие...»<sup>3</sup>

თერგის და ყუბანის ოლქის ჯარების სარდალის გენერალ ევლოკიმოვის სახელზე დაწერილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში კკითხულობთ: «...Переселение аулов Ланжита и Учота

---

<sup>1</sup> Г.А. Дзидзария. Махаджирство..., გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 191.

<sup>3</sup> АКАК, т. 9, გვ. 429.

окончено 30-му числу октября, и что в течение зимы 1860-61 г. окончатся также и переселение жителей Терской долины»<sup>1</sup>

სუნჯის ხაზის შექმნა ხელისუფლებამ 1845 წლიდან დაიწყო და დაამთავრა XIX ს. 60-იან წლების პირველ ნახევარში, რასაც კოლონიური ხელისუფლებისათვის დიდი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სოლისებურად შეიჭრა ჩეჩნეთის და ინგუშეთის მთისა და ბარის დამაკავშირებელ ზოლში და იქ კაზაკთა „სტანიცები“ დააარსა. ფაქტობრივად, კოლონიურმა ადმინისტრაციამ ერთმანეთს მოწყვიტა მთისა და ბარის მოსახლეობა. სუნჯის ხაზზე აშენდა ნაზრანის რელუტი, ციხესიმაგრეები – გროზნაია, ვენეჰაპნაია, ბურნაია და სხვა მრავალი გამაგრებული პუნქტი.

ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა და მისი კოლონიზაცია რუსული ისტორიოგრაფიის მიერ შეფასებულია, როგორც ისტორიული მონაპოვარი. «Противник был притиснут к горам... это было сделано по праву войны» – წერდნენ რუსი ისტორიკოსები.

ისტორიული მონაპოვრის შედეგი ტრაგიკული აღმოჩნდა მთელი მოსახლეობისათვის. მათ დაკარგეს არა მარტო ეროვნული დამოუკიდებლობა, არამედ აღმოჩნდნენ ფიზიკური განადგურების წინაშე. ამის დასადასტურებლად, მოვიყვანთ კიდევ ერთ საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს: რომლის ავტორია ალექსანდრე II-ის ნდობით აღჭურვილი პირი, თერგის ოლქის უფროსი (1861-1875) მიხეილ ტარასის ძე ლორის-მელიქოვი. მას შემდეგ, რაც დონიდან, ყუბანიდან, ვოლგიდან თერგის ოლქში გადმოსასხლა 100 ათასი კაზაკი და დაურიგა მათ ჩეჩნებისა და ინგუშების ბარის ნოყიერი მიწები, იგი წერს: «С одной стороны - стесненность территории, произошедшая от

<sup>1</sup> АКАК. т. 9, გვ. 429.



водворения в пределах области 100-тысячного казачьего населения, поставала большую часть туземных племен в полную невозможность прежних условий хозяйственного быта их; с друной же - замкнутость края, лежащего между безводного степью и снеговым хребтом, лишает возможности вывести из пределов области беспокойное и малоспособное к принятию гражданственности чеченское племя».<sup>1</sup>

აღნიშნულ დოკუმენტში რუსი კოლონისტი-გენერალი წერს, რომ უნარო ჩეჩენტა ტომმა კაზაკებს დაუთმო თავისი მიწების ნახევარი, მაგრამ შეინარჩუნა სუნჯის მარჯვენა მხარე, რომელიც შავი მთის დასერილი ხეობებით ესაზღვრება დაღესტანს, რაც ჩვენთვის დიდი სამხედრო მნიშვნელობის მქონეა. იგი მოითხოვს დიდი და მცირე ჩეჩენტიდან მოსახლეობის აყრას და გასახლებას; მთის წინა ზოლში, ვლადიკავკაზიდან ყუმიყის ვაკემდე, კაზაკებით დასახლებული ძლიერი სამხედრო ხაზის შექმნას. «В разьединении этого племени (იგულისხმება ჩეჩნები — თ.ა.) от Дагестана твердою линиею казачьих поселений по предгорной полосе — არწმუნებს ლორის-მელიქოვი კავკასიის მეფისნაცვალს — от Владикавказа до Кумикской плоскости можно положить окончательный исход чеченского вопроса, столь тесно связанного с делом прочного водворения нашего во Терской области и, может быть отчасти и в Дагестане».

ლორის-მელიქოვი მთიელების თურქეთში გადასახლა იდეის ერთ-ერთი ავტორი და ორგანიზატორი იყო. მან დააარსა „თერგის ოლქის ტომების თურქეთში გადასახლების საიდუმლო

<sup>1</sup> Г.К. Мартиросян. История Ингушетии, Орджоникидзе, 1933, გვ. 89.

<sup>2</sup> Г.К. Мартиросян. История..., გვ. 82.

მაგიდის კანცელარია“, რომლის ფასიანი აგენტები მოუწოდებდნენ და არწმუნებდნენ მთიელებს ხელისუფლებისაგან აეღოთ თურქეთში გადასახლების ნებართვა. ლორის-მელიქოვს მთიელების „თხოვნა“ თურქეთში გადასახლების შესახებ სჭირდებოდა მხოლოდ პროპაგანდისტული მოსაზრებით, რათა საზოგადოება „დაერწმუნებინა“, რომ ჩეჩნების, ინგუშების და სხვ. ხალხების გადასახლებოდა თურქეთში ხორციელდება მათი ნებისა და სურვილის თანახმად.

ამავდროულად, ლორის-მელიქოვი იმპერატორს თხოვდა მთიელების თურქეთში გადასახლების თანხმობას. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოგაწოდოთ ლორის-მელიქოვის მოხსენებითი ბარათის ის ნაწილი, რომელიც ეხება მთიელთა გადასახლებას თურქეთში: «Теперь считаю крайне необходимым обратиться к вашему превосходительству по предмету, возбужденному генерал-майором Кундуховым и могущему иметь влияние на дальнейшие действия в Терской области. Прибыв на-днях во Владикавказ, генерал Кундухов высказал мне предположение о возможности возобновить между туземцами Терской области стремление к переселению в Турцию. Он предложил взять на себя выполнение этого дела и уверен, что при тех мерах, которые он примет негласно, в течение летних месяцев уйдет до трех тысяч семейств.

Трудно судить еще, насколько выполнимо предположение это в настоящее время, после тех бедствий, которые перенесены туземцами здешнего края при уходе их в 60 и 61годах; но, во всяком случае, предположение генерала Кундухова, по личному моему мнению, имеет для нас особую важность, и если ему удастся привести его и исполнение, то

он бесспорно окажет нам огромную услугу даже и в том случае, если переселение состоится и меньших гораздо размерах, чем он предполагает. При настоящем недостатке земель в области и тех заботах, которые вызываются положением туземного населения в крае выход всяких ста семей, к какому бы племени они не принадлежали, за исключением кумыков и кабардинцев, где нет недостатка в земле, будет уже для нас облегчением».

«Одним из главных условий успеха этого предприятия генерал Кундухов ставит полную негласность его личного участия в этом деле, и уверен, что никакие старания его не будут иметь благоприятного исхода, если только в населении станет извесно, что он действует с ведома правительства. Я обещал ему о сохранении этой негласности написать и вашему превосходительсьву.

Генерал Кундухов заявил мне, что по исполнении этого дела он намерен поселиться в Одессе и даже, быть может, сам перейдет в Турцию. Однако, еще из первых мер, которые он думает принять для исполнения предпринятого им дела, есть отправление в Турцию своего семейства. Он высказал мне при этом надежду, что, в случае, если участие его принесет пользу, то правительство не откажет в приобретении от него в казну пожалованной ему земли и выстроенного им на ней дома.

Побуждения, руководящие в этом деле генерала Кундухова, были высказаны им мне прямо: облегчая переселением в Турцию заботы правительства, он думает

этой мерою спасти туземное население от бедствий, которые неминуемо постигнут эти племена в случае восстания. Давнее убеждение его в неизбежности такого восстания на Восточном Кавказе, полагаю, известны и вашему превосходительству.

Считаю необходимым, если только предложение генерала Кундухова будет одобрено его императорским величеством, сколько возможно, скорее дать ему дозволение приводить его в исполнение. Поэтому покорнейше прошу ваше превосходительство испросить разрешение государя великого князя и, в таком случае, сообщить мне об этом с первым отходящим курьером или же телеграфною депешею».<sup>1</sup>

ლორის-მელიქოვა ამ მოხსენებითი ბარათის პასუხი 1964 წ. 17 მაისს მიიღო, სადაც ნათქვამი იყო, რომ „დიდი მთავარი მხარს უჭერს თქვენს წინადადებას და გისურვებთ წარმატებას“. «После того, как условия длительности Кундухова были приняты краевой властью (покупка уж него казной 2800 десятины земли и дома на сумму 4500 рублей, выдача ему 10 000 руб. на агитацию), — წერს გ.კ. მარტიროსიანი — он выехал в Турцию для выяснения вопроса о возможности и порядке переселения туда горцев».<sup>2</sup> თერგის ოლქის უფროსი სასწრაფოდ გააგზავნა თურქეთში კუნდუხოვს, რომელსაც ოსმანთა იმპერიის მთავრობასთან უნდა შეეთანხმებინა მთიელთა გადასახლების საკითხი. თურქეთის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი-ფაშამ დიდი კმაყოფილების გრძნობით მიიღო რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება მთიელების თურქეთში

<sup>1</sup> Г.К. Мартиросян. История..., გვ. 82-83.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 83.

გადმოსახლების შესახებ. «Али-Паша обещал — წერს კუნდუხოვი ლორის-მელიქოვს, — принять живое участие в делах будущих мухаджинов».<sup>1</sup>

1913 წელს ახმელ ცალიკოვი თავის წიგნში «Кавказ и поволжье» წერდა: „კუნდუხოვის ჭკვიანურად დაგებულ მახეში მოექცნენ ჩეჩენი მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც ადმინისტრაციას მიაჩნია საშიშად და წინასწარ იყვნენ გადასახლებისათვის მონიშნულნი“.<sup>2</sup> კუნდუხოვისა და საიდუმლო მაგიდის კანცელარიის აგენტების აგიტაციამ მნიშვნელოვან-წილად განაპირობა ჩეჩნებისა და ინგუშების მასიური გადასახლება თურქეთში. «Я никогда не сомневался, что в чечне число переселенцев будет больше, чем предполагалось. — წერდა კუნდუხოვი ლორის-მელიქოვს — Теперь, положительно знаю, что при всем жилании нашем в одно нынешнее лето невозможно переселить всех желающих».<sup>3</sup> მოღალატე კუნდუხოვს ხელისუფლებამ დანაპირები შეუსრულა.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი რუსეთიდან მუსლიმანური მოსახლეობის გადმოსახლებით დაინტერესებული იყო, რადგან იგი მათი მეშვეობით აპირებდა ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების მოგვარებას — უკაცრიელი და ნაკლებად დასახლებული ტერიტორიების ათვისებას, მუსულმანური მოსახლეობის საგრძნობ ზრდასა და რუსეთთან საზღვრისპირა ზოლის სტრატეგიულ ტერიტორიებზე მუჰაჯირების ჩასახლებას.

თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ საზღვრისპირა ზოლში მუჰაჯირების ჩასახლების შესახებ, რუსეთის

<sup>1</sup> <sup>1</sup> Г.К. Мартиросян. История..., გვ. 83.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 83.

<sup>3</sup> А. Цаликов. Кавказ и Поволжье, М., 1913, გვ. 36.

ხელსიუფლების შეშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით, კავკასიაში მოქმედი გენერლები ა.პ. კარცოვი, ნ.ი. ევლოკიმოვი, გ.ზ. ორბელიანი, მ.ც. ლორის-მელიქოვი და სხვ. ვერ მალავდნენ თავიანთ აღშფოთებას და წერილს წერილზე აგზავნიან პეტერბურგში, რათა დაერწმუნებინათ მთავრობა, რომ ქვეყნის საზღვარზე მუჰაჯირების კომპაქტურად ჩასახლება გამოიწვევდა სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების დათმობასა და ომის შედეგად მოპოვებულ წარმატებებზე უარის თქმას.

საყურადღებოა, რომ ხელისუფლებას თურქეთში მთიელების გადასახლება სახმელეთო გზით აკრძალული ჰქონდა, რადგან ხმელეთიდან გასახლებულ მთიელებს, თურქეთის მთავრობის ხელშეწყობით, საზღვრისპირა ტერიტორიების კოლონიზაციის რეალური შესაძლებლობა ექნებოდა. ამის თაობაზე გენერალი ევლოკიმოვი წერდა: «...На южной границе явится тот же неприятель, с которым мы стараемся кончить войну на Северном Кавказе»<sup>1</sup>. გ.ზ. ორბელიანმა, რომელიც ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას, გენერალ ევლოკიმოვს მიუთითა, რომ შაფსულების, აბაზეხების და ნათუხაების გადასახლება განეხორციელებინა მხოლოდ კონსტანტინოვკიდან და ზღვისპირეთის სხვა პორტებიდან.<sup>2</sup> კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი გენერალი კარცოვი მთიელების გადასახლების პროცესს და თურქეთში მათი საცხოვრებელი ადგილების შერჩევას უკავშირებს დასავლეთ კავკასიაში ომის დამთავრების საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ თურქეთში მთიელების შეუფერხებელი გადასახლება და მათი შესაფერის ადგილებზე ჩასახლება დააჩქარებს ომის დამთავრებას დასავლეთ კავკასიაში.<sup>3</sup>

<sup>1</sup> АКАК, т. XII, ч. II, док. N892, გვ. 1010.

<sup>2</sup> АКАК, т. XII, ч. II, док. N891, გვ. 1012.

<sup>3</sup> А.Г. Дзидзарня. Махаджирово..., გვ. 206.

1860 წელს სადავო საკითხების მოსაგვარებლად კონსტანტინოპოლში მივლინებული იქნა მ.კ. ლორის-მელიქოვი. მას და რუსეთის ელჩს ა.ბ. ლობანოვ-როსტოვსკის უნდა დაერწმუნებინათ თურქეთის მთავრობა, რომ მთიელების ჩასახლება საზღვრისპირა ტერიტორიებზე, რუსეთის მიერ მიღებული იქნება, როგორც არამეგობრული ნაბიჯი.<sup>1</sup> მ.კ. ლორი-მელიქოვმა და ა.ბ. ლობანოვ-როსტოვსკიმ საუკეთესოდ შეასრულეს ხელისუფლების დავალება. თურქეთი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა რუსეთის მთავრობის მოთხოვნა და ხელი მოაწერა სპეციალურ ხელშეკრულებას.<sup>2</sup> თურქეთთან მოლაპარაკების შემდგომ, 1962 წ. 10 მაისს ალექსანდრე II-მ დამატკიცა კავკასიის საგადასახლებო კომიტეტის დადგენილება მთიელების გადასახლების შესახებ. პირველ რიგში გადასახლებას ექვემდებარებოდა აბაზეხები და შაქსულები,<sup>3</sup> თუმცა აბაზეხების გადასახლება დაიწყო 1859 წ., როდესაც მათმა ბელადმა მუჰამედ-ემინმა თავი დამარცხებულად სცნო და რუსეთისადმი მორჩილება გამოაცხადა.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მთიელები აცხადებდნენ რუსეთის ხელისუფლებისადმი მორჩილებას, მაშინაც მათ არ აძლევდნენ მამაპაპისეულ მიწებზე ცხოვრების უფლებას. ასე მაგალითად, როდესაც კავკასიაში ჩამოვიდა ალექსანდრე II „ახალი დაპყრობილი ტერიტორიების დასათვალისწინებლად“, ჩერქეზების დელეგაციამ მას 1861 წლის სექტემბერში თხოვნით მიმართა საომარი მოქმედებების, მიწების მიტაცების, აულების გადაწვის, სტანიცებისა და ციხეების მშენებლობის შეწყვეტის შესახებ. გარდა ამისა, იმპერატორს სთხოვეს მიეღოთ ისინი რუსეთის ქვეშევრდომებად და მიეცათ

<sup>1</sup> АКАК, т. XII, ч. II, док. N890, გვ. 1011.

<sup>2</sup> А.Г. Дзидзария. Махаджирово..., გვ. 206.

<sup>3</sup> АКАК, т. XII, ч. II, док. N882, გვ. 1006.

<sup>4</sup> АКАК, т. XII, ч. II, док. N703, გვ. 827.

თავიანთ მიწა-წყალზე ცხოვრების უფლება. იმპერატორისთვის მთიელების თხოვნა სრულიად მიუღებელი იყო, რადგან მას გადაწყვეტილება ჩერქეზების საკუთარი მიწა-წყლიდან აყრის შესახებ, უკვე მიღებული ჰქონდა. მთიელების თხოვნით გაღიზიანებულმა ალექსანდრე II-მ კატეგორიულად განაცხადა: «Я даю месячный срок – абадзехи должны решить: желают ли они переселиться на Кубань или же пусть переселяются в Турцию».<sup>1</sup> ფაქტობრივად, ალექსანდრე II-ის განცხადება ნიშნავდა, ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნოწმენდას და გენოციდის პოლიტიკის დაკანონებას. ხელისუფლების ოფიციალური განცხადებები, რომ მთიელთა თურქეთში გადასახლებას ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა, რომ იგი ხორციელდებოდა მათი ჩარევის გარეშე, მტკნარი სიცრუე იყო. იგი მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის დასაშომშინებლად იყო გათვალისწინებული.

ხელისუფლებამ ყოველ აულს და ტომს გადასახლების ვადები დაუდგინა. სამხედრო ადმინისტრაციამ სასწრაფოდ და ოპერატიულად დაიწყო მთიელთა საცხოვრებელი ტერიტორიების „წმენდა“. ათასობით მთიელს ჯოგებივით მიერეკებოდნენ ნოვოროსიისკის, ტამანის, ანაპის, კონსტანტინოვსკის, ტუაფსეს და სოხუმის პორტებში. გამოსახლებულთა უზარმაზარი მასა ერთდროულად მოაწვა შავიზღვისპირეთის პორტებს. კავკასიის ადმინისტრაციამ ვერ მოაგვარა მთიელთა გადასახლების ორგანიზაციული მხარე. საზღვაო ტრანსპორტის უკმარისობის, მოხელეთა უპასუხისმგებლობისა და კორუმპირებულობის გამო, მთიელებს სურსათ-სანოვაგის გარეშე, თვეობით უხდებოდათ ღია ცისქვეშ ცხოვრება. სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავარდნილ მთიელებს ტიფისა და ყვავილის ეპიდემია მოედო –

<sup>1</sup> С. Эсадзе. Покорение..., გვ. 119-120.



შავიზღვისპირეთი ნოვოროსიისკიდან სოხუმამდე მთიელთა საფლაკებით იყო მოფენილი. «Никогда не забуду я того подовляющего впечатоения, – წერს აკადემიკოსი ს.პ. ბერჟე – которые произвели на меня горцы Новороссийской бухте, где их собралось около 17000 человек... совершенное отсутствие средство к существованию и свирепствовавшая между горцами эпидемия тифа и оспы, делали положение их отчаянным... чье сердце не содрочгулось бы при виде, например, молодой черкешенки, в рубишах лежацей на сырой почве, под открытым небом, с двумяя малютками, из которых один в предсмертных судорогах боролся со смертью в то время, как другой искал утolenия голода у груди уже окоченевшего трупа матери».<sup>1</sup> კიდევ უფრო საზარელ სურათს გვიხატავს მთიელთა თურქეთში გასახლების თვითმხილველი ა.ვ. აბრამოვი. «...Горцы без всякого имущества, скапливались частью в Анапе и Новороссийске, частью во многих мелких бухтах северо-восточного берега Черного моря... masse горцев приходилось ждать своей очереди по полугоду году и более. Все это время они остовились на берегу моря, под открытым небом, без всяких средов к жизни... Очевидцы передают ужасные сцены... Они рассказывают о трупе матери, грудь которой сесет ребенок; другой – матери же носившей на

---

<sup>1</sup> А. Берже. Выселение горцев с Кавказа, «Русская старино», XXXIII, февраль, 1882, გვ. 363.

руках замерзших детей и никак не хотевшей расстаться с ними...»<sup>1</sup>

შიმშილისაგან დაუძღურებულ და დაავადებულ მთიელთა ნაწილი გზაში იღუპებოდა. მაგ. 1864 წ. 24 მაისს გაზეთი «Кавказ»-ი წერდა, რომ ერთ-ერთ გემიდან, რომლითაც 600 გადასახლებული მგზავრობდა, თურქეთის სანაპიროზე გადმოსახლდა მხოლოდ 370 მგზავრი.<sup>2</sup> 1864 წლის ბოლოს კუნძულ კიპროსის ქ. ლარნაში სამმა პატარა გემმა 2700 მგზავრიდან გადმოსხა – 1259, 1441 – კი მგზავრობისას დაიღუპა.<sup>3</sup> 1964 წლის მაისში ერთ-ერთ თურქულ გემზე, სადაც იმყოფებოდა შიმშილით დაუძღურებული და ავადმყოფი 600 მთიელი, გზაში სამი-ოთხი დღის განმავლობაში გარდაიცვალა 370 ადამიანი.<sup>4</sup>

1863 წ. 11 დეკემბერს ვარნას მოადგა ორი თბომავალი 1030 გადმოსახლებულით – წერს ა. ბერჟე, – როდესაც მენავეებმა დაიწყეს შიშველი, ფეხშიშველა, დაუძღურებული და ავადმყოფი მთიელების გადასმა, აღმოჩნდა 46 გვაში. ადგილობრივ ხელისუფლებას შეეშინდა სენის გაერცელების და არ უნდოდა მათი მიღება.<sup>5</sup>

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნ. სმირნოვი თავის ნაშრომში „რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში“ – გვარწმუნებს, რომ გადასახლებულთა 50 პროცენტამდე

---

<sup>1</sup> Я. Абрамов. Выселение горцев с Кавказа, «Русская старина», XXXIII, февраль, 1882, გვ. 7.

<sup>2</sup> «Кавказ», 24 მაისი, 1864.

<sup>3</sup> «Кавказ», 3 დეკემბერი, 1865.

<sup>4</sup> «Кавказ», 24 მაისი, 1864.

<sup>5</sup> А. Берже. Выселение..., გვ. 353.

სხვადასხვა ეპიდემიის გამო გზაში გარდაიცვალა, ხოლო ბავშვების და ქალების 15 პროცენტი მონებად გაიყიდნენ.<sup>1</sup>

მოყვანილი ფაქტები გვაძლევს უფლებას გაბედულად ვამტკიცოთ, რომ რუსეთის ხელისუფლება შეგნებულად არ უწევდა მთიელებს სამედიცინო და სასურსათო დახმარებას. მას თავისუფლებისმოყვარე მთიელები „მხეცებად“ და „რუსეთის იმპერიის მტრებად“ მიაჩნდა. ამიტომ მთიელების დიდი ნაწილი შიმშილით და ავადმყოფობისთვის შეგნებულად გასწირა, ან აიძულა თურქეთში გადასახლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლება მთიელებს, რომლებიც ექვემდებარებოდნენ გადასახლებას, არ აძლევდა სურსათ-სანოვაგით მომარაგებისთვის საჭირო დროს და საშუალებას. აი, რას წერს ამის შესახებ ლ.ა. აბრამოვი: «Горцы, уходя с своих мест поселения, покидали свои жилища, оставляли скот и запасы хлеба, а иногда не убранные нивы».<sup>2</sup>

შიმშილით და ავადმყოფობით დაუძლურებული მთიელების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა მონათმოვაჭრეების თარეში. კავკასიის ადმინისტრაციამ მთიელთა საგადასახლებო ბანაკები ფაქტობრივად მონათა ბაზრად აქცია. ნოეოროსიისკის, ტამანის, ტუაფსეს და სხვა პორტებს მიესია მაჰმადიანური და სხვ. ქვეყნების მონათმოვაჭრენი. „მონათსაეაჭრო ფირმები“ კავკასიაში აგზავნიდნენ ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებსაც ვეალებოდათ „ყველაზე ლამაზი ქალების და ქალიშვილების შერჩევა“.<sup>3</sup> საგადასახლებო ბანაკებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა აიძულებდა მთიელებს, რუსი ჩინოსნების თვალწინ,

<sup>1</sup> Н.А. Смирнов., Политика России на Кавказе XVI-XVII веках, М., 1958, გვ. 233.

<sup>2</sup> П. Абрамов. Выселение..., გვ. 7.

<sup>3</sup> «Кавказ», 3 დეკემბერი, 1864.

ჩალის ფასად მიეყიდათ თავიანთი შვილები მონათმოვაჭრეებისთვის. რუსი ჩინოვნიკები, რომლებიც კორუფციის მორევში იყვნენ ჩაფლულნი, ხაზინის მიერ მთიელთა გადასახლებისთვის გამოყოფილ, ისედაც მიზერული თანხის (289678 მან.) მნიშვნელოვან ნაწილს იპარავდნენ, მონათმოვაჭრეების „თავისუფალი მოქმედების“ საფასურად დიდ გასამრჯელოსაც ღებულობდნენ.

რუსეთის სახელმწიფოში, სადაც ადამიანებით ვაჭრობა სასტიკად იყო აკრძალული, ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გარშემო საქმე არ აღძრულა, მიუხედავად ამისა, ადამიანებით ვაჭრობის დამადასტურებელი უამრავი მასალა ქვეყნდებოდა იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში; მდიდარი ფაქტობრივი მასალა მოიპოვება ა. ლილოვის, მ. პოკროვსკის. რ. ფადეევის, ა. ბერჟეს და სხვ. შრომებში.<sup>1</sup>

მოვლენათა თანამედროვე ა. ლილოვი აღნიშნავს რომ შავი ზღვის პორტებში თურქები და ინგლისელები ტრიუმფს ტენიდნენ მთიელი ლამაზმანებით. «Поставшики гаремов и турецкие покупшики остались, — წერს ა. ლილოვი — вероятно в больших барышах от покупки нашего товара»<sup>2</sup> მონათმოვაჭრეები არ კმაყოფილდებოდნენ საგადასახლებო ბანაკებში შეძენილი გოგონებითა და ბიჭებით და ჩერქეზების აულებშიც დაეძებდნენ „განსაკუთრებულ ფასიან საქონელს“.<sup>3</sup> მხოლოდ 1965 წ. მაისში თურქი მონათვაჭრების მიერ ნაყიდი

---

<sup>1</sup> А. Лилов. Последние годы борьбы русских с горцами на Западном Кавказе, «Кавказ», №20, 1867; М. Покровский. Диверсионная деятельность иностранных агентов на западном Кавказе после окончания Крымской войны, М., 1927; Р.А. Фадеев. Собрание сочинения, т. 1, ч. 1, СПб, 1890; Ад. П. Берже. Выселение горцев с Кавказа, «Русская старина», т. XXXIII, №2, 1882 и др.

<sup>2</sup> А. Лилов. Последние годы..., «Кавказ», 9 мартი, 1867;

<sup>3</sup> М. Покровский. Диверсионная деятельность..., გვ. 234.

80 გოგო და ბიჭი ავსტრიული გემით გაგზავნილი იქნა ეპეიპტეში სარეალიზაციოდ.<sup>1</sup> 1865 წ. ტრაპეზუნდის გენერალ-გუბერნატორმა, გავლენიანი პირების დასასაჩუქრებლად კონსტანტინოპოლიში შეიძინა 130 ჩერქეზი ქალი.<sup>2</sup> ტრაპეზუნდში ინგლისის კონსულის მონაცემებით, 1863-1864 წწ. ანატოლიის სანაპიროზე 220 000 გადმოსხმული ჩერქეზიდან გაიყიდა 10000.<sup>3</sup> თურქეთის ხელისუფლება, ათასობით შიმშილისაგან დაუძღურებულ, ტიფით და ყვავილის სენით დაავადებულ მთიელთა მისაღებად სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ეპიდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, გადმოსახლებულებს საკარანტინო ბანაკებში ათავსებდნენ. სურსათსა და სამედიცინო დახმარებას მოკლებული მთიელები ათასობით იხოცებოდნენ საგადასახლებო-საკარანტინო ბანაკებში – ტრაპეზუნტში, სინოპში, სამსუნში, ვარნაში და სხვ.

«...Они были расположены под защитою жалких листьев оливковых деревьев; не имея никокой провизии, они существовали только мени ничтожными... средствами, которыми снабжало их турецкое правительство. – წერს ა. ფონვილი – Они принесли с собою в Трапизонд миф, оспу и другие эпидемические болезни... и населения этого города подверглось вследствие того страшной смертности...

Турки, напуганные этим... решили расположит эмигрантов в нескольких местах в доль берега и раставили

---

<sup>1</sup> М. Покровский. Диверсионная деятельность..., გვ. 234.

<sup>2</sup> А. Берже. «Русская старина», т. XXXIII, 1882.

<sup>3</sup> «Новый Восток», М., 1925, №7, გვ. 22.

войска, которые не должны были пропускать их к населенным пунктам»<sup>1</sup>

შიმშილით და ავადმყოფობით დაუძლურებული მთიელები იძულებული ხდებოდნენ გაეყიდათ თავიანთი მცირეწლოვანი შვილები, უამრავი ცნობა ადასტურებს საგადასახლებო ბანაკებში მთიელთა უუფლებლობასა და უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს, რომლის თვითმხილველი გახლდათ ინგლისის კონსულის ქალიშვილი ერთ-ერთ საგადასახლებო ბანაკში. იგი წერს, როდესაც მიუახლოვდით სენშეყრილ ბანაკს, ქალებისა და მამაკაცების მცირე ჯგუფები ბავშვებით ხელში, შემოგვეხვია და გვთავაზობდნენ მათ ყიდვას. საჭმელსა და თავშესაფარს მონატრებულ უბედურ პატარა ქმნილებებს ეტყობოდათ, რომ თვითონ სურდათ მშობლებისგან განშორება.<sup>2</sup>

გ.ზ. ორბელიანი, რომელმაც რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილებაში დიდი სამსახური გაუწია, ქვეყნის სამხედრო მინისტრს წერდა, რომ თურქეთში ჩერქეზი ბავშვებისა და ქალების გაყიდვის ზრდა გამოწვეულია ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კავკასიელი მთიელების მნიშვნელოვანი მასის გადასახლებით.<sup>3</sup>

საგადასახლებო კომისიის მონაცემებით 1863-1864 წლებში თურქეთში გადასახლებული იქნა 470703 სული. გენერალი ნ. ევლოკიმოვი 1864 წ. ივლისის ერთ-ერთ პატაკში მიუთითებს, რომ დასავლეთ კავკასიიდან თურქეთში გადასახლდა 418 ათასი, ხოლო ყუბანსა და ლაბაზე 90 ათასი მთიელი.<sup>4</sup> ლ.გ. ლოპატინსკი კი გვარწმუნებს, რომ 1864 წ. ჩათვლით

<sup>1</sup> А. Фонвиль. Последний год войны Черкесии за независимости (1863-1864 гг), Краснодар, 1927, გვ. 40.

<sup>2</sup> Г.А. Дзидзария. Махаджирство..., გვ. 230.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 38, აღწ. 3, საქ. 1097, ფურტ. 14-15.

<sup>4</sup> С. Эсадзе. Историческая записка..., გვ. 52.

მილიონზე მეტი ჩერქეზი თურქეთში გადასახლდა.<sup>1</sup> ყაბარდოელი ისტორიკოსი ა.ხ. კასუმოვი ამტკიცებ და რომ ჩრდილოეთ კავკასიაში XIX ს. პირველ ნახევარში ცხოვრობდა ერთ მილიონზე მეტი ადიღი, ხოლო კავკასიის ომის დამთავრებისა და თურქეთში გადასახლების შემდგომ დარჩა სულ 100 ათასი. ნ.ა. იანჩევსკი გვარწმუნებს, რომ 400 000 ჩერქეზიდან თურქეთში გადასახლდა 3/4 – 300 000 ჩერქეზი, ჩეჩნეთიდან – 23000 ჩეჩენი.<sup>2</sup>

საინტერესო ცნობებს გვაწვდის იაკუბ აბრამოვი: «...Стремлению к переселению охватило именно то самое количество Чеченских семейств, – წერს ი. აბრამოვი – выселить которое решено было заранее и те самые отросли чеченского народа, которые казались местной власти самыми опасными. Всего двинулось в переселение 5008 семейств, состоявших из 22491 душ. Переселенцы несколькими партиями отправились через Закавказье в Турцию».<sup>3</sup>

1886 წ. ჟურნალ «Наблюдатель» გამოქვეყნად დიდმპყრობელური, იმპერიული პოლიტიკის თავგამოდებული დამცელის კ. ბოროზდინის ნარკვევი კავკასიის კოლონიზაციის საკითხებზე, სადაც იგი მიუთითებს, რომ შავიზღვისპირეთიდან გადასახლებული იყო ნახევარმილიონამდე მთიელი.<sup>4</sup> ვფიქრობთ, რომ ნარკვევის ავტორს გადასახლებულთა რაოდენობა არ გაუზრდია. პირიქით, შეამცირა და ხელისუფლებისთვის მისაღები მონაცემები გაახმოვანა.

---

<sup>1</sup> Л.Г. Лопатинский. Заметки о народе адыге ввобще и Кабардинцев в частности, Тифлис, 1889, გვ. 5.

<sup>2</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 10.

<sup>3</sup> И.А. Янчевский. Гражданская Борьба..., გვ. 7.

<sup>4</sup> К. Бероздин. Колонизация Кавказа..., გვ. 132.

როგორც ვხედავთ, თურქეთში გადასახლებული მთიელების რაოდენობის შესახებ ოფიციალური და ისტორიკოსების მიერ მოყვანილი რიცხობრივი მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს გასაგებიცაა, რადგან ხელისუფლება თურქეთში გადასახლებულ მთიელთა რიცხობრივ რაოდენობას საგრძნობლად ამცირებდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები, რომლებიც კოლონიურ ომს ფიზიკურად გადაურჩნენ, რუსეთის ხელისუფლების ძალისხმევით მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად განდევნილი იქნა სამშობლოდან. მაგალითად, 44 939 უბიხიდან მხოლოდ 53 ოჯახმა მოახერხა ჩრდილოეთ კავკასიის ფარგლებში დარჩენა.

რუსეთის კონსული ქ. ტრაპეზუნტში ან. მოშინინის სისტემატურად აგზავნიდა პეტერბურგში წერილობით ინფორმაციებს თურქეთში გადმოსახლებული მთიელების რაოდენობისა და მათი მდგომარეობის შესახებ. იგი საგადასახლებო ბანაკებში მთიელების მასიური დაავადებისა და სიკვდილიანობის პასუხისმგებლობას თურქეთის მხარეს აკისრებდა. ა.პ. მოშინინი შეგნებულად გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ რუსეთიდან გადმოსახლებული იქნა ტიფით, ყვავილით დაავადებული მთიელები, რომლებიც ეპიდემიის გავრცელების კერებად იქცნენ. «Нуждаясь в пище, изнуренные переездами и болезнями, — წერს ა. ფონვილი — они принесли с собою в Трапезунд тиф, оспу и другие эпидемические болезни... и население этого города подвергалось вследствие того страшной смертности».<sup>1</sup>

თურქეთის სამედიცინო სამსახური, ათასობით დაავადებული მთიელების პროფილაქტიკურ-სამედიცინო მომსახურებისთვის, მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამ მოსაზრებას ი.

<sup>1</sup> А. Фонвиль. Последний..., გვ. 40.



აბრამოვიც ადასტურებს. იგი წერს: «...Когда Турцию прибыло тысячи горцев, то оказалось, что у турок не было ни средств для содержания этой маесы людей, ни уменья более или менее сносно устроить их».<sup>1</sup> 1864 წლის 10 ივლისს რუსეთის კონსული გენერალ კარცევს წერს: «В Батуми прибыло около 6000 черкесов, - смертность 7 человек в ден; в Трапизонде высадило 247 000 черкесов, из них умерло 19000 душ; ко времени написания письма оставалось в Трапизонде - 63 290 черкесов и из них умирало 180-250 человек в сутки: ...всего с начала переселения до мая 1964 года прибывших в Трапизонд переселенцев умерло более 30 000 человек».<sup>2</sup>

რუსეთის კონსული თურქეთში დაღუპული მთიელების სტატისტიკით იყო დაკავებული. რუსეთი მთავრობას სერიოზულად არც კი უფიქრია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაეარდნით მთიელთა ჰუმანიტარულ დახმარებაზე.

რუსეთისა და თურქეთის მთავრობების უპასუხისმგებლობამ და უზნეობამ განაპირობა ათასობით მთიელის, მათ შორის, ბავშვების სიკვდილი.

თურქეთის ხელისუფლება, მის მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ სახელმწიფოებში მუსლიმანური მოსახლეობის ზრდის საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ, ევროპულ თურქეთში, თავისი პოზიციების გასაძლიერებლად, ასახლებდა ჩერქეზებს. «Сначала Турция принимала черкесов очень охотно... черкесы были от природы войны — წერს აბრამოვი — и это было очень на руку туркам. Турецкое правительство мечтало о поселении черкесев среди

<sup>1</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 8.

<sup>2</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 8.

христианских народностей Балканского полуострова, чтобы они были постоянными представителями турецкого режима для этих народностей и постоянно грозою для них».<sup>1</sup>

XIX ს. 60-იანი წლები თურქეთის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, დუნაის გენერალ-გუბერნატორმა აჰმედ მიდრათ-ფაშამ ოსმალთა იმპერიის ოცნება აღასრულა — დუნაის შესართავიდან ბოსნია-ჰერცეგოვინამდე სოლისებურად შეიჭრა სლავებით დასახლებულ ტერიტორიებზე და კაზაკთა „სტანიცების“ მსგავსი ჩერქეზთა სამხედრო კოლონიები დააარსა, რომლებიც ფაქტობრივად, ცოცხალი ხერგულის როლს ასრულებდნენ ამ უკანასკნელსა და ბულგარეთ-სერბეთს შორის. ამასთან ერთად, იქმნებოდა ჩერქეზული მილიცია, რომელსაც ევალებოდა საზღვრისპირა ზოლის დაცვა.

ჩერქეზებმა, ის გულისწყრომა და ღვარძლი, რაც რუსების მიმართ გააჩნდათ, გადაიტანეს ბალკანეთის სლავებზე. ისინი სისტემატურად ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ, აჩანაგებდნენ სლავების კარმიდამოს. «Всю накопившуюся у них злобу против русских, — წერს ი. აბრამოვი — гяуров, выгнавших их из родных гор, они перенесли на таких-же гяуров, соплеменных русским-Балканских словян. Таким-то образом созданя тот ужасный тип башибузука, который причинил столько ужасных страданий болгарскому народу».<sup>2</sup>

ოსმალეთის სულთნები, რომლებიც გამუდმებულ ბრძოლებში იყვნენ, პირადი გვარდია და ჯარი მათი მუდმივი ზრუნვისა და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქრისტიანული ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან გაყვანილი

<sup>1</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 8-9.

<sup>2</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 9.

ტყვეებისაგან შემდგარ სამხედრო ნაწილებს. მაგრამ, მაინც უპირატესობა ენიჭებოდა მუსლიმანური ქვეყნებიდან გაყვანილ ტყვეებითა და გადმოსახლებულებით დაკომპლექტებულ სამხედრო ნაწილებს.

ოსმალეთის ხელისუფლებამ ხელიდან არ გაუშვა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში გამობრძმედილი, უშიშარი მეომარი ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშებისა და სხვ. მთიელი ტომების მეშვეობით თავისი სამხედრო ძალების გაძლიერების შანსი. ამ მიზნით განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები: აკრძალა მთიელი მამაკაცების გაყიდვა, ყველა უცოლო ახალგაზრდას მიეცა ჯარში სამსახურის უფლება, ჯარისკაცებს დაენიშნათ სოლიდური ხელფასი და სხვ.<sup>1</sup> «Поскольку на военную службу брали только неженатых, — ვკითხულობთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დოკუმენტში — то многие горцы продовали своих жен и детей чтобы поступить на военную службу».<sup>2</sup> ხელისუფლებამ უმოკლეს დროში გაიწვია ჯარში 3 ათასი ჩერქეზი და დააკომპლექტა სულთნის „ჩერქეზთა გვარდია“ და ცხენოსანთა პოლკები. ხელისუფლებას კიდევ დაგეგმილი ჰქონდა 12 ათასი ჩერქეზის გაწვევა.<sup>3</sup>

გადმოსახლებულმა მთიელებმა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი თანამდებობები დაიკავეს თურქეთის არმიაში და პოლიტიკაში. მაგ., ბუელუხების უკანასკნელი მთავრის თარხან ჰაჟიმუკოვის შვილი ხასან ჰაჟიმუკოვი იყო თურქეთის სამხედრო სასწავლებლების მთავარი დირექტორი;<sup>4</sup> სულთან დევლეთ-გირეის დროს ჩერქეზ მაჰმუდ-შევკეატს ეკავა სამხედრო მინისტრის პოსტი და ატარებდა არმიის გენერალსიმუსის

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, საქ. 63, ფურ. 155-156.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 1097, ფურ. 14.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 445, აღწ. 1, საქ. 1097, ფურ. 155.

<sup>4</sup> М. Покровский. Диверсионная деятельность..., გვ. 236.

წოდებას;<sup>1</sup> სხვადასხვა დროს თურქეთის არმიის გენერლები იყვნენ ჩერქეზები აჰმედ რიზა-ფაშა, ჰუსეინ ლაიმა-ფაშა, მამედ საიდ-ფაშა; სულთან აბდულ-ჰამიდ II-ის დროს ჩერქეზები ზიბეი იყო საიდუმლო პოლიციის უფროსი, ხოლო ნაზამ-ფაშა თურქეთის პოლიციის უფროსი.<sup>2</sup>

რუსეთის ხელისუფლებას, კავკასიის მთიელებს შორის, ჩეჩნები და ინგუშები სახელმწიფოსთვის ყველაზე „არასაიმედო და საშიშ“ ხალხად მიაჩნდა. ამიტომ, ჩეჩნების, ინგუშებისა და სხვა არასაიმედო მთიელების რუსეთის იმპერიიდან გასახლება უპირველესი საზრუნავი იყო.

XIX ს. 90-იან წლებში წამოვიდა თურქეთში გადასახლების მსურველთა ახალი ტალღა, რომლის ძირითადი მიზეზი იყო კოლონიური რეჟიმის განსაკუთრებული გამკაცრება. განსაკუთრებით, 1893 წლიდან კავკასიის ადმინისტრაციაში შემოდინდა არა მარტო ცალკეული პირების, არამედ ოჯახების, მთელი სოფლებისა და აულების ათასობით თხოვნა თურქეთში გადასახლების თაობაზე. მაგალითად, 1896 წელს ჩეჩნეთის აულების-შალის, ძველი ატაგის, გოიტის, ურუს-მარტანის, გეჰის, იალპოი-მოჰქის და სხვ. სოფლების მთიელებმა მიიღეს თურქეთში გადასახლების ნებართვა.<sup>3</sup> აღნიშნულ პერიოდში გროზნოს ოლქიდან თურქეთში გადასახლდა 637 კომლი (4454 სული).<sup>4</sup>

XX ს. დასაწყისში რუსეთის იმპერიიდან მუსლიმანური მოსახლეობის თურქეთში გადასახლების მისწრაფებამ ფართო ხასიათი მიიღო. ამას ადასტურებს კავკასიის მეფისნაცვლის 1902 წლის საიდუმლო ცირკულიარიც, სადაც ნათქვამია: «Оно

<sup>1</sup> Г.А. Дзидзария. Махаджирство..., გვ. 478.

<sup>2</sup> Г.А. Дзидзария. Махаджирство..., გვ. 478.

<sup>3</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახ. არქივი, ფ. 12, აღწ. 2, საქ. 695, ფურც. 230-231.

<sup>4</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ..., ფურც. 230-231.

(იგულისხმება საგადასახლებო მოძრაობა – ე.ა.) получило религиозную, мусульманскую окраску и охватило не только губернии и области Кавказского края, но и часть мусулманского населения среднего Поволожья».<sup>1</sup>

1902 წ. რუსეთის მთავრობამ, შექმნილი სიტუაციის დარეგულირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა თურქეთში საგადასახლებო მოძრაობის მიზეზების დადგენა და დებულების შემუშავება, რომლის საფუძველზე განხორციელდებოდა მთიელთა თურქეთში გადასახლება.<sup>2</sup>

შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ ხელისუფლებას არაფერი არ გაუკეთებია საგადასახლებო მოძრაობის მიზეზების აღმოსაფხვრელად. პირიქით, კიდევ უფრო გაამკაცრა და აუტანელი გახდა კოლონიური რეჟიმი. ახალი წესის თანახმად, 1904 წ. ინგუშეთის 15 აულიდან 329 კომლი (ათასზე მეტი სული) და ათასობით ყაბარდოელი თავად ტაგისულთან ანზოროვის ხელშეწყობით გადასახლდა სირიაში.<sup>3</sup>

1909 წელს თერგის ოლქის მმართველმა გენერალმა მიხეევმა გამოსცა განკარგულება თერგის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრები მთიელების გადასახლების შესახებ. აი, რას წერს ამის შესახებ გაზეთი «Речь»: «В 1909 г. начальник области распорядился выслить всех чеченцев скотоводов, арендовавших издавна земли у казачества, с левой стороны Терека. Так как это распоряжение объявлено было неожиданно,

<sup>1</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ..., ფურც. 231.

<sup>2</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ..., ფ. 11, აღწ. 7, საქ. 3240, ფურც. 28.

<sup>3</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ..., საქ. 5325, ფურც. 239.

то чеченцы скотоводы оказались вынужденными распродать свой скот за безценок».<sup>1</sup>

1910-1912 წწ. ჩეჩნები მასიურად გარბოდნენ სპარსეთში და შაჰის დაქირავებული გვარდიელები ხდებოდნენ.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, მთიელთა ცალკეული პირების, კომლის, თუ ჯგუფების თურქეთში გადასახლების პროცესი მეტნაკლებად არ შეწყვეტილა XX ს. პირველ ათწლეულშიც.

XIX ს. 60-იანი წლების ბოლოდან კოლონიური ხელისუფლების შეხედულება რუსეთის იმპერიიდან მთიელთა გადასახლების შესახებ რადიკალურად იცვლება. იგი მიხვდა, რომ ძველი საგადასახლებო პოლიტიკის გაგრძელება გამოიწვევდა ამიერყუბანის ისეთივე უკაცრიელ უდაბნოდ გადაქცევას, როგორც შავიზღვისპირეთის ოლქის. «Взгляд кавказских властей на значение переселения черкесов радикально изменился. — წერს ი. აბრამოვი — Местная власть стала всячески затруднять переселение черкесов в Турцию, а в 1867 году безусловно запретила выезду горцев за границу».<sup>3</sup> მთიელების უსათუო გადასახლების აკრძალვამ ვერ შეაჩერა მათი თურქეთში გადასახლების მისწრაფება. განსაკუთრებით, თურქეთში გადასახლების ნებართვას მოითხოვდა ჩერქეზთა ის ნაწილი, რომლებმაც, თავის დროზე მთავრობას უცილობელი მორჩილება გამოუცხადეს და გადასახლდნენ ყუბანის ჭაობებში. ხელისუფლებამ მხოლოდ 1873 წელს, რამოდენიმე ასეულ ოჯახს დართო თურქეთში გადასახლების უფლება.<sup>4</sup> მაგრამ, როდესაც კავკასიაში დარჩენილმა ბჟედუხებმა და აბაზეხებმა მოითხოვეს თურქეთში საყოველთაო გადასახლება,

<sup>1</sup> გაზეთი „Речь“, 3 დეკემბერი, 1909 წ.

<sup>2</sup> <http://www.chechny.Microsoft Word Document 52>.

<sup>3</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 10.

<sup>4</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 10.

ხელისუფლებამ მათ მიმართ მკაცრი ზომები მიიღო — გადასახლების მოთავეები დააპატიმრა და რუსეთის შორეულ გუბერნიებში გაასახლა. «Когда-же они тем не менее настаивали на свое желание, — აღნიშნავს ი. აბრამოვი — против них были двинуты войска и они силою оружия были оставлены на местах своего поселения».<sup>1</sup>

აღმოსავლეთ კავკასიაში ხელისუფლების საგადასახლებო პოლიტიკის შესახებ ჩვენ გვექონდა საუბარი და ვიცით, რომ აქ XIX ს. 50-იანი წლებიდან იწყება ყაბარდოელების, მუსლიმანოსების, ინგუშების, ჩეჩნებითა და დაღესტნელების და სხვ. ძალდატანებით გადასახლების პროცესი. მე-19 ს. 70-იანი წლების დასაწყისიდან ხელისუფლებამ აქაც ისევე შეცვალა საგადასახლებო პოლიტიკა, როგორც დასავლეთ კავკასიაში. 1873 წლიდან დაღესტანში დაწესდა თურქეთში გადასახლების ყოველწლიური კვოტა, რომლის თანახმად იმ 150 ოჯახს, რომელიც ღებულობდა მექა და მედინაში მოგზაურობის პასპორტს, რუსეთის იმპერიის ფარგლებში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების პოლიტიკა, მთიელთა გადასახლების შეზღუდვისა და აკრძალვის შესახებ, ჩეჩნებზე და ნაწილობრივ ინგუშებზე არ ვრცელდებოდა.

მთიელთა ნაწილი ვერ შეეგუა უცხო ქვეყანაში დამკვიდრებულ ცხოვრების წესს და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. კავკასიის მეფისნაცვალმა, როგორც კი გაიგო გადასახლებულების სამშობლოში დაბრუნების შესახებ, გამოსცა ბრძანება მათი დაბრუნების აკრძალვის თაობაზე. «Признать необходимым принять всевозможные меры — ვკითხულობთ

<sup>1</sup> Я. Абрамов. Кавказские горы, გვ. 10.

აღნიშნულ ბრძანებაში — для воспренятствования их намерению»<sup>1</sup> თურქეთში რუსეთის საკონსულოებმა მიიღეს მითითება იმის შესახებ, რომ უარი ეთქვათ პასპორტში აღნიშვნაზე (ვიზა) კავკასიაში დაბადებულებს, რომლებმაც მიიღეს თურქეთის მოქალაქეობა და სურდათ კვლავ სამშობლოში დაბრუნება.<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, მთიელები არაღეგალურად, ზოგი ზღვით, ზოგი კი ხმელეთით ბრუნდებოდნენ სამშობლოში. ამ მოვლენით შეშფოთებული რუსეთის ელჩი თურქეთში გრაფი ნ.პ. იგნატოვი 1865 წ. ივლისში საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: «...Утверждают, что трем и четырем тысячим удалось уже перебраться... скрыться в горах... Спрашивается, к чему правело нас пресловутое переселение горцев, если самые оборвенные, голодные нищие, хашные из них возвратятся, скроются в горах, составят шайки и снова возобновят набеги и, может быть, горную войну».<sup>3</sup>

კავკასიის ადმინისტრაციამ სასწრაფო ზომები მიიღოსა ხმელეთო და საზღვაო საზღვრების დაცვის გაძლიერებისთვის. ამ მიზნით, კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადასროლილი იქნა სამხედრო ნაწილები. რუსეთ-თურქეთის საზღვარზე დამყარებულმა მკაცრმა რეჟიმმა, ვერ შეაჩერა მთიელთა ცალკეული პირებისა და ჯგუფების სამშობლოში დაბრუნების პროცესი. რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებული მთიელი „ბეგლეცად“ მონათლა და მის

<sup>1</sup> АКАК, т. 12, ч. I, док. №447, გვ. 516.

<sup>2</sup> М.С. Томоев. К вопросу о переселении осетин в Турцию (1859-1865 гг.), Известия северо-осетинского НИИ, т. 12, вып. 1, Дзауджикаю, 1948, გვ. 38.

<sup>3</sup> Г.А. Дзидзария. Махаджирство..., გვ. 236.



მიმართ მკაცრ ზომებს ღებულობდა. «Многие тайном переходили русскою границу и пробывались обратно на родину. За этими были устроена правильная охота; – წერდა 1913 წელს ა. ცალიკოვი – их перехватывали на пути и считали долгом отправить в Турцию... Из 22 000 слишком чеченцев-переселенцев через каких нибудь 5-6 лет осталось только десять, остальные перемерли».<sup>1</sup>

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები ნათლად ცხადყოფენ, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული დისკრიმინაციის, მასიური ტერორისა და ეთნოწმენდის პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში ხორციელდებოდა მთიელი ტომების მთლიანად; ან ნაწილობრივი მოსპობის განზრახვითა და „თავისუფალ“ მიწებზე რუსული მოსახლეობის ჩასახლების მიზნით. «Кавказ, только тогда заживет полною жизнью, – წერს კ. ბოროზდინი – когда пустыни его заполнятся русским населением... колонизация Кавказа также неотразима для нашего отечества, как когда-то было неотразимо и его покорение».<sup>2</sup>

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: ჩამოყალიბებულია აზრი, რომ თითქოს რუსეთის ხელისუფლებამ მოახდინა მთიელთა იმ ნაწილის დეპორტაცია, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ თურქეთში გადასახლებას. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის იმპერატორის კარზე უფრო გლობალურად აზროვნებდნენ მთიელთა გენოციდისა და ეთნოწმენდის აუცილებლობაზე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სამუდამოდ დაუფლების უნივერსალურ საშუალებაზე.

---

<sup>1</sup> А. Цаликов. Кавказ и Поволожье..., გვ.

<sup>2</sup> К. Бероздин. Колонизация..., გვ. 144.

საარქივო მასალების, გამოქვეყნებული დოკუმენტებისა და ნაშრომების, პრესის, ფართო მემუარული ლიტერატურის შესწავლამ, ოფიციალური ცნობების შედარებამ გასაიდუმლოებულ დოკუმენტებთან და თანამედროვეთა მოგონებებთან, ჩვენი აზრით, შესაძლებლობა მოგვცა გვეჩვენებინა მთიელი ხალხის მიმართ რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული ეთნოწმენდისა და გენოციდის მიზეზები, ხასიათი, გაქანება და შედეგები, რაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რუსეთის იმპერიის სამხედრო საოკუპაციო რეჟიმი შეგნებულად სპობდა მთიელ მოსახლეობას.

რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის შედეგია – მთიელი ხალხის მატერიალური და კულტურული ფასეულობების განადგურება, ასიათასობით თავისუფლებისმოყვარე ადამიანის დაღუპვა, ტანჯვა-წამება, სამშობლოდან განდევნა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა.

რუსეთის სახელმწიფომ ჩრდილოეთ კაკასიის ხალხების წინააღმდეგ ჩაიდინა უძძიმესი დანაშაული – გენოციდი, რომელიც, ამავედროულად, ითვლება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

როგორც ცნობილია, 1968 წლის 16 ნოემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული კონვენციის თანახმად, ხანდაზმულობის არავითარი ვადა არ ვრცელდება ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებზე „იმისდა მიუხედავად, ჩადენილი იქნა ომის, თუ მშვიდობიან დროს“.

ამჟამად, რუსეთს დემოკრატიული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ამბიციები გააჩნია, მაგრამ ვერ განიკურნა იმპერიული მენტალიტეტისა და ზრახებისაგან და ამიტომ, ტრაგიკულად აღიქვამს თავისი კოლონიური პოლიტიკის ყოველგვარ კრიტიკას, წარსულისა და თანამედროვეობის ისტორიული პროცესების ახლებურად, ობიექტურად წარმოჩენას.

ერმოლოვის სტრატეგია ითვალისწინებდა მთიელთა განდევნის ან მოსპობის გზით, ჩრდილოეთ კავკასიის უპირობო შეერთებას რუსეთთან. მას, ისევე როგორც ციციანოვს, ძალადობა მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად მიაჩნდა. ერმოლოვი, მიუხედავად იმისა, რომ იყო ამაყი, პატივმოყვარე და დიდი ამბიციების მქონე პიროვნება, ციციანოვს დიდ პატივს მიაგებდა. აღსანიშნავია, რომ ციციანოვი წარმოშობით ქართველი იყო, ხოლო ერმოლოვი მონღოლი.<sup>1</sup> ციციანოვი მთიელებისადმი თავის ერთ-ერთ მიმართვაში წერს: «Неверные мерзавцы!.. Вы верно думаете, что я грузин и вы смеете так писать? Я родился в России, там вырос и душу Русскую имею».<sup>2</sup>

ა.პ. ერმოლოვი ოფიციალურ და პირად წერილებში აღნიშნავს, რომ იგი აგრძელებს ციციანოვის მიერ დაწყებულ საქმეს და ხშირად მის შეხედულებებს იშველიებს თავისი პოზიციების გასამტკიცებლად. ასე მაგალითად, ციციანოვმა 1804 წ. ყარაბახის ხანს იბრაგიმს წერილი გაუგზავნა, სადაც კკითხულობთ: «Слыхано ли на свете, чтоб муха с орлом переговоры делала, сильному свойственно приказывать а слабый родился, чтоб сильному повиноваться». ა.პ. ერმოლოვმა 14 წლის შემდეგ კავკასიის სრული დამორჩილების ციციანოვის სტრატეგიის ძირითადი მიმართულების ფილოსოფია მოიშველია: «Они даже не

<sup>1</sup> ერმოლოვის წინაპარი მურზა-ასლან ერმოლა 1506 წ. ოქროს ურდოდან ჩამოვიდა მოსკოვში და ქრისტიანობა მიიღო. მოსკოვის მეფის კარზე რუსთა თავად-აზნაურთა შორის ბევრი იყო მონღოლური წარმოშობის. ერმოლოვი არ მალაუდა თავის წარმომავლობას, იგი თავის თავს ჩინგის-ხანის შთამომავლად თვლიდა.

<sup>2</sup> Я. Горднн. Кавказ., გვ. 59.

პოსტიგაიოთ საგოგო უდობოპონიანტოგო პრავა - პრავა სილნიოგო (ონი პროტივიათსა!)».<sup>1</sup>

ა.პ. ერმილოვი, თითქმის, განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა და ამიტომ, დიდმა მთავარმა კონსტანტინე პავლეს ძემ მეტსახელად „კავკასიის პროკონსული“ დაარქვა. „კავკასიის „პროკონსული“ კავკასიელი ხალხის დაუძინებელი მტერი იყო, იგი თავის წერილებში კავკასიელებს დამამცირებელი, შურაცხმყოფი სიტყვებით მოიხსენიებს. თბილისში ახალჩამოსული ერმოლოვი 1818 წ. 26 იანვარს მთავარი შტაბის უფროსს მორიგე-გენერალს ა.ა. ზაკრევსკის წერდა: „ყველა აქაური მეფისა და მფლობელი თავადის ნაშიერი ერთ ცოფიან ძაღლადაც არ ღირს. მე ბევრი საქმეები მაქვს, თორემ შევასხენებდი მათ ციციანოვის დროს, რომლის გახსენება ყველას შიშის ზარს სცემს“.<sup>2</sup> „კავკასიის პროკონსული“ თავისი ქვეშევრდომი ხალხის მიმართ სიძულვილით იყო გამსჭვალული, რომელიც ნათლად ჩანს მის წერილებში. 1817 წ. 24 თებერვალს მ.ს. ვორონცოვისადმი გაგზავნილი წერილი კავკასიელი ხალხის დამცირების, შურაცხყოფის და სიძულვილის ნათელი მაგალითია. «Помню князя Цицианова название Армяжки. Вот род людей, буде людьми назвать пристойно, самый презрительный, у которого Бог - свои выгоды и никаких в отношении к другим обязанностей. Европа не должна гнушаться Жидами: Они удобно покоряются порядку и при строгом наблюдении не более могут делать вред как Армяшки, во всем с худой стороны им подобные».<sup>3</sup> მე ვიმყოფები ველურ და გაუნათლებელ ქვეყანაში, — ვკითხულობთ

<sup>1</sup> М.С. Воронцов. Архив кн. Воронцова. т. 36. М., 1890; Я. Гордон. Кавказ..., გვ. 124.

<sup>2</sup> А.А. Закревскому сб. императорского Русского исторического общества. СПб., 1890; Я. Гордин. Кавказ..., გვ. 58.

<sup>3</sup> М.С. Воронцов. Архив кн. Воронцова; Я. Гордон. Кавказ..., გვ. 124.

წერილში – ჩემს მაგიერ გენოსიც რომ იყოს, ისიც ვერ მოასწრებდა რაიმეს გაკეთებას. დიდი გმირობაა იშრომო იმ ხალხისთვის, რომელთა განმასხვავებელი ნიშანია უმადურობა, რომლებმაც ვერ გაიგეს თუ რა დიდი ბედნიერებაა რუსეთის კუთვნილებაში ყოფნა, ბევრჯერ უღალატეს რუსეთსა და კიდევ უღალატებენ.

ა.პ. ერმოლოვი აღნიშნულ საკითხს რამდენიმე წერილს უთმობს. მან 1817 წ. 9 იანვარს ზაკრევსკისადმი გაგზავნილი წერილი ქართველების დახასიათებას მიუძღვნა. «Теперь обратимся к единоверцам нашим к народу, Грузию населяющему. Начнем с знатнейших: князья не что иное есть, как в уменьшенном размере копия с царей грузинских. То же алчность к самовластию, та же жестокость в обращении с подданными... Духовенство необразованное... житисм своим подающее пример разьрата и вскоре обещающее надежду, что магометанская вера распространится... Народ ленив и празднен, а потому чрезвычайно беден... Если бы князья менее были невежды, народ был бы предан нашему правительству; но не понимают первые, еще менее могут разумеать последние, что они счастливы принадлежать России; а те и другие чрезвычайно неблагодарны и непризнательны. Словом, народ не заслуживает того попечения - тех забот, которые имеют о них правительство и дарованное им преимущества есть бисер, Брошенный перед СВОНЬЯМИ».<sup>1</sup> (ხაზგასმა – ე.ა.) „კავკასიის პროკონსულს“ არ აინტერესებს, თუ რატომ იყვნენ ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები რუსული კოლონიური რეჟიმით უკმაყოფილო, მაგრამ

<sup>1</sup> Сборник Императорского Русского исторического общества; Я, Гордон, Кавказ..., გვ. 117.

მაინც, ქართველები კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით კავკასიის ომში რუსეთის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი. უფრო მეტიც, ქართველ თავად-აზნაურთა ნაწილი რუსების მხარდამხარ იბრძოდა და მათ გამარჯვებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი.

ა.ა. ერმოლოვს, როგორც 1812 წლის ომისა და ევროპული ლაშქრობის მონაწილეს, არ ეკადრებოდა ქართველ თავადიშვილების ესოდენი ლანძღვა და დამცირება, რადგან ამ ომში იგი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მისთვის კარგად იყო ცნობილი პ. ბაგრატიონის თავდადება.

ა.პ. ერმოლოვი, როდესაც ზემოთ მოყვანილ წერილს წერდა, თბილისში ახალი ჩამოსული იყო და ქართველი თავადების ყურადღება და პატივი არ მოკლებია, სინამდვილეში, რამდენად დიდი უმადურობის გრძნობით უნდა იყო დაავადებული და ღორული ხასიათის უნდა იყო, რომ ეს ყველაფერი არ დააფასო. „ღორთა წინაშე მარგალიტის დაყრა“ – სწორედ, რომ ერმოლოვისა და მისთანანისთვის არის ნათქვამი.

ყოფილი სამხედრო მინისტრის პ.ი. მილერ-ზაკომელსკისადმი გაგზავნილ წერილში ა.პ. ერმოლოვი, გამოხატავდა რა უნდობლობას თავად-აზნაურებისა და ხანების მიმართ, მთიელებთან მშვიდობიან თანაარსებობას, თავისუფალი საზოგადოებებისა და სახანოების სამოკავშირეო ურთიერთობებს, სხვადასხვა ხელშეკრულებების მეშვეობით რუსეთთან ინტეგრაციას, კატეგორიულად გამორიცხავდა. იგი, 1817 წ. 9 იანვარს ზაკრევსკისადმი გაგზავნილ წერილში, კიდევ უფრო აკონკრეტებდა: «Как и ханы, грузинские князья-невежественные, жестокие, не понимающие, что такое Европейского типа законность - является препятствием для органичного и прочного включения простого народа в имперскую семью».

ა.პ. ერმილოვი, კავკასიაში სამთავროებისა და სახანოების არსებობას, მიიჩნევდა რუსული კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად. იგი წერდა: „თავადები ნაკლებად უეცნი, რომ იყვნენ, ხალხი ჩვენი მთავრობის ერთგული იქნებოდა“<sup>1</sup>. „კავკასიის კონსული“ ცდილობდა დაერწმუნებინა ალექსანდრე I და მისი გარემოცვა, რომ აუცილებელი იყო ხანებისა და თავადების შეცვლა რუსი სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკებით. მისი მიზანია – დაარწმუნოს ხელისუფლება კავკასიის გარდაქმნის ციციანოვ-ერმოლოვის მოდელის სისწორეში.

აღსანიშნავია, რომ ციციანოვ-ერმილოვის კავკასიის გარდაქმნის მოდელის ძირითადი მოთხოვნა იყო – „კავკასია, კავკასიელების გარეშე“.

დაღესტანში სახანოების მოსპობით, რუსეთმა დაკარგა, თუმცა სუსტი და არასაიმედო ძალა, მაგრამ ამით გზა გაუწმინდა მისთვის კიდევ უფრო მრისხანე, უკომპრომისო ძალას – მთიელთა თავისუფალ საზოგადოებას. ჩრდილოეთ კავკასიაში კვაზისახელმწიფოების მოსპობით დაირღვა ძალთა ბალანსის ტრადიციული სისტემა და შეიქმნა მთიელთა თავისუფალი საზოგადოებების გაერთიანების იდეალური წინაპირობები, რაც შესანიშნავად გამოიყენეს ნიჭიერმა იმამებმა – ღაზი-მუჰამედმა, ჰამზატ-ბეგმა და შამილმა.

---

<sup>1</sup> Сборник Императорского Русского исторического общества; Я. Гордин. Кавказ., გვ. 117.

თავი III. საგანმრისო-ოპოპაციური რეჟიმის  
დაგვირგობა და მთიელთა ეროვნულ-  
გამანთავისუფლებელი ბრძოლის ფორმები, მითოდები  
XIX ს. 60-იან - XX ს. დასაწყისში.

შამილის დამარცხების შემდგომ, მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დაკარგა სიმძაფრე, და ერთიანობა, მაგრამ მთიელი ხალხი არ შეგუებია კოლონიალურ რეჟიმს და სხვადასხვა ფორმით სისტემატიურად ებრძოდა რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს. რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასია ადმინისტრაციულად შემოიერთა, მაგრამ ვერ შეძლო მთიელი ხალხის მებრძოლი სულის ჩახშობა.

შამილის შემდგომ, მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბძოლა ვერ ამაღლდა საერთო-სახალხო მოძრაობის დონემდე. მან სტიქიური, ლოკალური ხასიათი მიიღო, რასაც რუსეთის კოლონიურ ადმინისტრაციასთან, ის ხშირი შეიარაღებული დაპირისპირებები მეტყველებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩერქეზების, დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის აულებში.

მთიელთა ბრძოლა თავისი ფორმით რელიგიური ხასიათისა იყო, ხოლო შინაარსით ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რომელსაც ოფიციალური რუსეთი, თავისი აგრესიული ქმედებების გასამართლებლად, განიხილავდა როგორც რელიგიურ ბრძოლას მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის. რუსეთის ხელისუფლება მთიელს დაბადებით ყაჩაღად და მხეცად მიიჩნევდა. ნ. სემიონოვი თავის წიგნში, რომელიც 1895 წელს პეტერბურგში ხელისუფლების დაკვეთით გამოცა, წერს: «При внимательном изучении чеченец поражает ограниченностью и извращенностью своего духовного мира во всем, что касается сферы нравственного чувства. Не говоря о том, что он не имеет понятия о возвышенных нравственных идеалах, что



такие понятия, как добродетель и порок, добро и зло, в их абстракции, ему незнакомы, но даже и непосредственные чувства, составляющая основу этих понятий, проявляются, в нем весьма слабо и, нашей точки зрения, не нормально. Чувства беззаветной дружбы, глубокой любви, искреннего сожаления и сочувствия, чувства самоотверждения и великодушия, как непосредственная и безкорыстное душевное движение, ему почти-что чужды...».<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ნ. სემონოვი დიდი მონდომებით ცდილობს გააცნოს ფართო საზოგადოებას ჩეჩნები, როგორც პირველყოფილი, მხეცური ინსტინქტების მატარებელი ხალხი, რომლებიც შორს დგანან ადამიანურ-მორალურ-ზნეობრივი ნორმებისაგან და ამიტომ გამართლებულია ის კაცთმოძულე პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში.

1865 წლიდან კოლონიური ადმინისტრაციის საჯარისო ნაწილებმა დაიკავეს ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტანის ყველა სტრატეგიული პუნქტი, შემოღებული იქნა ეგრეთწოდებული სამხედრო-სახალხო მმართველობა, რაც ფაქტობრივად, ნიშნავდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას.

შამილის დამარცხების შემდგომ, მისი მიმდევრები ცდილობდნენ მთიელი ხალხის გაერთიანებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ. «Нужно было явится только смелому проповедитку, — აღნიშნულია 1869 წ. გამოცემული კავკასიის მთიელთა ცნობების კრებულში — нужно было, чтобы только один обнажил шашку - и десятки тысяч шашек обнажились

---

<sup>1</sup> Н. Семюнов. Туземцы Северо-Восточного Кавказа, С.-Петербург, 1895, გვ. 80.

вслед за него, и десятки тысяч людей шли на смерть, думая, что они умирают за свою религию».<sup>1</sup>

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლები გამოსავალს ახალი რელიგიური მიმდინარეობის ზიკრიზმის მხარდაჭერაში ხელაუდნენ.<sup>2</sup> ზიკრიზმის ასკეტური რელიგიური მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი მქადაგებელი შეიხი კუნტა ჰადჟოევი იყო. წარმოშობით ღარიბი ოჯახიდან იყო და არ მიუღია არავითარი განათლება, ცხოვრობდა პატიოსანი ცხოვრების წესით. შეიხი კუნტა, როგორც მაღალი ზნეობის მქონე ადამიანი, მთიელებს შორის სარგებლობდა დიდი პატივისცემითა და ნდობით, არ იზიარებდა შამილის მოძღვრებას მიურიდიზმის შესახებ. ამიტომ, შამილმა მას კატეგორიულად აუკრძალა რელიგიური საქმიანობა.

1859 წელს კუნტა ჰადჟოევი მუჰამედის საფლავის თაყვანის საცემად მექაში გაემგზავრა, საიდანაც 1861 წ. ჰაჯის წოდებით დაბრუნდა. იგი მიხვდა, რომ შამილის დამარცხების შემდგომ, კვლავ მისი იდეოლოგიის ქადაგება, კიდევ უფრო გაამძვინვარებდა რუსეთს და მთიელებს სრულ ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანს.

კუნტა-ჰაჯის რელიგიური მოძღვრება გარეგნულად უწყინარი ხასიათის იყო: ქადაგებდა ადამიანებს შორის მშვიდობას, ურთიერთდაზმარებას, მოყვასის სიყვარულს, შარიათის დაცვას, ყველა უბედურების გამოსავლის ღმერთთან ძიებაში ხელაუდა. კუნტა-ჰაჯის მიმდევრები (მიურიდები) ჯგუფებად იკრიბებოდნენ, მათი სიმღერები და წრიული ცეკვები ატარებდა იმპულსურ, ხმაურიან და მყვირალა ხასიათს და მიმდინარეობდა

<sup>1</sup> Сборник сведений о Кавказских горцах, вып. 1, учение «Зикр» и его последователи», Тифлис 1869, გვ. 1.

<sup>2</sup> ზიკარლო, ზიკრულაჰაჰ, ზიკარულაჰ — ჩეჩნურია, რაც ნიშნავს ღმერთის მოგონებას, ღმერთის მოხმობას.

შეძახილებით „უღილაჰ“. აღსანიშნავია, რომ ზიკრიზში არ კძრალავდა ლოცვებში ქალების მონაწილეობას.<sup>1</sup>

კუნტა-ჰაჯი არწმუნებდა თავის მიმდევრებს, რომ მალე მოვა განკითხვის უამი, ალაჰი დასჯის ყველას, ვინც უსამართლოდ იქცევა.

რუსეთის სამხედრო ადმინისტრაცია დასაწყისში ზიკრიზთა „მშვიდობიანი, არამავენებლურ“ მოძრაობის წამხალისებლის როლში გამოდიოდა. კუნტა-ჰაჯის მოძხრეთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. 1862-1963 წლებში კუნტა-ჰაჯის მოძღვრება სწრაფად ვრცელდებოდა ჩეჩნეთის მნიშვნელოვან აულებში – შალი, გეხი, ურუს-მარტანი, შალაჟი, ნოვიე-ატაგი, ვალერიკი, ავტური და სხვ.

დიდი წარმატება ჰქოდა ზიკრისტულ მოძღვრებას ინგუშეთის დაბლობის სოფლებშიც. ჩეჩნეთში და ინგუშეთში ზიკრიზმის გავრცელება ხელს უწყობდა მთიელთა სულიერი და პოლიტიკური კავშირის განმტკიცებას. თანდათანობით ღია ქადაგებებისა და ლოცვების პარალელურად ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ფარულ ზიკრისტთა ორგანიზაციები იქმნებოდა, რომლებიც სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის მოხელეების წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს აწყობდნენ, ეხმარებოდნენ ჩეჩენ და ინგუშ ფირალებს (აბრეკებს).

1863 წლიდან ზიკრიზში ნათლად გამოიხატა ორი მიმართულება: სასულიერო და საერო. «Каждая из этих властей имела свою отдельную иерархию... Представителями духовной власти были имам, или устус, и двое шейхов. Представителями власти светской были наибы, векили и их мюриды»,<sup>2</sup> – აღნიშნულია კაკასიის მთიელთა ცნობარის კრებულში.

<sup>1</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 128.

<sup>2</sup> Сборник сведений..., გვ. 2.

ზიკრისტებმა ჩეჩნეთში შექმნეს 8 სანაიბო და დანიშნეს დიდი რაოდენობით მამასახლისები. კუნტა-ჰაჯიმ, ფაქტობრივად, შექმნა ჩრდილოეთ აფრიკაში მოქმედი სენუსიტების ორდენის მსგავსი, სამხედრო-რელიგიური ორდენი. ობობას ქსელივით მოედო მთელს ჩეჩნეთს ზიკრისტული ფარული ორგანიზაციები.

ხელისუფლება მიხვდა, რომ ზიკრიზმი, რომელიც ოფიციალურად უარყოფს ჰაზავატურ საღვთო ომის ლოზუნგს, ფაქტობრივად, კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ჰქმნიდა მთიელთა ერთიანი წინააღმდეგობის ფრონტს.

კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციამ სასწრაფოდ დასახა ღონისძიებები ზიკრისტული მოძრაობის წინააღმდეგ. პირველ რიგში, შეეცადა იდეოლოგიურად დაესუსტებინა და შეეტანა განხეთქილება კუნტა-ჰაჯის მიმდევრებს შორის. მამ კუნტა-ჰაჯის დაუპირისპირა დიდი რელიგიური ატვორიტეტები – აბდულ-კადირი, ელმარზა და მუსტაფა აბდულაევი, რომლებიც ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სოფლებში არწმუნებდნენ მოსახლეობას, რომ კუნტა-ჰაჯის მოძღვრება ეწინააღმდეგებოდა ისლამის დოგმებს, ყურანს. აბდულ-კადირმა და მისმა მუშა ჯგუფმა პირნათლად შეასრულეს რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის დავალება და მოახერხეს ზიკრისტულ მოძრაობაში განხეთქილების შეტანა. ამავდროულად, ხელისუფლებამ ზიკრისტების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები განაზოციელა. სოფელ შალთან, რომელიც ზიკრისტთა ცენტრად ითვლებოდა, დაბანაკდა რეგულარული არმიის ნაწილები. 1864 წლის 3 იანვარს კუნტა-ჰაჯი და მისი ძმა მავსური, მოლალატეების დახმარებით, მოულოდნელად დააპატიმრეს და სასწრაფოდ ნოვოჩერკასკში გადაიყვანეს.<sup>1</sup>

1864 წლის იანვრის შუა რიცხვებში, სოფელ შალში, თავი მოიყარა სამი ათასამდე ზიკრას მიურიდმა. მათ სამჯერ გაუგზავნეს თავად თუმანოვს, რომელიც ძლიერი სამხედრო

<sup>1</sup> <http://www.checheny>.

რაზმით იდგა შალის მახლობლად, დეპუტაცია კუნტა-ჰაჯისა და მისი ძმის დაუყოვნებლივი განთავისუფლების მოთხოვნით.<sup>1</sup> თუმანოვმა ზიკრისტა მოთხოვნა კატეგორიულად უარყო. აღშფოთებულმა მიურიდებმა, დარწმუნებულნი კუნტა-ხაჯის ღვთაებრივ ძალაში, გადაყარეს ცეცხლსასროლი იარაღი და ხმლებითა და ხანჯლებით დაიძრნენ თუმანოვის რაზმისაკენ. თუმანოვმა მიურიდების ხანჯლებით შემოტყვა ზარბაზნების კარტეჩის ზალპებით მოიგერია. ამ ბრძოლაში დაიღუპა 164 მიურიდი, მათ შორის 6 ქალი.<sup>2</sup> შალის მოვლენები „ხანჯლით ბრძოლის“ სახელით შევიდა ჩეჩნეთის კოლონიური ბრძოლის ისტორიაში. ზიკრისტა ზოცვის თაობაზე, 1869 წ. კრებულში „კაკასიის მთიელთა ცნობების შესახებ“, ერთ-ერთი რუსი ავტორი დიდი სიამაყის გრძნობით წერს: «...Не вынимая оружия, но надеясь лишь на сверхъестественную силу отсутствующего Кунты и помощи неба, с молитвами и пляскою пошли на наши батальоны, - лишила последователей зикра окончательно всякой энергии и надежды. Отрезвивши Чечню, дело под Шали в тоже время доказало и тайным и открытым сторонникам зикра, что для начала новой борьбы с нами недостаточно одный лишь молитвы имама и его шейхов, но нужна и сила физическая, а ся сектоторы вовсе не имели».<sup>3</sup>

შეიხი კუნტა-ჰაჯი სამუდამოდ გადასახლეს ნოვეოროდის გუბერნიის ქ. უსტუენოში, სადაც იგი 1867 წლის მაისში შიმშილისგან დაუძღურებული გარდაიცვალა. ზიკრას 18 აქტიურ მიმდევარს 5-8 წლით კატორღა მიუსაჯეს ციმბირში გადასახლებით, სასჯელის მოხდის შემდგომ მათ არ ჰქონდათ

<sup>1</sup> Отчет начальника Терской области за 1877, г. Владикавказ, 1878, გვ. 124.

<sup>2</sup> იქვე გვ. 127.

<sup>3</sup> იქვე გვ. 129.

სამშობლოში დაბრუნების უფლება.<sup>1</sup> სულ გადასახლებული იქნა 150 კუნტა-ჰაჯის მიმდევარი.<sup>2</sup>

ხელისუფლებამ ოფიციალურად აკრძალა ზიკრისტული ორგანიზაციები. ზიკრის მიურიდების წინააღმდეგ იყენებდნენ სხვადასხვა სახის რეპრესიულ ზომებს.

ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ შალში ზიკრის მიმდევრების უმოწყალო ხოცვის, შეიხ კუნტა-ჰაჯისა და მისი თანაშემწეების გადასახლებით, ბოლო მოუღო „სახელმწიფოსათვის მიუღებელ და საშიშ“ მიმდინარეობას. კუნტა-ჰაჯის მიმდინარეობის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა აქტიური სამხედრო, სამოქალაქო და სასულიერო პირი დაჯილდოვდა ორდენებით, მედლებითა და დიდი ფულადი პრემიებით. დაჯილდოებულთა შორის აღმოჩნდნენ ჩეჩენი და ინგუში სამხედრო და სასულიერო პირები – კაპიტანი დოვლეთმირზა მუსტაფინი, პოლკოვნიკები არცუ ჩერმოევი, ვაგაბ ადუ და კასიმ კურუმოვი, მულეები აბდულ-კადირ ხორდაევი, იდიკ ისლამოვი, მუსტაფა აბდულაევი და მაჰმუდ ბარშიკოვი,<sup>3</sup> რომლებსაც მთიელი ხალხი, როგორც მოღალატეებს, სასტიკად უსწორდებოდნენ.<sup>4</sup>

კოლონიური ადმინისტრაციის იმედები, რომ შეიხ კუნტა-ჰაჯის მიმდინარეობას რეპრესიული ღონისძიებებით გაანადგურებდა, არ გამართლდა. ზიკრის მოძრაობამ იატაკქვეშ გადაინაცვლა. იგი უფრო მრავალრიცხოვანი გახდა, ვიდრე შეიხ კუნტა-ჰაჯის გასამართლებამდე.

დიდი პოპულარობა მოიპოვა ზიკრისტთა შორის აბრეკმა ვარამ. იგი, ჯერ კიდევ, შამილის მოღვაწეობის პერიოდში იყო რუსებისთვის საშიში პიროვნება. ვარა, ცნობილი აბრეკის

<sup>1</sup> Сборник сведений..., გვ. 15.

<sup>2</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 129.

<sup>3</sup> <http://www.checheny>.

<sup>4</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 129-130.

ატაბაის, პარტიზანული რაზმის აქტიური წევრი იყო, რომელიც მოულოდნელი დივერსიული აქტებით საგრძნობ ზიანს აყენებდა კოლონიური არმიის ნაწილებსა და სამოქალაქო დაწესებულებებს.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ აბრეკობას საფუძველი ჩაუყარა შამილის მიურიდმა – ათიზიმ, რომელმაც პარტიზანობა იმამის დატყვევების შემდეგ დაიწყო.

ათაბაის მოსპობის შემდეგ, კოლონიურმა ადმინისტრაციამ მოახერხა მისი რაზმის წევრების მოსყიდვა და შემორიგება, მაგრამ ვარა კი განაგრძობდა დივერსიული აქტების მოწყობას. იგი დაუახლოვდა ზიკრისტებს და მალე მათი ნდობა მოიპოვა. შალის მოვლენების შემდეგ, ზიკრისტებმა იგი თავიანთ ნაიბად აირჩიეს, რაზედაც უარი განაცხადა, რადგან მიაჩნდა, რომ მას ესოდენ დიდი პატივი დაუშსახურებლად მიაგეს. დიდი ორგანიზატორული ნიჭი აღმოაჩნდა და დაშლის პირას მისული ზიკრისტული ორგანიზაციების საქმიანობა აღლორძინა. «При замечательной храбрости своей и энергии, – აღნიშნავს კრებული კავკასიის ხალხთა ცნობების შესახებ – Вара начинал становиться уже народным героем и начал приобретать в Чечне то влияние, которое люди подобного рода, к несчастью, всегда приобретают между горцами».<sup>1</sup> ჩეჩნეთში ვარას მომხრეთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა. დივერსიული აქტების მომწყობი აბრეკი ვარა, ჩეჩნეთის პოლიტიკური ლიდერი ხდებოდა.

აღნიშნულ პერიოდში, მხოლოდ ვარას შეეძლო ზიკრას დროშის ქვეშ, მთიელების გაერთიანება და აღმოსავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების განახლება რუსეთის წინააღმდეგ. კოლონიური ადმინისტრაცია მივიდა იმ დასკვნამდე,

---

<sup>1</sup> Сборник сведении..., გვ. 16.

რომ მხოლოდ ვარას მოსპობით შეძლებდა ამ პროცესის შეჩერებას. თერგის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციამ, მთელი ძალების მობილიზაციის შემდეგ, მოახერხა ვარას ლიკვიდაცია. აი, რას წერს ამის შესახებ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი სახელისუფლებო კრებული: «Его смерть прекратила все планы секты и ея новые замыслы, Вара был последнею, самую сильною опорой отживавшей уже секты и с его смертью оканчивалось и ея политическое существование».<sup>1</sup>

ვარას სიკვდილის შემდეგ, სოფელ ხარაჩოის მცხოვრები ცაზა ეკმირზაევი შეეცადა ზიკრისტული მოძრაობის ხელმძღვანელობას. მან 1865 წლის მაისში თავის მომხრეებს თავი მოუყარა ჩეჩენთა ტრადიციული თავშეყრის ადგილზე – კედიშ-კორტის მთაზე და რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისკენ მოუწოდა. იგი ზიკრისტებმა იმამად გამოაცხადეს.<sup>2</sup> ტაზა ეკმირზაევის მოწოდებას მხოლოდ ხარაჩოისა და ელისტანჯის აულების მთიელებმა დაუჭირეს მხარი. ხელისუფლებამ იმის შიშით, რომ აჯანყება არ გავრცელდებოდა მთელ იჩქერიაზე, სასწრაფოდ გადაისროლა რეგულარული არმიის ნაწილები და ალყაში მოაქცია აჯანყებულები. ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები ხარაჩოისა და ელისტანჯის აულებში. ტაზა ეკმირზაევს რეგულარული არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად ძალა არ შესწევდა. იგი და მისი 14 აქტიური თანამებრძოლი ტყვედ ჩაბარდა. ტაზა ეკმირზაევს სამხედრო-საველე სასამართლომ დახვერეთა მიუსაჯა, რომელიც შეუცვალეს 12 წლით კატორღით, ხოლო მისი თანამებრძოლები

---

<sup>1</sup> Сборник сведений..., გვ. 16.

<sup>2</sup> И.П. Гринченко. Классовая борьба..., გვ. 129-130.



სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში; აული ელისტანჯი მიწასთან გაასწორეს.<sup>1</sup>

XIX საუკუნის 70-იან წლებში ზიკრიზში თანდათანობით კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთშიც გავრცელდა, მაგრამ მას არ მიუღია ისეთი მასიური ხასიათი, როგორც ჩეჩნეთში. კავკასიის ადმინისტრაციამ დაღესტანში არსებული ზიკრისტული სექტები ხელისუფლებისათვის უვნებელ მოძრაობად ჩათვალა და მათ მიმართ რეპრესიულ ზომებს არ მიმართავდა. «Ни в отношении правительства, ни народной нравственности никаких вредных последствий не обнаружено»,<sup>2</sup> – წერდა პეტერბურგს კავკასიის ადმინისტრაცია დაღესტანში მოქმედი ზიკრისტთა სექტის შესახებ.

ამგვარად, ზიკრიზმა თავისი პირვანდელი დანიშნულება თანდათან დაკარგა და XX ს. დასაწყისში კოლონიური ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული აგენტების ხელში მოექცა. იგი დაუპირისპირდა მუსლიმანურ აღმსარებლობასა და სასულიერო პირებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით, გამოირჩეოდა ზიკრას სექტის თავკაცი, გაქნილი საქმოსანი და გაიძვერა ბამატ-გირეირაჯი, რომელსაც მუარველობდა თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორი კოლუბიაკინი. ბამატ-გირეი თავისი შეიარაღებული რაზმით ძარცვავდა და აწიოკებდა მთიელებს, არ აძლევდა მათ მჭრეთში ლოცვის საშუალებას. «Они часто врывались в мечети и, – წერს ერთ-ერთი მოლა თერგის ადმინისტრაციას – даже выгонялы из мечети молящих и муллу».<sup>3</sup>

<sup>1</sup> Н.С. Иваненков. Горные чеченцы, Терский сборник, Владикавказ, 1910, გვ. 71.

<sup>2</sup> Н.С. Иваненков. Горные чеченцы..., გვ. 80.

<sup>3</sup> Государственный орхив Северо-Восетинской АССР (შემაღვე – ЦГАСОАССР), ф.11, оп. 15, д. 9145, л. 53.

შამილის დამარცხების შემდეგ, მთიელი ხალხი ბრძოლას კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ არ მიუღია ისეთი სიმძაფრე და მასიური ხასიათი, როგორც მე-19 ს. 70-იან წლებში, როცა კავკასიის არმიის მთავარსარდლის შტაბი ვერ ასწრებდა ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ყაბარდოსა და დაღესტნის აჯანყებულ აულებში საჯარისო ნაწილების გადასროლას.

1872 წელს კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიერ დამტკიცებულ იქნა სპეციალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მთიელთა აჯანყებების თავიდან აცილებასა და სწრაფი რეაგირების ღონისძიებებს – არსებული ციხესიმაგრეებისა და სამხედრო ბაზების გამაგრებასა და გაძლიერებას, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნის, ყაბარდოს მაღალმთიან ზოლებში ახალი გამაგრებული სამხედრო ბაზების მშენებლობას. გარდა ამისა, გადაწყვეტილი იქნა: «Сформировать части из наиболее беспоконных горцев Чечни и Ингушетии на своих конях, со своим оружием и вывести их за пределы Кавказа, используя для этого русско-турецкую войну 1877-1878 годов».<sup>1</sup>

1877 წელს „არასაიმედო“ ჩეჩნების, ოსებისა და ინგუშებისაგან შეიქმნა რეგულარული პოლკები. ჩეჩნების პოლკი (800 მებრძოლი) გაგზავნილი იქნა რუსეთ-თურქეთის კავკასიის ფრონტზე, ხოლო ინგუშებისა და ოსების (504 მებრძოლი) – ბალკანეთის ფრონტზე.<sup>2</sup>

კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა მთიელთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. 1877 წლის 13-17 აპრილს აჯანყებამ მოიცვა იჩქერიის 47 აულის 18 ათასი მცხოვრები.<sup>3</sup> აჯანყების გავრცელება დიდი და მცირე ჩეჩნეთის ბარის რაიონებში,

<sup>1</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 132.

<sup>2</sup> <http://www.checenyafree.ru>

<sup>3</sup> Н.С. Иванпков. Горные чеченцы..., გვ. 47.

ხელისუფლებას დიდი საშიშროების წინაშე აყენებდა. თერგის ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-ადიუტანტმა სეისტუნოვმა 19 აპრილს ოლქში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, ბარში ჩამოსასვლელი გზები და ბილიკები ჩაკეტა, სასწრაფოდ მოახდინა რეზერვისტთა და კაზაკების მობილიზაცია, ყველა სტრატეგიულ პუნქტი და სამხედრო ბაზა შეავსო ცოცხალი ძალით და იარაღით. უმოკლეს დროში გენერალ სეისტუნოვს, აჯანყებული მთიელების წინააღმდეგ, საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა 13 200 კარგად შეიარაღებული ქვევითი ჯარისკაცი, 2 270 ცხენოსანი და 92 ზარბაზანი.<sup>1</sup>

1877 წლის აჯანყებას, რომელმაც მოიცვა იჩქერიის 47 აულის 18 ათასი მთიელი, მეთაურობდნენ ალიბექ-ჰაჯი აღდანოვი და უმაჰაჯი სუევი. აჯანყებულთა ბელადებს კარგად ესმოდათ, რომ ბარის ზოლში მცხოვრები მთიელების გარეშე შეუძლებელი იყო რეგულარული არმიის განდევნა ჩეჩნეთიდან. ალიბექ-ჰაჯიმ სამხედრო ოპერაცია, ბარში გაჭრის მიზნით, 20 აპრილს მაიურტუპთან (მდ. ხუმიგის ხეობა) დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში ალიბექმა მოკლულის სახით დაკარგა 200 კაცი, პოლკოვნიკი ნურიევი იძულებული გახდა ბრძოლებით უკან დაეხია.<sup>2</sup> მაიურტუპთან ბრძოლამ, მთიელთა შორის კიდევ უფრო გაზარდა ალიბეგის ავტორიტეტი. აჯანყებამ მოიცვა არღუნის რაიონის რამდენიმე აული. ალიბეგმა დაუშვა ტაქტიკური შეცდომა – დროულად არ შეუტია ნურიევის სამხედრო რაზმს და ამით, მისცა მას საშუალება თავი დაეღწია სრული განადგურებისაგან. ალიბეგის მიერ შეტევის შეჩერებამ, საშუალება მისცა თერგის ოლქის სარდლობას ნურიევის რაზმის გასაძლიერებლად გადაესროლათ დამატებითი სამხედრო ძალები. სოფელ შალთან გამართულ ბრძოლაში აჯანყებულები

<sup>1</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 132-133.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 133.

დამარცხდნენ. ალიბეგმა თავისი რაზმით თავი შეაფარა სამსირის ტყის მასივს.

სოფელ შალთან ალიბეგის დამარცხებას, არ გამოუწვევია ჩეჩნეთის მთის ზოლში აჯანყების დასუსტების პროცესი. მართალია, ალიბეგმა ვერ მოახერხა დიდი ჩეჩნეთის ბარის ზოლში გაჭრა, მაგრამ იგი, კოლონიური სამხედრო ადმინისტრაციისათვის ჯერ კიდევ სერიოზულ ძალას წარმოადგენდა.

თერგის ოლქის ჯარების სამხედრო შტაბი დარწმუნდა, რომ მათ ხელთ არსებული ძალებით ვერ მოახერხებდა აჯანყებული მთიელების დამარცხებას. ამიტომ, მიღებული იქნა სასწრაფო ზომები თერგის ოლქის სამხედრო დაჯგუფების გასაძლიერებლად. მაისის დასაწყისისთვის კაკასიის არმიის სარდლის განკარგულებით, თერგის ოლქის სამხედრო ძალა თითქმის ორჯერ გაიზარდა. მის შემადგენლობაში შედიოდა 28 ქვეითი ბატალიონი (24 409 ჯარისკაცი და ოფიცერი), 16 კაზაკთა ცხენოსანი ასეული (2 261 ცხენოსანი), 11 მულმივი მილიციის ასეული, 104 ზარბაზანი. გარდა ამისა, დალესტინიდან გადმოყვანილი იქნა პოლკოვნიკ ნაკაშიძის 3 ათასიანი რაზმი.<sup>1</sup>

თერგის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციამ შეიმუშავა აჯანყებული აულების განადგურების გეგმა, რომლის თანახმად შეტევა აჯანყებულთა წინააღმდეგ ხორციელდებოდა სამი მიმართულებით: 1. ვედენო-ზანტაკის – თერგის ოლქის ჯარების სარდლის გენერალ სვისტუნოვის მეთაურობით; 2. ხასავიურტი – ზანტაკის – პოლკოვნიკ ბატიანოვის ხელმძღვანელობით; 3. დალესტინიდან – იჩქერიის მიმართულებით პოლკოვნიკ ნაკაშიძის 3 ათასიანი რაზმი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Отчет начальника Терской..., გვ. 32-33.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 33.

დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციები ჩვენთვის, მხოლოდ ოთხი დღე მიმდინარეობდა, რადგან მოულოდნელად აჯანყდა დალესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთის სოფლები.

ხელისუფლება, შამილის დამარცხების პირველ ხანებში, მისი უახლოესი თანამებრძოლების მიმართ რეპრესიულ ზომებს არ მიმართავდა. დალესტანში სამხედრო ადმინისტრაციის მიერ შამილის თანამებრძოლების დაპატიმრებამ და რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლებამ, მთიელთა აღშფოთება გამოიწვია.

რუსეთის მმართველობის შემოღების პირველი წლებიდან ახალი რეჟიმის სიმძიმე, განსაკუთრებით, მთელი ძალით დალესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრებ მოსახლეობას დააწვა, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ საოკუპაციო რეჟიმს და მოთმინებიდან გამოსულები, იარაღით ხელში, იბრძოდნენ ეროვნული თავისუფლებისათვის.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ვიდრე XX ს. ათიან წლებამდე დალესტანში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არ შეწყვეტილა. ამ პერიოდში, აღსანიშნავია კაიტაგო-ტაბასარანის, აშილტეს, გიმრახის, უნკრატლეს და სხვ. ანტიკოლონიური აჯანყებები.

1866 წელს კაიტაგო-ტაბასარანის ოკრუგის აჯანყებული მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლას პირადად დალესტნის ოლქის მმართველი ლორის – მელიქოვი ხელმძღვანელობდა. აჯანყებულები მელგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მელიქოვის ჯარს, რომელმაც დიდი დანაკარგები განიცადა. მელიქოვმა, აჯანყებულთა შორის დეზორგანიზაციისა და არეულობის შეტანის მიზნით, მოლაღატის ხელით, მათი მეთაური სუტაი მოკლა. მელიქოვმა აჯანყებულები დაამარცხა და სასტიკად გაუსწორდა. საჯაროდ ჩამოახრჩო აჯანყების შვიდი მოთავე, 200

ოჯახი ციმბირში გადასახლა და მთლიანად გადაწვა სოფელი შალოხი.<sup>1</sup>

რუსული მმართველობის სასასტიკით სასოწარკვეთილებამდე მისულმა უნკრატლეს მოსახლეობამ 1871 წელს ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და მოკლა ნაიბი გაჯიევი – რუსეთის ადმინისტრაციის ერთგული მსახური, ამ მოვლენების შესახებ შესახებ კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი ალექსანდრე II-ს წერდა: «...По случаю взимания податей возмутились, убили своего наиба Гаджиева, затем двинулись по Андийскому Койсу, желая распространить восстание».<sup>2</sup>

1877 წლის დაღესტნის აჯანყებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ერთ-ერთი უდიდესი შეიარაღებული გამოსვლა იყო, სადაც მონაწილეობას ღებულობდა მოსახლეობის ყველა ფენა – ბეგები, გლეხები (რაიტები), სასულიერო პირები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ხელისუფლება ძალზე შეაშფოთა აჯანყებაში სასულიერო პირების მონაწილეობამ, რადგან ისინი მოსახლეობაში დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

აჯანყებამ უმოკლეს დროში მოიცვა დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყების გაერცელების თავიდან აცილების მიზნით, მეფის ნაცვლის ბრძანებით, ინგუშეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, საქართველოდან და მათ შორის, ჩეჩნეთის მთის ზოლში საომარ ოპერაციებში მონაწილე პოლკოვნიკ სვისტუ-

<sup>1</sup> История Дагестана, глав. ред. Г.Д. Данилов, М., 1968, გვ. 149.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 149.

ნოვის ქვეითი და ცხენოსანთა რამდენიმე ასეული გადაისრო-  
ლილი იქნა დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ზარბაზნებითა  
და ტყვიამფრკვევებით შეიარაღებულმა ჯარმა ერთი თვე  
მოანდომა აჯანყების ჩახშობას.

თერგის ოლქის ჯარების სარდალმა, თავად ნაკაშიძის 3  
ათასიანი სამხედრო ნაწილი დაღესტანში დატოვა ავართა  
საბოლოოდ დასამორჩილებლად და „წესრიგის“ დასამყარებლად,  
სვისტუნოვი კი ჩეჩნეთში დააბრუნეს. იგი უმოწყალოდ  
მეთოდურად ანგრევდა ჩეჩნეთის მთის ზოლის სოფლებს, არ  
ინდობდა მშვიდობიან მოსახლეობას, ანადგურებდა და სპობდა  
მოსავალს, ზოცავდა საქონელსა და ფრინველს, ხალხი ტყვეს  
აფარებდა თავს და ბლახეულით იკვებებოდა.

აჯანყებული აულების გადაწვის, მოსახლეობის უმოწყალო  
ჟლეტვის და სხვა რეპრესიული ზომების მიუხედავად, სამხედრო  
ადმინისტრაცია მთიელთა მხრიდან მელგარ წინააღმდეგობას  
აწყდებოდა. ერთი აულის მიმართ მკაცრი რეპრესიული ზომების  
განხორციელებას, სხვა აულები აჯანყებით პასუხობდნენ.  
მთავრობას სისტემატურად უხდებოდა საჯარისო ნაწილების  
გადასროლა, რაც დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული.  
აჯანყების ხანძარი ჩეჩნეთის მთის ზოლში არ ქრებოდა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ეროვნულ-  
განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მთავრობა დაარწმუნა, რომ  
მხოლოდ რეპრესიული ზომებით მთიელებს ვერ დაიმორჩილებდა.  
აჯანყებულთა წინააღმდეგობის შესუსტებისა და მომავალში მისი  
თავიდან აცილების მიზნით, რუსეთის სამხედრო ადმინისტრაცია  
უფრო ფრთხილი და მოხერხებული პოლიტიკის გატარების  
გზას დაადგა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მთიელთა არისტო-  
კრატიისა და სასულიერო პირთა ნაწილის კოლონიურ  
ადმინისტრაციასთან კავშირში გამოიხატა. სამხედრო  
ხელმძღვანელობა შეეცადა აჯანყებულების განადგურებას ადგი-  
ლობრივი მილიციისა და მოსყიდული მოღალატეების ხელით.

ხელისუფლებამ ყოველ მოკლულ, ან დაპატიმრებულ აჯანყებულზე დააწესა პრემია 25 მანეთის ოდენობით, ხოლო მათი მეთაურების მოკვლის ან დაჭერისათვის პრემია ასჯერ მეტი იყო.<sup>1</sup> ალიბეკ-ჰაჯის, დადუ ზალმაევის და სულტან-მურადის მოსაკლავად, ფულის შონის მიზნით, არცერთ ჩეჩენსა და ინგუშს ხელი არ აღუმართავს. ხელისუფლების გეგმა, აჯანყებულთა ბელადების ფიზიკური განადგურება ან დაპატიმრება მოეხდინა მოსყიდული მთიელების მეშვეობით, განუხორციელებელი დარჩა.

სვისტუნოვი მიხვდა, რომ ფრონტალურ შეტევებს აჯანყებულთა წინააღმდეგ შედეგი არ მოჰქონდა. მან ბრძოლის ახალ მეთოდებს მიმართა: აჯანყებულთა ღვეწა დაევალა 100-200 მებრძოლისაგან შემდგარ ჯგუფებს – „მონადირე პარტიზანებს“ «Эта партизанская команда навела на окрестных жителей такой страх, – წერდა კაპიტანი ვიშნევსკი – что они не осмеливались появляться 6-7 верст от дороги. Мера была крутая, жестокая, но весьма действенная...».<sup>2</sup>

თურგის ოლქის ჯარების სარდლობის მიერ შექმნილმა „პარტიზან მონადირეთა“ რაზმებმა ვერ შესძლეს აჯანყებულთა მობილური ჯგუფების განადგურება, მაგრამ მათ „დიდ წარმატებებს“ მიაღწიეს აულებში მცხოვრები მოსახლეობის, ქალებისა და ბავშვების აწიოკებისა და გამოსახლების საქმეში.

ივლისის შუა რიცხვებში ალიბეკ-ჰაჯი გამოვიდა ტყის მასივიდან და დაბანაკდა სოფელ გუნის მახლობლად. ალიბეკის გააქტიურებამ ახალი ბიძგი მისცა აჯანყების გავრცელებას დასავლეთ იჩქერიაში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა მდინარე ბასის ხეობის მოსახლეობა აბდულ-ჰაჯის მეთაურობით. – «...Жители бассовских аулов Хатуни, Махкети,

<sup>1</sup> История Дагестана..., გვ. 135-136.

<sup>2</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 136.



Таузен и Агишты подняли знаки (დროშები — ეა.) и, собирались у мечетей, начали петь зикру... аргунская милиция была встречена выстрелами».<sup>1</sup> ბასის ხეობის აჯანყებული მოსახლეობის „დასამშვიდებლად“ გაგზავნილი იქნა სამხედრო ნაწილები თავად ავალოვის მეთაურობით. ავალოვმა გადაწვა ბასის ხეობის მთავარი აული მაქხეტი და დაატყვევა 135 აჯანყებული.<sup>2</sup> მოულოდნელად ავალოვს თავს დაესხა ალიბეკი და გაათავისუფლა ტყვეები.<sup>3</sup> ივლისის შუა რიცხვებში მდინარე ბასის ხეობა აღმოჩნდა აჯანყებულთა ხელში.

ამავდროულად, მდინარე არგუნის ხეობის ჩეჩნები ღუმა ღუევის ხელმძღვანელობით თავგამოდებით ებრძოდნენ რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებს.

ალიბეკი მიუახლოვდა დიდი ჩეჩნეთის ბარის ზოლს. ალიბეკის შეჭრა ბარის ზოლში ხელისუფლებას შეუქმნიდა აჯანყების გავრცელების საშიშროებას მთელ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე. კავკასიის მთავარსარდლის ბრძანებით თერგის ოლქში დამატებით შემოიყვანეს სამხედრო ნაწილები, სასწრაფოდ შალის სამხედრო დაჯგუფება გააძლიერეს, ბარის ყველა სოფელში შეიყვანეს დამსჯელი რაზმები. თერგის ჯარების სარდლის მოადგილე გენერალი სმეკალოვი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, იჩქერიის სამხედრო ოპერაციების მეთაურად დაინიშნა, იგი მოქმედებდა შემდეგი დევიზით: «Без сожаления косите все, бейте и вешайте беспощадно».<sup>4</sup>

სვისტუნოვმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა. იგი ძნელად გასასვლელ ხეობებში და ტყის მასივებში

<sup>1</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 137.

<sup>2</sup> Отчет начальника Терской..., გვ. 36.

<sup>3</sup> Отчет начальника Терской..., გვ. 37.

<sup>4</sup> <http://www.chechny.Microsoft Word Document 52>.

თავს არიდებდა საბრძოლო ოპერაციების ჩატარებას. სვისტუნოვს, პირველ რიგში, „არასაიმედო“ აულებიდან, სადაც აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმები დროდადრო ისვენებდნენ და მარაგდებოდნენ სურსათ-სანოვაგით, გამოჰყავდა საქონელი, გამოჰქონდა სურსათის მარაგი და ძალისმიერი მეთოდებით ეწეოდა მოსახლეობის გამოსახლებას. ხშირ შემთხვევაში აულები ცეცხლის აღში იყო გახვეული, არასაიმედო პირებს ადგილზევე ხერუტდნენ. აულებიდან მოსახლეობა გარბოდა და ტყეს აფარებდა თავს. სვისტუნოვმა მოკლე დროში იჩქერიის აულების დიდი ნაწილი მოსახლეობისაგან „გაწმინდა“, დაანგრია და გადაწვა. მხოლოდ აჯანყებულთა იზოლაციისა და ბლოკირების შემდგომ, შეუდგა შეტევითი ოპერაციების განხორციელებას.

ალიბეკ-ჰაჯის რამდენიმე მცდელობა, ბრძოლით გაერღვია სვისტუნოვის რკალი, უშედეგოდ დამთავრდა. მან შეწყვიტა წინააღმდეგობა და, თავისი მომხრეებითურთ თავი კვლავ სამსირის ტყეს შეაფარა.

25 აგვისტოდან 23 სექტემბრამდე განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი ბასის ხეობაში გააფრთხულ წინააღმდეგობას უწევდა სვისტუნოვის სამხედრო ნაწილებს. 23 სექტემბერს ბუკაზესთან უმაღლესი დამარცხდა და თავისი მცირერიცხოვანი რაზმით გადავიდა დაღესტანში. ალიბეკ-ჰაჯი აღდანიოვი კი ბლოკირებული აღმოჩნდა სამსირის ტყეში.

აჯანყებულებსა და მათ ოჯახებს, რომლებიც ტყეს აფარებდნენ თავს, სამხედრო-მონადირე რაზმები უმოწყალოდ უსწორდებოდნენ, ართმევდნენ უკანასკნელ სარჩოს, საქონელს, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ადგილზე ხერუტდნენ მოხუცებსა და ქალებს. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მთიელები გამოვიდნენ ტყის მასივებიდან და ჩაბარდა, ხოლო სამხედრო ხელმძღვანელობას.

16 ოქტომბერს სვისტუნოვმა კავკასიის ჯარების მთაბრუნებელს დეპეშით ამცნო, რომ ოლქი მთლიანად გაწმენდილია მეამბოხეებისაგან და საომარი მოქმედებები შეწყვეტილია.<sup>1</sup> უმა დუევი თავის შეილებთან ერთად დაღესტანში ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნენ. ალიბეკ-ჰაჯი ხელისუფლებას თავისი ნებით ჩაბარდა. დაპატიმრებული იქნა აჯანყების სხვა ხელმძღვანელებიც — დადა ზელმაევი, დადა უმაევი, სულთან მურადი და სხვ. პასუხისგებაში მიცემული აჯანყების 17 ბელადიდან 11-ს სიკვდილი მიუსაჯეს. 1878 წლის 9 მარტს ქ. გროზნოში საჯაროდ ჩამოახრჩვეს ალიბეკ-ჰაჯი აღდანოვი, უმა-ჰაჯი დუევი და მისი შვილი დადა უმაევი, დადა ზალმაევი; შიხმირზა შიხალიევს მიუსაჯეს საშუალო კატორღა.<sup>2</sup>

ამგვარად, 1877 წლის აჯანყება ალიბეკ-ჰაჯი აღდანოვისა და უმა-ჰაჯი დუევის ხელმძღვანელობით მარცხით დამთავრდა.

1877 წლის მთიელთა აჯანყების ხელმძღვანელობას არ გააჩნდა ერთიანი, შეთანხმებული სამოქმედო გეგმა. აჯანყებულები ფართომასშტაბიან, ფრონტალურ საბრძოლო ოპერაციებს გაუბრუნდნენ, რადგან მათ არ გააჩნდათ სათანადო სამხედრო აღჭურვილობა, რეგულარული არმიისათვის დამახასიათებელი თვისებები და გამოცდილება. ლოკალურ, პარტიზანული ხასიათის ცალკეულ შეტაკებებსა და ბრძოლებში რეგულარული სამხედრო ნაწილების დამარცხება, ვერ ახდენდა გარდატეხას აჯანყებულთა სასარგებლოდ.

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა აჯანყებულებისაგან ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ბარის მოსახლეობის იზოლირება. რის გამოც აჯანყებაში ინგუშებმა, ადიღეელებმა, ყაბარდოელებმა, ოსებმა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებმა ფართო მონაწილეობა ვერ მიიღეს. ამ

<sup>1</sup> Чечено-ингушетский АССР (შემდეგ — ГАЧИАССР), ф. 147, оп. 2, д. გვ. 29.

<sup>2</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 140.

მოვალენების თვითმხილველი, რუსეთის არმიის კაპიტანი ვიშნევსკი, განსხვავებით სხვა რუსი სამხედრო პირებისაგან, საესებით სამართლიანად წერდა: «Восставшие не имели никаких организованных частей, это было лишь настроенные толпы. Единственное достоинство этих сынов природы способность к малой войне. Восстание проявлялось в разных местах, но у восставших не было согласованности и общего плана действия».<sup>1</sup>

1877 წლის აჯანების დამარცხების შემდეგ, მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილი არ ჰქონია დიდ ანტიკოლონიურ აჯანყებას.

1881 წელს ი.ი. გრინევიცკის ხელყუმბართ იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობას, ქვეყანაში რეაქციისა და ეროვნული ჩაგვრის განსაკუთრებული გაძლიერება მოჰყვა.

ალექსანდრე III-მ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველა „არასაიმედო პიროვნებისა და ბუნტარის“ საქმის გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, 5 წლით გადასახლების უფლება მისცა, დაამტკიცა „დებულება გაძლიერებული და განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, რომელიც არმიის ცალკეულ სარდლებს ანიჭებდა სიკვდილით დასჯისა და გასახლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას.<sup>2</sup>

1893 წელს იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება მთიელთა საცხოვრებელი ადგილებისა და გადაადგილების შესახებ.<sup>3</sup> მთიელს არ ჰქონდა გროზნოში, შატოეში და ვედნოში ცხოვრების უფლება, ხოლო აქ

---

<sup>1</sup> ГАЧИАССР, л. 41.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф. 224, оп. 1, д. 7, л. 4-5.

<sup>3</sup> «Терские ведомости», №81, 1893.

მცხოვრებ მთიელებს ერთი თვის განმავლობაში უნდა გაეყიდათ თავიანთი უძრავი ქონება.<sup>1</sup>

XIX ს. 80-90-იან წლებში ხელისუფლება მთიელთა დისკრიმინაციას ფართო მასშტაბით ახორციელებდა. «Прежде всего власти поголовно стали гнать туземцев из городов и слобод на места приписки, – წერდა კ. ხეთაგუროვი – не обращая внимание... даже на то, громадное большинство поселившихся в городах и слободах туземцев, не имев уже в аулах никакой собственности, никаких средств к существованию... под душу рашдирующее вопли дряхлых стариков, плач женщин и детей местная полиция..., как зачумленных гнала их вон...».<sup>2</sup>

XIX ს. 80-90-იან წლებში გამოიცა მრავალი საკანონმდებლო აქტი, განკარგულება და ცირკულიარი, რომელიც კოლონიური რეჟიმის გამკაცრებასა და მთიელთა დისკრიმინაციის გაძლიერებას ემსახურებოდა. ამავდროულად, ხელისუფლება დაჩქარებული ტემპით ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციის პროცესს: 1897 წლის კანონით გამარტივდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან თერგის ოლქში მოსახლეობის გადმოსახლება. ასე მაგალითად, სტავროპოლის გუბერნიის მოსახლეობა 1870-დან 1892 წლამდე გაიზარდა 261 112.<sup>3</sup> 1899 წ. კოლონისტები თერგის ოლქის მთელი მოსახლეობის 37%-ს შეადგენდნენ.<sup>4</sup> 1858 წლიდან XX

---

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 147, оп. 2, д. 19, л. 29.

<sup>2</sup> К. Хетагуров. собр. соч..., გვ. 207.

<sup>3</sup> Экономическая история Юго-Восточной России, Ростов-на-Дону, 1929, გვ. 162.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 162

ს. დასაწყისამდე ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა 3,5-ჯერ გაიზარდა და მიაღწია 9603,4 ათასს.<sup>1</sup>

80-90-იან წლებში მთიელთა პროტესტის ერთ-ერთი ფორმა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში საჩივრებისა და მოთხოვნების გაგზავნა იყო. მაგალითად, 1887 წ. ჩეჩნეთის 18 სოფლის 20 ათასმა მცხოვრებმა საჩივარი გაუგზავნეს კავკასიის სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას მათი უფლებებისა და საკუთრების დაცვის თაობაზე. «Горцы лишены прав свободного передвижения, — натекума саჩивარში, — свободного труда и, наконец свободного пользования собственностью».<sup>2</sup>

27 ათასი მთიელი ურუსმარტანიდან, ბერდიკელიდან, შალიდან, ისტი-სულან, სტარი — იურტიდან კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე დაწერილ წერილში მოითხოვდა სოფლის მამასახლისების (სტაროსტების) არჩევითობას, როგორც კაზაკთა სტანიცებში, სტაროსტების, სტარშინების, მწერლებისა და სხვა სოფლის ადმინისტრაციის თანამშრომელთა შენახვის ხარჯებისაგან განთავისუფლებას. «Писари дружат с плохими людьми — წერენ მთიელები მეფისნაცვალს: — берут от них взятки, часто записывают им скот и лошадей в тетради, выдавая на ворованный скот удостоверения для продажи. Честный же человек, если он не дает писарю магарыч, не только не продасть своей лошади или коровы, но и попадает в беду - их отберут на базаре как краденое...».<sup>3</sup>

კოლონიური ადმინისტრაცია მთიელებს საჩივრების წერასაც უკრძალავდა და მათი ავტორების მიმართ რეპრესიულ

<sup>1</sup> Н.А. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 10.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф. 11, оп. 6, д. 4756, л. 13.

<sup>3</sup> ЦГА СОАССР, ф. 11, оп. 9, д. 5688, л. 11.

ზომებს ღებულობდა. «Когда они хотят жаловаться – წერს ოლქის გუბერნატორს დალესტნის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლები – их бьют и лишают свободы и коих из них посадили в тюрьму».<sup>1</sup>

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც ცალკეული აულებისა და სოფლების მთიელებს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და თანამდებობის პირების სახელზე გაგზავნილ წერილებში, მოჰყავთ კოლონიური ადმინისტრაციის თვითნებობის, უკანონობისა და არაადამიანური მოპყრობის უტყუარი ფაქტები. როგორც წესი, ხელისუფლება ამ წერილებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და კიდევ უფრო აძლიერებდა აგრესიულ კოლონიურ პოლიტიკას.

კოლონიური ადმინისტრაცია უკრძალავდა მთიელებს საჩივრებისა და მოთხოვნების წერასაც. მათი ავტორების მიმართ რეპრესიებს ახორციელებდა. «Когда они хотят жаловаться – წერდნენ ოლქის გუბერნატორს დალესტნის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობა – их бьют и лишают свободы а коих из них... посадили в тюрьму».<sup>2</sup>

XIX ს. 80-იანი წლებიდან ეროვნული ჩაგვრის განსაკუთრებულმა გაძლიერებამ, ძირითადად, განაპირობა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მთიელთა შეიარაღებული აჯანყებები.

მე-19 ს. უკანასკნელ მეოთხედში მთიელთა ანტიკოლონიურმა ბრძოლამ მიიღო ახალი ფორმა – აბრეკობა (ფირალობა). კავკასიის ომამდე მთიელები აბრეკებს გვარიდან განდევნილებს უწოდებდნენ, რომლებიც იძულებულნი ხდებოდნენ მოხეტიალის ცხოვრების წესით ეცხოვრათ. კავკასიის ომის

<sup>1</sup> Очерки истории Дагестана, т. 1, Махачкала, 1957, გვ. 202.

<sup>2</sup> История Дагестана, გვ. 202.

დროს, გვარიდან განდევნილმა პირებმა ინდივიდუალურად დაიწყეს ბრძოლა კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ. აბრეკებმა მთიელებში დამსახურებულად მოიპოვეს დიდი ავტორიტეტი და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირის სახელი.

როგორც ვიცით, მიურიდიზმის საფუძველს წარმოადგენდა ტარიკატი — ყურანის მეორე ნაწილი, სადაც მოთხრობილია მაჰმადის მოქმედება და საქციელი, რომელიც მისი მიმდევრებისთვის მისაბაძი მაგალითი უნდა გამხდარიყო. დამპყრობლების, უწმინდურების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი მოსპობა, მაჰმადიანის უპირველესი ვალია, აბრეკები, გამოხატავენ რა მთიელი ხალხის პროტესტს სამხედრო-ოკუპაციური რეჟიმის წინააღმდეგ, ითვლებოდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ მიურიდებად.

აბრეკობა ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოადგენდა მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაგრძელებას. შამილის დამარცხების შემდეგ, პოლიტიკურ აბრეკობას საფუძველი ჩაუყარა ათაბაიამ, რომელიც იმამის მიურიდი იყო. მან ჩეჩნეთში მარტოხელა აბრეკები გააერთიანა სახალხო შურისმაძიებელთა რაზმებში.

ათაბაიას მოკვლის შემდგომ, ეროვნული ჩაგვრის ზრდის კვალობაზე, მარტოხელა აბრეკები ჩეჩნეთში, ინგუშეთში, დაღესტანში, ყუბანში, შავიზღვისპირეთში ქმნიდნენ შურისმაძიებელ აბრეკთა რაზმებს, რომლებიც თავიანთი მოულოდნელი თავდასხმებით შიშის ზარს სცემდნენ კოლონიალურ ადმინისტრაციას. თერგის ოლქის უფროსი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში, სადაც იგი ჩამოთვლის აბრეკების მიერ ჩადენილი „ყაჩაღობის“ ფაქტებს, იძულებულია აღიაროს, რომ მათი ქმედებები პირველ რიგში მიმართული იყო «На повальное пленение зажиточных обивателей и системати-



ჩესკოე უნიჭოჟენიე ვერნჳხ სვოემუ დოღუ ჩინოვნიკოვ ტერსკოი ნაგორნოი ადმინისტრაციი».¹

აბრეკობა გამოწვეული იყო იმ უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც შექმნა რუსეთის კოლონიალურმა რეჟიმმა. ასლამბეკ შერიპოვი წერდა, რომ «Основной причиной появления абречества была преступная администрация Кавказа с общей политики притеснения».²

90-იანი წლების ბოლოს, განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეექმნათ მთის ზოლში მცხოვრებ ჩეჩნებსა და ინგუშებს. აღნიშნულ პერიოდში გროზნოს მე-3 და მე-4 უბნის, ვედენსკოეს მე-5 უბნის 233-ე დასახლებაში ცხოვრობდა 45 511 გლეხი, რომლებიც სარგებლობდნენ 7 747 დესეტინა სახნავი და 16 318 დესეტინა სათიბი მიწის ფართობით. თითოეულ სულზე მოდიოდა 0,6 დესეტინა³ «Безземелье ингушей, чеченцев толкала их на путь разбоя».⁴

აბრეკებს ხელისუფლება განიხილავდა, როგორც ყაჩაღებს, ხოლო ყაჩაღობას — მთიელთა დამახასიათებელ თვისებად. აბრეკები განიცდიდნენ სისტემატურ დევნას. მათ დასაპატიმრებლად და ფიზიკური განადგურებისათვის იქმნებოდა სპეციალური რაზმები. იმ აულებისა და სოფლების მიმართ, სადაც აბრეკი პოულობდა თავშესაფარს, ტარდებოდა სადამსჯელო ღონისძიებები ეგზეკუციების, ჯარიმებისა და მოსახლეობის გამოსახლების სახით.

პოლკოვნიკ შუდი ელმურზაევის თაოსნობით დააპატიმრეს და ციხეში გადაასახლეს 80-იანი წლების ცნობილი აბრეკი

¹ ГА СОАССР ф. 11, оп. 8, л. 12.

² А. Шерипов. Статьи и речи, Грозный, 1961, გვ. 47.

³ ЦГА СОАССР, ф. 32, оп. 1, д. 9, л. 150.

⁴ Отчет начальника Терской области за 1910 г. Владикавказ, 1911, გვ. 31.

ალიხან დებიროვი. აბრეკებმა ჩეჩენი ხალხის მოღალატე პოლკოვნიკი მოკლეს. პოლკოვნიკის მკვლელობას მოჰყვა აულ სტარი-იურტის მოსახლეობის აწიოება. აულში განუსაზღვრელი დროით ჩააყენეს ერთი პოლკი, მოსახლეობა დააჯარიმეს 7 200 რუბლით (1200 რუბ. ხაზინის სასარგებლოდ, 5000 მოკლული პოლკოვნიკის ოჯახისთვის), ჩამოართვეს 144 თოფი, 104 პისტოლეტი, 256 – სატყეარი, 22 ხმალი.<sup>1</sup> აულის ეგზეკუცია გრძელდებოდა 59 დღე.<sup>2</sup>

მე-19 ს. 90-იანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიაში ცნობილი გახდა აბრეკი ოსმან მუტაევის სახელი. იგი შამილის უახლოესი თანამებრძოლის შვილი იყო, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ხელისუფლება ცდილობდა მისი თავიდან მოცილებას, რის გამოც დააბრალეს ქურდობა და ადმინისტრაციული წესით სამჯერ ციმბირში გადასახლეს, საიდანაც სამივეჯერ გამოიქცა. ოსმან მუტაევის შესახებ თერგის ადმინისტრაციის ჩინოვნიკები წერდნენ: «Это был умный и, если можно так выразиться, благородный разбойник... Все обиженные находили защиту в личном и строгом суде Османа... Он не был вором, конокрадом, а защитником обиженных. Османа боялись его личные враги, сельские кулаки и русские туристы; последнее он грабил или брал в плен с целью выкупа, но никогда не убивал...».<sup>3</sup> ოსმან მუტაევი ჟურნალისტ ვ. კაზაჩკოვსკის, თავისი ცხოვრების შესახებ მოუთხრობდა: «Я не родился и не воспитывался быть абреком-абреком сделали меня люди. Мой отец - сподвижник имама Шамиля, наш род почтенный, учился в горской школе, ...но

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 149, оп. 2, д. 19, л. 149-150.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф..., л. 117-140.

<sup>3</sup> В. Казачковский. Разбой на Кавказе, Владикавказ, 1913, гл. 87.

меня вытолкнули из этой колеи и насильно направили на эту дорогу... Всем свайм врагам, я жестоко отомстил за свои позор, но с остальным населением, не сделавшим мне ничего дурного, я жил хорошо».<sup>1</sup>

მე-20 ს. დასაწყისში აბრეკობამ ფართო გაქანება მიიღო. თერგის ოლქის ადმინისტრაციის უფროსი კავკასიის მეფის ნაცვალს ატყობინებდა, რომ «Чечено-Ингушетия стала сплошь абречная».<sup>2</sup>

აბრეკთა ორგანიზებულმა ხშირმა თავდასხმებმა სახელმწიფო დაწესებულებებზე, ტერორისტულმა აქტებმა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების წინააღმდეგ, სერიოზულად შეაშფოთა თერგის ოლქის ადმინისტრაცია.

ზელისუფლებისათვის, აბრეკთა შორის, ყველაზე საშიშ პიროვნებას წარმოადგენდა ზელიმხან გუშმურზუკაევი. ეს ნიჭიერი, რკინისებური ნებისყოფის, შეუდრეკელი, საოცარი სისწრაფის, საარაკო მამაცობისა და შეუპოვარი მებრძოლი 13 წლის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა კოლონიურ ადმინისტრაციას. ჩეჩენი ხალხი ზელიმხანის გამირობის შესახებ თხზავდა ლექსებსა და ლეგენდებს. მისი რთული ცხოვრების გზისა და საქმიანობის შესახებ ცნობილი გახდა წერილიდან, რომელიც მან სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე – ხომიაკოვს 1909 წ. მისწერა.

ზელიმხან გუშმურზუკაევი დაიბადა ვედენსკოეს ოკრუგის სოფელ ხარაჩოიში შეძლებული ჩეჩენი მწყემსის ოჯახში. მას სოფელში იცნობდნენ, როგორც შრომისმოყვარე და წესიერ ახალგაზრდას.

---

<sup>1</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 92.

<sup>2</sup> Кавказские разбойники - Приложение к газете «Отклики Кавказа», Баку, 1913, გვ. 113.

ზელიმხანს ჰყავდა ძმები: უფროსი ხასი და უმცროსები სალდამურადი და ბაისულტანი. ზელიმხანის ცოლს ერქვა ბიცი, ჰყავდათ სამი ვაჟი: მაგომედი, ომარ-ალი, არმატი და ორი ქალიშვილი: მუსულმიტა და ენისტი.

ზელიმხანის რაინდული ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მისი 101 წლის ბაბუა ბეზოს მოთხრობებმა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო გმირებზე. იგი, განსაკუთრებით, ბევრს უამბობდა შვილიშვილებს შამილისა და მისი თანამებრძოლების გმირობის შესახებ. უბნის უფროსის ჩერნოვის დასმენის საფუძველზე ოჯახის წევრები – ზელიმხანი, მისი მამა და ერთ-ერთი ძმა დააპატიმრეს და ციხეში გადასახლეს. ზელიმხანი ციხიერიდან გამოიქცა, ხოლო მისი ძმა გადასახლებაში გარდაიცვალა. «Таким образом, – წერს ზელიმხანი ზომიაკოვს, из мирного жителя селения Харачой я превратился в абрека Зелимхана из Харачоя, но не такого знаменитого, как сейчас».<sup>1</sup> იმ დროს, როდესაც ზელიმხანმა წერილი მისწერა ზომიაკოვს, მისი სახელი უკვე ცნობილი იყო არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც.

ზელიმხანის აბრეკობა დაემთხვა 900-იანი წლების აგრარული საკითხის გამწვავებასა და ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერების პერიოდს. აღსანიშნავია, რომ 900-იანი წლების დასაწყისში ჩეჩნეთში, ინგუშეთი, ოსეთში, ყაბარდოში, დაღესტანში აგრარული მოძრაობა გაიგივებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. იგი არ ატარებდა კლასობრივი ბრძოლის ხასიათს, როგორც ქვეყნის ცენტრალურ გუბერნიებში. მთიელთა მღელვარებას ადგილი ჰქონდა იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა, უმიწობის გამო, მძიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა.

---

<sup>1</sup> Кавказские разбойники..., გვ. 113.

მცირემიწიანი და უმიწოდ დარჩენილი მთიელები ზელიმხანის მხარდაჭერით ცდილობდნენ კოლონიზატორების მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას. ზელიმხანი თავგამოდებით იცავდა მთიელი ხალხის ინტერესებს, ეხმარებოდა მათ კაზაკთა ჯარის წრეებისა და სახელმწიფოს მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებაში. ასე მაგალითად, ვედენსკოეს ოკრუგის 27 სოფლისა და 33 ხუტორის მოსახლეობამ განდევნა ადმინისტრაციის წარმომადგენლები, უარი თქვეს სხვადასხვა სახელმწიფო ბეგარის შესრულებაზე, გადასახადების გადახდაზე და დაიბრუნეს კაზაკების მიერ მიტაცებული მიწები;<sup>1</sup> ასევე, გროზნისა და ნაზრანოვკის ოკრუგების სოფლების მცხოვრებლებმა დაიბრუნეს ხაზინის საკუთრებად გამოცხადებული მიწის ფართობები.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ ხარაჩოის, ნიჟელოის, ნახალოის, კოისა და მაკაჟოის აულების მცხოვრებნი, რომლებზედაც დიდი გავლენა ჰქონდა ზელიმხანს, სისტემატიურად უცხადებდნენ დაუმორჩილებლობას კოლონიურ ადმინისტრაციას. 1905 წელს ოლქის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ადმინისტრაციული და პოლიციური ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით, გროზნოს ოლქიდან ცალკე გამოეყო ვედენსკოს ოკრუგი, რომლის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი გალაევი. მან მოისურვა „ბუნტარული“ აულების მთიელებთან შეხვედრა. არცერთი აულის მცხოვრები, გარდა სტაროსტებისა, გალაევს არ შეხვდა. «Жители, — წერს აღშფოთებული პოლკოვნიკი თერგის ადმინისტრაციის უფროსს, — не пожелали меня видеть, показывая этим, что не признают меня за начальника».<sup>3</sup>

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 21, оп. 1, д. 4, л. 62.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф. 11, д. 6254, л. 62.

<sup>3</sup> Очерки истории Чечено-Ингушетский..., გვ. 191.

დაუმორჩილებელი მთიელების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებმა შედეგი ვერ გამოიღო. ყოველი სადამსჯელო ოპერაციის შემდგომ დაუმორჩილებელი აულების რიცხვი იზრდებოდა, რომლებიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ სადამსჯელო რაზმებს. შემფოთებული კოლონიური ადმინისტრაცია ერთგვარ დათმობებზე წავიდა. 1905 წლის მაისში კავკასიის მეფის ნაცვალმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ოსების, ინგუშების და ჩეჩნების თხოვნა — მთიელებისთვის საზოგადოებრივი უფლებების დაბრუნების თაობაზე. «Вести немедленно среди туземных племен Терской области институт старшин,— ნათქვამია კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებაში — избираемых самыми обществами из числа лучших людей... Старшины избираются на три года... и утверждаются в должности начальником области...».<sup>1</sup> აღნიშნულმა განკარგულებამ ვერ დააშოშმინა მთიელები. ისინი კვლავინდებურად დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ ხელისუფლებას.

კოლონიურმა ადმინისტრაციამ მთიელთა ბრძოლას დაუპირისპირა ეროვნული უნდობლობისა და შუღლის გაღვივების ნაცადი ხერხი. «В то время наблюдаемо было правило древних римлян. — წერს პ.გ. ბუტკოვი — Для пользы Кавказского края ссорить между собою разных народов Кавказа, дабы они, ослабляя свой силы, оставляли нас в покое...».<sup>2</sup>

1905 წ. თებერვლის დასაწყისში თერგის ოლქის უფროსის გენერალი რევესკის განცხადება, ვლადიკავკაზის დუმის სხდომაზე იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების

<sup>1</sup> Г.П. Мартиросян. История..., გვ. 129.

<sup>2</sup> П.Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, ч. 1, Владикавказ, 1915, გვ. 107.

უსაფრთხოება მპარცველებისა და ყაჩაღების თავდასხმებისაგან, საკმარისი აღმოჩნდა, რათა კაზაკებს დაეწყოთ „ნადირობა“ მთიელებზე. 1905-1906 წლებში კაზაკების და მთიელების სისხლიანი შეტაკებები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მაგალითად, 1906 წ. მისში კაზაკები და თერგის ადმინისტრაციის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ ინგუშეთის სოფელ იანდირკას და დახოცეს უდანამულო ადამიანები.

სოფელ იანდირკაში უდანამულო ადამიანების ხოცვამ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მიიღო. აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველი სახელმწიფო დუმის წევრმა პროფ. მ.მ. კოვალევსკიმ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მამხილებელი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. მოვიყვანთ, აზრით, კოვალევსკის გამოსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს: «Когда мне пришлось путешествовать по Кавказу, я имел возможность воочию убедиться, как по отношению к ингушскому народу применяются меры, примеры которых можно встретить в отдаленном периоде средних веков. Так, во времена генерал-губернаторства князя Дондукова-Корсанова к ингушам применяема была мера, которая вошла, я думаю, по ошибке, на правах обычая в сборник прав кавказских народностей, изданный профессором Леонтовичем. Эта мера следующая: каждый раз, когда у казака пропадает лошадь или какое-нибудь другое имущество, то к ответу призывается весь ингушский народ и на него распространяется начало круговой поруки, которая применялась в родовых общинах только к членам рода, а здесь она распространяется на весь ингушский

народ, который в настоящее время представляет цифру довольно почтенную, а именно 50 тысяч человек».<sup>1</sup>

მაგრამ, სახელმწიფო ღუმის საღად მოაზროვნე დეპუტატების პროტესტმა, რასაკვირველია, ვერ შეცვალა ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის კურსი. პირიქით, კოლონიურმა ადმინისტრაციამ გააფართოვა რეპრესიები, შემოიღო სამხედრო მდგომარეობა, დააარსა სამხედრო-საველე სასამართლოები, გაახშირა ეგზეკუციები, მასიური დაპატიმრებები და გადასახლებები; ხელს უწყობდა მთიელებისა და კაზაკების ურთიერთდაპირისპირებას, სისხლიან შეტაკებებს – აპრილში სტანიცა ვოზნესენსკში აღვილი ჰქონდა კაზაკებისა და ჩერჩების შეიარაღებულ შეტაკებას.<sup>2</sup> მაისში სოფელ საგოში ჩაყენებული იქნა კაზაკთა 100 კაციანი რაზმი.<sup>3</sup>

ვედენსკოს ოლქის მთიელთა დაუმორჩილებლობა 1906 წლის ბოლომდე გრძელდებოდა. ოლქის მე-5 უბნის უფროსი ვლადისლავსკი შეეცადა სოფელ მაკაჟოში სამხედრო რაზმის შეყვანას, მაგრამ ამ სოფლის მცხოვრებთ ამის უფლება არ მისცეს და ქვების სროლით უკან გაისტუმრეს. ღამით ვლადისლავსკს მთიელები თავს დაესხნენ და მძიმედ დაჭრეს. ხელისუფლებამ გადაწყვიტა დიდი სამხედრო ოპერაციის ჩატარების მეშვეობით დაუმორჩილებელი აულების განადგურება. ნიჟელოის, ნახალოის, კოისა და მაკაჟოის აულების წინააღმდეგ გაგზავნილი იქნა ერთი ქვეითი პოლკი, კაზაკთა ორი ასეული და არტილერია. 1906 წლის 18 დეკემბერს დაუმორჩილებელ აულებს უმოწყალოდ დაუშინეს არტილერიის ცეცხლი. აულები მთლიანად დაინგრა და გადაიწვა.<sup>4</sup> ცოცხლად დარჩენილები გადაასახლეს ციმბირში. პოლკოვნიკმა გალაევმა ვედენსკის

<sup>1</sup> გაზ. «Речь», 25 დეკემბერი, 1905.

<sup>2</sup> Кавказские разбойники..., გვ. 116.

<sup>3</sup> გაზ. «Речь», 25 დეკემბერი, 1905.

<sup>4</sup> გაზ. «Казбек», 24 თებერვალი, 1905.



ყველა სოფელში ჩააყენა სამხედრო რაზმი, რაც ფაქტობრივად, ეზეკუციას ნიშნავდა. ზელიმხანი, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ წერილში მიუთითებდა, რომ «Галасв сразу выслал из Веденского округа 500 человек якобы за воровство, которые в качестве абреков наводнили вес Веденский округ».<sup>1</sup> ამ ფაქტს კადეტების გაზეთი „რეჩი“ ადასტურებს. «...Для водворения «тишины и порядка» на местное населения..., посыпались как из рога изобилия всевозможные «дисциплинарные взыскания»... Штрафовались целые общества, штрафовались и отдельные лица. Многие были высланы «по волчьему билету» в отдаленные губернии».<sup>2</sup> ადმინისტრაციის მიერ დაწესებული ჯარიმები სოფლებისა და ცალკეული პირების მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდის შემთხვევაში მთიელები უსახლკაროდ და უმიწაწყლოდ რჩებოდნენ. ჯარიმის გადაუხდელობა ნიშნავდა გადასახლებას შორეულ გუბერნიებში. თუ რამდენად უმოწყალოდ აჯარიმებდა კოლონიური ადმინისტრაცია მოსახლეობას ადასტურებს გაზეთ «Терские ведомости»-დან მოყვანილი შემდეგი ციფრები: «На жителей с Ардон в Северной Осетии был наложен штраф в сумме 60 тысяч рублей, на с. Магометанское - 26 тыс., Ногкау - 12 тыс. Всего на Северной Осетию было наложено штрафа 321 613 руб. 38 коп...».<sup>3</sup> სოფელ არღონის მცხოვრებლებმა დაწესებული კონტრიბუციის გამო გაყიდეს 1500 ღეს. მიწა.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Г.К. Мартirosян, Истории..., გვ. 129.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 129.

<sup>3</sup> გაზ. «Терские ведомости», №69, 1906.

<sup>4</sup> გაზ. «Терские ведомости», №69, 1906.

ინგუშები პირველ სახელმწიფო ღუმას წერდნენ: «...Казаки пользуются всяким случаем, чтобы придраться к нам, взыскать штрафы, убивать. За один последний год нам пришлось уплатить в пользу казаков 50 тыс. руб., а между тем, местные власти состоят исключительно из казаков, и областной начальник, будучи в то же время атаманом Терского казачьего войска, не только ничего не предпринимает против них, но поощряет их в этом направлении».<sup>1</sup>

ხელისუფლებამ სასტიკი სადამსჯელო სამხედრო ოპერაციებით კერ მოახერხა ზელიმხანისა და მისი რაზმის ლიკვიდირება. ზელიმხანის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. მას თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორი ხელისუფლებისათვის ყველაზე საშიშ მტრად მიიჩნევდა. გენერალ-გუბერნატორმა ზელიმხანის დაჭერის ან ლიკვიდაციისათვის ჯილდოდ 3 000 მან. დააწესა, ხოლო მისი ძმისა და მამის – 500 მან.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ოლქის ადმინისტრაციამ ამ ბრძანების შესახებ ფართოდ აუწყა მოსახლეობას, 1906-1908 წწ. პოლიციას არ მიუღია ცნობა ზელიმხანის ადგილსამყოფელის შესახებ. ოლქის ადმინისტრაციის ერთ-ერთ დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ „არცერთი სამხედრო პოსტიდან, არცერთი კაზაკისაგან 1906-1908 წწ. არ მიღებულა ცნობები ზელიმხანის გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ“.<sup>3</sup>

ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ სამხედრო-ადმინისტრაციული ზომების გამკაცრებით მოახდენდა მთიელთა დამორჩილებას. მთავრობის მიერ მასიური რეპრესიების და

<sup>1</sup> Стенографический отчет Первой Государственной Думы, т. 2, кн. 878.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф. 20, оп. 1, д. 3, л. 2.

<sup>3</sup> ЦГА СОАССР, л. 4.

ტერორის განხორციელებამ მთიელი ხალხის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ყველა აქტიური მებრძოლი აბრეკი ხდებოდა.

ზელიმხანი თავს არიდებდა რეგულარული არმიის ნაწილებთან პირისპირ შეტაკებას. მოსახლეობის ფართო მხარდაჭერის მეშვეობით, იგი ახერხებდა ჩენეთის, ინგუშეთის, დაღესტანისა და ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიებზე სწრაფ მანევრირებას და მოულოდნელ თავდასხმებს ახორციელებდა იქ, სადაც მას არ ელოდნენ, ანადგურებდა სახელმწიფო დაწესებულებებს, ეწეოდა ბანკებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების საღაროების ექსპროპრიაციას, ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, მოსვენებას არ აძლევდა იმ ბობოლა ვაჭრებსა და მემამულეებს, რომლებიც კოლონიური ადმინისტრაციის მფარველობით სარგებლობდნენ.

ზელიმხანმა აქტიური მოქმედება კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ 1905 წლიდან დაიწყო: განსაკუთრებით სჯიდა იმ პირებს, რომლებიც მთიელთა მიწების მითვისების ხარჯზე გახდნენ დიდი მემამულეები და გამდიდრნენ. 1905 წელს მან მძევლად აიყვანა მემამულეები ხრენოვი და ბაზირენკო, რისთვისაც მიიღო დიდი გამოსასყიდი.<sup>1</sup> ხასავიურტში ერთ-ერთ უმდიდრეს მიწათმფლობელს მესეცევს ჩამოართვა ძვირფასეულობა და 18 ათასი მანეთი.<sup>2</sup> მოკლა ვედონოს ბაზრის უფროსი დობროლუბოვსკი, რომელიც სასტიკ ზომებს ღებულობდა მაზრის მოსახლეობის მიმართ. ოლქის უფროსის სიკვდილის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელი ჩრდილოეთ კავკასიას, ხალხის თვალში ზელიმხანი გადაიქცა შეუპოვარ გმირად.

<sup>1</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 104.

<sup>2</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 104; ან. შილაკაძე. ზელიმხანი, თბ., 1936, გვ. 18.

1905 წ. ოქტომბრის დასაწყისში ყაჩაღების მოსპობის საბაბით გროზნოს ბაზარში მოეწყო ჩენების დარბევა, რომელსაც 17 ჩენი შეეწირა. ზელიმხანმა ხელისუფლებას არ აპატია უდანაშაულო ჩენების ზოცვა-ჟლეტვა. მან 17 ოქტომბერს სადგურ კალიურთან სამგზავრო მატარებელი გააჩერა, გადმოიყვანა იქედან 17 ჩინოვნიკი და იქვე მოკლა. ამით მან უდანაშაულოდ მოკლული 17 ჩენის სისხლი აიღო.

1908 წ. აგვისტოში ზელიმხანის რაზმს, ვაჭარ ზაიცევის ტყვედ წაყვანისას, მოუხდა სამხედრო რაზმთან შეტაკება, რომლის დროს დაიღუპა მისი მამა და ერთ-ერთი ძმა.

ხელისუფლებამ ზელიმხანი ყაჩაღად მონათლა. მან თავისი საქმიანობით დაამტკიცა, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, პატრიოტი იყო. ზელიმხანი რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ პარტიზანულ ომს ეწეოდა და ფაქტობრივად, მისი ხელმძღვანელი იყო. XX საუკუნის პირველ ათწლეულში ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ აბრეკთა პარტიზანული ომის გაჩაღება, უდავოდ, ზელიმხანის დამსახურებაა.

ზელიმხანის გააქტიურება ჩენეთ-ინგუშეთში დაუყოვნებლივ იწვევდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი, დაღესტანში აბრეკთა პარტიზანული რაზმების გააქტიურებასაც.

დაღესტნის ჩრდილოეთი და სამხრეთის ბარის მოსახლეობის შეუპოვარი ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, ძირითადად, განპირობებული იყო აბრეკთა პარტიზანული რაზმების აქტიური მოქმედებით. დაღესტანში მოქმედი მრავალრიცხოვანი აბრეკთა პარტიზანული რაზმების შევსება ხდებოდა რუსეთის შორეული გუბერნიებიდან გადასახლებიდან გამოქცეულ „სახელმწიფოსათვის არასაიმედო პირებისა და ბუნტარების“ მეშვეობით.

დაღესტანში მოქმედი პარტიზანული რაზმები თითქმის ყოველდღიურად თავს ესხმოდნენ სამხედრო ნაწილებს, რკინიგზის გასამხედროებულ დაცვას, შლიდნენ და აფეთქებდნენ რკინიგზის ლიანდაგებს. ასე მაგალითად, 1906 წ. 12 იანვარს პარტიზანები თავს დაესხნენ მდინარე სულაკის ხიდის დაცვას, განაიარაღეს ისინი და აყარეს ლიანდაგები;<sup>1</sup> 22 იანვარს დააზიანეს მდინარე რუბას ხიდი, ამავე დღეს თავს დაესხნენ თევზრეწვის ადმინისტრაციას, რომელიც ადგილობრივ მეთევზეებს გროშებს უხდიდა და ძვირფასი თევზის პროდუქციის უდიდესი ნაწილი რუსეთის დედაქალაქში გაჰქონდა.<sup>2</sup>

პარტიზანული რაზმების ხშირი თავდასხმების გამო ხელისუფლებამ პეტროვსკი-ბესლანის რკინიგზის მონაკვეთზე საერთოდ შეწყვიტა სამხედრო დანიშნულების ტვირთების გადაზიდვა.<sup>3</sup>

აბრეკ-პარტიზანების მოქმედების რაიონებში ხელისუფლებამ ერიდებოდა დაუმორჩილებელი სოფლების წინააღმდეგ დამსჯელი რაზმების გამოყენებას. კოლონიურ ადმინისტრაციას უჭირდა პარტიზანების გამოვლინება, მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ისინი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

აღსანიშნავია, რომ დამსჯელი რაზმების წინააღმდეგ დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის აბრეკები ხშირად ერთობლივად მოქმედებდნენ.

პარტიები, განსაკუთრებით ბოლშევიკები, ცდილობდნენ აბრეკთა პარტიზანული მოძრაობა მათი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ. ბოლშევიკებს 1905 წლისათვის რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ტერორისტულ-ბოვეიკური რაზმები

---

<sup>1</sup> Истории Дагестана, გვ. 236.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 236.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 236.

ჰყავდათ შექმნილი, რომლებმაც მხოლოდ 1906-1907 წლებში 4 126 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს.<sup>1</sup>

ბოლშევიკების ბელადი, დაინტერესებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი აბრეკთა რაზმები დაემორჩილებინა ბოლშევიკური პარტიული ხელმძღვანელობისადმი. იგი 1906 წელს სტატიაში „პარტიზანული ომი“ მიუთითებდა, რომ «интересующее нас явление есть вооруженная борьба. Ведут ее отдельные лица и небольшие группы лиц. Частью они принадлежат к революционным организациям (в некоторых местностях России большею частью) не принадлежат и к какой революционной организации».<sup>2</sup> ლენინი მოითხოვდა პარტიზანული მოძრაობის პროლეტარიატის რევოლუციურ იდეებთან დაკავშირებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოლშევიკური ორგანიზაციები სუსტია და მოუმზადებელი გაუწიოს მას პარტიული ხელმძღვანელობა.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის აბრეკთა პარტიზანული მოძრაობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ზელიმხანის შეხვედრას სომეხ ანარქისტებთან, რუსეთში არსებული არც ერთი პარტიის გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური პარტიის თავგამოდებული მებრძოლი ა.ფ. ნოსოვი იტულებულია აღიაროს: «...Движения абречества выросло на почве неприемлемых антиколонизаторских настроений. Абречество надо рассматривать как

<sup>1</sup> ე.მ. ანთელავა. ბოლშევიკური..., გვ. 304.

<sup>2</sup> В.И. Ленин. ПСС, т. 14, гв. 9.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 4.

особую форму политической борьбы против любых форм эксплуатации и насилия».<sup>1</sup>

საბჭოთა ისტორიკოსები გამოთქვამენ დიდ სინანულს იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის პარტიზანებმა არ მიიღეს პროლეტარიატის რევოლუციური იდეები, არ ჩაებნენ კლასობრივი ბრძოლის ფერხულში და თავი შესწირეს მხოლოდ რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, მაშინ, როდესაც იგი უარყოფითთან ერთად, მთიელი ხალხის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობდა.

მე-20 ს. პირველ ათწლეულში მთიელთა მედგარმა წინააღმდეგობამ, ხელისუფლება დაარწმუნა, რომ მხოლოდ რეპრესიული ზომების განხორციელების გზით ვერ მოახერხებდა ჩრდილოეთ კავკასიაში სტაბილურობის დამყარებას. რუსეთს მთიელების წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენება არმიის, ფინანსებისა და მატერიალური რესურსების დიდი დანაკარგების ფასად უჯდებოდა, მაგრამ საშინაო მდგომარეობის გაუმჯობესებას და მთიელთა პერმანენტული აჯანყებების თავიდან აცილებას მაინც ვერ ახერხებდა. მთავრობას არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის გზად ფრთხილი და მოხერხებული კოლონიური პოლიტიკის გატარება მიაჩნდა.

\* \* \*

1906 წლის ივნისში რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ პეტრე სტოლიპინი დაინიშნა. ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე სტოლიპინი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის იმპერიის შენარჩუნებისა და შემდგომ მისი გაძლიერების ერთადერთი გამოსავალი ქვეყანაში

---

<sup>1</sup> А.Ф. Носов. Октябрьская Революция в Грозне и в горах Чечено-Ингушетии, Грозный, 1921, гв. 14.

კონსტიტუციურ-მონარქიული მმართველობის შემოღება და კარდინალური აგრარული რეფორმების განხორციელება იყო.

სტოლიპინის აგრარული რეფორმა ითვალისწინებდა რუსეთის სოფელში ძველი დროიდან დამკვიდრებული თემის დაშლას, რაც იმავდროულად პატრიარქალური ურთიერთობის მოსპობასაც ნიშნავდა. რუსეთი უნდა ქცეულიყო მიწათმფლობელ-ფერმერთა ქვეყნად. სტოლიპინმა თავის რეფორმას დიდი პოლიტიკური ხასიათის დატვირთვაც მისცა — მიწათმფლობელი — ფერმერი, უკველად, ქვეყნის პოლიტიკური სისტემის დასაყრდენი იქნებოდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ფერმერული მეურნეობა რუსეთს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უდიდეს ექსპორტიორად აქცევდა.

აქვე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სტოლიპინის რეფორმა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო მთლიანად ვერ განხორციელდა, მაგრამ მან, მაინც, დიდი როლი ითამაშა რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც ვიცით, 1913 წლამდე, რუსეთი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, განსაკუთრებით, მარცვლეული კულტურების უდიდესი ექსპორტიორი.

სტოლიპინის ფერმერებმა, რომლებსაც ბოლშევიკები კულაკებს უწოდებდნენ, მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა ხელისუფლებას და მას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს.

უდავოა, რომ სტოლიპინის რეფორმები თავისი ხასიათით პროგრესული იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის კოლონიური იმპერიის განმტკიცებასა და გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

სტოლიპინის აგრარული რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო საგადასახლებო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის ცენტრალურ და სამხრეთის რეგიონებიდან გლეხების გადასახლებას ციმბირში, შუა აზიაში და კავკასიაში. სტოლიპინს, ამ ღონისძიებით სურდა



რუსეთის ცენტრალური და სამხრეთ გუბერნიების მცირემიწიანი და უმიწოდ დარჩენილი გლეხობისაგან განთავისუფლება, რაც ქვეყნისათვის სიმშვიდისა და სტაბილურობის გარანტი იქნებოდა. მისი საგადასახლებო პოლიტიკა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. ჯერ კიდევ, აგრარული პოლიტიკის განხორციელებამდე, ჩრდილოეთ კავკასიაში კოლონისტთა რიცხვი შეადგენდა 1,5 მლ.<sup>1</sup>

სტოლიპინი, როგორც ყველა რუსი პოლიტიკოსი იბრძოდა ერთიანი განუყოფელი რუსეთის შენარჩუნებისათვის და სავსებით ცხადია, ნაკლებად აწუხებდა რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების მკვიდრთა ინტერესების დაკმაყოფილება. იგი თავის საგადასახლებო პოლიტიკას ახორციელებდა მთიელთა სახნავ-სათესი, საძოვრებისა და ტყის მასივების ხარჯზე.

სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა მთიელი ხალხის დიდი უმრავლესობის მოთხოვნა მიწაზე. კავკასიის მეფისნაცვალის ყაბარდოში აგრარული რეფორმის განხორციელების შესახებ თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: «Действительное оживление этого края возможно лишь в случае представления крестьянам земель в подворное владение и на правах полной собственности».<sup>2</sup> ვორონცოვ-დაშკოვი ჩრდილოეთ კავკასიაში სტოლიპინის აგრარული რეფორმის განხორციელებას აპირებდა ვერეთწოდებული «Запасные» მიწების ხარჯზე, რომელიც სრულებით არ იყო საკმარისი მთიელთა მიწაზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასე, მაგალითად ყაბარდო-ბალყარეთში «Запасные» მიწების ფართი შეადგენდა 315 385 დესეტინა აქედან 244 681 დესეტინა იყო მაღალმთიანი საძოვარი, 25 661 დესეტინა – მღებარეობდა

<sup>1</sup> А.В. Фадеев. Формирование земледельческого..., გვ. 252.

<sup>2</sup> И.Ф. Мужев. Национально-освободительная..., გვ. 108.

მდინარე ზოლკის ხეობაში.<sup>1</sup> ვედენსკოეს ოკრუგის 45 511 ინგუშს დარჩა მხოლოდ 7 747 დესეტინა სახნავ-სათესი და 16 318 – სათიბი მიწა, მოსახლეობის 44 პროცენტი დარჩენილი იყო უმიწოდ.<sup>2</sup>

მეფისნაცვლები ვორონცოვი და ბარიატინსკი იმპერატორის სახელით პირდებოდნენ მთიელებს ყველა პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას. მაგ. ვორონცოვი თავის პროკლამაციაში მთიელებს პირდებოდა: «Религия ваша, шариат, адат, земля ваша, имения ваши, а также все имущество, приобретенное трудами, будет неприкосновенною вашею собственностью и останется без всякого изменения...».<sup>3</sup> ბარიატინსკი კი წერდა: «...императорское величество дарует следующие права...»: неотъемлемое владение землею на указанных уже местах; Земля, предоставляемая народу, будет разделена между аулами, в постоянное их владение, соразмерно числу народонаселения; на право владения землею будут выданы обществам аулов и частным лицам все необходимые окты и планы».<sup>4</sup> მთიელი ხალხისთვის მეფის სახელით მოცემული დაპირებები, მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. კოლონიური ადმინისტრაცია მთიელების მიწის საკითხის მოუგვარებლობას იმით ხსნიდა, რომ მათ არ გააჩნდათ მიწაზე საკუთრების დამადასტურებელი საბუთები. მაგალითად, ხელისუფლებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მიწაზე კერძომესაკუთრება ჩეჩნეთში ისტორიულად არსებობდა. აქ მიწაზე საკუთრების უფლება, წერილობითი დასტურის გარეშე,

---

<sup>1</sup> ГА КБАССР, ф. 6, д. 608, л. 56.

<sup>2</sup> Г.К. Мартиросян. Истории..., გვ. 112.

<sup>3</sup> Г.К. Мартиросян. Истории..., გვ. 77.

<sup>4</sup> <http://www.chechny>.

შარიათისა და ადათის წესით, მემკვიდრეობით გადადიოდა. კოლონიური ადმინისტრაცია, მთაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ მიწის მფლობელობის წესს არ ცნობდა და შეგნებულად აჭიანურებდა მთიელების მიწის საკითხის მოგვარებას, რადგან პირველ რიგში კაზაკებსა და გადმოსახლებულ რუს გლეხებს შორის ახდენდა კოლონიზირებული მიწების გადანაწილებას.

ამგვარად, XIX ს. ბოლოს ჩეჩენი ოჯახების 60%-მა მიიღო 2-3-ჯერ ნაკლები მიწის ნაკვეთი, ვიდრე კაზაკებმა. ჩეჩენი ოჯახების 40% დარჩა უმიწოდ.<sup>1</sup>

აგრარული რეფორმის პრაქტიკული განხორციელების მიზნით, კავკასიის მეფისნაცვლის 1906 წ. 18 აპრილის ბრძანებით ვლადიკავკაზში შეიქმნა სამინისტრომწყობო კომისია აბრამოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დიდი უფლებამოსილება მიენიჭა.

„აბრამოვის კომისიას“ ევალებოდა თერგისა და ყუბანის ოლქებში მცხოვრები მთიელების მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის სამართლებრივი საფუძვლების მიწის საკითხებზე არსებული დავებისა და დაპირისპირებების მიზეზების, თავისუფალი და სახაზინო მიწების ხარჯზე მოსახლეობის დაკმაყოფილების შესაძლებლობების შესწავლა. გარდა ამისა, კომისიას უნდა შეემუშაებინა დებულება შემდეგ საკითხებზე: «а) положения о том, какие права должны быть признаны за сельскими (аульными) обществами, отдельными членами этих обществ, а также за частными лицами, не принадлежащими к составу последних, на находящиеся в их владении земли; б) положения о том, какие из существующих и могущих возникнуть при земельном устройстве споры подлежат отнесению к ведению общих судебных

<sup>1</sup> Г.К. Мартиросян. Истории..., გვ. 147.

установлений и какие разрешено общего присутствия областного правления и во правил о производстве работ по земельному устройству, обеспечивающему население в земельном отношении, и о формальном отмежевании всех земельных владений нагорной полосы Терской области и в пределах земель карачаевского народа Кубанской области».<sup>1</sup>

„აბრამოვის კომისიამ“ 1909 წ. 3 თებერვალს თერგის ოლქის უფროსს წარუდგინა სამი წლის მუშაობის შედეგი — ნაბეჭდი ორტომეულის სახით. აბრამოვის დაუღალავი შრომის შედეგად შესწავლილი იქნა 187 193 მთიელის მიწათსარგებლობისა და მოწყობის, 1 309 600 დესეტინა მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის ვარგისიანობის საკითხები.<sup>2</sup> «Вся население нагорной полосы — настолько „აბრამოვის კომისიის“ დასკვნაში — крайне мало обеспечено землею; степень обеспеченности колеблется в обществах и в отдельных селениях неодинаково».<sup>3</sup>

1909 წლის თებერვალში თერგის ოლქის დროებითმა გენერალ გუბერნატორმა მოიწვია სპეციალური თათბირი, რომელმაც განიხილა ოლქში აგრარული რეფორმების განხორციელების პრინციპები. თათბირმა, აბრამოვის კომისიის დასკვნებიდან გამომდინარე შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა თანახმად კაზაკი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების სამუდამო მფლობელობაში მყოფი მიწების გარდა, „სტანიცების“ სარგებლობაში არსებული 561 718 დესეტინა და საგლეხო ბანკის 6 ათასი დესეტინა გადაეცემოდა ბარში მცხოვრებ მთიელებს. გარდა ამისა, მთიელების მიწით მინიმალური

<sup>1</sup> Г.К. Мартыросян. Истории..., გვ. 153.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 152.

<sup>3</sup> ЦГА СОАССР, ф. 11, д. 5663, л. 41.

დაკმაყოფილებისათვის საჭირო იყო 2 375 ახალმოშენე მამაკაცის თერგის ოლქიდან გასახლება.<sup>1</sup>

თათბირის რეკომენდაციები თერგის ოლქის ადმინისტრაციისათვის მიუღებელი იყო, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა კოლონიური პოლიტიკის ინტერესებს. ვორონცოვ-დაშკოვი უკვე კაზაკების სარგებლობაში გადასული მიწების ხარჯზე, მთიელთა ინტერესების დაკმაყოფილების კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. «В Терской области – წერს მეფისნაცვალს თერგის ოლქის დროებით გენერალ-გუბერნატორს – на казачье землепользование деятельность комиссии не предполагается распространять».<sup>2</sup> ხელისუფლებას არ სურდა ნაწილობრივ მაინც დაებრუნებინა მთიელებისთვის მიტაცებული მიწები. სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის მიმართულება ნათლად ჩანს სტანიცებისა და კაზაკთა სამხედრო წრეების მიწათსარგებლობისა და მოწყობის დებულებაში, სადაც მითითებულია: «Никакая часть земли и никакое угодье, в черте станичной юрты заключающееся, не могут выходить за владения станичного общества в чью-либо ответственность».<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, „აბრამოვის კომისიის“ რეკომენდაციები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში სტოლიპინის აგრარული რეფორმების პრინციპებს. მხოლოდ 1911 წ. მეფისნაცვლის კანცელარიაში შემუშავებული იქნა კანონპროექტი „თერგის ოლქის მთის ზოლისა და ყუბანის ოლქის ყარაჩაის მიწათმოწყობის შესახებ“. აღნიშნული პროექტი სახელმწიფო დუმას გადაეგზავნა, სადაც დროგამოშვებით, 1917 წ. თებერვლამდე მიმდინარეობდა მისი განხილვა. დუმას

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 11, д. 5663, л. 41.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф. 6, д. 608, л. 55-56.

<sup>3</sup> ЦГА СОАССР, л. 4.

საბოლოო გადაწყვეტილება მის შესახებ არ მიუღია, ისე მოუსწრო თებერვლის რევოლუციამ.

მთიელ მოსახლეობას შორის სტოლიპინის აგრარული რეფორმის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ დაუბრუნებდნენ კოლონისტების მიერ მიტაცებული მიწების ნაწილს მაინც. ეგრეთწოდებული «запасной» მიწების ხარჯზე მთიელთა დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. ხელისუფლებამ, ძირითადად, დააკმაყოფილა მთიელთა ის სოფლები და ცალკეული პირები, რომლებიც მის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი. ეს კარგად ჩანდა ყაბარდო-ბალყარეთის მაგალითზე.

ჯერ კიდევ სტოლიპინის რეფორმამდე, კავკასიის არმიის სარდლის ბრძანებით ზოლკის საძოვრებიდან 315 ათასი დესეტინა ცხენსაშენისათვის გადაეცა ყაბარდოს ხუთ ოჯახს, ატაკუჟინების გვარის სოფელს – 64 630 დესეტინა კაიტუკოვების – 22 423, ტაუსელტანოვების – 42 882; მისტოტოვსკების – 42 905; ბექმურზიანსკინების – 58 246.<sup>1</sup>

ყაბარდო-ბალყარეთში დარჩენილი მაღალმთიანი და მდ. ზოლკის ხეობის საძოვრები მიწათმოქმედობის კომისიის მიერ დაყოფილი იქნა 329 ნაწილად (ყოველი ნაწილის ფართი – 40 დეს.) და გადაეცა მრავალწლიანი არენდით მთავრობის მიერ შერჩეულ პირებს „კუტანების“ (ხუტორების) მოსაწყობად მდ. ზოლკაზე 13 ათასი დესეტინა საუკეთესო საძოვარი გადაეცა ცხენსაშენებისთვის ყაბარდოს 75 გვარს.<sup>2</sup>

ხელისუფლებამ ეგრეთწოდებული «запасные» მიწები გადაანაწილა ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რეგიონში „კუტანების“ მოსაწყობად ისევე, როგორც ყაბარდო-ბალყარეთში.

<sup>1</sup> ГА КВАСР, л. 53-51.

<sup>2</sup> И.Ф. Мужев. Национально-освободительная..., გვ. 112.

მიწათსარგებლობის სტოლიპინისეული წესის შემოღებამ, ნაწილობრივ, ურთიერთდაუპირისპირა ზოგიერთი სოფლების მოსახლეობა, მაგრამ ხელისუფლების ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა და ამან ვერ შეასუსტა, მთიელთა ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის.

ჩრდილოეთ კავკასიაში კოლონიური პოლიტიკის შედეგად დამკვიდრებული მიწათსარგებლობის წესის პარალელურად, სტოლიპინის აგრარული რეფორმების საყოველთაო განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. ხელისუფლების „ახალმა კურსმა“ აგრარული პოლიტიკის დარგში ვერ დაამშვიდა რუსეთის კოლონიური რეჟიმის ქვეშ მყოფი განაპირა მხარეები. რეფორმამ უფრო გააფართოვა და გააძლიერა მთიელთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ზელიმხანთან ერთად კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩეჩენი და ინგუში ხალხის ღირსეული შვილები — ლუბ ტომაევი, სალამბეკი (სოსლანბეკი) გოვოროჯიევი, აბუბეკარ ხასუევი, ახმეტ ბერგიევი და სხვ. თითოეულ მათგანს ხელსიუფლება მეტად საშიშ პიროვნებად მიიჩნევა და მათ მოსასპობად სპეციალური რაზმები ჰყავდა შექმნილი.

ლუბ ტომაევი ორჯერ იყო გასამართლებული და გადასახლებული ციმბირში. ციმბირიდან პირველადმა გამოქცევისათვის თერგის ოლქის უფროსმა გენერალ კოლუბიაკინმა ტომაევის სოფლის მცხოვრები მოსახლეობა 3 000 მან. დააჯარიმა, მეორედ გამოქცევისათვის 6 000 მანეთად. იგი იყო ზელიმხანის „მარჯვენა ხელი“.<sup>1</sup>

ზელიმხანის თანამებრძოლებიდან გამოირჩეოდა ინგუშეთის სოფელ საგოშის მკვიდრი სალამბეკ გოვოროჯიევი. 1913 წელს ვ. კაზაჩკოვსკიმ გამოსცა ნაშრომი — «Разнон на Кавказе», სადაც ზელიმხანსა და მის თანამებრძოლ აბრეკებს

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 12, оп. 8, д. 374, л. 158.

„რაზბონიკებად“ (ყაჩაღებად) წარმოგვიდგენს, მაგრამ იგი არ მალავს იმ პირად ღირსებებს, რომლებიც გააჩნდათ ზელიმხანსა და სალამბეკს. «С именем Сосланбека связаны самые дерзкие разбои Зелимхана; в то время как Зелимхан одухотворял шайку своей религиозно-политической популярностью, Саламбек производил на шайку магическое действие своей неустрашимостью, своей безумной отвагой».<sup>1</sup>

ზელიმხანის საქმიანობა, როგორც ამას საბჭოური ისტორიოგრაფია წარმოგვიჩენს, არ იყო შეზღუდული მხოლოდ ჩეჩნეთ-ინგუშეთით. მას უამრავი თანამებრძოლი და მხარდამჭერი ჰყავდა დაღესტანში, ჩრდილოეთ ოსეთში, ჩერქეზეთში და ყაბარდო-ბალყარეთში. ზელიმხანის გააქტიურება ჩეჩნეთსა და ინგუშეთში იწვევდა ანტიკოლონიური ტალღის აზვირთებას ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც. ოსეთის, დაღესტანის, ყაბარდო-ბალყარეთის ჩერქეზეთის ადგილობრივი მოსახლეობა ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ უკმაყოფილებას მთავრობის მიმართ, სოფლებიდან და აულებიდან აძევებდნენ ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, აცხადებდნენ დაუმორჩილებლობას, მოითხოვდნენ მმართველობითი ორგანოების არჩევითობასა და სხვ.

კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა ჩრდილოეთ ოსეთის მთისა და ბარის მოსახლეობა.

ალაგირის, მაგომეტანოვსკის, არხონსკის, ხრისტიანოვკის, არდონის, სალუგარდანისა და ჩრდილოეთ ოსეთის სოფლების მოსახლეობა, ისევე, როგორც ვედენსკოეს ოკრუგში სხვ. მცხოვრები ინგუშები, არ ემორჩილებოდნენ კოლონიურ ადმინისტრაციას, სოფლებიდან ერეკებოდნენ ჩინოვნიკებს, მოითხოვდნენ დამსჯელი რაზმების სოფლებიდან გაყვანას, ჯარიმებისა და ეგზეკუციების გაუქმებასა და რაც ყველაზე

<sup>1</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 184.



მეტად აღიზიანებდა და აშფოთებდა ხელისუფლებას, იყო მოთხოვნა – დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ.<sup>1</sup> 1905 წლის 21 დეკემბერს სოფელ ალაგირში თავი მოიყვარა 3 000 შეიარაღებულმა ოსმა. „ჩვენ გამოვცხადდით იმ მიზნით, – კითხულობთ მათ მიერ მიღებულ დოკუმენტში – რომ გავდევნოთ ხელისუფლება, რადგან იგი ჩვენს სისხლს წოვს“.<sup>2</sup> აჯანყებულები თავს დაესხნენ გენერალ ტრეიხგერის, მომრიგებელი მოსამართლისა და პოლიციის უფროსის სახლებს, ციხიდან გაათავისუფლეს პატიმრები. ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩინოვნიკები ელადიკაკაზში გაიქცნენ. მღელვარება ალაგირში სამი დღე გრძელდებოდა. თერგის ოლქის ადმინისტრაციამ ალაგირის წინააღმდეგ გამოიყენა რეგულარული არმიის ნაწილები. ყველა სოფელი, რომლებიც აცხადებდა დაუმორჩილებლობას, იზიარებდა ვედენსკოეს ოკრუგის სოფელ ნეჟილოის ბედს – ნადგურდებოდა არტილერიის ცეცხლით. 1906 წლის იანვარში ინგუშეთის სოფელი მაგომეტანოვსკაია არტილერიის ცეცხლი გადაწვეს, დაიღუპა და დაიჭრა 40-ზე მეტი ადამიანი,<sup>3</sup> ასევე არტილერიის ცეცხლით გადაწვეს სოფლები კადგორონი და ნოგაკაუ, ხოლო სოფელ ნელუელოეს დაეცა 60 ჭურვი.<sup>4</sup> გაზთ «Терские ведомости» – ის მონაცემებით 1906 წლისთვის ეკატერინოდარის ციხეში იჯდა 200, აქედან თერგის ოლქიდან – 278 ხელისუფლებისთვის „საშიში“ მთიელი.<sup>5</sup>

ალაგირის მოვლენებს უკვალოდ არ ჩაუვლია. კავკასიის მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვი დეპეშით ატყობინებდა (1905 წ. 31 დეკემბერი) რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს, რომ

<sup>1</sup> Советская Осетия..., დოკ. №126.

<sup>2</sup> Советская Осетия..., დოკ. №24, გვ. 140.

<sup>3</sup> იქვე. დოკ. 165, გვ. 50.

<sup>4</sup> გაზ. «Правда», №69, 1906 (ბოლშევიკური პრავდის გამოცემა დაიწყო 1912).

<sup>5</sup> გაზ. «Терские ведомости», №9.

«На Северном кавказе, почти совершенно отрезанном от Закавказья, революционное движение охватило всю Осетию...».<sup>1</sup> ვორონცოვ-დაშკოვის დეპეშაც ნათლად მეტყველებს, რომ ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს აფასებდა, როგორც რევოლუციურ გამოსვლებს, მაშინ როდესაც მთიელთა ბრძოლა თავისი ხასიათით იყო ანტიკოლონიური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ნაწილი.

ალაგირის მღელვარებამ ბიძგი მისცა ოსეთის მთისა და ბარის მოსახლეობის ანტიკოლონიურ გამოსვლებს. ვლადიკავკაზის ოკრუგის 3 უბნის 50 ათასმა ოსმა მხარი დაუჭირა ალაგირის მოსახლეობის მოთხოვნებს. თერგის ოლქის უფროსი კოლუბიაკინი კავკასიის მეფის ნაცვალს ატყობინებდა: «В горском населении... тлеет искра всеобщего восстания...».<sup>2</sup>

აღნიშნულ პერიოდში, განსაკუთრებით ფართო და ენერგიული ხასიათი მიიღო ანტიკოლონიურმა მოძრაობამ ყაბარდო-ბალყარეთში და დაღესტანში, რომელიც, ძირითადად, სტოლიპინის რეფორმის მახინჯი ფორმით განხორციელების გამო იყო გამოწვეული.

ზოლკის მოვლენებს და ყაბარდოელი და ბალყარელი ხალხების სხვა ანტიკოლონიურ აქციებს, როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული თავისი მიზეზები გააჩნდა.

საბჭოური ისტორიოგრაფიის მტკიცებით, ზოლკისა და მთიელი ხალხის სხვა საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია რუსეთის ახალმა რევოლუციურმა ტალღამ და ბოლშევიკების, კერძოდ, ს. კიროვის აქტიურმა მოღვაწეობამ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მთიელთა მშვიდობიანი თუ შეიარაღებული ხასიათის გამოსვლები კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო

<sup>1</sup> Советская Осетия..., დოკ. 944.

<sup>2</sup> Советская Осетия..., დოკ. 126.

მიმართული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა.

1822 წლის აჯანყების დამთავრების შემდგომ, ყაბარდოელებს რუსეთის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ხელისუფლება იძულებული გახდა დროებით დათმობებზე წასულიყო. 1844 წელს ყაბარდოელებს დროებითი სარგებლობის უფლებით დაურიგდათ ზოლკის საძოვრები; 1859 წელს კავკასიის არმიის სარდლის ბრძანებით კიბალკიდან ყარაჩაის საზღვრამდე საკორდონო მიწების საძოვრებად გამოყენების უფლება მიეცათ —<sup>1</sup> ამ დადგენილებამდე, ყაბარდოელები და ბალყარები იძულებულნი იყვნენ ყოფილი მათი საძოვრები რუსი კოლონიზატორებისაგან არენდით აეღოთ. «На арендуемых кабардинцами землях Кумской и Государственной станиц, в степя Ставропольской губернии ежегодного посетя до 30 тысяч табунных лошадей, до 700 тысяч (вместе с Малой Кабардой) овец и до 190 тысяч голов рогатого скота».<sup>2</sup>

— წერდა ჯერ კიდევ 1928 წელს ისტორიკოსი ს.ი. მესიაცი.

მიუხედავად რეპრესიებისა, მთიელთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის არ ცხრებოდა. კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა სახელმწიფოსა და კაზაკების მიერ მიტაცებული ტყის მასივების ჩეხვა. ყაბარდო-ბალყარეთის ტყის მასივები სახელმწიფომ და კაზაკებმა მიისაკუთრეს. მოსახლეობას მისი გამოყენების უფლება არ ჰქონდა. ამ მხრივ, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მცირე ყაბარდოს ყველა, ათივე სოფლის მცხოვრებნი. სოფელ ხაპცევოს მკვიდრი სამართლიანად აღნიშნავდა: «Кругом земля и

<sup>1</sup> Г.Э. Кокисв. Крестьянская реформа в Кабарде, Нальчик, 1947, გვ. 218.

<sup>2</sup> С.И. Месяц. Население и земледелие Кабарды, Воронеж, 1928, გვ. 140.

лес у самого селения, но мы не имеем право ни одной хворостины срубить, ни одной борозды распахать...».<sup>1</sup>

სოფელ ხაპცევოს (ამჟამად ხამიდიე) თავკაცის ხამიდ შამურზოვის ხელმძღვანელობით მოსახლეობა შეშის დასამზადებლად ტყის მასივში შეიჭრა. ხე-ტყით დატვირთული ურმებით ტყიდან გამოსულ მთიელებს სამხედრო რაზმმა გზა გადაუჭრა. ხაპცეველებმა მოჭრილი ხე-ტყე არ დათმეს და სამხედრო რაზმს გაუწიეს წინააღმდეგობა. შეტაკებისას დაიჭრა ათეულობით მთიელი, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ შეუწყვეტიათ. ხაპცეველებს მხარი დაუჭირა მცირე ყაბარდოს სოფლებმა. ასე, მაგალითად, სოფელ ქვედა კურპის მოსახლეობამ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, დაიბრუნა ხაზინის მიერ მიტაცებული მიწები; სოფელ ახლოვოს მცხოვრებლებმა მიბაძეს ხაპცევოელებს – დაიწყეს ტყის ჩეხვა, არ დაემორჩილნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის მოთხოვნებს. თერგის ოლქის დროებითი გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით მცირე ყაბარდოში გაიგზავნა მრავალრიცხოვანი დამსჯელი რაზმი არტილერიის თანხლებით, რომელსაც კადეტების გაზეთი «Речь» აფასებდა, როგორც «Поход против Кабардинцев».<sup>2</sup> სოფელმა ხაპცევომ დამსჯელ რაზმს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაშინ რუსებმა. სოფელი არტილერიის ცეცხლით გადაწვეს; ცოცხლად დარჩენილ მოსახლეობამ ტყეს შეაფარა თავი. ხელისუფლება მცირე ყაბარდოს აჯანყებულ სოფლებს სასტიკად გაუსწორდა.

აჯანყების აქტიური მონაწილეები დაპატიმრებული და ციხიბრში იქნა გადასახლებული, დანარჩენ მოსახლეობას კონტრიბუციის გადახდა დაუწესეს. სოფელ ახლოვოს მოსახლეობა თავიანთ საჩივარში დამსჯელი რაზმის რეპრესიების

<sup>1</sup> ყაბარდო-ბალყარეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არქივი, ფოლკლორის ფონდი, საქ. 9, ფურც. 98.

გაზ. «Речь», 1906, 17 დეკემბერი.

შესახებ წერდა: «В малую Кабарду был послан карательный отряд... с орудиями... Отряд этот разъезжал из селения в селение, производя крупные взыскания... выстрелами из орудия навел на все наше мирное население полнейший страх. Во всех десяти малокабардинских селениях начальник отряда требовал выдачи порочных членов общества... причем сам назначил количества лиц подлежащих выдаче... Свыше ста человек карательный отряд увел с собой в Моздокскую тюрьму».<sup>1</sup>

ანტიკოლონიურ მღელვარებას ადგილი ჰქონდა დაღესტნის ხუნძახის, კურენსკის, ავარიის, ანდრიის, კაიტაგო-ტაბასარანის, თემირ-ხანშურიანსკის ოკრუგებში. 1906 წ. ხუნძახის მახლობლად დაბანაკებულმა კაზაკთა პოლკმა საძოვრები მიითვისეს. აღშფოთებული ხუნძახელები თავს დაესხნენ კაზაკებს, განდევნეს ისინი და რამდენიმე დაატყვევეს. გარნიზონის უფროსის მოთხოვნას ხუნძახელები არ დაემორჩილნენ, სანამ საძოვრებიდან გარნიზონის ცხენები არ იქნა გარეკილი.<sup>2</sup>

ტაბასარანის 40 სოფლის და კუმტირკალის მოსახლეობამ ოკრუგის ადმინისტრაციას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, მათ ოკრუგის უფროსი გააფრთხილეს, თუ იგი მომავალში ჩაერეოდა სოფლის საშინაო საქმეებში, იძულებული გახდებოდა იარაღით გაუსწორდნენ მას და ოკრუგის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებს. ოკრუგის უფროსმა თავს გაქცევით უშველა. ოლქის უფროსის ბრძანებით, სოფელს დამსჯელი რაზმი შეესია, რომელიც იქვე დიდი ხნით დატოვებული იქნა, ხოლო კუმტირკალელებს

<sup>1</sup> И.Ф. Мужев Национально-освободительная..., გვ. 95-96.

<sup>2</sup> Очерки истории Дагестана..., გვ. 254.

დაეკისრათ მათი უზრუნველყოფა ბინითა და საკვებით.<sup>1</sup> განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარიმის გარდა, სოფლებს შესეული სამხედრო რაზმები მთიელებს ძალით ართმევდნენ უკანასკნელ ლუკმას, უანგარიშოდ და უზომოდ ზოცავდნენ ფრინველსა და საქონელს, უნადგურებდნენ მოსავალს.

იმპერიის ყველაზე საშიში და დაუძინებელი მტრის, ორგანიზებულ აბრეკთა პარტიზანული რაზმების განადგურება ხელისუფლებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა გახდა.

აბრეკებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს კოლონიურ ადმინისტრაციას. გახშირდა ზელიმხანისა და მისი მხარდამჭერი აბრეკების თავდასხმები სახელმწიფო დაწესებულებებზე. ზელიმხანის გამოჩენა ჩრდილოეთ კავკასიის ამა თუ იმ რეგიონში იწვევდა მთიელების საპროტესტო აქციებს კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ. მისი ავტორიტეტი იმდენად დიდი და შეუბღალავი იყო, რომ მის სახელს თავისი მიზნებისათვის შეიხები და მულებიც იყენებდნენ.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი თერგის ოლქის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდა აბრეკების მიმართ გადამჭრელი ზომების მიღებას, რომლებიც სერიოზულ საშიშროებას უქმნიდნენ რუსეთის ხელისუფლებას კავკასიაში. მისი ბრძანებით პოლიციისათვის დაშვებული იქნა დამატებითი სამტატო ერთეულები, გაფართოვდა აგენტურული ქსელი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნის, თითქმის ყველა სოფელში ჩადგა სადამსჯელო სამხედრო რაზმები. ნიკოლოზ II-ის მითითებით კავკასიაში დამატებით შემოყვანილი იქნა 12 ქვეითი ბატალიონი.<sup>2</sup> 1907 წლის დეკემბერში, ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით, დაღესტანში შეიქმნა „კავკასიის რაიონული დაცვის განყოფილება“, თემირ-

<sup>1</sup> იქვე. გვ. 332.

<sup>2</sup> Очерки истории Дагестана..., გვ. 264.

ხანშურში, პეტროვკაში, დერბენდში და სხვ. ქალაქებში შემოყვანილი იქნა დამატებითი სამხედრო ძალები და პოლიცია.<sup>1</sup>

ზელიმხანისა და სხვა აბრეკების გააქტიურებას მთავრობა უდანაშაულო ადამიანების დასჯით პასუხობდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა პოლკოვნიკი გალოვეი. იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით სჯიდა აბრეკების ოჯახის წევრებს, ნათესავებს, თანასოფლელებს. ზელიმხანმა იგი რამდენიმეჯერ წერილობით გააფრთხილა, რათა შეეწყვიტა უდანაშაულო ადამიანების დევნა. გალოვეი კი ამკაცრებდა რეპრესიებს მოსახლეობის მიმართ. 1908 წლის ივნისში პოლკოვნიკი გალოვეი ზელიმხანის მიერ ლიკვიდირებულ იქნა. ამის გამო ვედენსკოეს ოკრუგის 5 მთისა და 6 ბარის უბნის მოსახლეობა 16 246 მანეთით დააჯარიმეს.<sup>2</sup>

1909 წ. დასაწყისში ზელიმხანის ლიკვიდაციისათვის შეიქმნა სპეციალური რაზმი პოლკოვნიკ ვერბიცკის მეთაურობით, ზოლო იმ პირს, ვინც მას მოკლავდა, ჯილდო 3000 მანეთიდან 8000 მანეთამდე გაუზარდეს.<sup>3</sup> ზელიმხანის მიერ მაღალჩინოსნის მკვლელობა არ იყო პირველი შემთხვევა. მან, ჯერ კიდევ, 1906 წელს, როგორც ვიცით, სიცოცხლეს გამოასალმა პოლკოვნიკი დობროვოლსკი. იგი ჯერ სუნჟენსკის განყოფილების, შემდომ — ვედენსკოეს ოკრუგის უფროსი იყო. მის სადისტურ დამოკიდებულებას ინგუში მოსახლეობის მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. დობროვოლსკი თავისი სურვილისამებრ ზერეტდა, აწამებდა, ციხეში და ციმბირში აგზავნიდა ასეულობით უდანაშაულო ადამიანს. მან 1901 წ., გამოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე მოკლა აბრეკი დაურბეკოვი, სრულიად უდანაშაულო ინგუში გ. მალსაგოვი და სხვა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> იქვე. გვ. 264.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф. 20, оп. 1, д. 3273, л. 3.

<sup>3</sup> ЦГА СОАССР...

<sup>4</sup> Очерки истории Дагестана..., გვ. 78.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მთიელების მიმართ მასიური ტერორი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აამაღლა. გუბერნატორები, ოლქის, ოკრუგისა და განყოფილებების უფროსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მთიელთა მიმართ რეპრესიული ზომების გამკაცრების საქმეში. ვინც მეტ უღმობელობასა და სიძულვილს იჩენდა, მას ახალისებდნენ, აძლევდნენ ფულად ჯილდოებს და სწრაფად აწინაურებდნენ.

რეპრესიული ზომების გამკაცრების კვალობაზე, ზელიმხანმა გაააქტიურა ბრძოლა კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ; იმატა ექსპროპრიაციებისა და ტერორისტული აქტების რიცხვმა. თერგის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ვერბიცკისაგან მოითხოვდა ზელიმხანის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების ჩატარებას, რასაც უუნარო და კაცთმოძულე პოლკოვნიკი ვერ ახერხებდა და ჯავრს მშვიდობიან მოსახლეობაზე იყრიდა. ზელიმხანის წინააღმდეგ მიმართული უშედეგო ოპერაციებიდან დაბრუნებული ვერბიცკი თავისი რაზმით თავს ესხმოდა სოფლებს, განუკითხავად ხერხტდა უდანაშაულო ადამიანებს, ანადგურებდა მათ კარმიდამოს. ასე, მაგალითად, იგი თავს დაესხა ინგუშეთის სოფელ ცორს და მიწასთან გაასწორა, გუდერმესის ბაზარში მოკლა და დაჭრა ათეულობით უდანაშაულო ადამიანი.<sup>1</sup> ზელიმხანმა გადაწყვიტა ვერბიცკის მოკვლა, მაგრამ თანამებრძოლებმა ურჩიეს, რომ პოლკოვნიკის მიმართ არ განახორციელებინა ტერორისტული აქტი, რადგან ამას ხელისუფლების მხრიდან ბევრი უდანაშაულო ადამიანის დასჯა მოჰყვებოდა. ზელიმხანს ვერ წარმოედგინა, ვერბიცკის, რომელმაც ათეულობით ინგუში სიცოცხლეს გამოასალმა და სოფლები გაანადგურა, დაუსჯელად დატოვება. ვერბიცკის მრავალრიცხოვან რაზმთან პირისპირ შეტაკება კი აბრეკთა მხრიდან დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა.

<sup>1</sup> გაზ. «Терские ведомости», №92, 1910.



ზელიმხანმა შეიმუშავა ვერბიცკის დასჯის საკუთარი მოქმედების გეგმა, რომლის თანახმად, მას უნდა განეხორციელებინა ვერბიცკის რაზმის მოქმედების არეალში, მოულოდნელი თავდასხმები სახელმწიფო დაწესებულებებზე, ბანაკებზე, სალაროებზე, რაც გამოიწვევდა თერგის ადმინისტრაციის უკმაყოფილებას პოლკოვნიკის მიმართ და მის სათანადოდ დასჯას. 1910 წლის იანვარში ზელიმხანი თავს დაესხა გროზნოს სადგურს და სალაროდან გაიტაცა 18 ათასი მანეთი,<sup>1</sup> ამის შემდგომ, მზადება დაიწყო ყიზლარის ხაზინაზე თავდასხმისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზელიმხანმა ერთი კვირით ადრე შეუთვალა ვერბიცკის: „ეს არაფერია, ყიზლარში მოვიღივარ, თუ ვაჟაკი ხარ, იქ დამიხვდი, შე ლაჩარო, ღიაყო ატამანო“!

9 აპრილს, დღის 12 საათზე ყიზლარში შემოვიდა სამრიგად ჩამწკრივებული 60 ცხენოსანი, რომელსაც წინ ბედაურით მოუძღოდა მკაცრი გარეგნობის პოლკოვნიკი. რომელსაც გზაში სამხედრო პირები მოწინებით მხედრულ სალამს აძლევდნენ. არავის არ შეპარვია ეჭვი, რომ ცხენოსანი ჯარისკაცები იყვნენ აბრეკები და მათ წინ მოუძღოდა ლეგენდარული პიროვნება — ზელიმხანი.

ზელიმხანი ელვისებური სისწრაფით თავს დაესხა ხაზინას და წაიღო ორი ხურჯინი ფული.<sup>2</sup> ვერბიცკი 200 ჯარისკაცით დაეღვენა ზელიმხანს. შუა ქალაქში, ხიდზე გაიმართა ბრძოლა, ზელიმხანისა და მისი რაზმელების გადარჩენას არავინ ელოდა. ზელიმხანმა ხშირი, განუწყვეტელი სროლით რაზმი ცხენებით მდინარეში შეაგლო და სწრაფად ცურვით მოპირდაპირე ნაპირზე გადაიყვანა. აბრეკებიდან არავინ მოუკლავთ და დაუჭრიათ, ხოლო ვერბიცკის მოუკლეს 19 და დაუჭრეს 7 ჯარისკაცი.

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 106, оп. 1, д. 2, л. 44.

<sup>2</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 108.

ზელიმხანმა მიაღწია თავის მიზანს — ვერბიცკი, უნარობისა და უმოქმედობისათვის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, დაკავებული თანამდებობიდან მოხსნეს ღამისი საქმე სასამართლოს გადასცეს.

ზელიმხანის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების ჩატარება დაევალა ნაზრანის ოკრუგის უფროსს, გვარდიის პოლკოვნიკ თავად ანდრონიკოვს, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო. ანდრონიკოვის სამხედრო შენაერთი შედგებოდა 2000 ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან. მან ვედენოს ოლქის ყველა ხიდი, გზა და აული დაიკავა. „ჩემი წმინდა მოვალეობაა, თუ გინდ სიცოცხლეც შევწირო — წერდა პოლკოვნიკი თავის ერთ-ერთ მეგობარს — გავანადგურო ეს უსინდისო, მხდალი ზელიმხანი, რომელიც მხოლოდ კლდეზე ამოფარებით თავს ესხმის ხალხს“.<sup>1</sup> ანდრონიკოვმა დაიწყო აულების აწიოკება და განადგურება, დაპატიმრა ზელიმხანის ცოლ-შვილი, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო. ზელიმხანმა, როგორც კი გაიგო მისი ცოლ-შვილის დაპატიმრების ამბავი, ხელში ჩაიგდო ანდრონიკოვის რაზმის ოფიცერი ინგუში გაბადიევი და უთხრა: „ანდრონიკოვმა დიდი ზიანი მიაყენა მთიელებს, მას ჩემს წინააღმდეგ ჰყავს ორიათასიანი ჯარისკაცი, მაგრამ გადაეცი თავადს, რომ მისი დღეები დათვლილია და მალე წარდგება „ღვთის სამსჯავროს წინაშე“, ხოლო შენ კი გაბადიევი დარჩი მთიელი, ინგუში და არა ოფიცერი — თორემ...“.<sup>2</sup> თავზარდაცემულმა ოფიცერმა ანდრონიკოვილს მოახსენა ზელიმხანის მუქარის შესახებ.

ზელიმხანი და მისი რამდენიმე თანამებრძოლი მღ. ასის ხიდთან, მიუვალ კლდის თავზე ჩაუსაფრდნენ ანდრონიკოვს. ერთდროულად სამი თოფი გავარდა და შუა ხიდთან, ცხენიდან სამი მხედარი გადმოვარდა, მათ შორის, იყო სასიკვდილოდ დაჭრილი გვარდიის პოლკოვნიკი ანდრონიკოვი. გავრცელდა ხმა,

<sup>1</sup> ან. შალიკაძე. ზელიმხანი..., გვ. 23.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 24-26.

რომ თავადი ანდრონიკოვი სასიკვდილოდ დაჭრა ზელიმხანის მეგობარმა ინგუშმა აბრეკმა პოსკომ. ზელიმხანს პოლკოვნიკის მოკლის თაობაზე კომენტარები არ გაუკეთებია და არც პოსკოს დაცდენია ხმა ამის შესახებ.

თერგის ოლქის უფროსი გენ. მიხევეი მეფისნაცვალს წერდა: «Непрекращающаяся деятельность абрека Зелимхана, значение, как это ни грустно, очень велико, а потому и уничтожение которого должно явиться задачей первостепенной важности... Он завоевал умы и настроение народа, пользуется репутацией народного героя и широким укрывательством окружающих».<sup>1</sup>

ანდრონიკოვის მკვლელობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. ლიბერალური რუსული პრესა და საზოგადოება აღნიშნავდნენ, რომ ასის ხეობაში კიდევ ერთხელ დამტკიცდა ხელისუფლების უსუსურობა და სიმხდალე. მთის არწივმა (ბოლო ღროს ასე ეძახდნენ ზელიმხანს) სამი თოფის გასროლით ორიათასიანი სამხედრო ექსპედიცია ჩაიშალა.

ხელისუფლებამ თავად ანდრონიკოვის მკვლელობის საპასუხოდ ზელიმხანის მეუღლე და 4 მცირეწლოვანი შვილი სასწრაფოდ ციმბირში გადაასახლა; სპეცრაზმის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი მარღანია (ზოგან დოკუმენტებში მოხსენებულია — მორღანია).

მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა გროზნოში სპეციალური დავალებით მიავლინა თავისი თანაშემწე გენ. შატილოვი. შატალოვის მივლინება გროზნოში იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მან თავის ვაგონში ჩაატარა

---

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 8, д. 375, л. 77.

თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ თერგის ოლქის უფროსი გენ. მიხევეი, პოლკოვნიკი მარღანია და სხვ.<sup>1</sup>

თათბირზე აღინიშნა ზელიმხანისა და „ზელიმხანშჩინის“ ხანგრძლივი არსებობის შემდეგი მიზეზები: 1. ადგილობრივი მოსახლეობის მფარველობა; 2. მაჰმადიანური სექტის „ზიკრას“ მხარდაჭერა, რომლის წევრები არიან ზელიმხანის რაზმის წევრთა უმრავლესობა; 3. სასულიერო პირების მხარდაჭერა. თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: 1. ჩენეთის ყველა სოფელში გაიგზავნოს დამსჯელი რაზმები; 2. გადასახლებული იქნეს 7 შეიხი; 3. აულებში დაინიშნოს მთაერობის მამასახლისები; 3. დაინგრეს ის სოფლები, რომლებიც განსაკუთრებით მფარველობს ზელიმხანს; 4. ერთი თვის განმავლობაში, ჯარის ნაწილების დახმარებით, გროზნოსა და ვედენოს მაზრის მცხოვრებლებიდან ამოღებული იქნეს 100 ათასი რუბლი და სხვა მკაცრი ღონისძიებები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მოსპობასა და ეთნიკურ წმენდას ითვალისწინებდა.<sup>2</sup>

23 სექტემბერს თერგის ოლქის უფროსმა გენ. მიხევემა ატამანის სასახლეში მოიწვია ინგუშეთის ყველა სოფლის საზოგადოების მამასახლისები („სტაროსტები“), სადაც წარმოთქვა მუქარით სავსე სიტყვა: «Я высказываю ингушскому народу наше общее негодование по поводу вашей незаконной жизни и поведения, — მიმართა ინგუშების წარჩინებულ პირებს თავაწყვეტილმა და თავგასულმა გენერალმა — завершившихся ужасным случаем в Ассинском ущелье. Вы напали на русский военный отряд, вы пошли на зов Зелимхана... Зелимхан был в ауле Назран и жители давали ему патроны...»

<sup>1</sup> Ник. Брио. Зелимхан, «Русское слово», 29 სექტემბერი, 1910.

<sup>2</sup> ან. შალიკაძე. ზელიმხანი..., გვ. 30.

«Это оставить безнаказанно нельзя».<sup>1</sup>

გენერალი მიხეევი, კავკასიის მეფისნაცვალ ვოროცოვ-დაშკოვთან შეთანხმებით, შეუდგა თავისი მუქარის სისრულეში მოყვანას: მისი ბრძანებით ასისის ხეობის, განსაკუთრებით კი, აულები ნელზი და ერში, მთლიანად გადაწვეს, მოსახლეობისაგან სასწრაფოდ ამოიღეს 40000 რუბლი, ხოლო კონტრიბუციის სახით — 25000 რუბლი<sup>2</sup> გაუქმებული იქნა სოფლის „სტაროსტების“ არჩევითობა; გაძლიერდა რკინიგზის დაცვა, შეიქმნა დამატებითი ბლოკოსტები, ჩეჩნებსა და ინგუშებს აულიდან აულში თავისუფალი გადაადგილება აუკრძალეს.<sup>3</sup> მხოლოდ ნაზრანის ოლქის სოფლებში გალაკში, ლატიხში, ალკუნში და მუჟიჩინში იღვა 300 ჯარისკაცი და ოფიცერი.<sup>4</sup> იმდენად მძიმე იყო სოფლებში ჩაყენებული რაზმების სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა, რომ ამის გამო კაზაკებმაც კი გამოხატეს უკმაყოფილება. სუნჟენსკის განყოფილების ერთ-ერთი „სტანიცი“ კაზაკებმა თავიანთ ატამანს შესჩივლეს, რომ სამხედრო რაზმის ყოფნა ჩვენს „სტანიცაში“ მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. ინგუშეთის რამოდენიმე სოფლის მოსახლეობამ მოითხოვა, სოფლებიდან სამხედრო რაზმების გაყვანა, ბლოკოსტების გაუქმება, ეგზეკუციების აკრძალვა და ხელისუფლებას დაუმორჩლებლობა გამოუცხადა. კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ბრძანებით ინგუშეთის მთის ზოლის სოფლები არტილერიის ცეცხლით მიწასთან გაასწორეს. განსაკუთრებით მკაცრად დასაჯეს საგოპშის, ნელიხასა და კოკას აულების მოსახლეობა — სოფლები გადაწვეს, მოსახლეობა ციმბირში გაასახლეს. ინგუშეთის მთის 6 აულის მოსახლეობა 40 ათასი მანეთით დააჯარიმეს. იმდენად არაადამიანური და

<sup>1</sup> გაზ. «Русское слово», 23 სექტემბერი, 1910.

<sup>2</sup> გაზ. «Русское слово», 23 სექტემბერი, 1910.

<sup>3</sup> Ник. Брио. Зелымхан, «Русское слово», 29 სექტემბერი, 1910.

<sup>4</sup> ЦГА СОАССР, ф. 12, д. 376, л. 87.

სადისტური იყო თერგის ოლქის ადმინისტრაციის ქმედება, რომ სახელმწიფო დუმის 58-მა დეპუტატმა მოითხოვა საქმის გამოძიება.

რუსეთის ექსტრემისტული პოლიტიკური პარტიებიც ცდილობდნენ ზელიმხანთან კავშირის დამყარებასა და მისი სახელის, პარტიის მიზნებისთვის გამოყენებას. იგი, მხოლოდ 1910 წლის აპრილში დაეთანხმა სომხეთის ანარქისტულ-ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრას. შეხვედრა კონსპირაციის ყველა წესის დაცვით განხორციელდა. შეხვედრას ზელიმხანის მხრიდან ესწრებოდა 22 პიროვნება, ანარქისტების მხრიდან – 5. თათბირზე დამსწრეთა შორის ორი პიროვნება ჟანდარმერიის აგენტი აღმოჩნდა, ბუნებრივია, თათბირის დამთავრების შემდგომ აგენტებმა თავიანთ ხელმძღვანელობას ამ შეხვედრის შესახებ აცნობეს.<sup>1</sup> ამ ორ უცნობ აგენტს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდა ზელიმხანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. წერილობითი დოკუმენტი შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ არ არსებობს, მაგრამ უდავოა, რომ ზელიმხანმა მიიღო ანარქისტ-ტერორისტთა წინადადება ერთობლივი მოქმედების შესახებ. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ზელიმხანის მიერ შემთხვევით დაკარგულ ჩანთაში, სხვა ნივთებთან ერთად, აღმოჩნდა კაუჩუკის ბეჭედი წარწერით: «Группа Кавказских горных анархистов - террористов. Атаман Зелымхан».<sup>2</sup>

აბრეკის კავშირს ანარქისტებთან ამტკიცებს ისიც, რომ ჟანდარმერიამ ირკუტსკში დააკავა რუსი ანარქისტი, რომელმაც განაცხადა, რომ ის დიდხანს ცხოვრობდა ჩერნეთში ზელიმხანთან. ადგილზე შემოწმების შედეგად, ანარქისტის

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 106, оп. 1, д. 19, л. 355-356.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, д. 35, л. 74.

ჩვენება დადასტურდა, მხოლოდ ზელიმზანი გაუჩინარდა. დიდი ავტორიტეტის მქონე აბრეკის კავშირმა ანარქისტებთან ძალზე შეაშფოთა კაკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაცია. მეფისნაცვალი მოითხოვდა ზელიმზანისა და მისი თანამებრძოლი აბრეკების გასანადგურებლად დამსჯელი სამხედრო რაზმების გაზრდას.

ზელიმზანის თანამებრძოლს სალამბეკს ხუთი თვე ფეხდაფეხ მისდევდა სპეციალური დანიშნულების რაზმი. 1910 წლის ნოემბერში სპეცრაზმმა ალყაში მოაქცია სოფელი, სადაც სალამბეკი იმყოფებოდა.<sup>1</sup> იგი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაბარდა სპეცრაზმს, რითაც სოფელს აარიდა არტილერიის ცეცხლი და განადგურება. თერგის ოლქის დროებით გენერალ-გუბერნატორმა მიხეევმა, სალამბეკს მისცა პირობა, რომ სიკვდილს დახვრეტით მიუსჯიდნენ. გენერალმა მიცემული პირობა არ შეასრულა – სალამბეკი ჩამოახრჩვეს.

1911 წლის მარტში კაზაკების რაზმმა სოფელ სტარიე ატაგში მოკლა ზელიმზანის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ლუბ ტომაევი, რომლის შესახებ მკვლევები დიდი აღფრთოვანებით ატყობინებენ თერგის ოლქის ხელმძღვანელობას: «Со смертью Люба Томаева Терская область избавилась от самого серьезного и предприимчивого абрека».<sup>2</sup>

ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა ან ციმბირში გადაასახლა ზელიმზანის უახლოესი თანამებრძოლები ახმედ ბერგიევი, ხასუევი, სალამბეკი და სხვ.<sup>3</sup>

1910 წ. სექტემბრიდან, თავადი ანდრონიკოვის სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ, პოლკოვნიკი მარლანია თავდადებით

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, д. 46, л. 25.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, ф. 106, оп. 46, д. 19, л. 326.

<sup>3</sup> ЦГА СОАССР, ф. 12, оп. 8, д. 375, л. 7.

ცდილობდა ზელიმხანის შეპყრობას. მან ბევრჯერ მიაგნო ზელიმხანის ადგილსამყოფელს, მაგრამ იგი როგორც სასწაულმოქმედი ახერხებდა გაუჩინარებას. ზალიმხანს მობეზრდა მარლანიასთან დამალობანას თამაში. 1911 წ. სოფლის გზაზე, თავისი რაზმით მიმავალი მარლანიას პირისპირ, უეცრად ზელიმხანი აღმოჩნდა. მარლანია და მისი რაზმი შიშისაგან ადგილზე გაქვავდნენ, ზელიმხანმა მათ თოფების დაყრა და მიწაზე დაწოლა უბრძანა. რაზმის წევრები, რომლებიც შეეცადნენ თოფის მომარჯვებას, იმ წამსვე განგმირულნი მიწაზე დაენარცხნენ, ხოლო ზელიმხანი ელვისებური სისწრაფით ტყეში შევარდა. იგი ტყეში ისე გაუჩინარდა, რომ მარლანიამ მის კვალსაც ვერ მიაგნო. შერცხვენილი და დამცირებული პოლკოვნიკი ბანაკში დაბრუნდა.

1911 წლის აპრილში თერგის ოლქის უფროსი კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა, რომ ამ დროისთვის მხოლოდ ზელიმხანი დაგვრჩა დაუჭერელი, რომლის წინააღმდეგ მიმართული ყველა ღონისძიება განუხორციელებელი დარჩა. «В настоящее время остается непойманым один Зелимхан, — წერდა თერგის ოლქის უფროსი კავკასიის მთავარმართებელს — Самый крупный, самый важный и злорадный абрек».<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზელიმხანს ჩამოაშორეს უახლოესი თანამებრძოლები, იგი მაინც აგრძელებდა თავდასხმებს სახელმწიფო დაწესებულებებზე, ჩინოვნიკებზე, მოღალატეებზე, მოუწოდებდა მთიულებს დაუმორჩილებლობისაკენ. მის ყოველ აქციას დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა მთიელი ხალხი. იგი ისე გაუსხლტებოდა სპეცრაზმს და გაუჩინარდებოდა, რომ მის მტრებშიც იწვევდა განცვიფრებასა და პატივისცემას. როცა ხელისუფლებას ეგონა, რომ ზელიმხანი ალყაში და იზოლირებული იყო, იგი ჩეჩნეთის ან ინგუშეთის სულ სხვა

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, л. 77.



რეგიონში ახორციელებდა თავდასხმებს. ასე მაგალითად, მან ზედიზედ განახორციელა თავდასხმები ცნობილი ვაჭრების რუსეცკის, შახმანოვისა და ვანშეგინის მალაზიებზე, ხასაეიურტის მე-2 უბნის უფროსის რეზიდენციაზე, ანდრეევსკის, მუშკაევსკის და სხვ. „სტანიცების“ მმართველობით ორგანოებზე.<sup>1</sup> «Вся чечня, как горная, так и плоскости, – натоқамиа ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში – фактически принимает участие в разбойных действиях абрека».<sup>2</sup>

ზელიმხანი ხელისუფლებისათვის მხოლოდ «разбойники», (ყაჩაღი) იყო, მთიელებისთვის კი – ეროვნული გმირი. ვედენსკოეს ოკრუგის უფროსი თავადი კარალოვი, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა ზელიმხანს, გულლიად წერდა მის შესახებ: «Громкие успехи в делах, помощь, оказываемая его родственниками, симпатии некоторой части туземного населения и преступный интерес, щедро удаляемый этому разбойнику в печати репортерами, возвал его на пьедестал легендарного героя, в честь которого слагаются и распеваются песни в Чечне и Дагестане, в особенности же в соседнем Андийском, где Зелимхан, как у себя дома имеет сторонников-укрывателей».<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ ზელიმხანი ამოღებულ ძვირფასეულობას და ფულს ურიგებდა ეკონომიურად მძიმე პირობებში მყოფ მთიელებს, ციმბირში გადასახლებული და სიკვდილით დასჯილი პირების ოჯახის წევრებს. ამას ზელიმხანიც ადასტურებს თავის ცნობილ წერილში: «Хозяйства как сосланных, так и

---

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, л. 77.

<sup>2</sup> ЦГА СОАССР, л. 77.

<sup>3</sup> ЦГА СОАССР, ф. 106, оп. 1, д. 46, л. 57.

заклученных совершенно разорились, жены и дети их живут подаянием добрых людей... я выделяю им из своего добра после удачного набега...».<sup>1</sup> ზელიმხანი, რომ პირადი გამდიდრების მიზნით არ გამხდარა აბრეკი, ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი რუსი ოფიცრის წერილიც, რომელიც მან ზელიმხანთან შეხვედრის შემდგომ დაწერა: «...Он был в простой серой черкаске домотканного сукна, с хорошим кинжалом и карабином драгунского образца. Его спутники были одеты также небогато».<sup>2</sup> ხელისფლების აგენტებიც ადასტურებდნენ, რომ ზელიმხანი არ მდიდრდებოდა და ფულს ურიგებდა ღარიბებს.<sup>3</sup> «Даже – წერდა ერთ-ერთი აგენტი – родственникам из добычи Зелимхана ничего не доставалось».<sup>4</sup>

ზელიმხანს ცოლ-შვილის ციმბირიდან დაბრუნების ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. მან, ცოლ-შვილის ციმბირიდან დაბრუნების ერთადერთ საშუალებად მალალი ჩინოსანი რუსი მოხელის – რკინიგზის გზათა მშენებელი ინჟინერის იუჩინსკის მძევლად აყვანა მიიჩნია. 1911 წლის 15 სექტემბერს მცირე კერკეტის უღელტეხილზე ზელიმხანს მოუხდა სამხედრო რაზმთან შეტაკება, სადაც დაიღუპა 14 ჯარისკაცი და მისი 16 წლის ძმისშვილი.<sup>5</sup> თერგის ოლქის ადმინისტრაციისათვის 14 ჯარისკაცის დაღუპვა დიდი დარტყმა იყო. პრესა აღანაშაულებდა თერგის ადმინისტრაციას უპასუხისმგებლობასა და უნიათობაში, სამხედრო რაზმების უნიჭო და გაუწვრთნელი ახალბედა ჯარისკაცებით დაკომპლექტების საქმეში, რომელთა განადგურება

<sup>1</sup> ЦГА СОАССР, ф. 57.

<sup>2</sup> Кавказские разбойники, გვ. 116.

<sup>3</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 111.

<sup>4</sup> ЦГА СОАССР, д. 13, ф. 229.

<sup>5</sup> გაზ. «Терские ведомости», 20 სექტემბერი, 1911; В. Казачковский. Разбой..., გვ. 114-116.

ზელიმხანის მკირერიცხოვანი რაზმისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა მოახდინა მის განკარგულებაში მყოფი მთელი ძალების — არმიის, პოლიციის, ჟანდარმერიის და სადაზვერვო სამსახურის მობილიზაცია „ხელისუფლებისათვის საშიში აბრეკის“ იზოლაციისათვის. ამავდროულად, აგენტურული ქსელის გასაფართოებლად გამოიყო სოლიდური თანხა. მიღებულმა ზომებმა შედეგი გამოიღო. მოღალატემ, ხელისუფლებას აცნობა, რომ ზელიმხანი 16 ოქტომბერს, ღამეს გაათენებს გროზნოს მახლობლად მდებარე ძველმ სუნჟენსკის აულში. ღამით, სოფელი და ის სახლიც, სადაც იგი იმყოფებოდა ალყაში მოაქცია რევულარული არმიის ორმა ქვეითმა და ერთმა ცხენოსანთა ასეულმა, მათ ეხმარებოდით კაზაკთა ქვეითი და ცხენოსანი რაზმები.<sup>1</sup> ზელიმხანი მოულოდნელად გამოვიდა სახლიდან, მოკლა ოფიცერი და ჯარისკაცი და გადაეშვა ციცაბო კლდიდან მდინარე სუნჯაში. ეს, ისე სწრაფად მოხდა, რომ ოპერაციის ხელმძღვანელმა ვერც კი მოასწრო ბრძანების გაცემა ცეცხლის გახსნის თაობაზე. ზელიმხანმა მდინარე გადალახა და ტყეს შეაფარა თავი.<sup>2</sup> ხელისუფლებამ შური უდანაშაულო მოსახლეობაზე იძია. მეფისნაცვლის ბრძანებით გროზნოსა და ვედენსკოეს ოლქებში ჩაყენებული იქნა ეგზეკუცია, მოსახლეობა დააჯარიმა 100 ათასი მანეთით, ძველსუნჟენსკში ააფეთქეს რამოდენიმე სახლი, 7 შეიხი გადაასახლეს ციბირში.<sup>3</sup>

ძველი სუნჟენსკში დაჭრილმა და დაშავებულმა ზელიმხანმა მისი სოფლის, ხარაჩოის მახლობლად მდებარე, თითქმის მიუვალ გამოქვაბულს შეაფარა თავი. ამავე სოფელში დაბანაკებული რაზმის უფროსს დაჭირავებულმა დამსმენმა აცნობა აბრეკის

<sup>1</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 120-122.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 119.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 120-122.

ადგილსამყოფელი. 1911 წლის 9 დეკემბერს რეგულარული არმიის ნაწილები ზარბაზნებითა და ტყვიამურქვევებით მიაღვნენ გამოქვაბულს. «Пещера, заделанная плитником была расположена на крутом скате, — წერს ამ ადგილის თვითმხილველი ვ. კაზაკოსკი — в 100-150 шагов от дна ущелья. Она была почти неприступной...».<sup>1</sup> 400 ჯარისკაცი და კაზაკი მთელი დღის განმავლობაში ცეცხლს უშენდა გამოქვაბულს, მაგრამ ზელიმხანმა მაინც მოახერხა რამოდენიმე ჯარისკაცისა და კაზაკის მოკვლა და დაჭრა. ოპერაციის ხელმძღვანელი ოფიცერი მიხვდა, რომ გამოქვაბულში შეჭრა მხოლოდ შტურმითა იყო შესაძლებელი, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. ამიტომ, მან გადაწყვიტა ზელიმხანთან მოლაპარაკების გამართვა იმ პირობით, თუ ის თავისი ნებით ჩაბარდებოდა ხელისუფლებას, ციხიდან გაანთავისუფლებდნენ ყველა მის ნათესავს. ზელიმხანმა მოითხოვა მეფის ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტი, რომლის საფუძველზე ყველა, ვინც მის გამო იხდიდა ჯარიმას, იმყოფებოდა ციხეებში და გადასახლებაში, განთავისუფლდებოდა. ზელიმხანის მოთხოვნები რაზმის უფროსისთვის მიუღებელი იყო და გამოქვაბულს კვლავ დაუშინეს არტილერიისა და ტყვიამურქვევების ცეცხლი. გამოქვაბულიდან საპასუხო სროლას ჯარისკაცებისა და კაზაკების სიცოცხლე მიჰქონდა. მოლაპარაკების განახლების მიზნით, რაზმის უფროსმა, გამოქვაბულში კვლავ ჩეჩენი პარლამენტორი გაგზავნა და ცეცხლის შეწყვეტა ბრძანა. ჩეჩენს გამოქვაბული ცარიელი დახვდა. არსებობს ბევრი ვერსია ზელიმხანის გამოქვაბულიდან გაუჩინარების შესახებ. «Из пещеры внезапно вылетел закутанный в башлык и обвешанный кругом бряцающим оружием чеченец и

<sup>1</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 123.

სტრემგლავ ბროსილსა ჰოდა კრუჩუ... ოკაზალსო, ჭო ბესსტრაშნო რინუვშინსია ვ ბეზდნუ ჯაკუტანნი აბრეკ ბულა კუკლა, სდელანნი ჯელიმხანოთ იზ ბურკი, სოვოვარა ვნუტრი ი დრუგის ჰობრიკუშეკ. ვსე ბროსილსე ლოვით კუკლუ, ა ჯელიმხან ვ ეტო ვრსმია სკრულსია».<sup>1</sup>

ეფიქრობოთ, კაზაჩკოვსკის ვერსია ყველაზე მართებული და მისაღებია, რადგან იგი ზელიმხანის თანამედროვეა და დაწერილია 1913 წელს. მის წიგნში, თუმცა ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული, კარგად ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობდა ზელიმხანს, ჰქონდა მასთან შეხვედრები და აკეთებდა ჩანაწერებს. კაზაჩკოვსკის არ შეეძლო ზელიმხანთან შეხვედრების აღიარება, რადგან კავკასიაში ხელისუფლების ყველაზე საშიშ მტრად გამოცხადებულ აბრეკთან შეხვედრები ქვეყნის ლალატის ტოლფასად ითვლებოდა.

ზელიმხანის დაპატიმრების ან მოსპობის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი გამოქვაბულიდან გაუჩინარება რუსეთის იმპერატორს მოახსენეს.

გამოქვაბულის ამბებმა რუსეთისა და ევროპის ქვეყნების პრესაც დააინტერესა. ზელიმხანის შესახებ სისტემატიურად იბეჭდებოდა ინფორმაციები, სტატიები და სხვადასხვა მასალები. ლეგენდადქცეული აბრეკი პოპულარული პიროვნება გახდა. ყველას აკვირვებდა ის ფაქტი, თუ როგორ ახერხებდა იგი 12 წლის განმავლობაში გამოუვალი მდგომარეობიდან უვნებლად თავის დაღწევას. ბევრი, ამას ზელიმხანის ზებუნებრივ ძალას მიაწერდა. ცოცხალი ლეგენდა, გამოქვაბულის მოვლენების შემდეგ, კიდევ ორი წელი შეუვალი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის რჩეული გენერლების, ოფიცრებისა და სპეცრაზმელებისთვის.

ზელიმხანის უკომპრომისო ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ აღაფრთოვანებდა და აღვივებდა მთიელი ხალხის

<sup>1</sup> В. Казачковский. Разбой..., გვ. 125.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილს. 1912-1913 წლებში ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ბალყარეთის, ყაბარდოს, ოსეთისა და დაღესტნის სოფლებში და აულებში ანტიკოლონიური გამოსვლები არ შეწყვეტილა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, შეიარაღებული შეტაკებებით მთავრდებოდა.

კავკასიის ადმინისტრაციას სისტემატიურად უხდებოდა სამხედრო ნაწილებისა და დამსჯელი რაზმების გადასროლა თერგის ოლქის სხვადასხვა რეგიონში.

როგორც ვიცით, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებას კავკასიის სრული რუსიფიკაცია წარმოადგენდა. ამ პოლიტიკის განხორციელება რუსეთის რეგულარული ჯარების ძალასა და სამხედრო-პოლიტიურ რეჟიმს ემყარებოდა. რუსეთს კავკასიის ძირძველი მოსახლეობა „ინოგოროდცებად“ ჰყავდა მონათლული. სკოლებში აიკრძალა „ინოგოროდცების“ ენაზე სწავლა და ლაპარაკი, ადგილობრივი მასწავლებლები განდევნა და შეცვალა მხოლოდ რუსული ენის მცოდნე ჩინოვნიკებით.

ყოველგვარი საქმის წარმოება მმართველობის ცენტრალურ, ადგილობრივ ორგანოებსა და სასამართლოებში მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. კავკასიის ხალხთა ენები, კულტურა და ზნე-ჩვეულებები იღვენებოდა.

1909 წლისათვის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხს მხოლოდ რამდენიმე ეროვნული სკოლა შეუნარჩუნა. ასე მაგალითად, თერგის ოლქის 616 ათას მთიელს 10 სკოლა ემსახურებოდა.<sup>1</sup> ხელისუფლებამ მთლიანად შეწყვიტა ეროვნული სკოლების დაფინანსება და მათზე ზრუნვა. არსებული სკოლების შენახვა მოსახლეობამ იკისრა. ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლება მათ ამის უფლებასაც არ აძლევდა. თუ როგორ ბლოკავდა ადგილობრივი ადმინისტრაცია სკოლებისთვის მოსახლეობის მიერ ფინანსური დახმარების გაწვევის

<sup>1</sup> Очерки истории Чечено-Ингушетии..., გვ. 88.

ინიციატივას, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: ჩეჩნეთის ხასავ-იურტის ოკრუგის თითოეულ ოჯახს სასკოლო კაპიტალის შესაგროვებლად ყოველწლიურად სალაროში შეჰქონდა 30 კაპ. ოცდაათი წლის განმავლობაში დაგროვდა 140 ათასი მანეთი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, ხელისუფლებისაგან ვერ მიიღეს თანხმობა ახალი სკოლის დაარსების შესახებ.<sup>1</sup>

1910 წელს, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა – სტოლიპინმა აკრძალა „ინოვაციური ცვლილებებისათვის“ რაიმე საგანმანათლებლო საზოგადოების დაარსება.<sup>2</sup>

მთიელთა სამედიცინო მომსახურების საკითხი საერთოდ არ განიხილებოდა კოლონიური ადმინისტრაციის მიერ. 1909 წ. თერგის ოლქის 15 ათას მცხოვრებზე მოდიოდა ერთი ექიმი და ერთი აფთიაქი, სამედიცინო დაწესებულებები განთავსებული იყო ქალაქებსა და კაზაკთა სტანიცებში და ემსახურებოდნენ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებსა და კაზაკებს.<sup>3</sup>

ცარიზმის ეროვნულ-კოლონიურმა პოლიტიკამ მთიელები უმძიმეს პირობებში ჩააყენა, მათ ანადგურებდა არამარტო ფიზიკურად, არამედ გეგმაზომიერად შლიდა მათ ისტორიულ კვალსაც. ასე მაგალითად, მთიელთა ცნობილი სოფლების გაჯირენ-იურტის, მაგომედ-ხითეს, ახბორზეს, აკი-იურტის, ანგუშტის, ოლლდირ-ჰალას, ალხასტესა და სხვ. ეწოდა ერმოლავესკაია, გროზნენსკაია, სამაშკინსკაია, პეტროპავლოვსკაია, მიხაილოვსკაია, ტროიცკაია და სხვ.<sup>4</sup>

1913 წლის 7 ივლისს რუსეთის ხელისუფლებამ გამოსცა კანონი დაღესტანში მმართველობით ორგანოებში ყოველგვარი საქმის არაბულის ნაცვლად რუსულ ენაზე წარმოების შესახებ. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე დაღესტნელი მოსახლეობის

---

<sup>1</sup> Очерки истории Чечено-Ингушетии..., გვ. 86.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 88.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 88.

<sup>4</sup> Терский Календарь на 1912 год, Владикавказ, 1913, გვ. 360-379.

ურთიერთკავშირის, სწავლებისა და საქმის წარმოების ენა ათეული საუკუნეების განმავლობაში არაბული ენა იყო. კულტურული და ისტორიული ფასეულობები, რაც კი შეუქმნია დაღესტნელებს არაბულ ენაზე იყო შექმნილი.

ამიერიდან, ყველა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების სავალდებულო ენად რუსული დაწესდა.

1913 წელს მიწათსარგებლობის ახალი წესის შემოღების შედეგად გლეხობის 95% ფაქტობრივად, მცირემიწიანი აღმოჩნდა. დაღესტანში მიწათსარგებლობის ახალი წესით 1 568 960 დესეტინა გადანაწილდა. აქედან მეჩეთებს, ხაზინასა და ფეოდალებს ხუტორების მოსაწყობად ერგოთ 487 800 დესეინა თითოეული ხუტორიანი სარგებლობაში საშუალოდ აღმოჩნდა 74 დესეტინა. გლეხების 95% – 108 080 დესეტინა; 1,6 დესიატინიდან, რომელიც შეხვდა ყოველ გლეხის ოჯახს, მხოლოდ 0,3 დესეტინა შეადგენდა სახნავ ფართობს.<sup>1</sup>

კანონმა საყოველთაო პროტესტის ტალღა ააგორა. ხელისუფლება კანონის აღვილებზე განხორციელებას შეიარაღებული ძალების გამოყენების მეშვეობით ახერხებდა და ლოკალურ ანტიკოლონიურ გამოსვლებს შედარებით ადვილად უსწორდებოდა.

როგორც ითქვა, ზოლკის საძოვრების გადანაწილებამ, ბალყარელების დიდი საპროტესტო აქციები გამოიწვია. მესაქონლეობა ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობის ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენდა. მოსახლეობა, მაღალმთიან და ზოლკას საძოვრებს, რეფორმამდე, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე სარგებლობდა.

არასრული მონაცემებით, მალკის საძოვრებზე ყოველწლიურად 5 ათასზე მეტი საუკეთესო ყაბარდოს ჯიშის ცხენი აჰყავდათ. ყაბარდოელებს 65 წელი აკრძალული ჰქონდათ მალკის საძოვრების სარგებლობის უფლება. ამ ხნის

<sup>1</sup> Очерки истории Чечено-Ингушетии..., გვ. 271-272.



განმავლობაში ყაბარდოელებს მალკაზე 325 ათასზე მეტი ცხენის გამოკვების შესაძლებლობა დაეკარგათ. კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა დიდ ზარალს აყენებდა არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ რუსეთის ხაზინასაც.

1913 წლის 31 მაისს სასოწარკვეთილმა მოსახლეობამ სოფელ ნაურუზოვოში გადაწყვიტეს ზოლკას საძოვრების დაბრუნება და დადეს ფიცი, რომ ერთმანეთს არ უღალატებდნენ და ბოლომდე მტკიცედ დაიცავდნენ თავიანთ ინტერესებს.<sup>1</sup> სოფლის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა ნაურუზოველების დაშოშმინება. ისინი თავიანთი ნახირით დაიძრნენ ზოლკას საძოვრებისაკენ, რომლებსაც გზადაგზა შეუერთდათ ყაბარდოს სხვადასხვა სოფლების მოსახლეობა. ოლქის უფროსმა პოლკოვნიკმა კლიბშიევმა სტრაჟნიკებით გზა გადაუღობა მოსახლეობას და უბრძანა სახლებში დაბრუნება. აღშფოთებულმა ხალხმა სტრაჟნიკების კორდონი გაარღვია და სცემეს ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეშინებული და დაბნეული კლიბშიევი პიატიგორსკში გაიქცა. 2 იელისს, 3 ათასზე მეტმა აჯანყებულმა თავიანთი ნახირით დაიკავეს ზოლკას საძოვრები.<sup>2</sup>

მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ მისი პროგნოზირება შეუძლებელი იყო. კავკასიის ადმინისტრაციას ზოლკის მოვლენების მთელ ყაბარდო-ბალყარეთში გავრცელების დიდი შიში ჰქონდა. ზოლკაზე 3 ათასი აჯანყებული, რომელთა შორის ბევრი შეიარაღებული იყო, ხელისუფლებას დიდ საშიშროებას უქმნიდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, რომ კავკასიის ადმინისტრაციამ ამის შესახებ მეფეს აცნობა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Г. А. Кокиев. Аграрное движение в Кабарде 1913 г., Нальчик, 1946, გვ. 17.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 18.

<sup>3</sup> ჩრდილოეთ ოსეთის არქივი, ფონდი 11, საქმე 4353, ფურც. 7.

თერგის ოლქის მმართველის გენერალ-ლეიტენანტის ფლეიშერის ბრძანებით ყაბარდოში აჯანყებულთა წინააღმდეგ სასწრაფოდ გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია გენერალ სტეპანოვის მეთაურობით, რომელსაც მიეცა საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალის გამოყენების უფლებამოსილება.<sup>1</sup> დამსჯელი ექსპედიციის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა თერგის ოლქის ჯარების შტაბის უფროსი გენერალი ჩერნოზუბოვი, რომელმაც ზოლკაზე შეკრებილ მოსახლეობას უბრძანა – დაუყოვნებლივ თავიანთ სოფლებში დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა საბრძოლო საშუალებას. აჯანყებულების სახელით ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გენერალს უპასუხა: «Земля божия и потому всякий имеет право на ней пасти скот... Отняли у нас пастбища, а мы отнимаем у них свои же собственные земли».<sup>2</sup>

მთიელის პასუხით გაბრაზებულმა და გაღიზიანებულმა გენერალმა ხალხს გამაფრთხილებელი ზარბაზნების ცეცხლი გაუხსნა. ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული რეგულარული არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლა, თანაც გაშლილ ველზე, გამოიწვევდა აჯანყებულთა შორის დიდ მსხვერპლს და მათი ოჯახის აწიოკებას. აჯანყებულებმა 3 ივნისს შეწყვიტეს წინააღმდეგობა. გენერალი ამით არ დაკმაყოფილდა – დაიწყო აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიები და მათი კარ-მიდამოს განადგურება. მხოლოდ სოფელ ნაუზუროვოში დაპატიმრებული იქნა 54 ადამიანი, ბევრ მათგანს ღიდი ხნით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გაზ. «Терские ведомости», №30, 1913.

<sup>2</sup> გაზ. «Терские ведомости», №1413, 1913.

<sup>3</sup> გაზ. «Терские ведомости», №1416, 1913.

სპეცრაზმები დიდი ხნით დარჩა ყაბარღოს სოფლებში, რომელთა შენახვის ხარჯები მოსახლეობას დაეკისრა. თერგის ოლქის მმართველი ფლეიშერი ყაბარღოელ ხალხს ემუქრებოდა «При повторении чего-либо подобного... весь кабардинский народ может постигнуть величайшее несчастье».<sup>1</sup> იგი ტრაბახობდა, რომ ხელისუფლების მიერ მიღებულმა სასწრაფო ზომებმა აგვაცილა ზოლკის მოვლენების გადაიზრდა დიდ ხანძარში.<sup>2</sup>

მართალია, ზოლკის მოვლენები არ გადაზრდილა დიდ ხანძარში, მაგრამ მას უკვალოდ არ ჩაუვლია. ბალყარეთის, ისევე, როგორც ყაბარღოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საძოვრების გარეშე დარჩა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩერქეზეთის ხეობის სოფლები. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ხეობის მოსახლეობამ გადაწყვიტა მათი საერთო სარგებლობაში მყოფარსებული საძოვრების, რომლებიც ხელისუფლების მიერ ხუტორებად იყო გადანაწილებული, ერთიანი ძალისხმევით დაბრუნება. 1913 წლის 22 ივნისს მოსახლეობამ დაიკავა საძოვრები, მოშალა ხუტორების აღმნიშვნელი ნიშნები, დაარბია სხვა შენობა-ნაგებობები. ხელისუფლებამ, ამ შემთხვევაშიც, ბალყარელების დასაშლელად საველე არტილერია გამოიყენა, სოფლებს დამსჯელი რაზმები შეუსია და „ბუნტის“ 59 ორგანიზატორი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლა.<sup>3</sup> თერგის ოლქის მმართველის ბრძანებით 1913 წლის ივლისში ბალყარეთის სოფლებში ეგზეკუცია გამოცხადდა. ორი კვირა ინახავდა მოსახლეობა მრავალრიცხოვან (500 კაცთან) დამსჯელ რაზმს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> გაზ. «Терские ведомости», №1416, 1913.

<sup>2</sup> Очерки истории Балкарии, Нальчик, 1961, გვ. 147.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 148.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 148.

1913 წლის დასაწყისისათვის მთელი კავკასიის ადმინისტრაცია დაკავებული იყო ზელიმხანის და სხვა აბრეკების ძებნით. ამ დროისათვის ზელიმხანის მოქმედების არეალი შემცირდა. მას 14 წლის განმავლობაში ერთი დღეც ნორმალურ პირობებში არ უცხოვრია. სისტემატიურმა გადაადგილებებმა, ტყეში და გამოქვაბულებში ხანგრძლივმა ცხოვრებამ, ყოველ ნაბიჯზე სიკვდილის მუქარამ, მიყენებულმა ჭრილობებმა, ციმიბრში გადასახლებულ ცოლ-შვილზე, ახლო ნათესაებზე და მეგობრებზე ფიქრმა 41 წლის ვაჟკაცის ჯანმრთელობა სერიოზულად შეარყია. მას ძველებურად არ შეეძლო მთის ბილიკებით მრავალდღიან გადაადგილებებში მონაწილეობის მიღება; ცივ და სუსხიან ამინდებში იგი ხშირად ცივდებოდა. ზელიმხანმა გადაწყვიტა კავკასიის საიდუმლოდ დატოვება და თურქეთში გადასვლა. იგი 1913 წლის დასაწყისიდან, ძირითადად, ვედენსკოეს ოკრუგში ცხოვრობდა. ზელიმხანის ავადმყოფობისა და მისი ცხოვრების წესის შეცვლის შესახებ კავკასიის ადმინისტრაცია, აგენტების მეშვეობით, კარგად იყო ინფორმირებული და გადაწყვიტა მის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობა. ზელიმხანს გააჩნდა ადამიანის გამოცნობის საოცარი უნარი. ყველა აგენტი, რომელიც მას მიუგზავნეს ან მოკლული იქნა, ან ხელცარიელი ბრუნდებოდა. ასე, მაგალითად, ზელიმხანს ხშირად ხვდებოდა ვინმე ინგუში (ცნობილი არ არის მისი ვინაობა), რომელსაც დავალებული ჰქონდა მისი მოკვლა. ზელიმხანი ამ ინგუშთან ყოველი შეხვედრისას იმდენად ფრთხილი და მობილიზებული იყო, რომ აგენტი ვერ ახერხებდა შეუმჩნეველად იარაღის ამოღებას. ზელიმხანს მობეზრდა ჟანდარმერიის აგენტთან „კომედის“ თამაში, ერთ-ერთი შეხვედრისას მან ინგუში განაიარაღა, აღმოუჩინა ჯიბეში საწამლაკი, მაგრამ სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ხელისუფლებამ მოახდინა ვედენსკოეს ოკრუგში ზელიმხანის ბლოკირება. თერგის ოლქის მმართველის

მოადგილეს გენერალ სტეპანოვს დაევალა მისი ლიკვიდაცია. გენერალი დარწმუნდა, რომ ზელიმხანის მოკვლა, ან მისი ადგილსამყოფელის ზუსტი დადგენა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მისი დიდი ნდობით სარგებლობდა. გენერალმა სტეპანოვმა ასეთ პიროვნებად მიიჩნია შარიდ ბორშიკოვი, რომელიც ზელიმხანთან ერთად ლეზულობდა მონაწილეობას ყიზლარის ხაზინის გატაცებაში. ერთ წელზე მეტი მიმდინარეობდა მოლაპარაკება გენერალსა და ბორშიკოვს შორის, რომელიც დამთავრდა მათ შორის საიდუმლო ხელშეკრულების დადებით. ხელშეკრულების თანახმად, ბორშიკოვი ზელიმხანის საცხოვრებელი ადგილის მითითების, ან მისი მოკვლისათვის ლეზულობდა 7 ათას მანეთს. ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ოსი ოფიცერი კიბიროვი, რომელიც კარგად ფლობდა ჩეჩნურ ენას.

შარიდ ბორშიკოვი და მისი უმცროსი ძმა მუსა დიდი მონდომებით შეუდგნენ „ხელისუფლების დავალების“ შესრულებას. ისინი სისტემატიურად ხვდებოდნენ ზელიმხანს, ამარაგებდნენ სურსათით, ტყვია-წაშლით, აჩუქეს ძვირფასი თოფი, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს ვერც მისი მოკვლა და ვერც ადგილსამყოფელის დადგენა. შემოდგომის ცივმა ამინდებმა ძალზე შეაწუხა ზელიმხანი. ბორშიკოვებმა ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვეს და შესთავაზეს მას ზამთრის გასატარებლად „საიმედო“ თავშესაფარი — სოფელ შალის მახლობლად მდებარე ბუგაევის ხუტორი. გადაწყვეტილება ბუგაევის სახლში გაჩერების შესახებ მას უცებ არ მიუღია. იგი 26 სექტემბრამდე, დღისით შალის მახლობელ ტყეს, ხოლო ღამით ნაცნობი მთიელის ცივ ქოხს აფარებდა თავს, რამაც გააუარესა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ზელიმხანი იძულებული გახდა ზამთრის თავშესაფრად ბუგაევის სახლი აერჩია, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

26 სექტემბერს, გვიან ღამით, კიბაროვის მრავალრიცხოვანმა რაზმმა ბუგაევის სახლი ალყაში მოაქცია, რომელ-

საც გათენებამდე განუწყვეტლივ ცეცხლს უშენდნენ. საცერივით დაცხრილული სახლიდან საპასუხო სროლის ხმა შეწყდა. მძიმედ დაჭრილმა ზელიმხანმა, ტყვეობას თავის მოკვლა არჩია.

ასე დაილუპა, გამცემლების დახმარებით, სახელგანთქმული აბრეკი – ლეგენდა, რომელიც 14 წლის განმავლობაში ეწეოდა პარტიზანულ ბრძოლას კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, მუსრს ავლებდა მაღალი თანამდებობის სამხედრო პირებსა და ჩინოვნიკებს. 1910 წელს, როდესაც ხელისუფლების მიერ მობილიზებული იყო დიდი ძალები ზელიმხანის გასანადგურებლად, მისი ხელმძღვანელობით თერგის ოლქში 3 650 შეიარაღებული თავდასხმა და ექსპროპრიაცია განხორციელდა.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Д.З. Корнев. Революция..., გვ. 20.

თავი IV. მთიელთა დისკრიმინაციის, კაზაკთა უზღვრავის გაზარტოვებისა და საგანდასახლებო-კოლონიური სახელმწიფო პოლიტიკა

რუსეთის ხელისუფლება, სამხედრო-სტრატეგიული და ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ხშირად ცვლიდა ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

კავკასიის ომის ოფიციალურად დაბთავების შემდეგ, ხელისუფლებამ კვლავ საჭიროდ ჩათვალა ჩრდილოეთ კავკასიის უზარმაზარი სივრცის — შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამხრეთით — კავკასიის ქედამდე, ჩრდილოეთით — ეკატერინოსლავის, ასტრახანისა და დონის კაზაკთა ჯარის ჩათვლით, ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა. ამჯერად, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის ძირითადი დანიშნულება იყო კაზაკების მიერ კოლონიზირებული და მთიელებით დასახლებული ტერიტორიების გამიჯვნა და ყველა ცალკეულ რეგიონში სუფთა რუსული მმართველობის დანერგვა. მაგალითად, ადმინისტრაციულად თერგის ოლქი დაყოფილი იყო კაზაკებისა და მთიელების განსახლების მიზნებით. კაზაკებით დასახლებული ტერიტორია შედგებოდა ოთხი ადმინისტრაციული ერთეულისაგან, რომელსაც განყოფილებას ეძახდნენ — პიატიგორსკის, მოზდოკის, ყიზლარის და სუნჟენის. მთიელებით დასახლებული ტერიტორია დაყოფილი იყო ექვს ოკრუგად — ვლადიკავკაზის (ოსები), ნალჩიკის (ყაბარდოელები და ბალყარები), ნაზრანის (ინგუშები), გროზნოსა და ვედენსკის (ჩეჩნები), ხასავიურტის (ყუმიყები).

რუსეთის ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა დაპყრობილი ტერიტორიების სამხედრო-ადმინისტრაციული მეთოდებით მართვას. კავკასიის არმიის მთავარ შტაბთან შეიქმნა სპეციალური ორგანო — „მთის ხალხების სამმართველო“.

კაზაკებით დასახლებულ განყოფილებებს ხელმძღვანელობდნენ ატამანები, ხოლო მთიელებით დასახლებულ ტერიტორიებს

ოკრუგის, სოფლებისა და აულების სტარშინები (მამასახლისები). ვლადიკავკაზი იყო თერგის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი.

ამავდროულად, თერგის კაზაკთა წრის ატამანი იყო ოლქის უფროსი და ჯარის სარდალი, რომლის რეზიდენცია იმყოფებოდა ვლადიკავკაზში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის გუბერნიები, როგორც წესი, იმართებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ხოლო კაზაკებით დასახლებული ტერიტორიები – სამხედრო სამინისტროს მიერ.

კაზაკები „სახელმწიფო სამსახურისთვის“ სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებებით. მთავრობა კაზაკებს, როგორც რუსეთის იმპერიის „საუკეთესო შვილებს“, უნერგავდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ერებს შორის უპირატესობის, პირველობის გრძნობას. კომპაქტურად დასახლებული კაზაკები წარმოადგენდნენ ნახევრად გასამხედროებულ სამეურნეო გაერთიანებას, რომელიც კარგად გაწვრთნილი, გამოცდილი და მობილური სამხედრო ძალა იყო.

1865 წ. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისა და კაზაკთა დასახლების მიხედვით, ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფამ ომის დამთავრებისას გამოაგლინა, არსებული დემოგრაფიული სურათი. მაგალითად, 1865 წ. მხოლოდ თერგის ოლქში კაზაკთა წოდების მამრობითი და მდედრობითი სქესის 113306 სული ითვლებოდა,<sup>1</sup> ხოლო ოლქის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობდა 1914 კაზაკი. სულ თერგის ოლქში 115220 კაზაკი ცხოვრობდა. გარდა ამისა, აქ განლაგებული იყო რუსეთის 200 000 რეგულარული არმიის ნაწილები, რომლებიც, ძირითადად, დაკომპლექტებული იყო რუსი ოფიცრებითა და ჯარისკაცებით.

ხელისუფლებამ კაზაკები და სხვა რუსი მოსახლეობა ჩრდილოეთ კავკასიის ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიებზე დაასახლა და დაურიგა მათ მთიელთა

<sup>1</sup> Кавказский Календарь на 1867 год. Тифлис, 1866, გვ. 321.



საუკეთესო მიწები. 1865 წლისთვის თერგის კაზაკთა ჯარს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 9 პოლკი – ვოლგის I და II, ვლადიკავკაზის I და II, მთის, მოზდოკის და სხვ., ეკუთვნოდა 77 სტანიცა, 102 ხუტორი და 1905290 დესეტინა მიწა,<sup>1</sup> ხოლო მათ მიერ დაკავებული ტერიტორია 14053,6 კვ.კერსს შეადგენდა.<sup>2</sup> კაზაკთა წოდების ყოველ მამაკაცზე, 15 წლის ასაკიდან 33 დესეტინა მიწა მოდიოდა.<sup>3</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციული დაყოფისას წინასწარ ჰქონდა მონიშნული ის ტერიტორიები, სადაც მომავალში ჩაასახლებდა კაზაკთა ახალ ნაკადს.

ამრიგად, რუსეთის მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ადმინისტრაციული საზღვრები ისე დააწვევრიანა და მმართველობის ისეთი სისტემა შემოიღო, რომლის მეშვეობით მოახერხა მათი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამეურნეო და კულტურული იზოლაცია.

ჩრდილოეთ კავკასიაში 1865 წლისთვის შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობის, შედარებით ობიექტურ ანალიზს აკეთებს ი. სტებნიცკი, 1866 წელს კავკასიის კალენდარში გამოქვეყნებულ სტატიაში – „კავკასიის მხარის სტატისტიკური ცხრილი“. მაგალითად მოყივანთ 1865 წ. თერგის ოლქის ტერიტორიის, მოსახლეობისა და დასახლების სიმჭიდროვის მაჩვენებელ ცხრილს:<sup>4</sup>

<sup>1</sup> Сборник сведений о Кавказе, т. 7, Тифлис, 1800, გვ. 11-26.

<sup>2</sup> Кавказский Календарь на 1867 год. Тифлис, 1866, გვ. 310.

<sup>3</sup> Кавказский Календарь..., გვ. 31.

<sup>4</sup> И. Стебницкий. Статистическая таблица Кавказского края, Кавказский календарь на 1867 г, Тифлис, 1866, გვ. 310.

ოკრუგების დასახელება	ტერიტორია		მოსახლეობის რაოდენობა	დასახლეობის სიმჭიდროვე	
	კმ. კვრსებში	კმ. მილებში		კმ. კვრსზე	კმ. მილზე
ყაბარდოს ოკრუგი	10446,2	215,92	47035	4,5	217,8
ოსეთის ოკრუგი	4881,6	100,89	46558	9,5	461,5
ინგუშეთის ოკრუგი	2109,2	43,59	26153	12,3	597,2
ჩეჩნეთის ოკრუგი	3679,2	76,34	53750	14,6	706,9
არღუნის ოკრუგი	2167,2	44,79	21058	9,7	470,2
იჩქერიის ოკრუგი	877,7	18,14	14522	16,5	800,5
მთის ოკრუგი	1188,0	24,55	16568	13,9	673,2
ყუმიყუთის ოკრუგი	4806,6	95,25	60890	12,1	613,0
სულ	299 57,6	619,17	286531	9,6	462,8
თერგის კახაკთა მიწები	14053,6	290,45	115220	8,2	396,69
სულ თერგის ოლქში	44011,3	909,62	401754	9,1	441,7

მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთმა, მთიელთა მიმართ ეთნოწმენდისა და გენოციდის პოლიტიკის განხორციელებით, სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ჩრდილოეთ კავკასიაში რუსი მოსახლეობის რიცხოვრივი ზრდისა და დამკვიდრების საქმეში.

1865 წლისათვის კაზაკებმა მიითვისეს 140053,6 კმ. მილი მთიელთა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწა და საძოვრები, რაც თერგის ოლქის ტერიტორიის 32% იყო; კაზაკებმა მთელი თერგის ოლქის მოსახლეობის 30% შეადგინა, ხოლო ინოროდცებთან ერთად რუსი მოსახლეობა 40% მეტი იყო.

გარდა ამისა, კაზაკების „ისტორიულ მონაპოვარს“ შეადგენდა კასპიის ზღვის 1625 კვ.კმ, თევზის. ჭერის განსაკუთრებული უფლებები მდინარეებზე – თერგი, სუნჟა და მალკე; მათ ხელში იყო მარილის საბადოებიც. კაზაკების შემოსავლის მთავარი წყარო იყო ნავთობით მდიდარი მიწები. 1893-1917 წწ.

კაზაკებმა ნავთის მრეწველებისაგან, მიწის არენდის საზღაურად, მიიღეს 25 მილ. მანეთი. რევოლუციის წინ მათ უნდა მიეღოთ კიდევ 16 მილ. მანეთი.<sup>1</sup>

1796 წელს პავლე I-მა თავისი ბრძანებულებით დააკაბალა დონის გლეხობა. «Каждый из поселян остаться в том месте и звании, — к китხოლობთ ბრძანებულებაში — кем он нинешней ревизии записан будет».<sup>2</sup> 1798 წელს პავლე I-მა დონის ჩინოვნიკები გაუთანაბრა თავადაზნაურთა წოდებას. კაზაკურ ოლქებში ჩინოვნიკებად ითვლებოდნენ მიწის მესაკუთრე კაზაკები.

ოფიციალური სტატისტიკით კაზაკური მიწები იყოფოდა სამ კატეგორიად — 1. სამხედრო თადარიგთა; 2. ოფიცრებისა და ჩინოვნიკების; 3. სტანიცების. ჩრდილოეთ კავკასიაში ეს მიწები განაწილებული იყო შემდეგნაირად:<sup>3</sup>

	სტანიცების ნაღლეები	%%	ოფიცრების და ჩინოვნიკების ნაღები	%%	ჯარის რეზერვი	%%
დონის...	9304653	72,6	1264425	9,9	2251703	17,5
უბანის...	5269289	74,5	505502	7,1	1025061	18,4
თერგის...	1738310	86,6	118393	5,9	149574	7,5

პენსიაზე გასულ გრებნელ კაზაკ გენერლებს მთავრობა ასაჩუქრებდა 1500 დეს. მიწის ნაკვეთით, ოფიცრებს — 400, დაბალ ჩინოსნებს — 200-დან 100-მდე დესეტინით.<sup>4</sup>

<sup>1</sup> *Отчет заседаний войскового круга Терского казичьего войска VI соз., Владикавказ, 1918, გვ. 35.*

<sup>2</sup> *Д.З. Корнев. Революция..., იქვე. გვ. 13.*

<sup>3</sup> *იქვე. გვ. 13.*

<sup>4</sup> *მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 146.*

1804 წ. კავკასიის საგუბერნატორომ რუს მემამულეებს ჩრდილოეთ კავკასიის სტეპის ზოლში დაურიგა 623 309 დეს. მიწა.<sup>1</sup>

1845 წლიდან კაზაკური მეურნეობა სახელმწიფოს მიერ არ იბეგრებოდა. სამაგიეროდ, კაზაკები პენსიაზე გასვლამდე იმყოფებოდნენ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, სამეურნეო საქმიანობის უფლებით.

ხელისუფლებამ, ბატონყმობის გაუქმებისა და კავკასიის ომის დამთავრების შემდგომ, ფართო მასშტაბით დაიწყო მთიელთა მიწებით თავადაზნაურობის, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისა და გენერალიტეტის დასაჩუქრება. 1867 წ. ალექსანდრე II-მ 60 მაღალჩინოსანს ყუბანის ოლქში მემკვიდრეობით უბოძა ჩერქეზების 1299957 დესეტინა მიწა ნავთობფენიანი ფართობებით.<sup>2</sup> მათ შორის, ყუბანის ოლქის ჯარების სარდალს, გრაფ ევლოკიმოვს – 4809 დესეტინა, გენერლებმა ბაბიჩმა, ესლერმა, გრაფ სუმაროკოვ-ელსტონმა და სხვ. მიიღეს საუკეთესო მიწის ფართობები. 1870 წ. იმპერატორმა თერგის კაზაკები და ჩინოვნიკები დაასაჩუქრა 120 027 დეს. მიწის ფართობით.<sup>3</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხრეთ მიწების კოლონიზაციის პროცესში აქტიურად ჩაება რუსი არისტოკრატებიც. 1876 წ. მათ 143 წარმომადგენელს გამოეყო 752 994 დეს. მათ შორის თავად მენშიკოვს 16 800, გრაფ პლატოვს – 7200, გენ. კუტეინიკოვს – 14 000. გენ. მიტროფანოვს – 14 000, გენ. კულგაჩევს – 14 000<sup>4</sup> და ა.შ. მიწების „ახალი მეპატრონეები“ სურვილისამებრ ასხვისებდნენ, ყიდდნენ. «Чумазому сословию – 1890 წელს წერდა

<sup>1</sup> Д.З. Корнев. Революция..., გვ. 13.

<sup>2</sup> Н.Л. Яичевский. Гражданская борьба..., გვ. 27.

<sup>3</sup> Ев. Максимов. Очерки движения частной поземельной собственности на территории Торского казачьего войска, Владикавказ, 1892, გვ. 29.

<sup>4</sup> Сборник 1-го Донского окружного земство за 1876 г. ч. 2, Черкасск, 1877, გვ. 13.

ევ. მაქსიმოვი — от казачьего дворянства перешло из 562 участков — 219 участков, а всего 38 140 десятин, т.е. 38,9 всей закрепленной в частную собственность земли... 219 участков размером в среднем каждый 174,2 десятин, сосредоточились в руки 102 владельцев, и средний размер одного участка возрос до 373,9 десятин».<sup>1</sup>

ამ გზით რუსეთმა ვერ შეძლო ჩრდილოეთ კავკასიის სწრაფი ეკონომიკური ათვისება. ამიტომ ხელისუფლება მე-18 ს. ბოლოდან ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციას ახორციელებდა კაზაკებისა და გლეხების მასიურად ჩასახლების მეშვეობით, რაც იწვევდა მთიელების განდევნას ბარიდან მთის ზოლში და ახალი საკორდონო ხაზებისა და სტანიცების მშენებლობას.

მე-18 ს. პირველ ნახევარში დაიწყო კაზაკების დაშლა ფენებად. მ. პოკროვსკი წერდა: «К середине XVIII века казацкая Украина превратилась в такую же дворянскую страну, какой было Московское государство XVIII веке».<sup>2</sup> 1796 წ. ყმა გლეხთა რაოდენობა დონზე შეადგენდა 55 000 სულს, 1817 წ. — 78991, 1834 წ. — 112560.<sup>3</sup>

მე-18 ს. დასასრულიდან იწყება კაზაკური ცხოვრების ახალი პერიოდი — ირღვევა ერთიანი სამხედრო საკუთრების პრინციპი.

ხელისუფლება მთიელთა შვეიწროვებისა და დისკრიმინაციის გაძლიერების კვალობაზე, აფართოვებდა კაზაკთა პრივილეგიებს. 1839 წ. ნიკოლოზ I-მა კაზაკი ოფიცრები და ჩინოვნიკები გაანთავისუფლა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან და მისცა მათ კაზაკობიდან გასვლის უფლება. ამ კანონს კაზაკებისთვის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც თავის დროზე, ეკატერინე დიდის ბოძების სიგელს თავადაზნაურობისათვის.

<sup>1</sup> *Ев. Максимов. Очерки движения..., გვ. 29.*

<sup>2</sup> *М. Покровский. Русская история..., გვ. 105.*

<sup>3</sup> *Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 26.*

ბატონყმობის გაუქმებამ რუსეთში ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციის პროცესს. რუსეთმა მე-19 ს. 60-იანი წლების საადგილმამულო-სავლახო რეფორმის გატარებით, ძირითადად ჩამოაყალიბა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ. ხელისუფლებამ, ამ რეფორმით, კაზაკებს მთელი ქვეყნის მასშტაბით იურიდიულად დაუკანონა მთიელთა მიტაცებული მიწები და ხელი შეუწყო კაზაკური მეურნეობის უპირატეს განვითარებას. კაზაკი ხდებოდა სასაქონლო პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი.

რეფორმამ ოდნავადაც ვერ შეამსუბუქა მთიელთა მდგომარეობა, მაგალითად, ყაბარდოში ერთ სულს 1,25-დან 2,5 დესეტიანამდე მიწის ნადელი ერგო,<sup>1</sup> ჩეჩნეთის ოკრუგში ერთ კომლზე, სადაც 5-8 სული, ან რამდენიმე ოჯახი იყო გაერთიანებული – 16-დან 30 დესეტიანამდე მერყეობდა,<sup>2</sup> ნაზრანის საზოგადოების კომლზე – 18 დესეტინა<sup>3</sup> და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მთიელთა მიწების 70% ზენათესვისთვის გამოუსადეგარი იყო, მაშინ, როდესაც მამრობითი სქესის კაზაკი 15 წლის ასაკიდან 30 დესეტინა საუკეთესო მიწის ნადელის მფლობელი იყო. (იხ. დანართი №1)

1916 წ. მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში სათესი მიწის ფართობმა შეადგინა 8.376 ათასი დეს, რაც მთელი ევროპული რუსეთის სათესი ფართობის – 11,3%.<sup>4</sup>

ალექსანდრე II-ის 1868 წლის 29 აპრილის კანონმა გააუქმა პეტრე I-ის და ეკატერინე II-ის კანონები მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების შესახებ. 1861 წ. შემდგომ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოსულები ითვლებოდნენ „ინოგოროდცებად“. 1868 წლის კანონმა

<sup>1</sup> მ. გონიკიშვილი. საადგილმამულო-სავლახო..., გვ. 253.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 280.

<sup>3</sup> Очерки истории Чечено-ингушетской..., გვ. 122.

<sup>4</sup> А.С. Собриевский. Екатеринодарский хлебный рынок, Екатеринодар..., გვ. 253.

თავისუფალი გადაადგილების შესახებ დიდი როლი ითამაშა კავკასიის კოლონიზაციის საქმეში.<sup>1</sup>

მე-19 ს. ბოლოს ყუბანისა და თერგის ოლქში ინოგოროდცების რაოდენობა ჭარბობდა კაზაკებს 108765-ით. 1861-1880 წწ. ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა მკვეთრად იზრდებოდა „ინოგოროდცების“ ხარჯზე.<sup>2</sup>

დონის მოსახლეობის ზრდის ტემპების ცხრილი  
1861-1880 წწ.

იწების განაწილება დონისა და ყუბანის რუსული  
მოსახლეობის შორის 1919-1913 წწ.

წოდებრივი ჯგუფები	მოსახლეობის რაოდენობა 1861 წ.	მოსახლეობის რაოდენობა 1880 წ.
კაზაკები, მემამულეები...	618 497	815 030
ადგილობრივი გლეხები	303 767	398 018
ინოგოროდცები	9 630	154 438
სულ	931 894	1 367 486

<sup>1</sup> *Столетие военного Министерство, главное управление казачих войск, СПб, 1903, გვ. 719.*

<sup>2</sup> *Столетие военного..., გვ. 719.*

	ღონის სამხედრო ოლქის		ყუბანის ოლქის	
I. კახაკური	მიწის ფართის რაოდენობა დეს.	მოსახლ. რაოდენობა	მიწის ფართის რაოდენობა დეს.	მოსახლ. რაოდენობა
1. სტანიციების ნადელი	9647014	1435865	5956663	1252777
2. სანადირო მიწები	-	-	77056	-
სულ	9647014		6033719	
II. კერძო მესაკ. და სხვ.	476626	25291	425454	8592
1. ოფიცრები და ჩინოენ.	2322126	-	520757	-
2. კერძო მესაკ.	777017	-	-	-
3. ცხენსაშენი	6853	-	6288	-
4. სამონ, საეკლ. და სხვ.	3582622	25291	952499	8592
სულ				
III. სამხ. და სახელმწ.	1776267	-	325961	
1. სამხედრო	-	-	509485	
2. სახელმწიფო	1776267	-	1787945	
სულ				
IV. საქალაქო	46734	-	36204	
სულ	46734		36204	
V. გლეხების	565069	905657	762711	115499 რუსი
სულ	565069	905657	762711	13251 მთელი 248012
სულ	15617706	2366813	9573078	1509381 <sup>1</sup>

<sup>1</sup> Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 25.



როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კაზაკებისა და ინოგოროდცების ზრდის ტემპი 3,15-ჯერ, ხოლო ინოგოროდცების 16-ჯერ მეტია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობის.

რუსული მოსახლეობის ინტენსიური ზრდა მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, თერგის ოლქში რუსი მოსახლეობის ჩასახლება XI ს. 70-იან წლებამდე მიმდინარეობდა ძირითადად სამხედრო კოლონიზაციის გზით. 1865 წ. თერგის ოლქის მთელი მოსახლეობა 401754 სულს შეადგენდა. აქედან კაზაკები — 115220, ანუ მთელი მოსახლეობის 40%-ზე მეტს.<sup>1</sup> 1871 წლისთვის აქ რუსული მოსახლეობის რიცხვი 167 611 სულს შეადგენდა.<sup>2</sup>

XIX ს. 90-იანი წლებიდან რუსი ახალმოშენების ტალღა მოაწვა გროზნოსა და ვლადიკავკაზს, ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალმოშენეთა თანაფარდობა გარდაუვალად იცვლებოდა პირველის სასარგებლოდ. თერგისა და ყუბანის ჯარის მოსახლეობა ითვლიდა 275 4885 ადამიანს, არაჯარის — 2863647.<sup>3</sup>

1891 წ. დონის სამხედრო მიწების სტატისტიკურ ცნობარში ვკითხულობთ: «Многочисленные толпы малороссийских казаков и крестьян оставили свой жилища, приходили пределы войска, как и прежде, с намерением поступить в казаки, но донские чиновники под разным предлогом, самопроизвольно поселившие их на общественных войсковых землях, записали за собой и назвали их крестьянами».<sup>4</sup>

<sup>1</sup> მ. გონიკიშვილი. სადგილმამულო-საგლეხო..., გვ. 178.

<sup>2</sup> Е. Фелицин. Статистическая таблица о народонаселении Кавказского края. Сборник свед. о Кавказе, т. 7, Тифлис, 1880, გვ. 9; Столетие военного Министерства, главное управление казачих войск, 1802-1902, СПб, 1902, გვ. 719; Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 17.

<sup>3</sup> Статическое описание земли Донского, Черкасск, 1896, გვ. 170.

<sup>4</sup> Сборник сведения о Кавказе, т. 1, 1914, Тифлис, გვ. 22.

მოვიყვან ჩრდილოეთ კავკასიაში ინოგოროდცების ზრდის მაჩვენებელ ცხრილს:

წლები	ინოგოროდცების რაოდენობა (ათასებში)
1880	777,8
1900	1085,5
1904	1242,7 <sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, 1880-1904 წწ. ინოგოროდცები გაიზარდნენ 464,9 ათასით.

ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორც ომის დროს, ასევე მის შემდეგ, კაზაკური მოსახლეობის ზრდა არ შეწყვეტილა. ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების, განდევნისა და მოსპობის პარალელურად, რუსული მოსახლეობის ჩამოსახლებას ახორციელებდა, რასაც, კიდევ ერთხელ, ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

კაზაკთა ჯარი	1901	1912	1916	გაზრდილი მოსახლეობის რაოდენობა
დონის ჯარი	1125839	1435865	1615865	490026
ყუბანის ჯარი	875218	1252777	1370000	494782
თერგის ჯარი	183378	221000	255000	71622
სულ	2184435 <sup>2</sup>	2909642 <sup>3</sup>	3240835 <sup>1</sup>	1056400

<sup>1</sup> Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 17.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 25.

<sup>3</sup> СИЭ. т. 13, გვ. 544; СИЭ. т. 14, გვ. 202; СИЭ. т. 8, გვ. 451.

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 1901-1916 წწ. მხოლოდ კაზაკური მოსახლეობა გაიზარდა 1056400 სულით.

1902 წლის თერგის კალენდრის ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ინგუშეთში 45 000 ინგუში და 74 546 კაზაკი ცხოვრობდა.<sup>2</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში კაზაკები ხელისუფლების საიმედო დასაყრდენი იყო. ისინი ძლიერ და ორგანიზებულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, რომლებსაც ხელისუფლებამ კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ პოლიტიკური ფუნქციები დააკისრა. ომის დროს ყუბანის კაზაკებს შეეძლოთ გამოეყვანათ 37 ცხენოსანი პოლკი, 1 დევიზიონი, 22 ბატალიონი, 6 ბატარეა, 49 სხვადასხვა ასეული და სხვ., სულ 90 ათასი მეომარი,<sup>3</sup> 40 თერგის კაზაკები – 12 ცხენოსანთა პოლკი, 2 ბატარეა, 5 სათადარიგო ასეული, 2 გვარდიის ასეული და სხვ.; სულ – 16 7213 მეომარი, 11 ღონის – 60 ცხენოსანთა პოლკი, 136 ასეული, 6 ქვეითი ბატალიონი, 33 ბატარეა, 5 სათადარიგო პოლკი და სხვ.,<sup>4</sup> სულ ორჯერ მეტი მეომარი, ვიდრე ყუბანის ჯარი.

რუსეთმა XX ს. პირველი ათწლეულისთვის, მთიელთა დისკრიმინაციის, ეთნოწმენდისა და გენოციდის პოლიტიკის განხორციელებით, ძირითადად შეცვალა ჩრდილოეთ კავკასიის დემოგრაფიული სურათი – რუსულმა მოსახლეობამ გაუსწრო ადგილობრივ მოსახლეობას.

ამჯერად, კაზაკური ოლქების გვერდით აღმოცენდნენ „ინოგოროდცებით“ კოლონიზირებული უზარმაზარი ტერიტორიები. 1896 წელს ყუბანის ოლქს გამოეყო შავიზღვისპირეთისა და სტავროპოლის გუბერნიები. ამ ტერიტორიების სამხედრო კოლონიზაცია ხელისუფლებამ ვერ მოახერხა და ამიტომ,

---

<sup>1</sup> Терекский календар, ежегодный статотчет, 1902, გვ. 3.

<sup>2</sup> СИЭ. т. 13, გვ. 44.

<sup>3</sup> СИЭ. т. 14, გვ. 202.

<sup>4</sup> СИЭ. т. 8, გვ. 451.

სტავროპოლისა და შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია ინოვაციური მუშაობით მოხდა.

როგორც ვიცით, ჩერქეზებით დასახლებული შავიზღვისპირეთი რუსეთმა შემოიერთა XIX ს. 60-იან წლებში. ჩერქეზების ძალისმიერი მეთოდებით თურქეთში გადასახლების შემდგომ, რუსეთის მთავრობა შეეცადა სამხედრო კოლონიზაციის გზით მის ათვისებას. ამ მიზნით, შავიზღვისპირეთში ჩაასახლა ყუბანიდან გადმოყვანილი სანაპირო ბატალიონის 629 ოჯახი, რომლებმაც ვერ შესძლეს ამ უკაცრიელი ტერიტორიის ათვისება. 1864 წლისთვის დასავლეთ კავკასიის 111 სტანიცაში 14239 ოჯახი (85000 სული) ცხოვრობდა.<sup>1</sup> 1862-1863 წწ. დასავლეთ კავკასიაში უმაღლეს სამხედრო მოხელეებს ქვეყნის წინაშე „დიდი დამსახურებისათვის“ უსასყიდლოდ გადაეცათ 52500 დეს. მიწა.<sup>2</sup> შემდგომში, ყუბანის ოლქის ჯარების სარდალი ევლოკიმოვი, ყუბანის ოლქის უფროსი სუმარკოველტონი და დაღესტნის ოლქის უფროსი მელნიკოვი, დაასაჩუქრეს 24666 დეს. მიწის ნაკვეთით,<sup>3</sup> ხოლო გენერალი კარცევი – 6000 დეს.<sup>4</sup>

XIX ს. 80-იანი წლებიდან, რკინიგზის გაყვანის შემდეგ, შავიზღვისპირეთის ქალაქებში რუსი მოსახლეობის ზრდის პროცესი იწყება. XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისისათვის გუბერნიის მოსახლეობა, ძირითადად ქალაქებში გაიზარდა 261 112 სულით.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> *А.Г. Дзидзария. Махаджирово..., გვ. 208.*

<sup>2</sup> *Х.А. Лацманов. К истории Черресселения горцев Северного Кавказа в Турцию. Труды Карачеево – Черкесского НИИИЯЛ, вып. V, Ставрополь, 1966, გვ. 41.*

<sup>3</sup> *П.А. Алексеев и др. Добровольное присоединение Черкассии к России, Черкасск, 1957, გვ. 37.*

<sup>4</sup> *А.Г. Дзидзария. Махаджирово..., გვ. 196.*

<sup>5</sup> *Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 9.*

1909 წლის 1 იანვრისათვის შავიზღვის გუბერნიის სოფლის მოსახლეობის რიცხვი იყო 24 852.<sup>1</sup>

მოვიყვანო დღემდე მივიწყებული, რუსეთის საგადასახლებო სამმართველოს უფროსის მოადგილის ი. ტხორევესკის საინტერესო მოსაზრებებს შავიზღვისპირეთის სოფლებზე რუსი მოსახლეობის სიმცირის თაობაზე. იგი 1909 წელს ერთ-ერთ თავის ანგარიშში წერდა: «Черкесские сады глохли, дичали, поля их заросли лесом, горные тропы размылись, осыпались и исчезли... Земли эти пустыют: в 1902 году насчитывалось 1975 человек водворенных переселенцев, а к 1909 году всего 2 629. За прошлый год водворилось – 420 человек. Не наберется, стало быть, и одной тысячи устроенных переселенческих хозяйств, на всем побережье».<sup>2</sup> ამავდროულად, ავტორი შეშფოთებულია იმით, რომ შავიზღვისპირეთის საუკეთესო მიწებზე უკანონოდ სახლდებოდნენ თურქეთიდან წამოსული სომხები, რომელთა რაოდენობა 1907 წელს 3-4-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობის.<sup>3</sup> «Они платят за землю, и платят так, что ими дорожат все крупные имения Черноморья, и овладевают краем. Выдет торжество этой армяно-турецкой колонизации над русской не весело».<sup>4</sup>

ი.ი. ტხორევესკი მოუწოდებს კავკასიის ხელისუფლებას საგლებო ბანკის დახმარებით შეისყიდოს შავიზღვისპირეთის ყველა მამული, განდევნოს უცხოქვეყნელი არენდატორები და დაასახლოს „ჩვენებურები“, რასაკვირველია, „ინოგოროდცები“.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> И.И. Тхоржевский. Отчет о служебной..., გვ. 25.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე გვ. 25.

<sup>4</sup> იქვე გვ. 25.

<sup>5</sup> იქვე გვ. 25.

«С другой стороны, если бы только на свободные переселенческие участки пустить армян, – წერს ტხორჟევსკი – то в два года – по свидетельству заведывающего районом Данилевского – все казенные земли Черноморской губернии были бы густо заселены».<sup>1</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსი მოსახლეობის ზრდის ტემპებისა და რაოდენობის შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავებული სტატისტიკური მონაცემები მოჰყავთ. ვფიქრობთ, რომ ყველაზე სანდო და საფუძვლიანია ი.ი. ტხორჟევსკის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები კავკასიის სოფლის რაიონებში რუსი მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე:

ოლქები. გუბერნიები.	მოსახლეობის რაოდენობა	რუსები	%
ყუბანის ოლქი	1918881	1737908	91
თერგის ოლქი	933936	314444	31
დაღესტნის ოლქი	600435	3279	1,5
შაიუზღის გუბერნია	24852	14381	57,9 <sup>2</sup>

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიაში, მხოლოდ ყუბანისა და თერგის სოფლის რუსულმა მოსახლეობამ შეადგინა 72%. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკი კავკასიის ზოგიერთ რეგიონში რუსი მოსახლეობის სიმცირის გამო გამოთქვამს უკმაყოფილებასა და რეკომენდაციას იძლევა რუსი მოსახლეობის ზრდის ტემპების დაჩქარების თაობაზე. «Запись свободных земель, с каждой новой проверкой их, все увеличивается; теперь уже он определяются в 2 миллиона десятин с лишним. В

<sup>1</sup> И.И. Тхоржевский. Отчет о служебной..., გვ. 26.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 40.

этом году выяснилась, например, возможность отдать под переселение 140 тысяч десятин...

– Скорейшего сооружения железной дороги на Туапсе;

– Широкое открытие края для переселения из южных и западных губерний Европейской России» და სხვ.

სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ფართოდ გაუხსნა გზა რუს მოსახლეობას ჩრდილოეთ კავკასიის „ასათვისებლად“. მაგალითად, მცირე ყაბარდოში 1910-1912 წწ. ჩაასახლეს 1240 ახალმოშენე, დაღესტანში მხოლოდ 1912 წ. ჩაასახლეს 3 ათასი. ყაბარდოს სოფელ ხაპტევოში ცხოვრობდა 1013 ადგილობრივი მოსახლე და 617 – რუსი (37%).<sup>1</sup> მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რეგიონში. 1910-1916 წწ. დონის ჯარის მიწის საბჭომ 9 128 511 მანეთად შეისყიდა 53386 დესეტინა მიწა და ასევე სამხედრო წრის მარაგის მიწებზე დაასახლა 35 399 სული.<sup>2</sup>

სტავროპოლისა და შავიზღვისპირეთის გუბერნიების, რომლებიც „როგორცების“ მიერ იყო კოლონიზირებული, ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო წესები არსებითად განსხვავდებოდნენ კაზაკური ჯარის ოლქებისაგან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კაზაკობა თავიდან ხორბლისა და სხვა მარცვლეულის მოყვანით არ იყო დაკავებული. ამიტომ, როგორც მ. პოკროვსკი აღნიშნავს: «В жалованье запорожским входили мука и крупа, что было на Дону, то было на Днепре: тут и там экономической основой

<sup>1</sup> И.И. Тхоржевский. Отчет о служебной..., გვ. 36-37.

<sup>2</sup> А.В. Фадеев. Формирование земледельческого капитализма на северном Кавказе в прореформенный период. Ежегодник по истории за 1959 г., გვ. 252.

было промысловое хозяйство: охота, рыболовство, и очень большой степени, бортничество».<sup>1</sup> მაგ. 1690 წელს ზოპრის სამხედრო წრე თავის სიგელში წერდა: «А если станут пахать - того быть до смерти и грабить».<sup>2</sup> პეტრე I-ის ბრძანებით კაზაკები ვალდებული გახდნენ დაეწყოთ მათზე გამოყოფილი მიწების ხვნა-თესვა. კაზაკები ამისთვის მზად არ აღმოჩნდნენ, კაზაკურ ოლქებში მიწათმოქმედება დაიწყეს არა მიწათმფლობელმა კაზაკებმა, არამედ გამოქცეულმა ყმა გლეხებმა, შემდგომში კი „ინოგოროდცებმა“.

ჩრდილოეთ კავკასიაში კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო კაზაკთა ეკონომიკური მდგომარეობის ზრდა მთიელთა სამეურნეო ცხოვრების გაჩანაგებისა და მოსპობის ხარჯზე. «Туземцы поставлены в нестравненно менее выгодные экономические условия, — წერდა ი. აბრამოვი — чем условия экономической жизни казаков».<sup>3</sup> უდავოდ ამ ამოცანას ემსახურებოდა 1870 წლის 21 აპრილის კანონი „კაზაკთა ჯარის მიწათმოწყობის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე თერგის ოლქის ყოველმა კაზაკმა 17 წლის ასაკიდან მიიღო 24 დეს. მიწა, ყუბანის კაზაკებმა 30 დესეტინა, ხოლო ბარში მცხოვრებმა მთიელებმა ერთ დიმიზე (რ.ა. ფადეევის განმარტებით, დიმი არის ოჯახი, რომელიც არა ნაკლებ 9 წევრისაგან შედგება), 12-18 დესეტინა მიწა. ფაქტობრივად ერთ სულ მთიელზე მოდიოდა 1,5-2 დესეტინა ე.ი. ყოველი კაზაკი 20-25-ჯერ მეტ მიწის ფართობს ფლობდა,

<sup>1</sup> М. Покровский. Русская история..., გვ. 160.

<sup>2</sup> Н.Л. Яничевский. Гражданская борьба..., т. 1, გვ. 13.

<sup>3</sup> Я. Абрамов. «Кавказские горцы», жур. «Дело», №1, 1884; М.Ц.Т.К. «Возрождение», 1990, გვ. 21.



ვიდრე მთიელი.<sup>1</sup> ყუბანში გასახლებულ ჩერქეზებს თითოეულ სულზე გამოუყვეს მდინარე ყუბანის ჭანჭრობიანი 7 დესეტინა მიწა.<sup>2</sup>

თერგის ოლქის მთის ზოლში ბუნებრივი სახნავი მიწები არ მოიპოვებოდა. მთიელს თითოეული მტკაველი სახნავი მიწის პოვნა და მისი დამუშავება წლების მანძილზე ღიდი შრომის ფასად უჯდებოდა. «...Для пашны могут служить только немногие, редкие клочки земли... отискав такой участок земли, горец очищает его от камней и устраивает с низу стену... загоняет на ночлег скот, который удобряет почву. Это продолжается несколько лет... Он приносит большею частью на себе из долины черную землю и покрывает ею участок... Вообще учистки в горах крайне мелки. Больше четверти десятины участки встречаются крайне редко и чем дальше в горы, тем участки меньше».<sup>3</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მაღალმთიან აულებში ჩასახლებულმა კახაეებმა ვერ შესძლეს მთისთვის დამახასიათებელი სამეურნეო საქმიანობის განხორციელება. მათ, ისიც კი ვერ შეინარჩუნეს, რაც მთიელების დაუღალავი შრომით იყო შექმნილი. უმოკლეს დროში, ერთ დროს აყვავებული მხარე გაჩანაგდა და გავერანდა. შესანიშნავი მდელოები, ბაღები და ზვრები, რომლებიც მთიელებმა შიშველ კლდეებზე შექმნეს მთლიანად დაიფარა ჯაგნარებითა და ეკალ-ბარდებით.

ცნობილმა რუსმა ხალხოსანმა და პუბლიცისტმა ი. აბრამოვმა, რომელიც სამი წელი ცხოვრობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, 1884 წელს ჟურნალ «Дело» №1-ში გამოაქვეყნა თავისი

---

<sup>1</sup> Я. Абрамов. «Кавказские...», გვ. 21.

<sup>2</sup> იქვე გვ. 21.

<sup>3</sup> იქვე გვ. 15.

ნაშრომი «Кавказские горцы», რომლის შესახებ გამომცემელი აღნიშნავდა: «...Беспристрастно излагающий события вымшления горских племен с Кавказа, и гибели горской культуры в связи с политикой русского царизма на Кавказе в 60-80 годы XIX столетия».<sup>1</sup>

მთიელების ფიზიკური მოსპობისა და საგადასახლებო პოლიტიკას თან სდევდა მათი სულიერი, კულტურული და მატერიალური ცხოვრების ამსახველი ძეგლების განადგურებაც. ამას ადასტურებენ მთიელების კოშკური შენობების, უნიკალური საირიგაციო ნაგებობების, ბალ-ვენახებისა და სხვა სახის მეურნეობის განადგურების ფაქტები. ასე მაგალითად, ნალჩიკის მახლობლად მთის ნახევრად მრგვალ ტერასებზე გაშენებული იყო უნიკალური „ატაჟუკინის ბაღი“, რომელიც ხელოვნურად დაყოფილი იყო რამდენიმე მცირე ტერასად და უერთდებოდა მდინარე ნალჩიკის ხეობას. ტერასებზე გაშენებული იყო ვენახი, ხოლო ხეობას ამშვენებდა უზარმაზარი ხეხილის ბაღი. გაყვანილი იყო სარწყავი არხი; რუსებმა ეს უნიკალური ბაღი ძირ-ფესვიანად ამოძირკვეს. უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ზემოთქმულიც საკმარისია სათანადო დასკვნების გამოსატანად. მაგრამ, მინდა დავამთავროთ ცნობილი რუსი ხალხოსნისა და პუბლიცისტის შემდეგი სიტყვებით: «Все три лета, которые я прожил... в нальчике, русской слободке, мне пришлось вволю насмотреться на то, с каким бесстыдством русские истребляли продукты кабординской культуры и многолетнего труда... Такова здесь русская культура и образцы этой культуры можно видеть повсюду в Терска области».<sup>2</sup>

<sup>1</sup> Я. Абрамов. «Кавказские...», გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 14.

ხელისუფლება ზრუნავდა კაზაკური მეურნეობის განვითარებისათვის. კაზაკური თემი არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა გლეხური თემისაგან. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ კაზაკი გაცილებით მეტ ნაღელს ამუშავებდა, ვიდრე გლეხი. თემური მიწათმფლობელობა აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესს. «Общинное казачье хозяйство зашло в тупик. Существующая форма юртового станичного землепользования — кривотельность донских земледельцев — является причиной весьма низкой урожайности донских земель и непреодолимым тормозом к ведению устойчивости и производительности ее, Войсковой Земельный Совет возбудил надлежащее ходатайство о разрешении Совету оказать из средства земельного капитала помощь тем станичным обществам, которые пожелают перейти от нынешнего порядка землепользования к вечным хуторским довольствиям».<sup>1</sup>

სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლება ძირითადად უნარჩუნებდა კაზაკობას ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითმმართველობის, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესს, მაგრამ, ამავდროულად ცდილობდა, სტოლიპინის აგრარული რეფორმების ფარგლებში, შეექმნა „სტოლიპინის კაზაკი“, ე.ი. ხელისუფლების მხარდამჭერი — შეძლებული და კარგად შეიარაღებული კაზაკი.

მცირემიწიანი კაზაკების მიწით უზრუნველყოფა ხდებოდა ჯარის წრის ფონდიდან. მაგალითად, თერგის კაზაკთა ჯარის წრემ, მხოლოდ 1911 წ. 22 სტანიცას გადასცა 44 ათასი დუს.

<sup>1</sup> *Обзор деятельности войскового Земельного Совета Войска фонекского за 1910-1915 гг. Новочеркасск, 1916, გვ. 12.*

მიწა.<sup>1</sup> 1910-1916 წწ. დონის ჯარის მიწის საბჭომ კერძომესაკუთრებისაგან 53386 დესეტიანა მიწა 9 125 511 რუბლად შეისყიდა და ჩაასახლა იქ 19 287 მაძ. სქესის და 16 112 მდედ. სქესის მცირემიწიანი კაზაკები.<sup>2</sup>

კოლონიზირებული ტერიტორიების დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ეჭირა. 1897 წლის მონაცემებით, დონის ოლქში ყოველ 1000 კაცზე სოფლის მეურნეობით დაკავებული იყო 754, ყუბანის ოლქში – 790, სტავროპოლის – 857, თერგის – 812, დაღესტანის – 719.<sup>3</sup>

XIX ს. 60-იანი წლებიდან რუსეთის ხელისუფლება რკინიგზის მშენებლობას დიდ ყურადღებას აქცევდა. 60-70-იან წლებში რკინიგზის მშენებლობას მოხმარდა 698,5 მილიონი რუბლი, რაც მთელი მრეწველობის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხის 62,6% შეადგენდა;<sup>4</sup> 1869 წ. მწყობრში შევიდა როსტოვ-მოსკოვის (ხარკოვის გავლით) რკინიგზა. 1878 წ. როსტოვი რკინიგზით დაუკავშირდა ვლადიკავკაზს, ხოლო 1888 ვლადიკავაზ-ნოვოროსიისკის რკინიგზის შტომ ჩრდილოეთ კავკასია დაუკავშირა შავიზღვისპირეთს. აღსანიშნავია, რომ რუსეთში რკინიგზის მშენებლობა 1917 წლამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა.

რკინიგზამ ჩრდილოეთ კავკასია დაუკავშირა, როგორც რუსეთის, ასევე საერთაშორისო პურის ბაზრებს. გაიზარდა მარცვლეულ კულტურებზე მოთხოვნილება. ყოველწლიურად იზრდებოდა საექსპორტო სასაქონლო მარცვლეულის სათესი ფართობები და მოსავალი. აღსანიშნავია, რომ მემინდვრეობის

---

<sup>1</sup> «Терский вестник», №233, 1911.

<sup>2</sup> Обзор деятельности войскового Земельного Совета Войска фонекского за 1910-1915 гг. Новочеркасск, 1916, გვ. 21.

<sup>3</sup> Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 11.

<sup>4</sup> С. Пионтковский. очерки истории России в XX-XXI века, изд. «пролетарий», 1928, გვ. 78.

აღმავლობა პირდაპირ კავშირშია „ინოგოროდცების“ რიცხოვრივ ზრდასთან:

წლები	ინოგოროდცების რაოდენობა (ათასებში)	აღებული მოსავალი მეოთხ. (ათას)
1890	777,8	6978,7
1900	1085,5	1137,1
1904	1242,7	15273,4 <sup>1</sup>

საერთაშორისო ბაზრებზე ჩრდილოეთ კავკასიის მარცვლეული კულტურები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. ჩრდილოეთ კავკასიის რუსი მოსახლეობის მეურნეობა დამოკიდებული გახდა მსოფლიო პურის ბაზრების მოთხოვნებზე. ყოველწლიურად იზრდებოდა საექსპორტო სასაქონლო მემინდვრეობის კულტურების სათესი ფართობები და მოსავალი. ასე მაგალითად, ღონის ოლქში 1898-12 წლებში სახნავ-სათესი ფართობი შეადგენდა 3,694 ათას დესეტიანას, 1913-1914 წლებში კი – 5 062 ათასს, სტავროპოლის გუბერნიაში 1898-1912 წწ. 375000, 1913-1914 – 2,455 ათასს, ე.ი. ყოველწლიურად რუსი მოსახლეობის სათესი ფართობი იზრდებოდა საშუალოდ 1,170 ათასი დესიატინით.<sup>2</sup> ასევე, ყუბანის ოლქში 1902 წლიდან 1914 წლამდე სათესი ფართობის ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 2 131 ათას დესეტიანას,<sup>3</sup> თერგის ოლქში 1877-1891 წწ. კაზაკთა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართი იყო 213 000 დეს. 1898-1902 წწ. 475 000 დეს, 1913-1914 წწ. – 991 000 დეს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Сборник сведений О северном Кавказе, т. 1.

<sup>2</sup> Экономическая география Юго-Востока России, Ростов-на-Дону, 1924, გვ. 167.

<sup>3</sup> იქვე გვ. 146.

<sup>4</sup> იქვე გვ. 147.

1916 წ. ჩრდილოეთ კავკასიაში სახნავ-სათეს ფართობს ეკავა 8 376 ათასი დესეტინა, რაც რუსეთის ევროპული ნაწილის სათესი ფართობის 11,3% შეადგენდა.<sup>1</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში 1911-1915 წწ. მარცვლ. კულტ. ნათესი ფართობების ზრდის მაჩვენებელი ცხრილი (ათას. დესეტ.)

მარცვ.კულტ. დასახელება	1911 წ.		1915 წ.		
	რუსეთში	ევროპულ რუსეთში	ჩრდილოეთ კავკასიაში	%%	
				მთელ რუსეთში	ევროპულ რუსეთში
ჭკეი, საშემოდგომო და საგაზაფხულო	26141	23844	1016	3,8	4,3
ხორბალი, საშემოდგომო და საგაზაფხულო	29779	18532	6470	21,7	34,9
ქერი, საშემოდგომო და საგაზაფხულო	11734	8757	2825	24,1	32,3
სიმინდი	1828	1875	323	17,7	27,5
შერია	17349	13843	689	4,0	5,0
სულ	99755	76489	12111	12,1	15,8 <sup>2</sup>

პურის ბაზარში ჩართვის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენდა სტანიცა კავკასკაია, საიდანაც ჯერ კიდევ, 1890 წელს რკინიგზით გატანილი იქნა 3 967 176 ფუთა ხორბალი.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Писарев. Ликвидация крепостного права в гв. 61.

<sup>2</sup> Экономическая география Юго-Востока России, Ростов-на-Дону, 1924, გვ. 167.

<sup>3</sup> А.С. Собривеский. Екотершодарский хлебный рынок, Екотершодар, 1899, გვ. 8.

აქ, 1870 წელს მოხდა მიწების გადანაწილება. 1295 მამრობითი სქესის კაზაკმა თითოეულ ზელზე მიიღო 21,05 დესეტინა.<sup>1</sup>

1913 წლისათვის ჩრდილოეთ კავკასიიდან ნედლეულის გატანა აღწევს კოლოსალურ რაოდენობას.

1898 წელს, მხოლოდ რკინიგზის სამი სადგურიდან (ნაზრანი, სამაშკინსკაია და გუდერმესი) გატანილი იქნა 27 მილიონზე მეტი ფუთი პურის მარცვალი, 16 მლ. ფუთის სიმინდი, 7 მლ. მეტი სხვადასხვა მარცვლეული.<sup>2</sup>

1900 წელს თერგის ოლქიდან გატანილი იქნა 16 386 549 ფუთი ხორბლის მარცვლეული, ღვინო – 448 992 ფუთი, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქონელი – 7 907 131 ფუთი. მთლიანად ოლქიდან გატანილი იქნა 24 742 602 ფუთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.<sup>3</sup>

1910 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან გატანილი იქნა 61 მლ სხვადასხვა სახის ტვირთი, მათ შორის 3,5 მლნ. ფუთი პური, 56 მლნ ფუთი ნავთობპროდუქტი. ამავე წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთში შემოვიდა სულ 5 მლნ ფუთი ტვირთი, რაც გატანილ ტვირთზე 12-ჯერ ნაკლებია.<sup>4</sup> 1913 წელს ამავე სადგურიდან გატანილი იქნა 6 მლნ მეტი ფუთი სიმინდი და 7 მლ. მეტი სხვადასხვა მარცვლეული.<sup>5</sup>

ჩრდილოეთ კავკასია XX ს. პირველი ათწლეულისთვის გადაიქცა რუსეთის იმპერიის ბელელად, სადაც 1916 წ. მარცვლეული კულტურების სათეს ფართობებს ეკავათ 8.376 ათასი

---

<sup>1</sup> *А. С. Собриневский. Екотеринодарский..., გვ. 10.*

<sup>2</sup> *Сводная статистика перевозок хлебных грузов по Владикавказской железной дороге (1892-1913), Пг, 1915, გვ. 13-17.*

<sup>3</sup> *Отчет начальника Терской области за 1911 год, გვ. 90-91.*

<sup>4</sup> *Терский Календарь за 1912 год, Владикавказ, 1913, გვ. 14.*

<sup>5</sup> *Сводная статистика..., გვ. 42.*

დესეტინა, რაც რუსეთის ევროპული ნაწილის სათესი მიწების 11,3% შეადგენდა.<sup>1</sup>

1909-1913 წწ. ჩრდილოეთ კავკასიიდან საშუალოდ  
გატანილი იქნა:

	სულ	საზღვარგარეთ	ევროპ. რუსეთში
ხორბალი	137 803 ფუთი ტ.	114 024 ფუთი ტ. 83%	23 779 ფუთი ტ. 17%
ქერი	78 106 ფუთი ტ.	76 676 ფუთი ტ. 98%	1 430 ფუთი ტ. 2% <sup>2</sup>

ექსტენსიურიდან ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლას და სასაქონლო ურთიერთობების განვითარებას, რომლებიც ხელისუფლების ხელშეწყობით მიმდინარეობდა, მოჰყვა კაზაკების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ კაზაკების ეკონომიკური მდგომარეობა კავკასიის ომის პერიოდშიც გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობის. მაგ. თერგის კაზაკის ოჯახი 1825-28 წწ. საკუთარი ღვინო-არაყის რეალიზაციით 400-დან 800 რუბლამდე შემოსავალს იღებდა.<sup>3</sup> შავი ზღვის კაზაკებს ყოველწლიურად გასაყიდად გაჰყავდათ 30 ათასი რქოსანი პირუტყვი, 15 000 ცხვარი, 5000 ცხენი, რომელთა რეალიზაციით 800 ათასი – 1 მლ შემოსავალს იღებდნენ.<sup>4</sup> დონის კაზაკების შემოსავალი 1836 წ. იყო 102 850 რუბლი, ხოლო 1862 წ. – 12 839 900 რუბლი.<sup>5</sup> ე.ი. კაზაკების

<sup>1</sup> Н.М. Янчевский. Гражданская борьба..., გვ.

<sup>2</sup> Статистический обзор..., გვ. 41.

<sup>3</sup> Ев. Максимов. Терское казачье войско, историко-этнографический очерк, Владикавказ, 1890, გვ. 7.

<sup>4</sup> Ив. Попка. Черноморские казаки в их гражданском и военном быту, СПб, 1858, გვ. 83.

<sup>5</sup> Писарев. Ликвидация крепостного права..., გვ. 62.



შემოსავლის ყოველწლიური მატება შეადგენდა 493 842 რუბლს.

ჩრდილოეთ კავკასიის კაზაკთა ფულადი შემოსავალი  
1901 წ.

	თანხა
დონის ჯარი	16 926 386-48
ყუბანის ჯარი	4 931 112-96
თერგის ჯარი	3 038 874-80 <sup>1</sup>
სულ	2 489 6374-24

ჩრდილოეთ კავკასიაში სამრეწველო განვითარება დაიწყო XIX ს. ბოლო მეოთხედში მსუბუქი მრეწველობის უპირატესი განვითარებით. მანქანური წარმოება სწრაფად ვრცელდებოდა ტყავის, პურისა და რძის პროდუქტების, ხე-ტყის, აგურის, მინისა და სხვა ფართო მოხმარების საწარმოებებში. სოფლის მეურნეობის განვითარების კვალობაზე, იზრდებოდა გადამამუშავებელი წარმოებებიც. ასე მაგალითად, XIX ს. ბოლოს სტავროპოლის გუბერნიაში ფუნქციონირებდა 2 100 საწარმო, სადაც დაკავებული იყო 7 138 მუშა; ყუბანის ოლქში – 402 საწ. 6 504 მუშით; თერგის ოლქში – 170 საწ. 1 175 მუშით, შავიზღვის ოლქში – 23 საწ. 171 მუშით და ა.შ. 1897 წლისათვის 1000 კაცზე მრეწველობის დარგებში დაკავებული იყო: დონის ოლქში – 195 მუშა, ყუბანის – 115, შავიზღვის გუბერნიაში – 254, სტავროპოლის – 80, თერგის ოლქში – 78.<sup>2</sup>

სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მსუბუქი მრეწველობის დარგებიც. 1908 წ. ჩრდილოეთ

<sup>1</sup> Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 24.

<sup>2</sup> Экономическая география..., გვ. 70.

კავკასიაში ფუნქციონირებდა 452 საწარმო 34 424 მუშით, 1910 წ. 533 საწარმო 39 304 მუშით, 1912 წ. – 541 საწარმო 40 694 მუშით.<sup>1</sup> ქალაქებიდან, როსტოვს მრეწველობის განვითარების ტემპითა და ღონით წამყვანი როლი ეკავა. აქ რეგიონის მუშების 71% იყო დაკავებული.

ალექსანდრე II-მა ხელისუფლება მფარველობდა მძიმე მრეწველობის დარგების განვითარებას. ამის შესახებ, 1883 წლის სრულიად რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ყრილობაზე ნათქვამი იყო:

«Покровительственная система всегда спасала наше отечество от экономических потрясений и выводила на путь Благосостояния».<sup>2</sup>

ალექსანდრე II-ის პროტექციონისტულმა პოლიტიკამ, ხელი შეუწყო ქვეყნის მძიმე მრეწველობის დარგების განვითარებას. მაგალითად, გერმანიაში დამზადებული 30 ტონიანი ორთქმავალი ქვეყანას უჯდებოდა 18-დან 25 ათას მანეთამდე, ხოლო რუსეთში დამზადებული – 25 ათას მანეთზე მეტი.<sup>3</sup> ინგლისიდან ერთი ფუთი ჩუგუნის შემოტანა ღირდა 36,38 კაპ., რუსეთში – 45,56 კაპ. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე II-ის 1877 წელს ხუთი წლით აკრძალა საზღვარგარეთის ქვეყნებში ორთქმავლების და მძიმე მრეწველობის დარგების პროდუქციაზე შეკვეთების მიცემა. სამაგიეროდ, ხელისუფლება რუსეთში დამზადებული თითოეული ოთხბორბლიანი ორთქმავლისათვის პრემიის სახით გამოჰყოფდა 2400 მანეთს, ექვსბორბლიანის – 2600 მან., რვაბორბლიანის 300 მან.<sup>4</sup>

ამგვარად, აღნიშნული სისტემის შემოღებამ, უზრუნველყო უცხოური და საშინაო კაპიტალის დაბანდება მძიმე მრეწველობის დარგებში.

ამ პერიოდისათვის იწყება მრეწველობის დარგების გეოგრაფიული განლაგებაც, მაგალითად, თუ 1867 წელს –

<sup>1</sup> *Экономическая география...*, გვ. 173.

<sup>2</sup> *იქვე*, გვ. 181-191.

<sup>3</sup> *С. Пионтковский. Очерки истории...*, გვ. 78.

<sup>4</sup> *იქვე*, გვ. 78.

65,1% და 1887 წ. – 63,1% ჩუგუნის გამოდნობის ხვედრითი წონა მოდიოდა ურალის ქარხნებზე;<sup>1</sup> 80-იანი წლების შუა რიცხვებიდან იწყება მრეწველობის დარგების განვითარება რუსეთის მიერ კოლონიზირებულ სამხრეთ რაიონებში.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო მძიმე მრეწველობის დარგების განვითარება. სწრაფად იზრდება ღონბასის ქვანახშირის, ყუბანისა და გროზნოს ნავთობსაბადოების ათვისება.

1874 წელს სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველობის ყრილობამ მიმართა სახელმწიფო ქონების მინისტრს რომ სამთო-მრეწველობის განვითარებას აფერხებდა მუშახელის სიმცირე, შექმნილი ვითარება მოითხოვდა ქვეყნის ცენტრალური გუბერნიებიდან გლეხების გადმოსახლებას.<sup>2</sup> «Переселенцы обязуются – ккитხოლოб ყრილობის დადგენილებაში – в течение пяти лет служить на местах их нового жительства в работах у владельца... определенной условием».<sup>3</sup>

1900 წლიდან 1915 წლამდე ღონბასის ქვანახშირის და ანტრაციტის მოპოვება გაიზარდა 217,9 მლ. ფუთიდან 629,3 მლ. ფუთამდე, მუშათა რაოდენობა კი – 26,5 ათასიდან 106,1 ათასამდე.<sup>4</sup>

1883-1892 წლებში გროზნოში მოპოვებული იქნა 3 270 000 ფუთი ნავთობი, 1903 წ. – 32,7 მლნ. ფუთი; 1907 წ. – 107,8 მლნ. ფუთი.<sup>5</sup>

1839 წელს თერგის ოლქში აღმოჩენილი იქნა საღონსკის ვერცხლისა და ტყვიის საბადოები. 1850 წელს აშენებული იქნა

---

<sup>1</sup> С. Пионтковский. Очерки истории..., გვ. 78.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 78.

<sup>3</sup> Общественное движение в России, т. 1, М., 1926, გვ. 333.

<sup>4</sup> Н.Л. Янчевский. Гражданская борьба..., გვ. 14.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 14.

ალაგირის ვერცხლისა და ტყვიის გადამამუშავებელი ქარხანა; აქ 1900 წ. გადამამუშავებული იქნა 191 400 ფუთი ცინკი, 48 056 ფუთი ტყვია და 155 ფუთი ვერცხლი, 1913 წ. – 179 940 ფუთი ცინკი, 83 711 ფუთი ტყვია და 197 ფუთი ვერცხლი.<sup>1</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში მე-20 ს. დასაწყისში დაიწყო მეტალურგიული მრეწველობის სწრაფი განვითარება. 1900 წელს გამოდნობილი იქნა 10,2 მლ. ფუთი ჩუგუნი, რკინა და ფოლადი – 6,6 მლ. ფუთი; 1913 წ. – 26,9 მლ. ჩუგუნი, 21,8 მლ. რკინა და ფოლადი.<sup>2</sup>

მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ქალაქების მოსახლეობაც. ჩრდილოეთ კავკასიის ინტენსიური კოლონიზაციის პროცესზე მიუთითებს შემდეგი მონაცემები:<sup>3</sup>

ქალაქები	1897 წ.	1912-1913 წწ.
1. როსტოვი	119,5 ათასი	189,8 ათასი
2. ეკატერინოდარი	41,6 ათასი	98,4 ათასი
3. ვლადიკავკაზი	43,7 ათასი	76,2 ათასი
4. გროზნი	15,6 ათასი	29,8 ათასი
სულ	110,4 ათასი	394,2 ათასი

ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობამ 1897-1920 წწ. 641,1 ათასიდან გაიზარდა 1225200-მდე.<sup>4</sup>

ჩრდილოეთ კავკასიის მრეწველობის სწრაფი განვითარება ძირითადად განპირობებული იყო უცხოური კაპიტალით, კერძოდ, – ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის ინვესტიციებით. ასე მაგალითად, დონბასის ქვანახშირის მოპოვების 80% უცხოური ფირმებისა და სააქციო

<sup>1</sup> Н.Л. Яичевский. Гражданская борьба..., გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 15.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 10.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 13.

საზოგადოების ხელში იყო.<sup>1</sup> გროზნოს საბადოების 90% ეკუთვნოდა ინგლისელებს, ფრანგებს, ბელგიელებს. „დიდი მეტალურგიული საწარმოები – „ქვანახშირის რუსეთ-ლონის საზოგადოება“, „ტაგანროგის მეტალურგიული საზოგადოება“ ექვემდებარებოდა ფრანგულ კაპიტალს.<sup>2</sup>

უცხოურმა ინვესტიციებმა დიდი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების მეურნეობის განვითარებაში. როსტოვისა და ეკატერინოდარის ტრამვაი და ელექტროსადგური ეკუთვნოდა ბელგიის კაპიტალს, წყალგაყვანილობა და გაზის ქარხანა – საფრანგეთის კაპიტალს;<sup>3</sup> ვლადიკავკაზის რკინიგზამ, რომლის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 302 000 000 მან. 1911 წელს სუფთა მოგება მიიღო 26 060 000 მან., საიდანაც აქციონერებმა მიიღეს 392 700 მან. დივიდენდი.<sup>4</sup> რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი უდიდესი და ცნობილი აზოვი-ლონის ბანკი ფაქტობრივად, პარიზის ბანკის ფილიალი იყო, რადგან ამ ბანკის ძირითადი კაპიტალის 60 მილიონიდან 42 მლ. ეკუთვნოდა საფრანგეთს.<sup>5</sup>

ჩრდილოეთ კავკასიის საექსპორტო საქონლის დიდი ნაწილი ეკუთვნოდა უცხოურ კაპიტალს. ასე, მაგალითად, 1904 წელს როსტოვის პორტიდან გატანილი საქონლის 76,5% ეკუთვნოდა უცხოელ ექსპორტიორებს; 1913 წელს ნოვოროსიისკის პორტში 493 შორსმცურავი გემიდან 198 იყო ინგლისის, იტალიის – 74, გერმანიის – 38, საფრანგეთის – 30, საბერძნეთის – 28, რუსეთის მხოლოდ – 87.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> <http://www.sreehp.Microyoft Word Document 52>.

<sup>2</sup> Н.Л. Янчевский. *Гражданская борьба...*, გვ. 15.

<sup>3</sup> იქვე გვ. 15.

<sup>4</sup> იქვე გვ. 15.

<sup>5</sup> იქვე გვ. 15.

<sup>6</sup> *Статистический обзор современного положения казачьих войск.* изд. Войск, 1903, გვ. 43.

როგორც ვხედავთ, ჩრდილოეთ კავკასიის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების, რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობისა და ექსპრტის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოური კაპიტალის ხელშია. მიუხედავად ამისა, მან მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო კაზაკთა ეკონომიკური მდგომარეობის ზრდას, რასაც ადასტურებს 1901 წლის შემდეგი მონაცემები:

დონის შეადგენდა	ჯარის	შემოსავალი	16 926 386 რუბ.
ყუბანის შეადგენდა	ჯარის	შემოსავალი	498 1112 რუბ. 3 038 874 რუბ.
თერგის შეადგენდა	ჯარის	შემოსავალი	
სულ			24 896 372 რუბ. <sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ მიწა იყო კაზაკების შემოსავლის ძირითადი წყარო. მაგ. 1901 წ. დონის კაზაკთა საერთო შემოსავლის 42,7% იყო მიწიდან, ყუბანის – 22,1%, თერგის – 66,6%.<sup>2</sup>

პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია რუსეთის იმპერიის სახალხო მეურნეობის მოშლა, გამოვიდა მისი ეკონომიკური რესურსები, დაიხურა მსოფლიო ბაზრები. ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მნიშვნელოვნად შემცირდა ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, მოიშალა საფინანსო სისტემა, დაირღვა ტრანსპორტის მუშაობა, დიდი იყო კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, სოფლად მნიშვნელოვნად შემცირდა სათესი

<sup>1</sup> Статистический обзор..., გვ. 31.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 31.

ფართობი, უზომოდ გაიზარდა სურსათ-სანოვაგეზე და პირველადი მოხმარების საქონელზე ფასები, რუბლის მსყიდველობითი უნარიანობა 30%-მდე დაეცა. ამაზე მეტყველებენ ღონის ოლქის შემდეგი მონაცემები:<sup>1</sup>

დასახელება	1913 წ.	1916 წ.
1. ხორბალი	3 167 100	2 130 192
2. ხორბალი	მუთხული კგ	მუთხულ. კგ.
3. ქერი	1 მან. 17 კაპ	1. მან. 75 კაპ.
4. ქარხნების რაოდენობა	71 კაპ.	1 მან 05 კაპ.
5. ქანახშირი და ანტრაციტი	923 ტ.	6 936 ტ.
	615 450 340 ტ.	720 979 258 ტ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ომის შედეგად შეწყვეტილმა საგარეო სავაჭრო ურთიერთობებმა, ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ყუბანის ოლქში, დააგროვა დიდი რაოდენობით მარცვლეული. 1919 წელსაც, სამოქალაქო ომის დროს, ყუბანს შეეძლო საზღვარგარეთ გაეტანა 26,4 მლ. ფუთი ხორბლისა და 22,3 მლ. ქერის მარცვალი.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, რუსეთის ხელისუფლებას სამხედრო კოლონიზაციის გზით მითვისებული ნოყიერი სავარგულებისა და სამოვრების ხარჯზე, კაზაკური მეურნეობა გადაჰყავს კაპიტალისტურ რელსებზე, ხოლო მთიელებს ამყოფებდა ნატურალური მეურნეობის სფეროში, არ აძლევდა სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლის საშუალებას.

ჩრდილოეთ კავკასიაში სტოლიპინის აგრარულ რეფორმას მოჰყვა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გაძლიერება, რადგან სამხედრო გამარჯვების შემდეგ მან ხელში ჩაიგდო მთიელთა დამორჩილების ეკონომიკური ბერკეტებიც.

<sup>1</sup> Н.Л. Янчевский. Гражданская больба..., გვ. 15-16.

<sup>2</sup> А.И. Деникин. Очерки Русской смуты, М., 1991, გვ.

რუსეთის იმპერიის მიერ დამორჩილებულ, დაპყრობილ ხალხებს შორის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები, განსაკუთრებით ჩერქეზთა ტომები, ჩეჩნები და ინგუშები, განიცდიდნენ ყველაზე მძიმე და გამანადგურებელ დარტყმებს, ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ ტერორს. 1912 წელს ოსი პუბლიცისტი გ. ცოგოლევი წერდა: «В этом крае беспросветной нужды и из каждых семи душ наличного населения мужского пола за убогим столом природы имеются прибор только для одного человека, а остальные шесть человек должны встать из-за стола».<sup>1</sup>

1903 წელს თერგის ოლქის სამხედრო წრის ატამანი ნიკოლოზ II-ის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ „თერგის კაზაკთა მატერიალურ მდგომარეობაზე მომაკვდინებელ გავლენას ახდენს მტაცებელ მთიელებთან მეზობლობა“. იმპერატორმა მოხსენებით ბარათს შემდეგი რეზოლუცია დაადო: «По моему мнению это соседство поддерживает в Терских казаках старую удаль».<sup>2</sup> ეფიქრობთ, რომ რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის მთელი არსი გამოხატულია რუსეთის იმპერატორის ამ ცინიკურ რეზოლუციაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში მიწა იყო ურთიერთობის ძირითადი საკითხი. რუსეთმა მიწათმფლობელობისა და სარგებლობის დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებით ერთმანეთს დაუპირისპირა ერთის მხრივ თვით მთიელები და ხოლო მეორეს მხრივ — მთიელები და კაზაკები. ამით რუსეთმა მოახერხა ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გახლეჩა და დასუსტება. იგი თითქმის ხელუხლებლად ტოვებდა მთის ზოგიერთი

---

<sup>1</sup> Г.Г. Цоголов. *Койи беспросветной нужды, Владикавказ, 1912, გვ 259.*

<sup>2</sup> П.А. Ткачев. *Гребенские, Терские и Кизлярские казаки, Владикавказ, 1912,*



ტომის ტრადიციულად ჩამოყალიბებული მიწათმფლობელობისა და სარგებლობის წესს და ამით მათთან ლოიალურ დამოკიდებულებას აღწევდა. თუ ჩეჩნეთში და ინგუშეთში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და საძოვრების დიდი ნაწილი კახაკებმა მითვისეს, ბალყარეთში, ყაბარდოში, ოსეთში და განსაკუთრებით ყარაჩაიში მიწები თითქმის ადგილობრივი მემამულეებისა და შექლებული გლეხების ხელში დარჩა. განსაკუთრებით, პრივილეგირებული მდგომარეობა დაიკავა ყარაჩაელებმა. «Из всех населения Кубанской области одно Карачиевское можно считать вполне оседлым материально и нравственно, — აღნიშნავს რ.ა. ფადეევი — так как погром последних лет ни в каком отношении его не коснулся и оно остается на местах, искони им занимаемых. С точки зрения провительственных мер, Карачай подходит к племенам Терской области и не имеет ничего общего с племенами Кубанской, от которых он отделен в добавок обширным безлюдным пространством называемом кордонными землями».<sup>1</sup>

ოსების მიმართაც რუსეთის ხელისუფლების სოციალურ-კულტურული ხასიათის პოლიტიკა გაცილებით უფრო ლოიალური და ჰუმანურია, ვიდრე ჩეჩნების, ინგუშების, ჩერქეზებისა და სხვათა მიმართ. ჯერ კიდევ, 1933 წელს პროფ. ბ.ვ. სკიტსკი წერდა — «в процессе превращения Осетии в Российскую колонию духовный меч мыграл такую роль, какой он не играл при покорении других областей Северного Е/Кавказа. Главным образом в Осетии он был употреблен наряду со светским мечом еще с 18-го века, чтобы крепче

---

<sup>1</sup> Р.А. Фадеев. Письма с Кавказы, собрание соч. т. 1, С-Пб., 1990, გვ. 62.

привязать идеологическими путями осетинские народные массы к колеснице Российского капитализма».<sup>1</sup> პროფესორ ბ. ვ. სკიტსკი, როდესაც იდეოლოგიური დამორჩილების შესახებ წერს, მხედველობაში აქვს ოსეთში რუსეთის მიერ ქრისტიანობის გავრცელება. დღეს ოსების დიდი ნაწილი ქრისტიანი მართლმადიდებლები არიან. თერგის ოლქის მთიელთა შორის მხოლოდ ოსებმა მიიღეს, რომელმაც რუსეთის ხელისუფლების ნებართვით თავისი ანბანი და დამწერლობა. ოსი ახალგაზრდები სწავლობდნენ რუსულ სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში. მთიელებს შორის მხოლოდ ოსებს ჰქონდათ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლისა და სამხედრო წოდებების მიღების უფლება.<sup>2</sup> მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს გადაწყვიტა მთავრობამ შეექმნა მთიელ მოხალისეთა სამხედრო შენაერთი, რომელიც ცნობილია „დიკაია დივიზიის“ („ველური დივიზია“) სახელწოდებით.

ზემოთ აღნიშნული და სხვა საშუალებებით ხელისუფლება ოსეთში ახერხებდა რუსული მენტალიტეტის მატარებელი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ისლამი უდიდესი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა მთიელ ხალხთა უმრავლესობაში და მის პოზიციაზე ბევრად იყო დამოკიდებული რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წარმატება. მთიელები ისლამის დროშის ქვეშ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის თავგამოდებით ებრძოდნენ რუსეთს, ამიტომ რუსეთმა სამხედრო წარმატებების კვალობაზე დაიწყო მთიელთა სულიერი საწყისის ამოძირკვა და ისლამის წინააღმდეგ აშკარა შეტევითი პოლიტიკის განხორციელება. იგი ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდა

---

<sup>1</sup> *Записки Северо-Кавказского педагогического института, Владикавказ, 1933, გვ. 41.*

<sup>2</sup> *Записки Северо-Кавказского..., 1933, გვ. 41.*

მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას. «Царская администрация усиленно заботилась о том, чтобы «склонить» мусульманское население в христианскую веру, — წერდა 1933 წელს ისტორიკოსი გ.კ. მარტიროსიანი — Прибегая для этого ко всяким способам вплоть до подарков, денег, выдачи различных пособий и т.д.»<sup>1</sup>

რუსეთის მიერ მთიელთა სარწმუნოებისადმი უპატივცემულობამ კიდევ უფრო გაამძაფრა და გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი. ხელისუფლება მიხვდა, რომ მთიელთა სარწმუნოების მიმართ აგრესიული პოლიტიკის გაგრძელება გაართულებდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დამორჩილების პროცესს. ამიტომ იძულებული გახდა, თავი შეეკავებინა მთიელთა ქრისტიანული სარწმუნოებაზე მოქცევის ძალისმიერი მეთოდებისაგან, რასაც ადასტურებს გენერალ ბელოვინის 1842 წლის 17 ივლისის წერილი საქართველოს ეგზარქოსისადმი. წერილში რუსეთის სამხედრო მინისტრი ნაზრანში ინგუშების წარმომადგენლებთან შეხვედრის შესახებ, ეგზარქოსს წერდა: «...700 назрановских жителей подали от имени ингушей прошение в коем объясняя, что они обращены в христианскую веру мерами насильственными и обольстительными, изъявляют желание возвратиться к прежнему мухаммеданскому закону».<sup>2</sup> ამ საკითხის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება ნათლად ჩანს გენ. ბელოვინის წერილის შემდეგ ნაწილში: «Военный министр по неоднократным возмущениям в ингушевских

---

<sup>1</sup> Г.К. Мартиросян. *История ингушетии, Материалы, Орджоникидзе, 1933, გვ. 33.*

<sup>2</sup> АКАК, т. 9, გვ. 168.



ახორციელებდა კავკასიის ადმინისტრაციის მხარდაჭერის მეშვეობით. მაგრამ საზოგადოების აშკარა რუსიფიკატორულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ მთიელების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მაგალითად, ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ ოსეთში რამდენიმე წერა-კითხვის სწავლების სკოლა დააარსა, სადაც წერა-კითხვის საფუძვლიანი სწავლების ნაცვლად მიმდინარეობდა ქრისტიანული დოგმების ზუთხვა. ი. აბრამოვი ამ ტიპის სკოლების შესახებ წერდა: «Туземщи... подозрительно относятся к ней, как русскому учреждению... школы «общества не имеет ровно никого значения в смысле распространения образования среди туземцев».<sup>1</sup>

ხელისუფლება ცდილობდა შამილის წინააღმდეგ გამოეყენებინა კავკასიის მუსლიმანი-შიიტები. მან კარგად იცოდა, რომ 1830 წ. ამიერკავკასიაში ცხოვრობდა 325 201 მუსულმანი. აქედან სუნიტი იყო 177 736, შიიტი – 120 674. ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მუსლიმან-სუნიტები შეადგენდნენ. კავკასიის ხალხების ურთიერთდაპირისპირების პროვოცირება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. 1832 წ. ამიერკავკასიის მუსლიმანთა ლიდერის ალა-მირ-ფეტამის ძალისხმევით შექმნილი რაზმი,<sup>2</sup> რუსებთან ერთად, ჩერქეზთა ტომების წინამძღოლის ღაზი-მუჰამედის წინააღმდეგ იბრძოდა. მიუხედავად ხელისუფლების დიდი მონღომებისა, სამხრეთ კავკასიის შიიტების

<sup>1</sup> Я. Абрамов. Кавказски горы, გვ. 32.

<sup>2</sup> ალა-მირ-ფეტაგი 1833 წ. 13 აგვისტოს ბრძანებულებით – „ოსმალეთის ომში გაწეული მნიშვნელოვანი სამსახურისთვისა და რუსეთისადმი განსაკუთრებული ერთგულებისთვის“ – დასაჩუქრდა შირვანის პროვინციის 15 სოფლით, რომელთა წლიური შემოსავალი შეადგენდა 5360 რუბლს ვერცხლით (Колониальная политика Русского царизма в Азербайджане, Л., 1936, გვ. 313.

მონაწილეობას შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

ხელისუფლება, მთიელთა იმ სასულიერო პირებსაც, რომლებიც გულმოდგინებით ასრულებდნენ კოლონიური ადმინისტრაციის დავალებებს, არ ენდობოდა და ჩრდილოეთ კავკასიის ფარგლებს გარეთ ეძებდა მოლებსა და ყადიებს, რათა მათი დახმარებით შამილის ავტორიტეტი შეელახა და დაერწმუნებინა მთიელები, რომ იგი წინასწარმეტყველის საწინააღმდეგო იდეებს ქადაგებდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ, გენ. გუდოვიჩმა ეკატერინე დიდს სთხოვა ყაზანიდან მუფთის გამოგზავნა, რომელიც დაუფლებულია შარიათსა და შეძლებს დაარწმუნოს ყაბარდოელები, რომ რუსეთის მიერ შემოღებული სასამართლო სისტემა არ ეწინააღმდეგება შარიათს. ეკატერინე დიდმა დააკმაყოფილა გენერლის თხოვნა, მაგრამ ყაზანელი მუფთის საქმიანობას ყაბარდოში რაიმე საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია.

1834 წ. გენ. გოლოვინის თხოვნით კავკასიის მუსულმან-სუნიტების მუფთად დანიშნა ცნობილი ყაზანელი პრორუსული ორიენტაციის სასულიერო პირი ტაჯენდინ-ეფენდი. იგი ხელისუფლებისათვის მამებელ მიმართვაში მოუწოდებდა მთიელებს ლოცვებით გამოეხატათ რუსეთის მეფისა და მისი შვილებისადმი პატივისცემა, გოლოვინს მოიხსენებდა, როგორც პატიოსნებისა და სამართლიანობის დამცველი „დიდი მეფის ნაცვალს“. ტაჯენდინ-ეფენდიმ და სხვა დანიშნულმა მუფთებმა, რომლებიც ასრულებდნენ ხელისუფლების დაკვეთებს, ფაქტობრივად, იმამი შამილისა და მისი მიმდევრების პოპულარობასა და ავტორიტეტის ზრდას შეუწყვეს ხელი.

კავკასიის მეფისნაცვალი მ.ს. ვორონცოვი მიურიდაზმის იდეოლოგიური განადგურების იდეას თავგამოდებით იცავდა. ამისთვის სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებებთან ერთად, არ ერიდებოდა მოლების, ყადიებისა და შამილის ნაიბების

მოსყიდვას. მას სურდა მიურიდიზმის ძირის გამოთხრა მიურიდების მეშვეობით.

შამილის, მისი ოჯახის წევრების, დაახლოებული პირებისა და ნაიბების ცხოვრების შესახებ იბეჭდებოდა დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი წერილები, სტატიები, ვრცელდებოდა ჭორები. ასე მაგალითად, 1847 წ. გამოქვეყნდა ყადი მუჰამედის წერილი შამილისადმი, სადაც ნათქვამი იყო: „...შენ დალესტანი აქციე სისხლიან სასაკლაოდ, რომლის გაგება ადამიანის ყურებს არ სურს: მე არ ვიცი რა გიბიძგებს ასეთი ცული საქციელისაკენ, რა გაიძულებს ამდენი დიდი ცოდვის ჩადენას. შენ იძლევი მუსლიმანების მოკვლის, სისხლის ღვრის, გაძარცვის ნებართვას, რომლებიც აქამდე აკრძალული იყო. შენ უარყავი დიდი იმამების არჩეული გზა. შენ არ ხარ ღმერთის მიერ გამოგზავნილი, ახალი ცხოვრების წესების დამამყარებელი წინასწარმეტყველი. შენმა განკარგულებებმა დალესტანში ომი, მტრობა და უკანონობა დაასადგურა...“

დალესტანს რუსების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი განდევნის ძალა არ შესწევს“.<sup>1</sup>

1845 წ. მარტში მ.ს. ვორონცოვმა თხოვნით მიმართა ნიკოლოზ I-ს ჩრდილოეთ კავკასიაში ყირიმელი ყადის ესკარ-ხალილ ეფენდის გამოგზავნის თაობაზე. ვორონცოვი არწმუნებდა იმპერატორს, რომ ესკარ-ხალილი და მისი თანმხლები ულემები<sup>2</sup> გროზნოს ციხე-სიმაგრიდან დაამყარებდნენ სათანადო კავშირებს ყაბარდოში და ყუბანს იქეთა მხარეში და მოგვაწვდიან საკუთარ მოსაზრებებს შექმნილი მდგომარეობის თაობაზე.<sup>3</sup> ვორონცოვი 1845 წ. სექტემბერში ნიკოლოზ I-ის ესკერ-ხალილის საქმიანობის შესახებ წერდა: «Реальные результаты

<sup>1</sup> *Движение горцев Северо-Восточного Кавказа в 20-50-х гг. XIX в. Махачкала, 1959, გვ. 167.*

<sup>2</sup> *Движение горцев...», გვ. 560-563.*

<sup>3</sup> *ულემა-პირი, რომელიც ეკუთვნის სწავლულ მუსულმანთა რიცხვს.*

დეათელობის კოდი-ასკერა ნემინუემო ბუდუტ სოდეისთვოვატ უსთანოვლენიუ ლუჩშეგო ოთნოშენია გორცევ კ რუსსკიმ»<sup>1</sup> და თხოვს იმპერატორს დააჯილდოვოს იგი წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენით.

1852 წ. მს. ვორონცოვი იმპერატორს აცნობებდა, რომ ვლადიკავკასიის სამხედრო ოლქიდან გასახლებული იქნა დაღესტანელი და ჩეჩენი სასულიერო პირები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას რუსების წინააღმდეგ უნერგავდნენ სიძულვილს. იგი ითხოვდა მათ ჩანაცვლებას ყირიმელი და ორენბურგელი მოღვაწეებით.<sup>2</sup>

ხელისუფლებას პრორუსული ორიენტაციისა და მოსყიდული სასულიერო პირების გაგზავნა კავკასიაში ძვირი უჯდებოდა და რაც მთავარია, მათ საქმიანობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

40-იან წლებში რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში არა მარტო სამხედრო, არამედ იდეოლოგიური დამარცხებაც განიცადა. სამხედრო მინისტრმა ვორონცოვის თხოვნა ყირიმელი და ორენბურგელი სასულიერო პირების ჩრდილოეთ კავკასიაში გამოგზავნის თაობაზე, არ დააკმაყოფილა, რადგან მას მიაჩნია, რომ რუსეთის ერთგული სუნიტი მოღვაწეების მომზადება თბილისის, ბაქოს, დერბენდის, შუვის და შემახის, შიიტების სასულიერო სასწავლებლებში უფრო ეფექტური იყო და მომავალში ღიდ სამსახურს გაუწევდა რუსეთს, ვიდრე ყირიმელი, ყაზანელი, ორენბურგელი სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი მოღვაწეები, რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, თვითონვე განიმსჭვალონ ტარიკატის იდეებითა და სამშობლოში დაბრუნებულნი დაიწყებენ მის ქადაგება-გავრცელებას. ამჟამად, ვორონცოვის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისთვის საზიანო იქნებოდა.

<sup>1</sup> Н.А. Смирнов. Юридикализм на Кавказе, М., 1963, გვ. 97.

<sup>2</sup> Н.А. Смирнов. Юридикализм..., გვ. 97.



სამხედრო მინისტრი გამოთქვამდა რწმენას, რომ კავკასიის სასულიერო სკოლებში მომზადებული რუსეთის ერთგული მთიელი ახალგაზრდობით მოხდება სასულიერო კადრების ფორმირება. «По возвращение в свои племена эти муллы способны будут передать им направление, — წერდა მინისტრი ვორონცოვს, — с видами правительства согласное, с большим рвением в успехе, нежели муллы иноплеменные, местным обычаям чуждые и большею частью необразованные».<sup>1</sup>

ხელისუფლებამ დაახლოებით აღწერა და აღრიცხვაზე აიყვანა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ყველა მეჩეთი და სასულიერო პირი. ასე მაგალითად, დაღესტანში 1861 წ. მოქმედებდა 1628 მეჩეთი და 4500-მდე სასულიერო პირი;<sup>2</sup> ჩეჩნეთში 30-იანი წლების ბოლოს — 310, ყაბარდოში — 113,<sup>3</sup> ყუბანის ოლქში 60-იანი წლების ბოლოს — 105.<sup>4</sup> როგორც ვხედავთ, ჩეჩნეთში და ყაბარდოში სასულიერო პირები აღმატებული არ იყვნენ რადგან მათ მიმართ სისტემატურად ხორციელდებოდა რეპრესიული ზომები ანტირუსული საქმიანობის გამო და მეჩეთების გარკვეული რაოდენობა სასულიერო პირების გარეშე იყო დარჩენილი.

როგორც ვიცით, მთიელები სამხედრო კოლონიზაციის შედეგად კარგავენ მთის წინა ზოლისა და ბარის მიწებს და იძულებული გახდნენ თავი შეეფარებინათ მაღალმთიანი ტერიტორიებისთვის. ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ კიდევ ერთი დოკუმენტი 1905 წლის ვლადიკავკაზის საქალაქო კომისიის მოხსენებითი ბარათიდან — «...У горцев отобрали лучшие земли,

<sup>1</sup> Н.А. Смирнов. Мюридизм..., გვ. 97-98.

<sup>2</sup> Х.М. Хашиев. Общественный строй Дагестана в XIX в. Автореф. док. дисс., Махачкала, 1957.

<sup>3</sup> Движение горцев..., გვ. 240.

<sup>4</sup> Очерки истории Адыгей, т. 1, გვ. 395.

они загнаны в глуб диких ущелии... Поставленное вне действия общих законов систематически преследуемые войсковым сословием (ხაზგასმა ჩვენია – თ.ა.) которому покровительствовали власти, туземное население разоряется, дичает, озлобляется, ...проявляя недовольство в дикиз нормах кровавого мщения или мятежа...»<sup>1</sup>

1896 წლის აბრამოვის კომისიის მონაცემების თანახმად, თერგის ოლქის მთის ზოლში მცხოვრებ ერთ სულ მამაკაცზე მოდიოდა მიწის შემდეგი ფართი:<sup>2</sup>

	სახნავე მიწა (ჰა)	სათიბი (ჰა)	ტყე (ჰა)	საძოვარი	სულ
ყაბარდო	0,26	1,4	2,7	11,8	16,6
მთის ოსეთი	0,4	1,4	0,6	4,1	6,5
მთის ინგუშეთი	0,3	1,2	–	4,3	5,8
მთის ჩეჩნეთი	1,2	1,7	–	2,3	5,2
	0,57	1,3		4,9	7,5

მოცემული ტაბულიდან ჩანს, რომ მთის ზოლში მცხოვრები ჩეჩნების 90%, ოსების – 88%, ყაბარდოელების – 67%, ინგუშების – 89%, არ გააჩნია მიწის სასურსათო ნორმა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Труды Комиссии Владкавказской горюлской думы для рассмотрения вопросов о причинах грабежей и разбоев, Владикавказ, 1911, გვ. 1.

<sup>2</sup> Г.К. Мартиросян. История Ингушетия, გვ. 109.

<sup>3</sup> Труды комиссии..., გვ. 19; П.К. Мартиросян. История..., გვ. 110.

XIX ს. დასაწყისში მთის ჩეჩნეთის 345 აულში ცხოვრობდა 98 107 ჩეჩენი, სადაც ერთ სულ მამაკაცზე სახნავი მიწა მოდიოდა 0,3 დესეტინა; სათიბი – 0,55; საძოვარი – 0,9 დესეტინა;<sup>1</sup> ინგუშეთში ცხოვრობდა 51 200 ინგუში; აქ ერთ სულზე მოდიოდა – 0,2 დესეტინა, ზოგიერთ აულში – 0,5 დესეტინა.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ მთიელებმა მხოლოდ სუნჯას სამხედრო ზაზის დაარსებით დაკარგეს 262 964 დესეტინა ნოყიერი სახნავ-საეარგული და საძოვრები.<sup>3</sup>

1911 წ. სუნჯასა და ყიზლარში ცხოვრობდა 113 413 კახაკი, რომლებმაც დაისაკუთრეს მთიელთა 1039206 დესეტინა, რაც უდრიდა ერთ სულზე 9 დესეტინა, მაშინ, როდესაც გროზნოს, ვედენსკოსა და ნაზრანის ოკრუგებში მცხოვრებ 303 689 ჩეჩენზე და ინგუშზე ირიცხებოდა 939 849 დესეტინა და ერთ სულზე მოდიოდა 3 დესეტინა სახნავ-საეარგული.<sup>4</sup> ნაზრანის ოკრუგში 1910 წ., სადაც ძირითადად ინგუშები ცხოვრობდნენ, ერთ დიშზე მოდიოდა 4 ჰა სახნავ-სათიბი მიწა, ხოლო კახაკებით დასახლებულ რაიონებში ერთ სულ მამაკაცზე – ყიზლარში – 9 ჰა, პიატიგორსკში – 127 ჰა, მოზდოკში – 7,1 ჰა, სუნჯაში – 25,2 ჰა.<sup>5</sup>

უმიწობით და მცირემიწიანობით სულშეხუთული მთიელები იძულებულნი იყვნენ, იჯარით აეღოთ მიწა, რომელიც ახლო წარსულში მათ ეკუთვნოდათ. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1829 წელს გამოცემულ წიგნში «Терский сборник», კვითხულობთ: «Зажиточная семья, состоящая, напр. пяти

<sup>1</sup> И.П. Гриценко. Классовая борьба..., გვ. 122.

<sup>2</sup> Терский календарь на 1911 год, Владикавказ, 1912, გვ. 369-373.

<sup>3</sup> Отчет начальника Терской области за 1911 г. Владикавказ, 1918, გვ. 19.

<sup>4</sup> Терский календарь, გვ. 19.

<sup>5</sup> იქვე. кн. 2, 1892, გვ. 76.

членов, владеет, самое большое, 15-20 загонами (полосами похотной земли), обеспечивающими эту семью всего на 5-6 месяцев. Бедная семья, в 3-4 человека, располагает обыкновенно 3-4 загонами, на которых добывается хлеба же не более как на 2 месяца... обе последние категории существуют заработками и арендой земли на плоскости и в редких случаях, в соседних горных аулах. Работают обыкновенно за плату от 3 до 5 рублей за десятину, в горах же - из половины собранного урожая».<sup>1</sup>

1903 წლის მონაცემებით, ინგუშეთის ოთხი საზოგადოების – ჯერახოვის, მეცხალსის, ხალხინსის და ცირინსის 1400 დიმიდან 870, ხოლო მთის ინგუშეთის 630 დიმი კაზაკებისა და რუსი ოფიცრების მოიჯარადე იყო.<sup>2</sup>

1901 წელს მხოლოდ სუნჟენისა და ყიზლარის კაზაკებს 415 157 დესეტიანა მიწა იჯარით ჰქონდათ გაცემული, 1911 წ. კი – 420 266 დესეტიანა.<sup>3</sup>

მიწაზე მოთხოვნის ურდასთან ერთად, მისი საიჯარო ფასიც მატულობდა. «Если вы спросите чеченца, – ამბობდა ა. მასლოვი 1906 წ. ივნისში პირველი სახელმწიფო ღუმის ტრიბუნიდან – сколько он имеет земли, он скажет, что у него земля столько, сколько помещается под его буркой а цена земли, занимаемой лежащей коровой, такая же, как и цена коровы».<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Терский календарь, გვ. 19.

<sup>2</sup> Очерки историй Чечено-ингушетской АССР, გვ. 17.

<sup>3</sup> Сменографический отчет 1-й Государственной думы, т. 2, Терский календарь, გვ. 992.

<sup>4</sup> Очерки историй Чечено..., გვ. 17.

1903 წ. სუნჯენის და ყიზლარის (თერგის კაზაკები) 357 369 ჰექტარი დაგირავებულ მიწიდან მიიღეს 316 595 რუბლი.<sup>1</sup> 1901 წლიდან 1910 წლამდე მიწის იჯარის ფასი გაიზარდა 10-ჯერ.<sup>2</sup> აღშფოთებული ინგუშები პირველ სახელმწიფო ღუმას წერდნენ: «После покорения Кавказа 2/3 наших земель, насильственно отобранных, перешли в руки Казаков и мы, Ингуши, для того, чтобы жить, должны арендовать земли у тех же казаков».<sup>3</sup>

მთიელების მიერ კაზაკთა მიწის არენდამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ გამოიწვია კოლონიური ადმინისტრაციის შემოფოთება. იგი შიშობდა, რომ წლების განმავლობაში კაზაკთა მიწების არენდა, რომლებიც ახლო წარსულში მთიელების საკუთრება იყო გაუღვიძებდა მათ მისი დაბრუნების სურვილს. გარდა ამისა, ხელისუფლებას დიდი სურვილი ჰქონდა მთიელი არენდატორები ჩაენაცვლებინა გადმოსახლებული რუსი გლეხობით. ამიტომ, XIX ს. ბოლოს გამოვიდა განკარგულება, რომელიც უკრძალავდა კაზაკებს მთიელისთვის მიწის არენდით გაცემას“.<sup>4</sup>

1907 წ. 22 თებერვლის, დონის კაზაკთა ჯარის წრის თათბირის ერთ-ერთ დადგენილებაში ვკითხულობთ: «Необходимо оставить из предлагаемых запасов 500 000 десятин на 12-летний срок в аренду для образования земельного фонда, с целью покупки и обращения в фонд частновладельческих земель».<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> Г.К. Мартиросян. История Ингушети, გვ. 115.

<sup>2</sup> Очерки историй Чечено..., გვ. 17-18.

<sup>3</sup> Д.З. Корнев. Революция..., გვ. 17.

<sup>4</sup> Отчет начальника Терской области за 1904 год. Владикавказ, 1901, გვ. 13.

<sup>5</sup> <http://www.chechny. Microsoft Word Document 52>.

რუსმა კოლონიზატორებმა მთიელთა საუკეთესო მიწები დაისაკუთრეს. მიწის უდიდესი ფონდი კაზაკთა სამხედრო წრეებს ეკუთვნოდა. იცვლებოდა დემოგრაფიული სურათი კოლონიზატორების სასარგებლოდ, რაზედაც მეტყველებს შემდეგი მონაცემები: 1900 წელს თერგის ოლქში ცხოვრობდა 180 125 კაზაკი, მთიელები 404 342, მათ შორის ჩეჩნები – 202 305, ინგუშები 49 216.<sup>1</sup> 1911 წლისათვის კაზაკების რაოდენობა გაიზარდა 66 778 სულით, ჩეჩნების – 31 667, ინგუშების – 5 572.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ჩრდილოეთ კავკასიაში 1901-1911 წწ. კაზაკების რაოდენობა გაიზარდა 27 პროცენტით, ხოლო ჩეჩნების – 13,5, ინგუშების – 11,1 პროცენტით.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხები – ნოღაელები, კარანოღაელები, თრუხმენები, ყალმუყების სრული დეგრადაციისა და ფიზიკური განადგურების წინაშე იდგნენ.

რუსეთმა როგორც კი შემოიერთა ყირიმის სახანო, პოტიომკინმა გადაწყვიტა ნოღაელების გადასახლება ვოლგის გაღმა სტეპის ზოლში. ამ საკითხის „მოგვარება“ დაევალა ალექსანდრე სუვოროვს. იგი გაილაშქრა ნოღაელების წინააღმდეგ და მდინარე ლაბის შესართავთან მათ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ა. სუვოროვმა ბრწყინვალედ შეასრულა პოტიომკინის დავალება: «Высылание ногайцев умитотварило край – წერს ს. ესაძე – от Кубани до Дона и свозяло навсегда имя великого Суворова с Кавказом».<sup>3</sup>

ისინი აქაც თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ საძოვრებს კაზაკების შემოტევებისაგან. მე-19 ს. ბოლოს ნოღაელები

<sup>1</sup> *Обзор деятельности Войскового Земельного Совета Войска Донского за 1910-1915 гг. Новочеркасск, 1916, გვ. 12-13.*

<sup>2</sup> *Отчет начальника Терской области за 1901 год, Владикавказ, 1901, გვ. 13.*

<sup>3</sup> *Н. Семенов. Туземцы Северо-Восточного Кавказа, С:б, 1895, გვ. 376.*

იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი საძოვრები და გადაადგილდნენ კასპიის ზღვის სანაპირო ზოლის მწირ მიწაზე. «Ногаец как более слабая сторона – წერს ნ. სემიონოვი – оказался совершенно побежденным... втиснули его в пределы узкой береговой полосы... жалкий, ободранный и полуголодный, вертится как белка в колесе».<sup>1</sup>

ნოღაელების, რომლებიც ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას, რიცხობრივი შემადგენლობა კატასტროფულად მცირდებოდა. XIX ს. II ნახევრის რუსი ეთნოგრაფი ნ. სემიონოვი აღნიშნავდა, რომ 1885 წ. ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა 6184 ნოღაელი, 1893 წელს კი – 5464; 1883 წ. დაიბადა 112 ნოღაელი, გარდაიცვალა – 160, 1884 წ. დაიბადა – 143, გარდაიცვალა – 180; 1893 წ. დაიბადა – 99, გარდაიცვალა – 147.<sup>2</sup>

კოლონიზატორებმა განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს თრუხმენები. თრუხმენების წინაპრები მე-17 ს. ბოლოსა და მე-18 ს. დასაწყისში გამოეყვნენ თურქმენტა ტომებს – ჩოუღორ, იგდირ და სოუნალუს და მანგიშლაკიდან გადმოსახლდნენ დღევანდელი სტავროპოლის გუბერნიის სტეპში. ისინი თურქმენტულ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსია, დიალექტი – თურმენტულ-ნოღაიდურია.

1897 წ. აღწერით რუსეთის იმპერიაში ცხოვრობდა 16777 თრუხმენი (მამაკაცი – 9210, ქალი – 6567).<sup>3</sup> ისინი მომთაბარე მესაქონლეები იყვნენ. 1901 წ. მათ ჰყავდეთ 5186 აქლები, ცხვარი – 96650, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი – 21,398, ცხენი – 11465.<sup>4</sup> 1893 წლიდან თრუხმენების რიცხობრივი ზრდის პროცესი შეწყდა. 1893-1902 წლებში დაიბადა 1279,

<sup>1</sup> С. Эсадзе. *Покорение...*, გვ. 3.

<sup>2</sup> Н. Семенов. *Туземы...*, გვ. 377.

<sup>3</sup> იქვე გვ. 377.

<sup>4</sup> *Экономический словарь*, გვ. 10.

გარდაიცვალა 4329 კაცი.<sup>1</sup> ა.ა. ვოლოდინი, რომელიც სწავლობდა თრუხმენტა ცხოვრებას, დიდი გულისტკივილით აღწერდა მათი ტრაგიკული ცხოვრების გზას. „რა მოუვათ თრუხმენტებს 100-200 წლის შემდეგ? – წერდა მ.ა. ვოლოდინი – ალბათ, თრუხმენტები ყველა ამოწყდება და მხოლოდ მათი სოფლების ნანგრევები შეგვახსენებენ, რომ ცხოვრობდა ოდესღაც აზიიდან გადმოსახლებული პატარა ერი, რომელმაც აქ გაითხარა უკანასკნელი საფლავი“.<sup>2</sup>

ამჟამად სტავროპოლის გუბერნიის 18 სოფელში ცხოვრობს თრუხმენტა მცირერიცხოვანი ჯგუფი.<sup>3</sup>

რუსეთის ხელისუფლების ეროვნულ-კოლონიურმა პოლიტიკამ ფიზიკური მოსაპობის წინაშე დააყენეს ყალმუხებიც, ხელისუფლებამ ყალმუხები ვოლგიდან თერგის ოლქში გადმოსახლა და მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ ყიზლარისა და მოზდოკის სტეპებში. მე-20 ს. დასაწყისისათვის მათი რაოდენობა შეადგენდა 4079 სულს.<sup>4</sup> კაზაკებმა თანდათან მიითვისეს ყალმუხების საძოვრები. «Богатый - казак захватывал земли колмиков, – წერს მე-20 ს. დასაწყისში ისტორიკოსი გ.პ. გუბანოვი – считая себя вправе «опахать кибитку» беззащитного калмыка со всех сторон... эксплуатировали самым безбожным образом».<sup>5</sup>

კავკასიის ომის დამთავრების და 60-იან წლებში მთიელთა თურქეთში მასიური გადასახლების შემდგომ, ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიული, ფიზიკური, სულიერი და

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 33, Тифлис, 1908, გვ. 80.

<sup>2</sup> Сборник материалов..., გვ. 81.

<sup>3</sup> Исторический словарь, т. 13, გვ. 836.

<sup>4</sup> Сборник материалов для описания..., გვ. 41.

<sup>5</sup> Сборник материалов для описания..., გვ. 81.



სელექციური ხასიათის ტერორი მთიელების მიმართ. XIX ს. 80-იანი წლებიდან გაძლიერდა ტერორი, პოლიტიკური უუფლებობა და ეროვნული ჩაგვრა.

ხელისუფლების მიერ გამოცემულმა საკანონმდებლო აქტებმა, ინსტრუქციებმა, მთიელებს თავისუფალი გადაადგილების უფლება წაართვეს. 1891 წლის თერგის ოლქის უფროსის ცირკულიარით ერთი ეროვნების მთიელს არ ჰქონდა მეორე ეროვნების მთიელის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს დაევალიათ გაესახლებინათ ჩენები ინგუშეთის ტერიტორიიდან და პირიქით, ინგუშები ჩენეთის ტერიტორიიდან. ჩენებს აუკრძალეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან უნებართვოდ გასვლა და ქალაქებში ცხოვრება.<sup>1</sup>

მთიელს ქალაქებისა და კაზაკებით დასახლებულ ტერიტორიებზე იარაღის ტარების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ მთიელი დაარღვევდა დადგენილ წესს, პოლიციას ევალებოდა მისი განიარაღება და დაპატიმრება. 1905 წ. თერგის ოლქის მმართველის ბრძანებით, სპეციალური ნებართვის გარეშე, ხანჯლის ტარებაც აკრძალული იყო.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ კაზაკებს იარაღის თავისუფალი ტარების უფლება შენარჩუნებული ჰქონდათ. უფრო მეტიც, მას მთიელის განიარაღებისა და დაპატიმრების უფლებაც გააჩნდა. მთიელისთვის განიარაღება საკუთარი ღირსების შებლაღვას, აყრას ნიშნავდა და ადვილად არ ნებდებოდა პოლიციას. მით უმეტეს, თუ იარაღის ჩამორთმევას კაზაკი აპირებდა, უმეტეს შემთხვევაში ასეთი ინცინდენტები, სისხლის ღვრით მთავრდებოდა.

<sup>1</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახ. არქივი, ფ. 11, აღწ. 10, ს. 6126, ფურც. 7.

<sup>2</sup> გაზ. «Кавбек», 27 იანვარი, 1905.

მთაში არსებული ჩვეულებითი სამართალი მთიელს ღირსებაშელახულად არ თვლის, თუ მან ამ კანონით გათვალისწინებული შურისძიების აქტი სისრულეში მოიყვანა. «При существующих у горцев понятиях о женщине и взглядах их на обезоружение, — წერს ი. აბრამოვი — подобные случаи наминуемо всегда должны вести к камастрофам... как туземцы обезоруживаются, другой элемент носеления области, казаки, сохрняют право свободного ношения оружия, то будет вполне понятно, сколько ненужного зла и страданий причиняют правила о нашении туземцами оружия, сколько несчастий вызывают они и как отравлена ими вся жизнь туземцев».<sup>1</sup>

ალექსანდრე III-მ 1893 წელს დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს დადგენილება, რომელიც მთიელის დისკრიმინაციის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს. ამ დადგენილების თანახმად, მთიელს, რომელიც არ იმყოფება სახელმწიფო სამსახურში, ან არა აქვს ოფიცრის წოდება, არ აქვს უფლება ჰქონდეს ქონება და დასახლდეს გროზნოში, ვოზღვიჟენსკოეში, შატოეში და ვედენოეში. მთიელები ვალდებულნი იყვნენ აღნიშნული დასახელებული პუნქტები დაეტოვებინათ ერთი წლის განმავლობაში. წინააღმდეგობის შემთხვევაში, მათი ქონება გადადიოდა ხაზინის ხელში.<sup>2</sup>

სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანოები თვითნებურად, მასიურად ასახლებდნენ მთიელებს ქალაქებიდან. მთიელს ერთი დღითაც არ ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში ცხოვრების უფლება. კოსტა ხეთაგუროვი აღნიშნავდა, რომ

---

<sup>1</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 29-30.

<sup>2</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახ. არქივი, ფ. 11, აღწ. 6, საქ 4756, ფურც. 13.

მთიელებს ქალაქებიდან მასიურად ერეკებოდნენ მიწერის ადგილებზე, ხელისუფლება არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. ქალაქებიდან განდევნილ მთიელთა უმრავლესობას სოფლებში არავითარი საკუთრება არ გააჩნდა.<sup>1</sup>

1893 წელს ალექსანდრე III-ის კანონმა არა მარტო კიდევ უფრო გააუარესა მთიელთა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ მთლიანად წაართვა მათ ყოველგვარი პოლიტიკური უფლებებიც. 1897 წ. გროზნოს მახლობლად 18 სოფლის 20 ათასი აღშფოთებული მთიელი კავკასიის სამოქალაქო ადმინისტრაციის უფროსს წერდა: «Соединившись с Россией и подчинившись ее законам, горцы сделались такими же подданными русского царя, как и все коренное население России... но этого, нет. Горцы лишены прав свободного передвижения, свободного труда и, наконец, свободного пользования собственностью... Грозненские базары и ярмарки крайне необходимы для горца, которого нужда заставляет сбывать скудные запасы сельскохозяйственных продуктов и приобретать то, что отсутствует в ауле».<sup>2</sup>

ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ მიღებული „დებულება აულების საზოგადოების შესახებ“, ყოველმხრივ ავიწროებდა მთიელთა უფლებებს, არ ცნობდა მის ისტორიულად ჩამოყალიბებულ თვითმმართველობით ორგანოებს. დებულება აულის სტარშინებს ანიჭებდა ფართო მოცულობის უფლება-მოვალეობებს; აცხადებდა ხელისუფლების განკარგულებებსა და ბრძანებებს; ევალეობდა წესრიგის, საზოგადოებრივი და პირადი საკუთრების დაცვა; აკავებდა

<sup>1</sup> К. Хетагуров. собр. соч. т. 4, М., 1960, გვ. 207.

<sup>2</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახ. არქივი, ფ. 11, აღწ. 6, საქ. 4756, ფურც. 5-13.

მოხეტიალეებსა და გაქცეულებს; ახდენდა აულიდან თვითნებურად წასულ მთიელებზე დასმენას; ევალებოდა დანაშაულის გახსნა და დამნაშავეების დაკავება; აულის კრების განაჩენის სისრულეში მოყვანა, აულის კრებების მოწვევა და განსახილველი საკითხების შერჩევა; გააჩნდა აულის კრების დაშლის უფლებამოსილება; თვალყურს ადევნებდა მიჯნებსა და სამიჯნო სვეტებს; ადგენდა კამერალურ სიებს; კრეფდა გადასახადებსა და ჯარიმებს; განაგებდა საზოგადოებრივ მეურნეობასა და ფინანსებს და სხვ.<sup>1</sup> მთიელთა აულების სტარშინებად (მამასახლისი) და მწერლებად ინიშნებოდნენ, როგორც წესი, რუსი ოფიცრები, რომლებმაც არ იცოდნენ და არც სურვილი ჰქონდათ ესწავლათ მთიელთა ენა. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ი. აბრამოვი აულების სტარშინების შესახებ: «...в старшины обыкновенно попадают лица, занимающие до того последнего место в обществе, лица презираемые или невидимые всем обществом, лица, у которых в прошлом лишь несколько доносов или даже просто воровская практика. Аульные старшины сплошь и рядом совершают самые невероятные злоупотребления..., или мстя своим врагам, или укрывая; случается, что они состоят членами воровских шаек и безнаказанно совершают самые дерзкие грабежи. И так, как эти старшины, назначаются представителями русской власти и ею поддерживаются, то не удивительно, что о неновисть туземного населения против старшин переносится и на русский режим... и вся горечь и злоба, которые накопятся. всецело падает на русских».<sup>2</sup> მამასახლისის და

---

<sup>1</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы..., გვ. 25.

<sup>2</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, გვ. 25.

მწერლების შენახვა მიიშვე ტვირთად აწვებოდათ სოფლის მცხოვრებლებს, ისინი მამასახლისს ყოველთვიურად ხელფასის სახით უხდიდნენ 180 მანეთს, ცხენის ქირას – 60 მან., ბინის, გათბობისა და შუქის, მთარგმნელის საფასურს.<sup>1</sup>

უბნის უფროსებად და მამასახლისებად ძირითადად ინიშნებოდა სამხედრო ნაწილებიდან დათხოვნილი ოფიცრები, რომელთა პროფესიული, მორალურ-ზნეობრივი დონე ძალზე დაბალი იყო. «...Из 23 участковых начальников можно признать и работоспособными не более 6-7. - Остальные же укомплектованы уволенными из строевой частей офицерами, бывшими околоточными надзирателями и бывшими писарями областного правления».<sup>2</sup>

გაუნათლებელი და უზნეო სოფლის სტაროსტები და უბნის უფროსები სარგებლობდნენ განუსაზღვრელი უფლებებით.

ფიზიკური და სულიერი ტერორი მთიელების წინააღმდეგ, ხელისუფლებამ თავისი ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებად აქცია. ნებისმიერი ხასიათის უკმაყოფილების გამოხატვას – საყოფაცხოვრებო, სოციალური, პოლიტიკური და სხვა მთიელთა მხრიდან, ხელისუფლება პასუხობდა ძალმომრეობითა და რეპრესიებით.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ადგილობრივი რეპრესიული ორგანოების წარმომადგენლები დამოუკიდებლად წყვეტდნენ არა მარტო ცალკეული, არამედ ათასობით ადამიანების, მთელი აულის ბედს. ცენტრალური ხელისუფლება უფლებას აძლევდა ადგილობრივ ორგანოებს გაესახლებინათ მთიელები გამოუძიებლად და გაუსამართლებლად

---

<sup>1</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახ. არქივი, ფ. 11, აღწ. 6, საქ 4756, ფურც. 5.

<sup>2</sup> Очерки истории Чечено-ингугской АССР, т. 2, Грозный, 1972, გვ. 33.

ადმინისტრაციული წესით რუსეთის შორეულ ადგილებში, კასპიის ზღვის კუნძულ ჩეჩენში ერთიდან ოთხ წლამდე.

კოლონიზატორები მთიელთა „დასამორჩილებლად“ საკონცენტრაციო ბანაკებსაც იყენებდნენ. საკონცენტრაციო ბანაკი ყველა „საეჭვო“, არასაიმედო მთიელის დასჯისა და მოსპობის ადგილი იყო. ისტორიაში ცნობილია, რომ პირველი საკონცენტრაციო ბანაკები ესპანელებმა 1895 წელს ანტიკოლონიური ომის დასაწყისში შექმნეს, ინგლისელებმა 1899-1902 წლებში ბურებთან ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის იზოლაციის მიზნით. რუსეთის ხელისუფლების მიერ კუნძულ ჩეჩენში შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკი სულ სხვა მიზნებს ისახავდა – უდანაშაულო მთიელების მასობრივ მოსპობას.

ამავდროულად, ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ პირველი საკონცენტრაციო ბანაკების შემქმნელები, ესპანეთი და ინგლისი კი არა, რუსეთია. პირველად რუსეთმა აქცია საკონცენტრაციო ბანაკი ადამიანების მასობრივი მოსპობის იარაღად. შემდგომში, ბოლშევიკებმა და ფაშისტებმა ამ ტრადიციას არ უღალატეს და საკონცენტრაციო ბანაკები გახადეს მასობრივი მოსპობის, საკატორლო შრომის, ადამიანთა უფლებების დანაშაულებრივი დარღვევების სიმბოლოდ.

პირველად რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკის და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ საზოგადოებას კოსტა ხეთაგუროვმა გააცნო. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავაცნოთ მკითხველს კოსტა ხეთაგუროვის ერთ-ერთ წერილში აღწერილი კუნძულ ჩეჩენზე არსებული საკონცენტრაციო ბანაკის დანიშნულებისა და იქ შექმნილი მდგომარეობის შესახებ: «Для того чтобы непокорного горца изолировать без особых казенных затрат, его ссылали за 150-200 верст от родных мест, на каспийский остров Чечень. В бараках рассчитанных на 100 человек, поселяли по 150 и 386

больше ссыльных. Лишенные на целую зиму воздуха, тепла и света, питаясь круглый год самой отвратительной пищей, не имея глотка пресной воды, им никогда не позволяют отлучиться от казармы, не позволяют заниматься наряду промысловыми рабочими рыбной и тюленьей охотой... горец заболел, его организм быстро разрушался... Почти никто из высланных на остров не выдерживал установленного срока пребывания. Большинство там умирало. Поэтому сосланных на этот остров людей в народе считали и заживо погребенными».<sup>1</sup>

დაპატიმრებების და გადასახლებების გარდა „არასაიმედო და „საშიში“ მთიელების მოსპობის მიზნით კოლონიური ადმინისტრაცია აყალიბებდა ეგრეთ წოდებულ „მოხალისეთა“ სამხედრო ნაწილებს, რომლებიც, როგორც წესი ყოველგვარი სამხედრო მომზადების გარეშე, იგზავნებოდნენ ყველაზე მძიმე, სახიფათო დაზვერვითი და შეტევითი ხასიათის სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად. უმრავლეს შემთხვევაში, „მოხალისეთა“ დავალებებს რუსეთის არმიისთვის არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ფაქტობრივად, მთიელ „მოხალისეებს“ წინასწარი განზრახვით, სასაკლაოზე აგზავნიდნენ. მაგალითად, რუსეთ-იაპონიის ფრონტზე 1904 წლის 13 ოქტომბერს „მოხალისეთა“ ორმა პოლკმა უარი განაცხადა ე.წ. სამხედრო დავალების შესრულებაზე. „ბუნტის“ ხელმძღვანელებს ჩეჩენი ტაშა ტასმახილოვს და ყაბარდოელ ზელომ-გირეი კერეფოვს ზღვისპირეთის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით განაჩენი გამოუტანა. „ბუნტის“

<sup>1</sup> К. Хачатуров. соб. соч. т. 4, გვ. 88-89.

დანარჩენ წევრებს მიუსაჯეს პატიმრობა 3-დან 8 წლამდე.<sup>1</sup> ბევრი მათგანი გადასახლებიდან გამოიქცა და შეავსო მთიელი აბრეკთა რიგები. «Под Инкоу ингушская сотня была окружена японцами... Ингуши прорвались, — წერდა გაზეთი «Казбек» 1905 წ. აგვისტოს — но из сотни их осталось всего 18 чел. невредимыми, а остальные были убиты и ранены».<sup>2</sup>

მრავალრიცხოვანი სასამართლოები, სასოფლო, სათემო და საოლქო ადმინისტრაციის ჩინოვნიკები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ უფრო მეტ მთიელს დააპატიმრებდა, გაასახლებდა, გაასამართლებდა და სიკვდილით დასჯიდა. კაცთმოძულე ჩინოვნიკებს კოლონიური ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა აწინაურებდა, უნიშნავდა მაღალ ხელფასს, ურიგებდა ჩინ-მეღლებს. ასე მაგალითად, ვინმე ხანჯალოვს, რომელმაც გამოძიებისა და გასამართლების გარეშე დახვრიტა ათეულობით „ეჭვიმიტანილი“ მთიელი, უბოძა პოლკოვნიკობა და ვლადიკავკაზის განყოფილების უფროსობა. ასევე დობროვოლსკიმ, რომელიც მუშაობდა სუნჟის განყოფილების ერთ-ერთი უბნის ინსპექტორად, თავისი არაადამიანური საქციელით უფროსების ყურადღება „დაიმსახურა“ და დაინიშნა ვედენსკოეს განყოფილების უფროსად. ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაცია თავისი ერთგული — ხანჯალოვებისა და დობროვოლსკების ხელით ახორციელებდა მასიურ ტერორს მთიელი ხალხის წინააღმდეგ.

ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ 1900 წელს „ხელისუფლების ორგანოების განკარგულებების შეუსრულებლობისათვის და თანამდებობის პირთა შეურაცხყოფისათვის

---

<sup>1</sup> Э. Кирданов. *Аграрное движение в Кабарде и Балкарии, Нальчик, 1963, გვ. 68-69.*

<sup>2</sup> გაზ. «Казбек», 3 აგვისტო, 1905.



გასამართლებელი იქნა 1182 მთიელი,<sup>1</sup> 1908 წელს – 10 144,<sup>2</sup> 1912 წელს – 12 385.<sup>3</sup>

ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებრივი წესრიგის, სიმშვიდის დამრღვევებად, ქურდებად, ყაჩაღებად და „საეჭვო“ პირებად მხოლოდ მთიელებს მიიჩნევდნენ. «Всякий раз, когда совершится какое-либо преступление в области и в какой-бы месте оно ни совершилось, предполагается, что оно совершено непременно туземцами, а никак русскими»<sup>4</sup> – წერდა ი. აბრამოვი.

ამიტომ თერგის ოლქის ციხეებში დაპატიმრებულთა უმრავლესობას მთიელები შეადგენდნენ. 1908 წელს, ოლქის ციხეებში იტანჯებოდა 11 439 ადამიანი, 1912 – 11 258.<sup>5</sup> ჩვენ არ გაგვაჩნია საერთო მონაცემები, თუ რამდენი უდანაშაულო მთიელი იტანჯებოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ციხეებში და საკატორლო სამუშაოებზე.

რეპრესიების არაადამიანური ნორმების დაწესების უტყუარი მაგალითია მძევლობის, ეგზეკუციებისა და ურთიერთთავდებობის ინსტიტუტის ფართოდ გამოყენება მთიელთა წინააღმდეგ. ყოველი სამხედრო ექსპედიციის მიზანი იყო ამა თუ იმ აულის, დასახლებული პუნქტის მოსახლეობის მოსპობა, შენობა-ნაგებობების მთლიანი განადგურება. სამხედრო ექსპედიციები მთიელთა წინააღმდეგ სისტემატიურად ტარდებოდა. კავკასიის სამხედრო ადმინისტრაცია მოითხოვდა თავისი ქვეშევრდომებისაგან – «почаще тревожить чеченцев... схватывать людей, скот, лошадей, сжигать хлеб, сено, одним

<sup>1</sup> Терский календарь на 1908 год, Владикавказ, 1901, გვ. 47.

<sup>2</sup> Терский календарь на 1910 год, Владикавказ, 1911, გვ. 82.

<sup>3</sup> Терский календарь на 1914 год, Владикавказ, 1914, გვ. 98.

<sup>4</sup> И. Абрамов. Кавказские горы, გვ. 26.

<sup>5</sup> Терский календарь..., გვ. 98.

словом, — მიუთითებდა ერმოლოვი კავკასიის არმიის ხელმძღვანელობას — наносить им сколь возможно более вреда... Воначальники безжалостно уничтожали аулы, истребляли их жителей».<sup>1</sup> ასეთი თავდასხმების შემდეგ ცოცხლად დარჩენილი მთიელები ტყეებსა და მიუვალ ხეობებს ატარებდნენ თავს, იარაღდებოდნენ და პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ანადგურებდნენ არამართო დამსჯელ რაზმს, არამედ იმათაც, ვინც ლოიალურად ეპყრობოდა ხელისუფლებას.

პოლიცია უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში აგდებდა მოსახლეობას. ხშირ შემთხვევაში ერთი ადამიანის „დანაშაულისათვის“ პასუხისმგებელი იყო არა მარტო ე.წ. „დამნაშავის“ სოფელი, არამედ მთელი ოკრუგის მცხოვრებნი, რომლებსაც ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ჯარიმის გადახდა ევალებოდათ. უმნიშვნელო სიტყვიერი წინააღმდეგობის გამოხატვაც საკმარისი იყო, რათა სოფელში დიდი ხნით ჩაეყენებინათ საეგზეკუციო რაზმები, რომლებიც მთლიანად მთიელთა კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. საეგზეკუციო რაზმების თავხედობასა და აღვირახსნილობას საზღვარი არ ჰქონდა. გადასახადებისა და ეგზეკუციებისაგან თავის დაღწევის მიზნით მთიელები მამაპაპეული ადგილებიდან იყრებოდნენ, მთებსა და ხეებს აფარებდნენ თავს.

ასე მაგალითად, 1889 წელს ფირალმა ალიხან დებროვმა მოკლა მისი თანამემამულე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი შედი ელმურზაევი. ხელისუფლებამ ფირალის სოფელში (სტრო იურტი) ჩააყენა ეგზეკუცია ერთი ბატალიონის შემადგენლობით, დააჯარიმა სოფლელები 1200 მან.; თანასოფლელებმა ალიხან დებროვი არ გასცეს. სამხედრო ადმინისტრაციამ გადაწყვიტა განუსაზღვრელი ვადით გაეგრძელებინა სოფლის ეგზეკუცია 19 ოფიცრისა და 326 ჯარისკაცით, რომლის შენახვა სოფელს

<sup>1</sup> И.П. Гриценко. Классовая..., გვ. 144.

ყოველდღიურად 56 მანეთი უჯდებოდა, მოსახლეობას სოფლიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა, მოსავალი აუღებელი დარჩა; ეგზეკუცია სოფელს 6 ათასი მანეთი დაუჯდა. ეგზეკუცია შეწყდა მაშინ, როდესაც სოფელში სარჩოსაბადებელი გამოიღია, მოსახლეობა შიმშილობდა. ერთ დროს აყვავებული ჩეჩნეთის აული სტარი იურტი ნასახლარს დაემსგავსა.

მთიელთა დამორჩილების ერთ-ერთი არაადამიანური მეთოდი იყო მცირე აულების მოსპობა და იქ მცხოვრები მოსახლეობის თავმოყრა ხელისუფლების მიერ შერჩეულ ადგილებზე. ძალისმიერი მეთოდებით ე.წ. „დიდ აულებში“ მთიელების ჩასახლება (არანაკლებ 300 ოჯახი), ფაქტობრივად, ნიშნავდა მათ რეზერვაციაში მოთავსებას. მთიელს ამ „აულებიდან“ თავისუფლად გამოსვლის, გადაადგილების უფლება არ ჰქონდა. მთიელების დიდ „აულებში“ თავმოყრა ხელისუფლებას უადვილებდა პოლიციური კონტროლის განხორციელებასა და გადასახლების აკრეფას.

რუსეთის სამხედრო ადმინისტრაცია ერთი მეორეზე მიყოლებით ანადგურებდა მცირე აულებს. მთიელები მცირე აულების მასიური მოსპობის პოლიტიკას შეიარაღებული აჯანყებებით პასუხობდნენ. 1858 წლის მაისში 4 ათასზე მეტი მთიელი შეიკრიბა ნაზრანთან და სამხედრო ადმინისტრაციას მოსთხოვეს მათი მამაპაპეული აულებიდან გასახლების ბრძანების გაუქმება.

ბარიატინსკის 1857-1859 წწ. ანგარიშში ვკითხულობთ: «Давно покорные общества галашевцев, карабулаков и ингушей находились в самом беспорядочном состоянии и держали у себя открытый притон разбойникам. Положено было ввести у них устройство, существующее с того очевидно пальзою у мирных чеченцев, и для того поселить

их большими аулами. Назрановцы вбунтовались, возмутили соседей и призвали шамиля. Быстрые меры, принятие ген. Евдокимовым подорвали бунт в зародыше; скопище шамилия было разбито под Ачхоем».<sup>1</sup>

ნაზრანელებს მხარი დაუჭირა მთის ინგუშეთმა. ნაზრანის აჯანყების მომენტში შამილი დალესტანში იგერიებდა რუსეთის არმიის შემოტევებს. მან, როგორც კი გაიგო ნაზრანის აჯანყების შესახებ 8 ათასიანი რაზმით შემოიჭრა ინგუშეთში. კოლონიური ადმინისტრაცია კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მას ინგუშეთი დამორჩილებულ ტერიტორიად მიაჩნდა და ფართომასშტაბიან ანტირუსულ აჯანყებას არ ელოდა. მდგომარეობას ართულებდა შამილის მოულოდნელი შემოჭრა ინგუშეთში. ხელისუფლებას ძირითადი სამხედრო ნაწილები დალესტანში ჰყავდა გადასროლილი. ინგუშეთში კოლონიური ადმინისტრაციის დასაყრდენი იყო რეგულარული არმიის მცირერიცხოვანი რაზმი და ინგუშების „საუკეთესო“ გვარის წარმომადგენლებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი მილიციის შენაერთი.

სამწუხაროდ, რუსეთის ადმინისტრაციამ ინგუშეთში XIX ს. 50-იანი წლების ბოლოსთვის მოახერხა ცნობილი კოლონიური პოლიტიკის — „გათიშე და იბატონე“ — თეზისის განხორციელება. ამ დროისთვის ინგუშეთი ორ ბანაკად იყო გაყოფილი: უმრავლესობა, რომელიც მხარს უჭერდა შამილის მოძრაობას და უმცირესობა — პრორუსული ორიენტაციის „საუკეთესო“ გვარები. რუსეთის ადმინისტრაცია ახერხებდა ამ დაჯგუფებებს შორის შეიარაღებული შეტაკებების პროვოცირებას. ხშირად ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები ერთმანეთს ებრძოდნენ, რაც მთის ადათ-წესებს ეწინააღმდეგებოდა.

აულ აჩხოისთან შამილის მოწინავე რაზმს, რომელსაც მისი შვილი კაზიმ-მაჰომედი მეთაურობდა, ბარიატინსკიმ ახალი ყაიდის

<sup>1</sup> АКАК, т. XII, док. №951.

რუსული შაშხანებით და ზარბაზნებით შეიარაღებული ინგუშების „საუკეთესო“ გვარების მილიციის შენაერთი დაახვედრა. ბრძოლა „საუკეთესო“ გვარებმა მოიგეს. შამილმა ბრძოლა ინგუშეთში არ გააგრძელა და დაღესტანში დაბრუნდა. სამწუხაროდ, ნაზრანის ინგუშების აჯანყება, ხელისუფლებამ ინგუშებისვე მეშვეობით დაამარცხა. შამილის მიმდევრების წინააღმდეგ განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა თემირხანოვების გვარი.

ნაზრანის აჯანყების ჩახშობის გმირი ბარიატინსკი წერდა: «Если опять, в связи с военными успехами мы не будем стараться теперь же обессилить самое начало из которого сложился мюридизм, то должны будем постоянно ожидать, что рано или поздно мюридизм снова, под влиянием того или другого имама, подымет голову при первой возможности и вновь разрушит все наши усилия к умиротворению края. Чтобы достигнуть этого естественным путем, надобно прежде всего стремиться к восстановлению высшего сословия там, где сохраняются еще более или менее следы его, и создавать его действующим в империи порядком там, где оно не существует. Таким образом, по мере восстановления дворянства, правительство будет иметь в нем лучшее орудие к ослаблению исламизма».<sup>1</sup>

ნაზრანის მოვლენებს მრავალი ლოკალური აჯანყება მოჰყვა. მაგალითად, 1860 წ. მაღალმთიანი აულის ბენოის მცხოვრებლები არ დაეთანხმნენ ადმინისტრაციის მოთხოვნას მათი დიდ აულში გადმოსახლების შესახებ. ბენოის მთიელებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მათ გამოსასახლებლად გაგზავნილ სადამსჯელო რაზმს. დიდ მღელვარებას ჰქონდა ადგილი არღუნისა და იჩქერიის ოლქებში. მთიელებმა

---

<sup>1</sup> АКАК, т. XII, док. №951.

პარტიზანული ომი გააჩაღეს. სამხედრო ადმინისტრაციამ, მხოლოდ 1860 წ. ბოლოს შეძლო აჯანყების ჩახშობა.<sup>1</sup>

თერგის ოლქში საგადასახადო დაბეგვრა დაიწყო 1866 წლიდან. აუტანელ პირობებში მყოფ მთიელებს დამატებით გადასახადებს ბალზე, ვენახზე, ხეხილზე, პირუტყვზე და ბოსტანზეც კი აწერდნენ. მთიელი შიმშილობდა, ტყეში შეგროვილი ხეხილით, ბალახის გამხმარ ფესვებსა და თესლს ფქვავდა და იმით იკვებებოდა. ყოველმხრივ შევიწროვებული მთიელი მეურნეობას თავს ანებებდა და გარბოდა. ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ კაბალურ პირობებში ჰყავდა კოლონიურ ადმინისტრაციას მთიელები. 1889 წელს 40 ათასმა ინგუშმა გადაიხადა:<sup>2</sup>

1. Подымной подати	17 302 рублей
2. Налог взамен войнской повинности	3 682
3. За земскую почту	5 136
4. На врачебную часть	1 680
5. На содержание должн. лиц	25 652
6. на содержание духовенства	7 391
7. Штрафов	7 000
8. За «доведените следов» <sup>3</sup>	4 500

გარდა ზემოთ მოყვანილისა, მთიელები ყოველწლიურად იხდიდნენ სხვა სახის გადასახადებსაც.

ეფიქრობთ, ქვემოთ მოყვანილი ტაბულა სრულ წარმოდგენას მოგვცემს კოლონიური ადმინისტრაციის საგადასახადო პოლიტიკის შესახებ:

---

<sup>1</sup> <http://www.chechny>.

<sup>2</sup> ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახ. არქივი, ფ. 224, აღწ. 1, საქ. 32, ფურც. 4.

<sup>3</sup> «Доведение следов» – ნიშნავს მოპარული საქონლის კვალის მიგნებას. კვალის მიგნების შემთხვევაში სოფლის ყოველი ოჯახი იხდიდა 20-30 მანეთს.

1890-1899 წწ. მთიელების მიერ გადახდილი თანხების რაოდენობა რუბლებში.<sup>1</sup>

წლები	ვლადიკავკასიის ოლქის მეცხ. ინგუშები	ნალჩიკის ოლქის მეცხ. ყაბარდიელები და მთის თათრები	კასპი-იურტი მეცხ. ყუბიხები და ჩეჩნები	გროზნოს ოლქის მეცხ. ჩეჩნები	სუნჯენის გან. ინგუშები – 40 ათასი ყაბარდიელები – 20	კომპლობ რაიონის გამოსაღები	სამხედრო გადასახადი
1890	74.208	5.996	33.854	10.580	97.219	200.000	40.000
1892	98.971	8.158	52.179	29.434	101.730	200.000	40.000
1893	103.688	141.022	68.576	16.309	110.131	200.000	40.000
1894	87.128	49.829	49.971	26.945	67.079	200.000	40.000
1895	82.545	82.111	52.154	34.830	103.533	200.000	40.000
1896	86.228	8.090	54.143	54.877	86.769	200.000	40.000
1897	90.135	141.632	60.792	81.393	93.266	200.000	40.000
1898	89.946	98.675	53.606	63.041	99.133	200.000	40.000
1899	99.713	108.316	64.461	66.495	103.333	200.000	40.000
სულ:	812,562	643.868	490.036	383.905	862.193	1.800.000	360.000

<sup>1</sup> ტაბულა შედგენილია ჟურნალ «Кавказский вестник»-ის (№10, 1901 წ.) მიერ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, თერგის ოლქის მთიელებმა რუსეთის კოლონიურ ადმინისტრაციას 1890-1899 წწ. გადაუხადეს 5 352 462 რუბლი.

უმიწოდ და უსახლკაროდ დარჩენილი მთიელი ბატრაკი ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ მთიელი ისტორიულად ბატრაკი არასოდეს ყოფილა. კოლონიალური უღლით გამოწვეულმა შიმშილმა იგი აიძულა ქცეულიყო ბატრაკად. ხენა-თესვისა და მოსავლის აღების დროს ათასობით მთიელს მონებივით ამუშავებდნენ მიწის ახალი მეპატრონეები. ასე მაგალითად, 1907 წელს ყიზლარის რაიონში მარტო ყურძნის მოსავლის აღებაში 20 ათასი მთიელი მუშაობდა.<sup>1</sup>

კოლონიალური ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რუსეთის გუბერნიებს სოფლის-მეურნეობის პროდუქტებით. ამიტომ ყურადღების ცენტრში იყო მარცვლეულის მეურნეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მებაღეობის და მესაქონლეობის დარგების განვითარება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელისუფლება მხოლოდ კოლონისტებს უქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მეურნეობის განვითარებისათვის. ამ მიზნით, კოლონისტებს შორის, ყურადღება ექცეოდა აგრონომიული ცოდნის გავრცელებას, მხოლოდ ისინი მარაგდებოდნენ გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, თესლეულით.

სოფლის მეურნეობის ნაწარმთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე გადიოდა. კოლონისტთა მეურნეობა სულ უფრო და უფრო მეტს აწარმოებდა ბაზრისათვის და ამგვარად მიწათმოქმედებამ თანდათან სასაქონლო ხასიათი მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკა აფართოებდა შინაგან ბაზარს და შლიდა ნატურალურ

<sup>1</sup> ყოფილი ჩეჩენო-ინგუშეთის ასსრ სახ. არქივი, ფონდი 14, საქ. 154, ფურც. 16.



მეურნეობას, ამავედროულად ამუხრუჭებდა განაპირა, კოლონიური მხარეების ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკის განვითარების პროცესს.

